

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო პროგრამა

სადისერტაციო ნაშრომი თემაზე:  
„ხელშეკრულებაზე უარის თქმა ქუჩაში დადებული გარიგებების დროს“

თამარ დიოგიძე

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარიამ ცისკაძე  
სამართლის დოქტორი

თბილისი, საქართველო

2019

## ს ა რ ჩ ე ვ ი

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა.....	4
შესავალი .....	8
თავი I. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა და არსებითი პირობები.....	15
1.1. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების როლი სამოქალაქო ბრუნვაში .....	15
1.2. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება .....	26
1.3. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგანი და ობიექტი.....	33
1.4. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეები.....	43
თავი II. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების და დასრულების წესი .....	54
2.1. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეთა წების გამოვლენის თავისებურებანი .....	54
2.2. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ფორმა .....	64
2.3. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ანგარიშსწორების წესი .....	69
2.4. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დრო და ადგილი.....	72
2.5. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დასრულების საფუძვლები .....	81
თავი III. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების სტადიაზე მხარეთა მოვალეობები და მათი შეუსრულებლობის შედეგები.....	86
3.1. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ..	88

3.2. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შედეგები .....	102
თავი IV. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დარღვევის შედეგები.....	105
4.1. მხარეთა ვალდებულებები ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლისას.....	107
4.2. ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები .....	121
თავი V. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხავი გარემოებები .....	133
5.1. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხავი გარემოებების დათქმის მნიშვნელობა .....	133
5.2. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხავი გარემოებების კლასიფიკაცია და გამოყენების კრიტერიუმები.....	134
<b>დასკვნა.....</b>	<b>140</b>
<b>დანართი N1 .....</b>	<b>148</b>
<b>დანართი N2.....</b>	<b>154</b>
<b>დანართი N3.....</b>	<b>155</b>
<b>დანართი N4.....</b>	<b>157</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>159</b>

## გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

### ქართულ ენაზე:

ა.შ.	ასე შემდეგ
ააიპ	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ასოცირების შესახებ შეთანხმება	ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის 1/07/2016.
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
2011/83 დირექტივა	ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა 2011/83 მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ <i>Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council</i>
დღგ	დამატებული ღირებულების გადასახადი
ევროკავშირი	ევროპის კავშირი
ევროპული პრინციპები	ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები
ე.ი.	ესე იგი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
თბ.	თბილისი

იხ.	იხილეთ
კანონპროექტი	საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“
მაგ.	მაგალითად
მეს.	მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო
მთარგ.	მთარგმნელი
ნაწ.	ნაწილი
პრინციპები	ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები
პ.	პუნქტი
რედ.	რედაქტორი
რეგულაციები	გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი სამომხმარებლო ხელშეკრულებების რეგულაციები
სემეკი	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სპეც.	სპეციალური
სუს	საქართველოს უზენაესი სასამართლო
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
სხვ.	სხვა
ტ.	ტომი
შეად.	შეადარეთ

შპს	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს პირი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
წევრი ქვეყნები	ევროკავშირის წევრი ქვეყნები
ძალადაკარგული კანონი	საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. <u>ძალადაკარგულია: 25/05/2012.</u>

### უცხოურ ენაზე:

<b>ADR</b>	Alternative Dispute Resolution დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალება
<b>Art.</b>	Article მუხლი
<b>Aufl.</b>	Auflage გამოცემა
<b>BGB</b>	Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
<b>BGH</b>	Bundesgerichtshof Deutschlands გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო
<b>CFR</b>	Code of Federal Regulations ფედერალური რეგულაციების კოდექსი
<b>CISG</b>	United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods გაერთიანებული ერების კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ
<b>CRD</b>	Consumers Rights Directive - <i>Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights.</i>
<b>e-Commerce Directive</b>	Directive No. 2000/31/EC of the European Parliament and of the Council of 8 June 2000 on certain legal aspects of information society services, in particular electronic commerce, in the Internal Market (Directive on electronic commerce). ელექტრონული ვაჭრობის შესახებ დირექტივა

<b>ECJ</b>	European Court of Justice მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო
<b>NJW</b>	Neue Juristische Wochenschrift ახალი იურიდიული ყოველკვირეული ჟურნალი
<b>PECL</b>	Principles of European Contract Law ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები
<b>PICC</b>	Principles of International Commercial Contracts საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპები
<b>Rn.</b>	Rand რიგის ნომერი
<b>S.</b>	Seite გვერდი
<b>Service Directive</b>	Directive 2006/123/EC of the European Parliament and of the Council of 12 December 2006 on services in the Internet Market. მომსახურების შესახებ დირექტივა
<b>UCPD</b>	Unfair Commercial Practices Directive დირექტივა არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ
<b>UNIDROIT</b>	International Institute for the Unification of Private Law კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტი
<b>VerbrRRLUG</b>	Gesetz zur Umsetzung der Verbraucherrechternichtlinie und zur Änderung des Gesetzes zur Regelung der Wohnungsvermittlung კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის დირექტივის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით
<b>VVG</b>	Versicherungsvertragsgesetz სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონი

„თითოეული ჩვენგანი მომხმარებელია. ჩვენ ყველას გვაქვს უფლება დაცული ვიყოთ შეცდომაში შემყვანი რეკლამებისა და ეტიკეტებისგან; გვაქვს უფლება თავი დავიცვათ საფრთხის შემცველი და უსარგებლო ნარკოტიკული საშუალებებისა და სხვა პროდუქტებისგან; ჩვენ გვაქვს უფლება შევარჩიოთ საქონელი კონკურენტუნარიანი ფასების პირობებში. თუმცა, თანამედროვე ცხოვრება იმდენად რთულია, რომ მოქმედი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული უფლებების დაცვას.“

ჯონ ფიცარერალდ კენედი  
სპეციალური მიმართვა აშშ-ს კონგრესს მომხმარებელთა უფლებების  
დაცვასთან დაკავშირებით  
15.03.1962 წელი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ყოველდღიურ ცხოვრებაში თითოეული პირი უამრავ სამომხმარებლო ხელშეკრულებას დებს, რადგან აქტიურად ხდება ამა თუ იმ პროდუქტის მოხმარება და სხვადასხვა სახის მომსახურების გამოყენება. ქუჩაში დადებული ხელშეკრულება მჭიდრო კავშირშია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალთან, რადგან მისი ერთ-ერთი მხარე სწორედ მომხმარებელია. ვინაიდან მომხმარებელი ყოველთვის ფიზიკური პირია, მოქალაქის უფლებების განხორციელებისა და დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ზოგადად, სამომხმარებლო ურთიერთობის რეგულირება ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით გარანტირებული უფლებაა, მათი განხორციელებისა და დაცვის სათანადოდ უზრუნველყოფა თითქმის შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამართლებრივი მოწესრიგება პრაქტიკულად არ არსებობს. შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის შექმნაც ვერ ხორციელდება.

საქართველოში მომხმარებელთა უფლებები თავდაპირველად მოწესრიგებულ იქნა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც 1996 წლის 20 მარტს იქნა მიღებული და 2012 წლის 15 მაისამდე მოქმედებდა. აღნიშნული კანონის მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების განსაზღვრა. ის აწესრიგებდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მომხმარებლის უფლება მიიღოს სათანადო ინფორმაცია საქონელსა, თუ მომსახურებასთან დაკავშირებით; მასში, გათვალისწინებული იყო მომხმარებლისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მეორე მხარის შესაბამისი პასუხისმგებლობა; ასევე, მომხმარებლისთვის საქონლის კონსტრუქციული ნაკლოვანებით მიყენებული ზარალის შემთხვევაში, მისი სრულად

ანაზღაურება და სხვა. საყურადღებოა, რომ ხსენებული კანონი არასრულყოფილად არეგულირებდა სამომხმარებლო ურთიერთობებს, მაგრამ მისი გაუქმებით, 2012 წლის 15 მაისიდან, აღნიშნული ურთიერთობები საერთოდ სპეციალური სამართლებრივი რეგულირების მიღმა დარჩა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამომხმარებლო ურთიერთობები გარკვეულად მოწესრიგებულ იქნა 1997 წლის 25 ნოემბერს სამოქმედოდ შემოღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლით. ამ მუხლით განმტკიცებული მხოლოდ ერთი სამართლებრივი ნორმა არეგულირებს მომხმარებლის მიერ ქუჩაში დადებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო ურთიერთობის მომწესრიგებელი ზოგადი სამართლებრივი დებულებები გათვალისწინებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ კოდექსით;<sup>1</sup> მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, ასევე „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ზემოხსენებული სამართლებრივი წყაროების მიუხედავად, საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი არამხოლოდ არასრულყოფილადაა მოწესრიგებული სპეციალური კანონმდებლობის არარსებობის გამო, არამედ ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების გარკვეული ხარვეზითაც გამოირჩევა. მომხმარებელს თავისი უფლებების დაცვა მხოლოდ სასამართლო წესით შეუძლია, რაც თავის მხრივ საკმაოდ დიდ ფინანსურ და ბიუროკრატიულ პრობლემებს იწვევს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში უშუალოდ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები არ გვხვდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მომხმარებელთა უფლებების რეალიზაციის, სამომხმარებლო ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივი საშუალებების შემოღების შესაძლებლობასა და ქართული იურიდიული მეცნიერების ამ მიმართულებით განვითარებას ემსახურება.

## სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (336-ე მუხლი) პირველად მოწესრიგებული იქნა 1997 წლის 25 ნოემბრიდან, როდესაც ძალაში შევიდა დამოუკიდებელი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი. მაგრამ, ზემოხსენებულის მიუხედავად, სსკ-ის 336-ე

<sup>1</sup> სწორედ ამ კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა ზემოაღნიშნული საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“.

მუხლით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება, რაც აღნიშული ურთიერთობის კერძოსამართლებრივი არასრულყოფილი რეგულირების შედეგია.

საყურადღებოა, რომ ჯერ არც სპეციალური მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულება. მაშინ როდესაც XXI საუკუნეში, „მომხმარებელთა უფლებების ეპიქაში“, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების აქტუალობა დღითიდღე იზრდება მსოფლიო ქვეყნების სამოქალაქო ბრუნვაში.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა ასევე განპირობებულია ქართული მხარის იმ ვალდებულებებით, რაც მან იკისრა ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც მათ შორის ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფას გულისხმობს. კერძოდ, 2014 წლის 27 ივნისს, ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (შემდგომში - ასოცირების შესახებ შეთანხმება<sup>2</sup>), რომლის დარგობრივი თანამშრომლობის ნაწილი, უფრო კონკრეტულად კი, მე-6 კარის მე-13 თავი (Consumer Policies) (345-347 მუხლები) მომხმარებელთა პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს. ასოცირების შესახებ შეთანხმების 345-347-ე მუხლების თანახმად, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის შექმნა და განახორციელოს საფუძვლიანი საკანონმდებლო ცვლილებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში.<sup>3</sup>

თუმცა, ნაშრომის აქტუალობა მხოლოდ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შინაარსის კვლევაში არ გამოიხატება. მისი მთავარი მნიშვნელობა სწორედ ამ სახის ხელშეკრულების დადების შემდეგ მასზე უარის თქმის (გასვლის) თავისებურებების კვლევას წარმოადგენს.

<sup>2</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 1.05.2019.

<sup>3</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან ერთად აუცილებლად უნდა აღინიშნოს 1996 წლის 22 აპრილის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ გაერთიანების წევრებსა და საქართველოს შორის, რომელიც ძალაში 1999 წლის 1 ივლისს შევიდა.

აღნიშნული შეთანხმება ემყარება სამ „მირითად ელემენტს“: დემოკრატიის პატივისცემას, საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

სწორედ ამ შეთანხმების 43-ე მუხლის საფუძველზე, ჯერ კიდევ 1996 წელს, მხარეები მიუთითებდნენ, რომ საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა ქართული კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროების მაქსიმალური პარმონიზაცია გაერთიანების კანონმდებლობასთან. ერთ-ერთი ასეთი სფერო, სწორედ სამომხმარებლო სამართალია.

შესაბამისად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი საკმაოდ აქტუალური ხასიათისაა და ერთგვარი სიახლეა ქართული კერძო სამართლის მეცნიერებისათვის.

### სადისერტაციო ნაშრომის მიზანი

წინამდებარე კვლევის ძირითადი მიზანია: ქუჩაში დადებული ხელშეკრულების არსის და შინაარსის საფუძვლიანი კვლევა, რათა მოხდეს ქართული კერძო სამართლის მეცნიერების ამ კუთხით განვითარება; გამოკვლეულ იქნას ქუჩაში დადებული ხელშეკრულების თავისებურებანი ყველა სტადიაზე – ხელშეკრულების დადებამდე, დადებისას და დასრულების შემდგომ; შესწავლილ იქნას ქართული სამომხმარებლო ბაზარი და მოხდეს მომხმარებელთა უფლებების რეალიზების პრობლემატიკის გამოკვეთა; წარმოჩნდეს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების შემდგომ მხარეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები; ასევე, ამ სახის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების დეტალური განხილვა; ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების მაგალითზე, გამოკვლეულ იქნას ანალოგიური ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი; აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესწავლა, ანალიზი და მათი შემდგომი სრულყოფის მიზნით, კონკრეტული საკანონმდებლო წინადადებებისა და დოქტრინალური განმარტებების შემუშავება.

ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს ქართულ სამოქალაქო ბრუნვაში ერთის მხრივ, ქუჩაში დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფართოებასა და განვითარებას, მეორეს მხრივ, კი ამ ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების სრულყოფილ განხორციელებასა და დაცვას.

### სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მეთოდი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის როგორც ზოგადმეცნიერული, სისტემური, ნორმატიული და დოგმატური, ისე შედარებით–სამართლებრივი მეთოდები.

ზოგადმეცნიერული, ისტორიული მეთოდის საფუძველზე ნაშრომში ახსნილი იქნება ქუჩაში დადებული ხელშეკრულების წარმოშობის ისტორია; ამასთან, მოხდება ამ სახის ხელშეკრულების მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარების მიმოხილვა.

სისტემური, ნორმატიული და დოგმატური მეთოდის გამოყენებით, ნაშრომში დაწვრილებით იქნება განხილული ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შინაარსი; გამოკვლეულ იქნება ამ სახის ხელშეკრულების დადების შემდგომ მასზე უარის თქმის (გასვლის) ინსტიტუტი და მისი სამართლებრივი შედეგები;

ხოლო, შედარებით–სამართლებრივი კვლევის მეთოდის საფუძველზე, განხორციელდება ანალოგიური ინსტიტუტების შესწავლა ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე და მოხდება მათი ანალიზი ქართულ სამართლებრივ ტერმინოლოგიასთან (ცნებებთან) მიმართებით.

ევროპული ქვეყნებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიერ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების შინაარსის ანალიზს, პრაქტიკაში მათი გამოყენების თავისებურებების გამოკვლევას, რადგან ძირითადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სწორედ გერმანიის სამოქალაქო კოდექსს ეფუძნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კვლევის პროცესში შეიცვალა გერმანული სამოქალაქო კოდექსის 312-ე პარაგრაფი, რომლითაც ქუჩაში დადებული ხელშეკრულება იყო მოწესრიგებული. თუმცა, წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება აღნიშნული კოდექსის 312-ე პარაგრაფის წინა რედაქცია მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ცვლილების მიუხედავად, ნორმის ადრეულ შემადგენლობას აქტუალობა არ დაუკარგავს. ის უფრო ზედმიწევნით არეგულირებდა გარკვეულ საკითხებს, რის საფუძველზეც საკმაოდ მნიშვნელოვანი პრაქტიკა ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი თემის ძირითადი ცნებების და საკითხების განხილვისას კვლევის გარკვეული ნაწილი შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ რეგულაციებსაც, მთავარი ყურადღება მაინც ევროპული სამართლის ქვეყნების მიერ ზემოხსენებული ხელშეკრულების რეგულირების საკითხს დაეთმობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულ კანონმდებლობაზე ყურადღების გამახვილება ხდება ქვეყნის საგარეო კურსიდან გამომდინარე და ასევე, იმ ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, რაც საქართველოს 2014 წლიდან, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით გააჩნია. ამასთან, ნაშრომის საკმაოდ ვრცელი ნაწილი დაეთმობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83 დირექტივის მუხლების ანალიზს,<sup>4</sup> რადგან სწორედ ამ დირექტივის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში რეცეფციის გზით აწესრიგებს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დირექტივის ქართულ სამართლებრივ სივრცეში იმპლემენტაციის მიზანს ემსახურება პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ 2014 წელს ინიცირებული

<sup>4</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.L.2011.304.01.0064.01.ENG>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.04.2019.

კანონპროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“<sup>5</sup>, რომლის ძირითადი ამოცანაა საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლობის შექმნა და ამ კუთხით ევროპული ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება. აღნიშნულით კი, შესაძლებელი იქნება, ერთგვარი სინთეზის საშუალებით, შეიქმნას ქართულ სამართლებრივ და სამოქალაქო ბრუნვის რეალობაზე მაქსიმალურად კარგად შესატყვისი მოდელი. ამიტომ, სადისერტაციო ნაშრომის გარკვეული ნაწილი, დაეთმობა ხსენებული კანონპროექტის ანალიზსაც, რადგან მისი სრულყოფა მნიშვნელოვანია ქართული სამომხმარებლო ბაზრის სამართლებრივი რეგულირებისა და პრაქტიკის თვალსაზრისით.

ამასთან, აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდების მიუხედავად, მასში საკმაოდ დეტალურად იქნება განხილული არა მხოლოდ ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული საკითხები, არამედ, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ზოგადად ამ ხელშეკრულების ცნებისა და მისი არსებითი პირობების განსაზღვრას. პიპოთეტური მაგალითების მეშვეობით, მოხდება მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა საკითხის განმარტება. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემატური საკითხები მეცნიერული თვალსაზრისით საფუძვლიანად შესწავლილი არ არის, ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში საკმაოდ მწირია ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული კვლევა.

## სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი შედგება სარჩევის, გამოყენებული აბრევიატურის ნუსხის, შესავლის, 5 თავის, დასკვნის, ბიბლიოგრაფიისა და დანართებისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის:

შესავალი დაეთმობა მის ზოგად მიმოხილვას, ნაშრომის აქტუალობისა და მიზნების წარმოჩენას. მოხდება ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდისა და მისი სტრუქტურის განსაზღვრა;

**პირველ თავში** განხილული იქნება ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა და მისი არსებითი პირობები. იმავე თავში, ყურადღება გამახვილდება ამ სახის ხელშეკრულების წარმოშობის ზოგად საკითხებზე; მიმოიხილება ამ ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობები,

<sup>5</sup> საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“.

<<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113040>> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 13.05.2019.

როგორიცაა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგანი და ობიექტი, მისი მხარეები;

**მეორე თავში** გამოკვლეული იქნება ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების და დასრულების წესი. აქ საკმაოდ ვრცელი ნაწილი დაეთმობა ამ სახის ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენის თავისებურებების კვლევას; ამ სახის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროისა და ადგილის, მისი მოქმედების ვადასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს;

მართალია, იურიდიულ ლიტერატურაში ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობად მოიაზრება, მაგრამ ვინაიდან წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანი ამასთანავე არის მხარეთა მოვალეობების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებაზე უარის (გასვლა) თავისებურებების ანალიზი, მხარეთა უფლება-მოვალეობები სადისერტაციო ნაშრომის მე-3 და მე-4 თავებში იქნება განხილული. მხარეთა უფლება-მოვალეობები და მათი შეუსრულებლობის შედეგები გამოკვლეული და გაანალიზებული იქნება როგორც ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების სტადიაზე, ისე კონკრეტულად, ხელშეკრულების დადების შემდეგ ვალდებულების დარღვევის შედეგებთან მიმართებაში;

**მე-5 თავში** დამუშავდება და გამოიკვეთება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოებები და იქვე გადმოცემული იქნება მათი დეტალური ანალიზი;

**დასკვნაში** კი შემოთავაზებული იქნება ნაშრომში განხილული საკითხების შედეგად მიღებული კვლევები, კერძოდ, საკანონმდებლო წინადადებები და დოქტრინალური რეკომენდაციები.

ამასთან, სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის შემდეგი შინაარსის დანართები:

**დანართი N1** წარმოადგენს საქართველოს კანონის პროექტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლთან დაკავშირებით სსკ-ში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**დანართი N2** ასახავს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის სპეციალურ, წინასწარ შემუშავებულ ფორმულარს, რომელიც არაერთი ევროპული ქვეყნის მიერ, პრაქტიკაში საკმაოდ აქტიურად და წარმატებით გამოიყენება;

**დანართი N3** წარმოაჩენს გაერთიანებულ სამეფოში დადგენილ ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინასწარ შემუშავებულ ფორმულარს. სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, გაერთიანებულ სამეფოში გავრცელებული უარის თქმის ფორმა ორი ნაწილისგან შედგება და წინასწარ შემუშავებულ ფორმულართან ერთად, შეიცავს ასევე ინფორმაციას ზოგადად, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან დაკავშირებით;

**დანართი N4** ასევე ეხება ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინასწარ შემუშავებულ ფორმულარს, რომელიც აშშ-ში გამოიყენება.

## თავი I. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მნიშვნელობა და არსებითი პირობები

მომხმარებელთა უფლებების სათანადო დონეზე დაცვა თანამედროვე მსოფლიოს ერთი–ერთი მთავარი გამოწვევაა. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა უზრუნველყოს ისეთი სამართლებრივი გარემო სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილისათვის, რომ ყველა პირის უფლება თანაზომიერად და სამართლიანად იყოს დაცული. სწორედ ამაზეა დამოკიდებული სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა. ერთი მხარის უფლებას, აუცილებლად უნდა უპირისპირდებოდეს მეორე მხარის ვალდებულება და პირიქით.

### 1.1. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების როლი სამოქალაქო ბრუნვაში

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი უშუალო კავშირშია სამართლებრივად სათანადოდ დაცულ მომხმარებელთან. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ დონეზე მოწესრიგების საკითხი აქტიურ ფაზაში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან შევიდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოძრაობამ 1960–1970 წლებში შეიძინა, როდესაც მთელი ცივილიზებული ქვეყნების სამეცნიერო საზოგადოება, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება ერთხმად თანხმდებოდა, რომ აუცილებელი იყო საკანონმდებლო ბაზის შექმნა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანი იყო მომხმარებლის აღქმა არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების უბრალო შემძენად, რომელიც მათ პირადი მოხმარებისთვის იყენებდა, არამედ, მომხმარებელი უნდა ყოფილიყო სუბიექტი, რომელიც სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში აქტიურად მიიღებდა მონაწილეობას.<sup>6</sup>

1962 წლის 15 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ, სპეციალური სიტყვით მიმართა აშშ-ს კონგრესს მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. სწორედ ამ მიმართვის დღე, 15 მაისი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება, როგორც „მომხმარებელთა უფლებების მსოფლიო დღე“<sup>7</sup>. თავის სიტყვაში კენედიმ ყურადღება გაამახვილა მომხმარებელთა 4 ძირითად უფლებაზე:

- მომხმარებელთა უსაფრთხოების უფლება;
- მომხმარებელთა უფლება იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი;

<sup>6</sup> Alexander Ch., Vebraucherschutzrecht, Studium und Praxis, 1. Aufl., München 2015, Teil 1, Ausgangsfragen, Rn. 2.

- მომხმარებელთა თავისუფალი არჩევანის უფლება;
- მომხმარებელთა აზრის გათვალისწინების ვალდებულება;<sup>7</sup>

მოგვიანებით, ამ ოთხ უფლებას დაემატა კიდევ ოთხი, რითაც საბოლოო ჯამში, საფუძველი ჩაეყარა მომხმარებელთა მირითად, ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზებში აისახა.<sup>8</sup>

- მომხმარებელთა მირითადი მოთხოვნილებების დაკავშირების უფლება;
- მომხმარებელთა უფლება გამოხატონ უკმაყოფილება მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით;
- მომხმარებელთა უფლება იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში;
- სამომხმარებლო განათლების უფლება.<sup>9</sup>

თითოეულ ევროპულ ქვეყანას თავისი შიდასახელმწიფოებრივი სახელშეკრულებო სამართალი აქვს, მომხმარებელთა უფლებების დაცვა კი მნიშვნელოვანია თითოეული მათგანისთვის. იურიდიულ მეცნიერებაში ზოგადად აღიარებულია, რომ ცნება „ევროპული სახელშეკრულებო სამართალი“ არ არსებობს. ევროკავშირმა მიიღო საკმაოდ ბევრი დირექტივა სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი საკითხების მოსაწესრიგებლად, განსაკუთრებით კი სამომხმარებლო სამართლის კუთხით, რათა წევრ ქვეყნებში მათი რეგულირება ერთგვაროვნად მომხდარიყო. აღნიშნულიდან გამოდინარე შეიძლება ითქვას, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნები ამჟამად სამომხმარებლო სამართლის „ევროპიზაციის“ ეტაპზე იმყოფებიან.

ევროკავშირის დირექტივების უმრავლესობა მიმართულია წევრი ქვეყნების მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფისკენ.<sup>10</sup> თითოეული დირექტივა განსხვავებული დაცვის საშუალებას იყენებს იმისთვის, რათა მიღწეულ იქნას მთავარი მიზანი - მომხმარებელთა უფლებების დაცვა. უმრავლეს შემთხვევაში ეს ხდება ხელშეკრულების „სუსტი მხარისთვის“, მომხმარებლისთვის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მინიჭებით. აღნიშნული დირექტივები მომხმარებელს მხოლოდ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლებას კი არ ანიჭებს, არამედ უკვე დადებული ხელშეკრულების შემდგომ გაგრძელებაზე უარის თქმის უფლებასაც, რომლის თაობაზეც უფრო დეტალურად სადისერტაციო ნაშრომის შემდგომ თავებში იქნება საუბარი. დირექტივა ხშირად ავალდებულებს მეორე მხარეს, ხელშეკრულების დადებამდე მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს, რათა მან იცოდეს, ან მინიმუმ ჰქონდეს შესაძლებლობა გაიგოს, თუ როგორ და როდის გამოიყენოს

<sup>7</sup> ჯონ ფიცჯერალდ კენედის სპეციალური მიმართვა კონგრესს მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. <<http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=9108>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 1.04.2019.

<sup>8</sup> Zander T., Kostenfallen im Internet, Schutzmechanismen des Verbraucherrechts auf dem Prüfstand, Wiesbaden 2014, 11.

<sup>9</sup> <<http://www.consumerssa.com/consumer-rights/>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 5.05.2019.

<sup>10</sup> Chirita A. D., the Impact of Directive 2011/83/EU on Consumer Rights, 2012, 8.

მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. თუმცა, ეს დირექტივებიც არ არის საკმარისი და ქმედითი მანამ, სანამ არ მოხდება მათი იმპლემენტაცია ინდივიდუალურად, ევროკავშირის თითოეული წევრის მიერ თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.<sup>11</sup>

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები დირექტივის რეცეფციასთან დაკავშირებით ინდივიდუალური მიდგომით ხასიათდებიან. მაგ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ნიდერლანდების სამეფო, დირექტივების უმრავლესობის იმპლემენტაციას სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით ახდენს. რაც შეეხება რომანულ ქვეყნებს, როგორიცაა მაგ. საფრანგეთი და ავსტრია, ისინი დირექტივების ინტეგრაციას სპეციალური კანონის მიღების გზით ახორციელებენ. გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, სამომხმარებლო სამართალი ცალკეული ნორმატიული აქტების საფუძველზე რეგულირდება. ამის მიზეზი სავარაუდოდ იმაში მდგომარეობს, რომ ევროკავშირის დირექტივების მიღებამდე, სამომხმარებლო სამართლებრივი ურთიერთობები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ინდივიდუალურად და განსხვავებულად რეგულირდებოდა.<sup>12</sup> შესაბამისად, ბუნებრივია, რომ წევრ ქვეყნებს ვერ ექნებათ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთიანი, უნიფიცირებული დოკუმენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივა ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ერთი-ერთი სახეა, რომელიც მისი წევრი ქვეყნებისთვის შესასრულებლად სავალდებულოა. ის მათი შიდასახელმწიფოებრივი და ევროკავშირის სამართლის ერთგვარი ჰარმონიზაციის საშუალებაა,<sup>13</sup> რომელიც ერთის მხრივ, ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მიაღწიონ კონკრეტულ შედეგს, მეორეს მხრივ კი, ერთგვარ თავისუფლებას ანიჭებს მათ ამ მიზნის განხორციელების საშუალებების კუთხით.<sup>14</sup> დირექტივა, როგორც წესი არ უთითებს წევრ ქვეყნებს მისი შიდა კანონმდებლობაში ინტეგრაციის გზებს, ეს საკითხი თითოეული მათგანის ინდივიდუალური მიდგომის შედეგი და პრეროგატივაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი აქტები ემსახურება როგორც ერთიანი ევროპული ბაზრის თავისუფლების შექმნის მიზანს, ისე ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს მომხმარებლისთვის, რომ მისი უფლებები საკუთარი ქვეყნის „საზღვრის მიღმაც“ სათანადო დონეზე იქნება დაცული.<sup>15</sup> რაც სრულიად

<sup>11</sup> Kötz H., European Contract Law, Second Edition, translated from German by Gill Mertens and Tony Weir, Oxford University Press, 2018, 1.

<sup>12</sup> Ziegler F., Dissertation - Consumer Protection Law in the ongoing economic European Internal Energy Market by the example of the Electricity Directive 2009/72/EC, Dresden 2014, 54.

<sup>13</sup> Zerres Th., Bürgerliches Recht, Eine Einführung in das Zivilrecht und die Grundzüge des Zivilprozessrechts, 8. Aufl., Heidelberg 2016, 17-18.

<sup>14</sup> The Treaty on The Functioning of The European Union, [Treaty of Rome] 25/03/1957,

<<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A12012E%2FTXT>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.03.2019.

<sup>15</sup> Hörmann M., Der Internethandel und die neue Richtlinie über die Rechte der Verbraucher, Band 248, München 2014, 19.

ლოგიკურად უნდა იქნას მიჩნეული, რადგან როდესაც მომხმარებელმა იცის, რომ მისი უფლებები თანაბრად და ერთგვარად დაცულია როგორც გერმანიაში, ისე საფრანგეთში, ის უფრო თამამად იღებს გადაწყვეტილებას ასეთი სახის ხელშეკრულების დადების თაობაზე, რადგან თავს უფრო დაცულად გრძნობს.

ევროკავშირის საკანონმდებლო პოლიტიკა მომხმარებელთა დაცვის სფეროში ორ ძირითად პრინციპს ეფუძნება, რომელიც ჯერ კიდევ რომის ხელშეკრულებაში<sup>16</sup> იყო მოწესრიგებული; ესენია: 1. მომხმარებელთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა და 2. მომხმარებელთა ინფორმირებისა და განათლების ხელშეწყობა. მომხმარებელთა უფლებების დაცვას ეხება მასტრიხტის ხელშეკრულების<sup>17</sup> XI თავიც, რომლის თანახმად, ევროპული თანამეგობრობის ერთ-ერთი ვალდებულებაა, უზრუნველყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი.

როგორც უკვე აღინიშნა, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ევროკავშირის სამართლებრივი სივრცე მომხმარებელთა უფლებების დაცვის თეორიული უზრუნველყოფიდან გადავიდა მის საკანონმდებლო მოწესრიგებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველად, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა და მასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულ იქნა ევროპული საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის 85/577/EEC დირექტივაში არაკომერციული დაწესებულებების ფარგლებს გარეთ მიღწეული მოლაპარაკების გზით დადებული ხელშეკრულების დროს (ქართული სამართლის მიხედვით – ქუჩაში დადებული ხელშეკრულება) მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ<sup>18</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დირექტივა პირველი სახელშეკრულებო-სამართლებრივი დირექტივაა, რომლის მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით თანაბარი მდგომარეობის უზრუნველყოფა.<sup>19</sup> ხსენებული 85/577/EEC დირექტივა, გარდა იმისა, რომ დეტალურად განსაზღვრავდა თუ რა იგულისხმებოდა ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაში, გვთავაზობდა ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმებს, როდესაც მათთვის მიყენებული შესაძლო ზიანი მინიმუმამდე იყო დაყვანილი ან/და თითქმის ნულს უტოლდებოდა.<sup>20</sup> მაგალითად,

<sup>16</sup> The Treaty on The Functioning of The European Union, [Treaty of Rome] 25/03/1957, Title XV.

<sup>17</sup> Treaty on European Union, [The Maastricht Treaty] 1/11/1993, <[https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:2bf140bf-a3f8-4ab2-b506-fd71826e6da.60023.02/DOC\\_1&format=PDF](https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:2bf140bf-a3f8-4ab2-b506-fd71826e6da.60023.02/DOC_1&format=PDF)>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.04.2019.

<sup>18</sup> Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises,

<<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31985L0577:en:HTML>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 2.04.2019.

<sup>19</sup> Zapirianos N., Die Rückabwicklung der Verbraucherverträge nach Ausübung des Widerrufsrechts, Eine Untersuchung unter Berücksichtigung der Verbraucherrechte-Richtlinie und des Entwurfs für ein Gemeinsames Europäisches Kaufrecht, 1. Aufl., 2016, 30.

<sup>20</sup> Hericks B., Die Rechtsfolgen des Verbraucherwiderrufs im deutschen und europäischen Recht, 2013, 54.

როდესაც მომხმარებელს ჰქონდა ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება და სხვა.

თავდაპირველად, სწორედ ამ დირექტივის რეცეფცია მოახდინა ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ და 1986 წლის 16 იანვრიდან ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა გერმანიაში მოწესრიგებულ იქნა შემოსასვლელ კართან დადებულ და სხვა მსგავს ხელშეკრულებებზე უარის თქმის შესახებ კანონში,<sup>21</sup> რომლის მიხედვითაც შემუშავებულ იქნა საქართველო სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლის, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ნორმატიული შინაარსი.

თუმცა, მას შემდეგ, რაც 2002 წელს გსკ-ის ვალდებულებითი სამართლის ნაწილმა მთელი რიგი ცვლილებები განიცადა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს გსკ-ის ვალდებულებითი სამართლის თავში, 312-ე პარაგრაფში<sup>22</sup> <sup>23</sup> იქნა მოწესრიგებული.<sup>24</sup> გერმანიის ვალდებულებითი სამართლის აღნიშნული რეფორმა განაპირობა იმ მოვალეობებმა, რაც გერმანიას და ევროკავშირის სხვა

<sup>21</sup> Gesetz über den Widerruf von Haustürgeschäften und ähnlichen Geschäften,

<<https://dejure.org/gesetze/HWiG>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 1.04.2019.

<sup>22</sup> გსკ-ის 312-ე პარაგრაფი 2002 წლიდან 2014 წლამდე შემდეგი შინაარსით იყო ჩამოყალიბებული:

(1) მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, რომლის საგანია სასყიდლიანი შესრულება და რომლის დადებაზე მომხმარებელი დაყოლიებულ იქნა:

1. მის სამუშაო ადგილსა, თუ საცხოვრებელ ზონაში ზეპირი მოლაპარაკებით;

2. მოვაჭრის, ან მესამე პირის მიერ, აგრეთვე, სულ ცოტა, მოვაჭრის ინტერესებში ორგანიზებული თავისუფალი დროის გატარების ღონისძიებასთან დაკავშირებით;

3. სატრანსპორტო საშუალების უეცარი მოახლოების შედეგად, ან ღია საჯარო ადგილზე (შემოსასვლელ კართან დადებული ხელშეკრულება), მომხმარებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება 355-ე პარაგრაფის თანახმად. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნაცვლად მომხმარებელს შეიძლება მიენიჭოს ნივთის უკან დაბრუნების უფლება 356-ე პარაგრაფის თანახმად, თუ ამ, ან მოგვიანებით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ასევე, უნდა შენარჩუნდეს მდგრადი კავშირი.

(2) ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ან ნივთის უკან დაბრუნების უფლებების შესახებ აუცილებელი განმარტება უნდა უთითებდეს 357-ე პარაგრაფის პირველ და მე-3 ნაწილების სამართლებრივ შედეგებზე.

(3) სხვა ნორმებით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ან ნივთის უკან დაბრუნების უფლებები არ არსებობს დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, ან: 1. პირველი ნაწილის N1 შემთხვევაში ზეპირი მოლაპარაკება, რომელზეც დამოკიდებულია ხელშეკრულების დადება, წარიმართა მომხმარებლის მიერ გაკეთებული წინა შეკვეთის მიხედვით, ან 2. ვალდებულების შესრულება და გადახდა განხორციელდა დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დასრულებისთანავე და საზღაური არ აღემატება 40 ევროს, ან/და 3. თუ მომხმარებლის ნების გამოვლენა დამოწმებულ იქნა სანოტარო წესით.

<sup>23</sup> ქართულშვილი ზ., (მთარგ. და რედ.), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, „სიესტა“, თბ., 2010, 59.

<sup>24</sup> Bamberger H., Roth H., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB, Band 1: §§ 1-610, 3. Aufl., München 2012, §312 Rn. 1.

წევრ ქვეყნებს, დაეკისრა ნაკლის მქონე პროდუქციისა და გარანტიების თაობაზე ევროპის პარლამენტის 1944/44 დირექტივით.<sup>25</sup> ამ დირექტივის პირველი მუხლის თანახმად, მისი მიზანია წევრი ქვეყნების სამართლებრივ გარემოთა დაახლოება სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების თვალსაზრისით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შიდა ბაზარზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთიანი, მინიმალური სტანდარტი მაინც.

საყურადღებოა, რომ გერმანელი კერძო სამართლის სპეციალისტების აზრით, მსგავსი დირექტივების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში რეცეფციით იზრდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი, რადგან ამ დირექტივებთან დაკავშირებულ განმარტებებს სწორედ ის გვთავაზობს და არა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH).<sup>26</sup>

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, ზემოაღნიშნულ 85/577/EEC დირექტივას, დაემატა კიდევ ერთი - დისტანციური ხელშეკრულების დადების პირობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 1997 წლის 20 მაისის 97/7/EC დირექტივა<sup>27</sup>, რომელიც ერთგვარად ავსებდა მის წინამორბედს.

თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და სამომხმარებლო ბაზრის არეალის გაფართოებამ, შედარებით ახალი ნორმების შექმნის აუცილებლობა განაპირობა. საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო ახალი, თანამედროვე სამართლებრივი მოწესრიგება და მათი განხორციელების ქმედითი მექანიზმები.<sup>28</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპარლამენტმა შეიმუშავა ახალი დირექტივა, რომელიც ძალაში 2011 წლის 12 დეკემბრიდან შევიდა და თანამედროვე პირობებში, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, ევროპული სამართლის ქვეყნების უმრავლესობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83 დირექტივის<sup>29</sup> (შემდგომში – 2011/83 დირექტივა) შესაბამისად არეგულირებს.

<sup>25</sup> Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council of 25 May 1999 on certain aspects of the sale of consumer goods and associated guarantees, Art. 1, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:31999L0044>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 5.04.2019.

<sup>26</sup> Tonner K., Schuldrecht, Vertragliche Schuldverhältnisse, §3 Europäisierung des Vertragsrecht, 4 Aufl., Rostock 2015, Rn. 5.

<sup>27</sup> Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of 20 May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts,

<<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:31997L0007>>,

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 4.04.2019.

<sup>28</sup> De Franceschi A., European Contract Law and the Digital Single Market, the Implications of the Digital Revolution, 2016, 1.

<sup>29</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council.

<[http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.L\\_2011.304.01.0064.01.ENG](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.L_2011.304.01.0064.01.ENG)>,

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.04.2019.

ახალი დირექტივის მთავარი დანიშნულება იყო უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე, მოქმდინა იმ ხარვეზების და შეუსაბამობების აღმოფხვრა, რაც არსებობდა. 2011/83 დირექტივის პირველი მუხლის თანახმად, მისი ძირითადი მიზანია, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების შექმნის გზით, ხელი შეუწყოს და თავისი წვლილი შეიტანოს, ევროპული შიდა ბაზრის შესაბამის ფუნქციონირებაში და სამართლებრივი მოწესრიგების კუთხით დახვეწოს ის ასპექტები, რომელიც ეხება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ხელშეკრულების დადებას.<sup>30</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთიანი ევროპული სამართლებრივი ბაზრის შექმნის გარდა, მიზნად ისახავდა ასევე ევროკავშირის მასშტაბით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის გაძლიერებას.<sup>31</sup> ყოველივე აღნიშნული, ლოგიკურად უნდა იქნას მიჩნეული, რადგან ერთიანი სამართლებრივი მოწესრიგება უფრო გაამარტივებს წევრ ქვეყნებს შორის ერთის მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთიანი სისტემის შექმნას, მეორეს მხრივ კი, ხელს შეუწყობს მათ შორის ვაჭრობისთვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებას.

ამასთან, 2011/83 დირექტივამ დაამკვიდრა ზოგადი წესები დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში, რაც საშუალებას აძლევს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ერთგვარ შესაბამისობაში მოიყვანონ მასთან და ამით, უზრუნველყონ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი გარანტი.

აღსანიშნავია, რომ 2011/83 დირექტივამ გარკვეული პერიოდი დაუდგინა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აღნიშნული დირექტივის შიდასახელმწიფოებრივ აქტებში იმპლემენტაციის თვალსაზრისით. კერძოდ, წევრი ქვეყნები ვალდებული იყვნენ, 2013 წლის 13 დეკემბრამდე დაესრულებინათ 2011/83 დირექტივით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნების იმპლემენტაციის პროცესი და აემოქმედებინათ ისინი 2014 წლის 13 ივნისიდან.<sup>32</sup> <sup>33</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივის მოთხოვნები ვრცელდება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მათ შორის 2014 წლის 13 ივნისსა და შემდგომ პერიოდში დაიდო. მას არ გააჩნია უკუმალა და არ ვრცელდება იმ

<sup>30</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 1.

<sup>31</sup> Bittner S., Clausnitzer J., Föhlisch C., Das neue Verbrauchervertragsrecht, Köln 2014, 1.

<sup>32</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 28.

<sup>33</sup> 2014 წლის 13 ივნისიდან 2011/83 დირექტივით მაღადაკარგულად გამოცხადდა 85/577/EC და 97/7/EC დირექტივები.

ხელშეკრულებებზე, რომელიც მხარეებმა დირექტივის ამოქმედებამდე დადეს.

საყურადღებოა, რომ 2011/83 დირექტივის იმპლემენტაციამდე წევრი ქვეყნებისათვის ევროკავშირის სამომხმარებლო სამართლის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში რეცეფცია ერთგვარ სიახლეს წარმოადგენდა. ქვეყნების გარკვეულ ნაწილში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი ნორმები ან საერთოდ არ არსებობდა, ან მხოლოდ სოციალური თვალსაზრისით, სუსტი მხარის უფლებების დაცვას ისახავდა მიზნად.<sup>34</sup> ამასთან, ზემოაღნიშნული დირექტივა იყო პირველი სამართლებრივი აქტი, რომლითაც მომხმარებელს პირდაპირ მიეცა უფლება უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე მის შესრულებამდე.<sup>35</sup> აღსანიშნავია, რომ მომხმარებელი ახალი დირექტივის სამართლებრივი ნორმებით მინიჭებული უფლებების შინაარსის გათვალისწინებით, საკმაოდ ბევრი პრივილეგიით სარგებლობს, ის ერთგვარად დომინანტი ხდება ამ სახის ურთიერთობებში და ხელშეკრულების სამართლებრივი ბედიც სწორედ მის ხელშია. აღნიშნული კი უფრო იმით უნდა იქნას ახსნილი, რომ ამ სახის ხელშეკრულებების დადების მომენტში ის უფლებრივად შედარებით ნაკლებადაა დაცული.

ზემოხსენებული 2011/83 დირექტივის იმპლემენტაციის მიმართ, წევრ ქვეყნებში ერთგვარი უნდობლობის მიუხედავად, მაინც იქნა მიღწეული აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების რეცეფცია წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში.<sup>36</sup> უფრო ზუსტად, ამ დირექტივის მე-4 მუხლმა, აღნიშნულ ქვეყნებს აუკრძალა მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით მისგან განსხვავებული მოთხოვნების დაწესება.<sup>37</sup> ზოგადად, უნდა ითქვას, რომ დირექტივის მიერ აღნიშნული სრული ჰარმონიზაცია გამორიცხავს წევრი ქვეყნების მიერ საკუთარი, ინდივიდუალური მოთხოვნების არსებობას, თუ თავად ეს დირექტივა არ იძლევა აღნიშნულის შესაძლებლობას.<sup>38</sup> აღსანიშნავია, რომ ჰარმონიზაციის პრინციპი გულისხმობს რაიმე გაერთიანების საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის მისი წევრი ქვეყნების მიერ თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში სრულად იმპლემენტაციის

<sup>34</sup> Heiderhoff B., Schulze R., Verbraucherrecht und Verbraucherverhalten, Europäisches Privatrecht, 1 Aufl., 2016, 13.

<sup>35</sup> Zaprianos N., Die Rückabwicklung der Verbraucherverträge nach Ausübung des Widerrufsrechts, Eine Untersuchung unter Berücksichtigung der Verbraucherrechte-Richtlinie und des Entwurfs für ein Gemeinsames Europäisches Kaufrecht, 1. Aufl., 2016, 119.

<sup>36</sup> Kunnecke A., New Standards in EU Consumer Rights Protection? The New Directive 2011/83/EU, European Scientific Journal, Special Edition, Vol 1, February 2014, 429.

<sup>37</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 4.

<sup>38</sup> Tonner K., Schuldrecht, Vertragliche Schuldverhältnisse, §3 Europäisierung des Vertragsrecht, 4 Aufl., Rostock 2015, Rn. 12.

ვალდებულებას.<sup>39</sup> მოცემული დირექტივის მიზანიც, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პრინციპის განხორციელებას ემსახურება, ერთიანი რეგულაციების შექმნისა და წევრი სახელმწიფოების მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების გზით. წევრი სახელმწიფოების მიერ 2011/83 დირექტივის იმპლემენტაციის იმპერატიული მოთხოვნა იმით შეიძლება აიხსნას, რომ წინა პერიოდში მიღებულმა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მომწესრიგებელმა დირექტივებმა, ასეთი დათქმის გარეშე, მომხმარებელთა უფლებების სათანადო დონეზე დაცვა ვერ უზრუნველყოფილია.

სწორედ ზემოაღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, 2014 წლის 13 ივნისიდან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის 2011/83 დირექტივის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით,<sup>40</sup> რომელმაც ძირეული ცვლილებები შეიტანა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებში. გერმანიის კანონმდებლობამ სრულად გაიზიარა ევროპელი კანონმდებლის მიერ შემუშავებული 2011/83 დირექტივა და პრაქტიკულად მთლიანად მოახდინა მისი რეცეფცია.<sup>41</sup> შეიცვალა ამ სახის ხელშეკრულების სახელწოდება, კერძოდ, გერმანული სამართლის მიხედვით მას ერქვა *Hautstürgeschäft* - შემოსასვლელ კართან დადებული ხელშეკრულება (რომლის მიხედვითაც დამკვიდრდა ქართულ სამართალში ტერმინი – ქუჩაში დადებული ხელშეკრულება), გსკ-ის 312-ე პარაგრაფის ხ პუნქტის მოქმედი რედაქციით კი მას უკვე *Außerhalb von Geschäftsräumen geschlossene Verträge* – სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულების სახელით მოიხსენიებენ, თავისი ევროპულ ანალოგის მსგავსად – *Off-premises contracts*<sup>42</sup>. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული საკანონმდებლო აქტების გავლენა გერმანულ სამოქალაქო სამართალზე საკმაოდ დიდია. სწორედ ევროპული დირექტივების იმპლემენტაციის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიაში დღემდე გრძელდება 2002 წელს დაწყებული ზემოხსენებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმა.<sup>43</sup>

აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამეფოს სამომხმარებლო პოლიტიკა ერთგვარი სპეციფიკურობით ხასიათდება. კერძოდ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით იქ საკმაოდ

<sup>39</sup> Dinges B., Das Spannungsverhältnis zwischen Verbraucherschutz und Unternehmerrechten, Anhand des Haustürgeschäfts und des Fernabsatzvertrages vor dem Hintergrund der Systemfrage und der Verbraucherrechterichtlinie 2011/83/EU, Band 5617, Frankfurt am Main 2014, 64.

<sup>40</sup> Gesetz zur Umsetzung der Verbraucherrechterichtlinie und zur Änderung des Gesetzes zur Regelung der Wohnungsvermittlung (VerbrRRLUG), <<http://www.buzer.de/gesetz/10934/index.htm>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 3.04.2019.

<sup>41</sup> Prütting H., Wegen G., Weinreich G., Bürgerliches Gesetzbuch, BGB, Kommentar, 11 Aufl., 2016, §312 Rn. 1.

<sup>42</sup> Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_bgb/](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/)>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 1.05.2019.

<sup>43</sup> Hentschel A., Die Vollharmonisierung des Verbrauchsgüterkaufrechts und die Wirkungsweise vollharmonisierender Richtlinien, Marburg 2014, 1.

მრავალფეროვანი საკანონმდებლო გარემოა. მომხმარებელთა უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: საქონლის მიწოდების შესახებ აქტი 1973;<sup>44</sup> საქონლისა და მომსახურების მიწოდების აქტი 1979;<sup>45</sup> საქონლის ნასყიდობისა და მიწოდების აქტი 1982;<sup>46</sup> მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და ნასყიდობის აქტი 2002;<sup>47</sup> კონკურენციის აქტი 1998;<sup>48</sup> სამომხმარებლო ხელშეკრულებების რეგულაციები 2013;<sup>49</sup> მომხმარებელთა უფლებების დაცვის აქტი 2015<sup>50</sup> და სხვა. სწორედ ამ შიდასახელმწიფოებრივ აქტებში მოახდინა ბრიტანეთის კანონმდებლობამ ევროკავშირის 1999/44, 1993/13 და 2011/83 დირექტივების იმპლემენტაცია. ასე მაგალითად, 2011/83 დირექტივის ის ნაწილი, რომელიც ეხება მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას და მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, ძირითადად რეცეფცირებულია სამომხმარებლო ხელშეკრულების რეგულაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციფიურია გაერთიანებული სამეფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, 2011/83 დირექტივა მაინც რელევანტურ ხასიათს ინარჩუნებს, რადგან ის შესასრულებლად სავალდებულოა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის.<sup>51</sup> ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გაერთიანებულ სამეფოში ამ სფეროში მოქმედი რეგულირება ვრცელდება ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე.<sup>52</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, 2011/83 დირექტივის სავალდებულო ხასიათი განპირობებულია „ერთიანი ევროპული ბაზრის“ სისტემის დანერგვით. გაერთიანებულ სამეფოსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი სამოქალაქო ბრუნვა ერთიანი ევროპული ბაზრიდან სარგებელს მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია კიდეც თანამედროვე ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი მთავარი მოვლენა - გაერთიანებული სამეფოს გადაწყვეტილება ევროკავშირის დატოვების თაობაზე.<sup>53</sup> სწორედ ამ თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესოა, თუ როგორ

<sup>44</sup> Supply of Goods (Implied Terms) Act 1973.

<sup>45</sup> Sale of Goods Act 1979.

<sup>46</sup> Supply of Goods and Services Act 1982.

<sup>47</sup> Sale and Supply of Goods to Consumers Regulations 2002.

<sup>48</sup> Competition Act 1998.

<sup>49</sup> Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations 2013, <<http://www.legislation.gov.uk/uksi/2013/3134/introduction/made>>.

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2019.

<sup>50</sup> Consumer Rights Act 2015, <<http://www.legislation.gov.uk/ukpga/2015/15/contents/enacted>>,

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 9.05.2019.

<sup>51</sup> Medvinskaya A., The Consumer Rights Directive: Key concepts, Journal of Financial Law, 2014, 17.

<sup>52</sup> Explanatory Note on Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations 2013, <<http://www.legislation.gov.uk/uksi/2013/3134/introduction/made>>.

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 1.04.2019.

<sup>53</sup> Draft Agreement on the Withdrawal of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland from the European Union and the European Union and the European Atomic Energy Community, as of 19 March 2018.

განვითარდება ბრიტანული სამომხმარებლო პოლიტიკა ე.წ. „ბრექსითის“ (Brexit) პირობებში. დღეს არსებული მდგომარეობით, მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებული სამომხმარებლო შინაარსის სამართლებრივი აქტები არ გაუქმებულა და კვლავ *status quo* ინარჩუნებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მცირედი განსხვავებებისა, ევროპულ სამართლებრივ სივრცეში მაინც ერთგვაროვანი მიდგომა მოქმედებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით. ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში კი მდგომარეობა შედარებით განსხვავებულია. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აშშ-ში კერძო სამართალი ძირითადად შტატების კომპეტენციას განეკუთვნება და თითოეულ მათგანს საკუთარი საკანონმდებლო კრება აქვს.<sup>54</sup> თუმცა, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან (აშშ მას door-to-door contracts – [კარდაკარ გაყიდვები] უწოდებენ) დაკავშირებული საკითხები, აშშ-ში რეგულირდება ფედერალური რეგულაციების შესახებ კოდექსის მიხედვით, რომელიც აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი ზოგადი და მუდმივი წესების კოდიფიკაციას წარმოადგენს.<sup>55</sup> ხსენებული კოდექსი პირველად 1938 წელს იქნა მიღებული. მეორე გადამუშავებული რედაქცია კი მხოლოდ 1949 წელს, რის შემდეგაც ნათელი გახდა, რომ მისი ერთიანი განახლება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო. შესაბამისად, მოხდა მისი ნაწილებად დაყოფა და წლის განმავლობაში კვარტალური განახლება. დღეისთვის, ზემოაღნიშნული კოდექსი თითქმის ყოველწლიურად ახლდება.<sup>56</sup> ის საკმაოდ მრავალფეროვან სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს და მისი გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა, კერძოდ, შედგება 50 თავისგან და შესაბამისი ქვეთავებისგან. ამ კოდექსის მე-16 თავის სახელწოდებაა კომერციული ვაჭრობა, რომელიც ეხება სწორედ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მოხდება წინამდებარე ნაშრომში შედარებით-სამართლებრივი კვლევის განხორციელება.

როგორც უკვე აღინიშნა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს საქართველოს სახელშეკრულებო სამართლისთვის და ასევე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო ისეთ ევროპულ ქვეყნებთან ერთად, როგორიცაა ავსტრია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია, საბერძნეთი და ა.შ., „გერმანული სამართლის“ ოჯახს განეკუთვნება.<sup>57</sup> სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ ქუჩაში დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობები, სსკ-ში თავდაპირველად, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად მოწესრიგდა. თუმცა, საყურადღებოა ისიც, რომ სსკ-ის მოქმედ 336-ე მუხლს განსხვავებული შინაარსი აქვს და იგი ხასიათდება მთელი რიგი

<sup>54</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 216.

<sup>55</sup> Code of Federal Regulations, <<https://www.law.cornell.edu/cfr/text>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.05.2019.

<sup>56</sup> McKinney R.J., A Research Guide to the Federal Register and the Code of Federal Regulations, Law Library Light, Vol. 46, N1, 2002, 13.

<sup>57</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, 213.

სამართლებრივი რეგულირების ხარვეზებით,<sup>58</sup> რომელთა შესახებაც, უფრო დეტალურად, ნაშრომის შემდგომ თავებში იქნება საუბარი.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, სსკ-ში უკვე საკმაოდ დიდი ხანია მოწესრიგებულია და სამოქალაქო კოდექსმა ძალაში შესვლის შემდეგ საკმაოდ ბევრი ცვლილება განიცადა, 336-ე მუხლს სამართალშემოქმედებითი პროცესი არ შეხებია. თავის მხრივ, სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო ბრუნვაში, ასეთი სახის ხელშეკრულების დადება პრაქტიკულად არ ხდება.

## 1.2. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნება და მისი სამართლებრივი ბუნება

თითოეული ადამიანი ყოველდღიურად უამრავი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ხდება ისე, რომ ამას სრულყოფილად ვერც კი აცნობიერებს. ვერ აცნობიერებს ამ ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებას, ან მის შესაძლო შედეგს. რა თქმა უნდა, უმრავლესობა ვერც კი წარმოიდგენს მსგავსი ურთიერთობით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით წარმოშობილ პასუხისმგებლობას. „ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ არა სამართლებრივი ნორმების, კანონების შიშით, არამედ იმის გამო, რომ ეს მათი ბუნებრივი მოთხოვნილება, სასიცოცხლო აუცილებლობაა.“<sup>59</sup>

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე თითოეული პირი ნაკისრ ვალდებულებათაგან მხოლოდ ნაწილს ასრულებს. სამართალი კი მხარეთა ურთიერთობაში მხოლოდ მაშინ ერევა, როდესაც რომელიმე მხარე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.<sup>60</sup> მართალია, მხარეები ხელშეკრულებას ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე დებენ, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის სახელმწიფო გარკვეულ სანქციებს ადგენს. სწორედ სახელმწიფო ახორციელებს ერთგვარ კონტროლს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.<sup>61</sup> ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მატარებელ სუბიექტებს, თავიანთი უფლება-მოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს.<sup>62</sup>

<sup>58</sup> ლაკერბაით, „ზალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან პარმონიზაციის გზა), თბ., 2018, 221.

<sup>59</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 23.

<sup>60</sup> იქვე, 24.

<sup>61</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 90.

<sup>62</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-842-786-2017.

მიზანშეწონილია, ლადო ჭანტურიას მოსაზრების გაზიარება იმასთან დაკავშირებით, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა სახელმწიფოს მიერ შესაბამისი რეაგირების გარეშე არ რჩება. ერთგვარი სამართლებრივი რეგულაციების გზით, თითოეული მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების უგულებელყოფას შესაბამისი შედეგი ახლავს თან.

ქართული სამოქალაქო სამართალი ყურადღებას ამახვილებს მეტწილად არა ხელშეკრულების, არამედ ვალდებულების ცნებაზე.<sup>63</sup> გასაზიარებელია ზურაბ ჭეშელაშვილის მოსაზრება იმასთან მიმართებით, რომ სსკ-ი ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, მხოლოდ მცირე შინაარსის ზოგად ნორმებს ითვალისწინებს, მაგ. ისეთს, რომელიც ეხება ხელშეკრულების დადებას, ხელშეკრულებიდან გასვლას და ა.შ.

სსკ-ის ყველაზე დიდი ნაწილი ეთმობა ვალდებულებით სამართალს, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას კერძო სამართლის სუბიექტებს შორის. ვალდებულების ძალით კრედიტორს სრული უფლება აქვს მოითხოვოს მოვალისგან მის სასარგებლობდ რაიმე მოქმედების შესრულება, ან ასეთი მოქმედების შესრულებისგან თავის შეკავება.<sup>64</sup> თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედება, ან უმოქმედობა ნებითი აქტია, რომელსაც თავისი სამართლებრივი ჩარჩოები აქვს.

სსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმომობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების, ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. მათგან კანონი, განსაკუთრებულ ყურადღებას, ხელშეკრულებაზე ამახვილებს, რადგან ვალდებულებათა უმრავლესობა სწორედ ხელშეკრულების გზით წარმოიშობა.<sup>65</sup> მართალია, სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ნაწილი, მოიცავს ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტებს, როგორიცაა უსაფუძვლო გამდიდრება, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, მაგრამ ყურადღების გამახვილება მაინც ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებებზე ხდება.<sup>66</sup>

გასაზიარებელია გიორგი სვანაძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ვალდებულებითი სამართალურთიერთობა გამოხატული კერძო სახელშეკრულებო სამართალურთიერთობაში საზოგადოებრივი ცხოვრების

<sup>63</sup> ჭეშელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 16.

<sup>64</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 5.

<sup>65</sup> იქვე, 7.

<sup>66</sup> ჭეშელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 18.

შემადგენელ უმნიშვნელოვანეს კატეგორიას წარმოადგენს.<sup>67</sup> ხელშეკრულება გარიგების ერთ-ერთი სახეა, რომლის მეშვეობითაც თითოეული პირი ყოველდღიურ ცხოვრებაში პირად, ქონებრივი და სხვა სახის ურთიერთობებში მონაწილეობს. გარიგება პირველ რიგში ნების გამოვლენაა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის, ან შეწყვეტისაკენ. უნდა აღინიშნოს რომ „ვალდებულება“ და „ხელშეკრულება“ ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი ბუნების მატარებელი ცნებებია. ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია, ხოლო, ვალდებულება გაცილებით ფართო ცნებაა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დელიქტის, უსაფუძვლო გამდიდრების ან სხვა საფუძვლებიდან.

საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების ცნების განმარტებას სსკ არ ითვალისწინებს, მხოლოდ გარიგების დეფინიციით შემოიფარგლება. ვინაიდან, გარიგების ყველაზე გავრცელებული ფორმა - ხელშეკრულებაა, რომელიც თავის მხრივ ორმხრივი, ან მრავალმხრივი გარიგებაა, ამიტომ, „ყველა ხელშეკრულება გარიგებაა, მაგრამ ყველა გარიგება ხელშეკრულება არაა (ცალმხრივი გარიგება ხელშეკრულება არ არის).<sup>68</sup> სავარაუდოა, რომ აღნიშნული მიდგომა ევროპული სამართლის ქვეყნებიდან მომდინარეობს, რომლის თანახმად, გარიგება უფრო დიდი ფასეულობაა, ვიდრე ხელშეკრულება. ეს უკანასკნელი მხოლოდ გარიგების ერთ-ერთ სახედაა მიჩნეული, რომელიც ორი ნების გამოვლენის თანხვედრას წარმოადგენს.<sup>69</sup> თუმცა, გერმანელი კანონმდებლისგან განსხვავებით, ბოლო პერიოდში, მთელი რიგი ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა ყურადღებას სწორედ რომ ხელშეკრულებაზე ამახვილებს და არა ზოგადად გარიგებაზე.<sup>70</sup> შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ქვეყნები უპირატესობას უფრო კონკრეტული ხელშეკრულების რეგულირებას ანიჭებენ და არა აბსტრაქტულად, გარიგების განმარტებას, რომელსაც შედარებით თეორიულ კატეგორიად აღიქვამენ.

ამ თვალსაზრისით, საკმაოდ მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნება და სამართლებრივი ბუნება. რადგან მისი დადება, მოულოდნელად და სპონტანურად ხდება, შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელი თავისი ნების თავისუფალი გამოვლენის ფარგლებში ერთგვარად იზღუდება. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სსკ მას ვალდებულების ზოგად ნაწილში აწესრიგებს და არა კერძო ნაწილის სახელშეკრულებო სამართლის თავში, შესაძლებელია, ის ვალდებულების ცალკე სახედ იქნას მიჩნეული. ამ სახის ხელშეკრულების შინაარსიდან

<sup>67</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 86-87.

<sup>68</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 10.

<sup>69</sup> Tonner K., Schuldrecht, Vertragliche Schuldverhältnisse, §2, Vertragsfreiheit und dispositives und zwingendes Vertragsrecht, 4 Aufl., Rostock 2015, Rn. 2.

<sup>70</sup> Schulze R., Zoll F., Europäisches Vertragsrecht, 2 Aufl., Baden-Baden 2017, 54.

გამომდინარე რთულია ის ხელშეკრულების რომელიმე სახეს მიეკუთვნოს. ის ერთდროულად შეიძლება რამდენიმე ხელშეკრულების პირობებს მიესადაგოს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, მაინც ხელშეკრულების სახეს წარმოადგენს, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტისაკენ. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისათვის უცხო არ არის მსგავსი მოწესრიგება. მაგალითად, სამომხმარებლო კრედიტს ის სწორედ ვალდებულების შესრულების თავში, 370-ე მუხლით არეგულირებს.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის სახელშეკრულებო საფუძვლად უნდა იქნას მიჩნეული, რადგან მომხმარებელი და მოვაჭრე თავად წყვეტების შევიდნენ თუ არა ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და იკისრონ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე შესაბამისი მოვალეობები. ამ ხელშეკრულების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, სხვა სახის ხელშეკრულებებისაგან არის ის, რომ ამ დროს ხელშეკრულების დადება „არასახელშეკრულებო გარემოში“,<sup>71</sup> მომხმარებლისთვის მოულოდნელად, როდესაც მას არ აქვს დაფიქრების დრო; სწორედ მოულოდნელობის ეფექტს (Überrumpelungseffekt)<sup>72</sup> აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ სახის ხელშეკრულებაში.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება იმდენად შემთხვევით იდება, რომ მომხმარებელი საერთოდ არ არის მზად ამისთვის, არ იცნობს ამა თუ იმ პროდუქტის საბაზო ღირებულებას, ხელშეკრულების შინაარსს.<sup>73</sup> <sup>74</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოუხედავად არასრული ინფორმირებულობისა, მომხმარებელს მაინც იზიდავს მსგავსი სახის ხელშეკრულება, ის ერთგვარად იხიბლება ინდივიდუალური ყურადღებითაც, როდესაც ფიქრობს რომ მოვაჭრემ კონკრეტულად ის შეარჩია ხელშეკრულების კონტრაკენტად.<sup>75</sup> სწორედ ამიტომ, მომხმარებელი ასეთი ურთიერთობების დროს „სუსტ“ მხარედ ითვლება, რადგან ნაკლებადაა დაცული ამა თუ იმ რისკისგან.<sup>76</sup> შესაბამისად, ამ სახის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირებისას, ყურადღების გამახვილება ხდება მომხმარებელზე, როგორც ურთიერთობის

<sup>71</sup> Dauner-Lieb B., Heidel Th., Ring G., Anwaltkommentar, Band 2/1, §§241-610, 3. Aufl. Baden-Baden 2016, §312 b Rn. 5.

<sup>72</sup> Brox H., Walker W-D., Allgemeiner Teil des BGB, 41. Aufl., 2017, § 19 Rn. 2.

<sup>73</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 150.

<sup>74</sup> ბალიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 336, 2.

<sup>75</sup> ქარდავა ე., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ – სპეც. გამოცემა, თბ., 2007, 122.

<sup>76</sup> Erman, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar mit AGG, EGBGB (Auszug), ErbbauRG, LPartG, ProdHaftG, Uklag, VBG, VersAusglG und WEG, 15. neu bearbeitete Aufl., Köln 2017, §312 Rn. 2.

მონაწილე ნაკლებად დაცულ მხარეზე.<sup>77</sup> იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ მომხმარებელს დაცვის მაღალი სტანდარტი ესაჭიროება, რადგან მას არ აქვს საბაზრო ძალაუფლება.<sup>78</sup> ის სათანადო დონეზე ვერ უმკლავდება მოვაჭრის ზემოქმედებას და მისი გავლენის სფეროში ექცევა.<sup>79</sup> ამ შემთხვევაში აუცილებელია მომხმარებლის პირადი სფეროს სათანადო დონეზე დაცვის უზრუნველყოფა.<sup>80</sup>

მომხმარებლის გადაწყვეტილება დადოს ქუჩაში დადებული ხელშეკრულება იმდენად სპონტანური და მოულოდნელია, რომ თავისუფალი არჩევანი მას ერთგვარად ეზღდუდება. ის გადაწყვეტილებას მოვაჭრესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის თაობაზე იღებს არა რაციონალური, წინასწარ ჩამოყალიბებული და გააზრებული პირობების საფუძველზე, არამედ სრულიად დაუფიქრებლად და მოუმზადებლად. ბუნებრივია, ამ დროს ის დაცული არ არის იმ შესაძლო რისკისგან, რაც შეიძლება მოჰყვეს მის ამგვარ გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებელი, ვალდებულია სამართლებრივ აქტებში მოახდინოს მომხმარებლის თავდაცვითი მექანიზმების მაქსიმალურად დეტალური მოწესრიგება, რათა მომხმარებელი დაცული იყოს მისთვის ზიანის მომტანი, დაუფიქრებელი გადაწყვეტილებების სავალალო შედეგებისაგან.

სსკ-ის 336-ე მუხლის თანახმად, მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორს ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უაყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე.

ამ სახის ხელშეკრულების უკეთ გაგების მიზნით, შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი მაგალითი: პარკში სეირნობისას, ქეთის მოულოდნელად საყოფაცხოვრებო ძალაზის წარმომადგენელი შეხვდება და საკმაოდ კარგ პირობებს შესთავაზებს გაზურის ყიდვის შემთხვევაში. ქეთი დებს შემოთავაზებულ ხელშეკრულებას და მხარეები თანხმდებან რომ 3 დღეში ამ ტექნიკას მას სახლში მიაწვდიან, რის შემდეგაც მოხდება საფასურის გადახდა. სახლში დაბრუნების შემდეგ ქეთი გადაწყვეტს გაარკვიოს ანალოგიური პროდუქციის ფასი და აღმოჩენს, რომ მათი ყიდვა უფრო იაფად

<sup>77</sup> Staudinger J., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht der Schuldverhältnisse, §§ 311, 311a, 312, 312a-f (Vertragschluss) Neubearbeitung Berlin 2005, §§ 312, 312 a Rn. 1.

<sup>78</sup> Klinck F., Reisenhuber K., (Hrsg.) Verbraucherleitbilder, Interdisziplinäre und Europäische Perspektiven, Schriften zum Europäischen und Internationalen Privat-, Bank- und Wirtschaftsrecht, 1. Aufl., 2015, 116.

<sup>79</sup> ლუკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბ., 2018, 35.

<sup>80</sup> Staudinger J., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht der Schuldverhältnisse, §§ 311, 311a, 312, 312a-f (Vertragschluss) Neubearbeitung Berlin 2005, §§ 312, 312 a §312 Rn. 2.

შეეძლო ერთ-ერთ მაღაზიაში. სწორედ ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 336-ე მუხლი აძლევს მას უფლებას, ეს ხელშეკრულება 7 დღის ვადაში წერილობით უარყოს. ქეთიმ იმდენად მოულოდნელად დადო ხელშეკრულება, რომ კანონმდებლი მას ერთგვარად აზღვევს ასეთი შემთხვევისგან და აძლევს შესაძლებლობას უარი თქვას მისთვის უარყოფითი შედეგის მომტან ხელშეკრულებაზე.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნების დეტალურ განმარტებას გვთავაზობს 2011/83 დირექტივა, რომელიც პირობითად შეიძლება 4 ნაწილად დავყოთ. კერძოდ:

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება არის ნებისმიერი ხელშეკრულება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის, რომელიც დაიდო მათი ფიზიკური თანყოფის დროს, მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ასევე, არის ნებისმიერი ხელშეკრულება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის, რომელიც დაიდო მათი ფიზიკური თანყოფის დროს მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ, მომხმარებლის შეთავაზების საფუძველზე;

ხელშეკრულება, რომლის დადებაზეც შეთავაზება მომხმარებელმა მიიღო მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებში, ან დისტანციურად, მაგრამ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა აღნიშნულის თაობაზე პირადად, ან ინდივიდუალურად, შეთავაზება მიიღო მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდებას, ან მომსახურების გაწევის შეთავაზებას.

აღსანიშნავია, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნების განმარტებისას, ერთგვარად იზიარებს 2011/83 დირექტივის განმარტებას, მაგრამ მის მხოლოდ ორ ნაწილს. ქართული კანონპროექტი ხელშეკრულებას ქუჩაში დადებულად არ მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ ის დაიდო მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის მათი ფიზიკური თანყოფის დროს მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მომხმარებლის შეთავაზების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ის უფრო ძველი, 85/577/EEC დირექტივის, მიდგომას უჭერს მხარს და მომხმარებლის შეთავაზების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, სახეზე არის თუ არა ამ სახის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი სხვა ელემენტი), ხელშეკრულებას ქუჩაში დადებულად არ თვლის. ასევე, არ მოიაზრებს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებად ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდებას, ან მომსახურების გაწევის შეთავაზებას. ამ ორი ფაქტორის გაუთვალისწინებლობა ქართული კანონპროექტის მნიშვნელოვანი ხარვეზია, რადგან ის ერთგვარად ამცირებს მისი მოქმედების არეალს.

ხელშეკრულების ცნებასთან დაკავშირებით, ახალი, 2011/83 დირექტივის მიდგომას სრულად იზიარებს გერმანელი კანონმდებელი,

რომელმაც თითქმის სიტყვა-სიტყვით მოახდინა ხელშეკრულების განმარტების რეცეფცია შიდა კანონმდებლობაში.<sup>81</sup> ეს მიღომა გაიზიარა ბრიტანელმა კანონმდებელმაც.

რაც შეეხება აშშ-ში მოქმედ CFR რეგულაციებს, ის გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. გარდა ტერმინოლოგიური სხვაობისა, არის გარკვეული შინაარსობრივი განსხვავებაც. უფრო ზუსტად, ფედერალური კოდექსის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება მოიცავს სამომხმარებლო საქონლის, ან მომსახურების ნასყიდობას, იჯარას ან ქირავნობას, რომელსაც გამყიდველი,<sup>82</sup> ან მისი წარმომადგენელი, პირადად ახორციელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინიციატივა თავდაპირველად მყიდველს ეკუთვნის, იმ ადგილას, რომელიც არ წარმოადგენს გამყიდველის საქმიანობის მუდმივ ადგილს. მიუხედავად გარკვეული შინაარსობრივი განსხვავებისა, ამერიკელი კანონმდებელიც ქუჩაში დადებული ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მთავარ ორიენტირს მისი დადების ადგილზე აკეთებს, რომელიც არ უნდა იყოს გამყიდველის საქმიანობის ადგილი. ასევე, 2011/83 დირექტივის მსგავსად, ის უგულებელყოფს ხელშეკრულების ინიციატორი მხარის ცნებასაც – არ აქვს მნიშვნელობა ვისი სურვილით მოხდა ხელშეკრულებას დადება, გამყიდველის, თუ მყიდველის.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მთავარი მნიშვნელობა ამ ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარეობს. მისი უმთავრესი ამოცანა მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, რადგან ის ხელშეკრულებას დებს ისე, რომ არ აქვს არაანაირი ინფორმაცია ხელშეკრულების სავარაუდო საგანზე, არ იცნობს შესაბამისს საბაზრო ფასს. გასაზიარებელია ლაშა ცერცვაძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მომხმარებელს არ აქვს შესაძლებლობა მოახდინოს პროდუქციის შედარება სხვა მსგავსი ტიპის პროდუქტთან, რადგან მისი გადაწყვეტილება, შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მეორე მხარესთან არის სრულიად სპონტანური.<sup>83</sup> სწორედ ამიტომ, არ არის გამორიცხული, მეორე მხარემ შესთავაზოს მას ხელშეკრულების არასათანადო პირობები.<sup>84</sup> <sup>85</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველი კანონმდებელიც მომხმარებელს აძლევს უფლებას უარი თქვას ასეთ ხელშეკრულებაზე და ამ უფლების მინიჭებით, გარკვეულწილად იცავს

<sup>81</sup> Schulze R., Dörner R., Ebert I., Hoeren Th., Kemper R., Saenger I., Scheuch A., Schreiber K., Schulte-Nölke H., Staudinger A., Wiese V., BGB, Handkommentar, 9. Aufl., Baden-Baden 2017, Abschnitt 3, Schuldverhältnisse aus Verträgen, §312b, Rn. 1.

<sup>82</sup> აშშ-ში მოქმედი CFR კოდექსი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეებად მყიდველსა და გამყიდველს მოიაზრებს.

<sup>83</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 192.

<sup>84</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 150.

<sup>85</sup> ბალიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 336, 2.

მას შესაძლო ზიანისგან. სსკ-ის 336-ე მუხლის მიხედვით, მომხმარებელს შეუძლია ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე ერთი კვირის განმავლობაში წერილობით უარი განაცხადოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე. თუმცა, მიუხედავად მომხმარებლის უფლებისა, უარი თქვას ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე, ქართველი კანონმდებელი აკეთებს ისეთ დათქმას, რაც პრაქტიკულად ეწინააღმდეგება ნორმის ძირითად მიზანს, რადგან სამომხმარებლო ხელშეკრულებები, უმრავლეს შემთხვევაში, მისი დადებისთანავე სრულდება. საკმაოდ იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც მხარეები უბრალოდ დებენ ხელშეკრულებას, შესრულებაზე კი მოგვიანებით თანხმდებიან.<sup>86</sup> ქართული სამომხმარებლო ბაზრის (და არა მარტო ქართული) რეალობიდან გამომდინარე, უდავო ფაქტია, რომ სამომხმარებლო ხელშეკრულების შესრულება მეტწილად მისი დადებისთანავე ხდება. ბუნებრივია, ასეთ დროს, მომხმარებელი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით. შესაბამისად, ეს ჩანაწერი პრაქტიკულად თავის არსებობის გამორიცხავს ამ მუხლის მთავარი მიზნის განხორციელებას, უფრო მეტიც, მისი ბუნდოვანი შინაარსი, პრაქტიკულად, მიზანს ერთგვარად ეწინააღმდეგება კიდეც. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სსკ-ის 336-ე მუხლის შემადგენლობიდან ამ დათქმის სრულად ამოღება, რათა მომხმარებელთა უფლებების დაცვა მეტნაკლებად უზრუნველყოფილ იქნას.

სსკ-ის 336-ე მუხლის მსგავსად, 2011/83 დირექტივის მიზანიც იმ მომხმარებლის უფლებების დაცვაა, რომელიც ხელშეკრულებას არასახელშეკრულებო გარემოში დებს და ამით თავისი არჩევანის თავისუფლებაში იზღუდება. ამასთან, სავსებით შესაძლებელია, რომ მან ამ ხელშეკრულებით მნიშვნელოვანი ზიანი განიცადოს.<sup>87</sup> არჩევანის თავისუფლების გარდა, მომხმარებელი იზღუდება ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპის თვალსაზრისითაც.<sup>88</sup> ის ხომ ხელშეკრულებას დებს იმდენად მოულოდნელად და მოუმზადებლად, რომ არც კი აქვს გააზრებული მისი არსი და შესაძლო უარყოფითი შედეგები. ხელშეკრულების დადების მომენტში მისთვის სიტუაცია იმდენად უჩვეულოა, რომ მომხმარებელი ვერ ახერხებს გაიაზროს, თუ რა რისკის მატარებელია ესა თუ ის ხელშეკრულება მისთვის. სწორედ ამიტომ, ევროპელი კანონმდებელი ანიჭებს ასეთ მომხმარებელს უფლებას უარი თქვას მსგავსი სახის

<sup>86</sup> ქართულაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 102.

<sup>87</sup> Dauner-Lieb B., Heidel Th., Ring G., Anwaltkommentar, Band 2/1, §§241-610, 3. Aufl., Baden-Baden 2016, §312 b Rn. 3.

<sup>88</sup> Schreindorfer B., Verbraucherschutz und Stellvertretung, Rechtsprobleme im Zusammenhang mit der Einschaltung einer Hilfsperson auf Kundenseite beim Abschluss von Verbraucherträgen, Band 424, Berlin 2012, 73.

სახელშეკრულებო ურთიერთობაზე და თავიდან აიცილოს ყველა შესაძლო ზიანი, თუ რისკი, რაც მას ამ ხელშეკრულების დადებით მიადგა.<sup>89</sup>

### 1.3. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

სახელშეკრულებო სამართალში ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია და გამიჯვნა ხდება მისი საგნის მიხედვით. ამიტომ, როდესაც ქუჩაში დადებული ხელშეკრულების არსებით პირობაზეა საუბარი, თავდაპირველად განსაზღვრული უნდა იქნას ამ ხელშეკრულების საგანი. სსკ–ის 327–ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სამოქალაქო კოდექსი იმავე მუხლის მე–2 ნაწილში განმარტავს, რომ არსებითია ის პირობები, რომლებზედაც ერთ–ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნას შეთანხმება, ან/და რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. აღნიშნულიდან ნათელია, რომ არსებითი პირობების ზუსტ ჩამონათვალს კანონი არ შეიცავს.

აღნიშნულით, ქართველი კანონმდებელი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს განამტკიცებს - მხარეებს ამლევს შესამლებლობას თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი, მისი შესრულების მექანიზმები, არსებითი პირობები და სხვა.<sup>90</sup> პრაქტიკიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირად, მხარეებმა ხელშეკრულების არსებით პირობად შეიძლება მიიჩნიონ ის საკითხები, რაც კანონით არსებითად პირობად პირდაპირ განსაზღვრული არ არის. სსკ–ის 327–ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების არსებით პირობებზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულება ვერ დაიდება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თუ ერთი ხელშეკრულებისთვის რაიმე პირობა არსებითად მიიჩნევა, ეს თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ ანალოგიური პირობა არსებითია მეორე ხელშეკრულებისთვისაც. მაგ. იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში, იჯარის საფასური არსებით პირობად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ როდესაც თხოვების ხელშეკრულება საერთოდ არ ეხება ფინანსურ საკითხს და სხვა. ასევე, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში საფასური შეიძლება ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდეს ხელშეკრულების არსებით პირობას, თუმცა სსკ–ის 477–ე მუხლის მე–3 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებაში ფასი შეიძლება საერთოდ არ იყოს მითითებული. ანალოგიურ დათქმას აკეთებს გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, რომლის თანახმად შეთავაზება საკმარისად განსაზღვრულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში საქონლის ფასი

<sup>89</sup> ლაკურბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016.82.

<sup>90</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ს–842-786-2017.

და რაოდენობა დადგენილია პირდაპირ, ან არაპირდაპირ; ასევე, საკმარისად ითვლება ფასის განსაზღვრის წესის მითითება.<sup>91</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული ხელშეკრულების არსებითი პირობა ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს.

თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული პრაქტიკიდან, შეიძლება გამოყოფილ იქნას ის საკითხები, რომლებიც ხელშეკრულების არსებით პირობად მიიჩნევა. ესენია, მაგ: ხელშეკრულების საგანი, ობიექტი, მისი მხარეები, ხელშეკრულების სახე, ფასი და ა.შ. „როგორც წესი, არსებით პირობებს უნდა შეიცავდეს ოფერტი“.<sup>92</sup>

კონკრეტულად ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის ცნების განსაზღვრამდე, მიზანშეწონილია ზოგადად განიმარტოს ხელშეკრულების საგანი და ობიექტი.

ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში, ხელშეკრულების საგნის სპეციალური განმარტება არ არის შემოთავაზებული, არც სსკ გვთავაზობს მის დეფინიციას; ამიტომ, შეიძლება ითქვას, სწორედ აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ ცალკეული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები და პრაქტიკა (როგორც სახელშეკრულებო, ისე სასამართლო), ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის ცნებას ერთმანეთთან აიგივებს, რაც არასწორია. ამიტომ, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის განმარტების მაგალითზე, ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული ზოგადად ნებისმიერი ხელშეკრულების ამ ორი არსებითი პირობის განმასხვავებელ კრიტერიუმებზე.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი, ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. „ვალდებულების ობიექტის ცნება, პირდაპირ კავშირშია კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ცნებასთან.“<sup>93</sup> ამასთან, მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობისთვის აუცილებელია არა მხოლოდ სუბიექტის, არამედ ობიექტის არსებობაც. ავთანდილ კობახიძე ვალდებულების ობიექტად მოიაზრებს ქონებას, რომელზედაც მიმართულია სუბიექტის მოქმედება, საერთოდ რისთვისაც მყარდება ეს ურთიერთობა, რაზედაც ეს ურთიერთობა ახდენს ზემოქმედებას.<sup>94</sup> ამასთან, დავით კერესელიძე, ქონების და ობიექტის ცნებას ერთმანეთის სინონიმად მიიჩნევს და ამბობს, რომ ობიექტი ვერ იქნება ის, რაც არ არის ქონება.<sup>95</sup> მართლაც,

<sup>91</sup> გაერო-ს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, მუხლი 14 (1).

<sup>92</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 116.

<sup>93</sup> იქვე, 45.

<sup>94</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 231.

<sup>95</sup> კერძელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 185.

გასაზიარებელი იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ობიექტის ცნება მჭიდრო კავშირშია ქონებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ხელშეკრულების ობიექტის ცნება აუცილებლად სსკ-ის მიერ ქონების ცნების განმარტებასთან მიმართებაში იქნას განხილული, რადგან ის ერთგვარად აზუსტებს სსკ-ის მე-7 მუხლში აღნიშნულ ტერმინ ობიექტს.<sup>96</sup> <sup>97</sup> სსკ-ის 147-ე მუხლის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შემენაც შეიძლება შეუზღუდვად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით, ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ზემოხსენებული დეფინიციიდან ნათლად ჩანს, რომ ქონება შეიძლება იყოს როგორც მატერიალური სახის, ისე არამატერიალური. უნდა აღინიშნოს, რომ არამატერიალურ სიკეთეს მიეკუთვნება საავტორო და მომიჯნავე უფლებები - შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი, ლიტერატურული ნაწარმოები, გამოგონება, აღმოჩენა და ა.შ.<sup>98</sup> აქვე საყურადღებოა, რომ ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში მეცნიერთა ნაწილი ადამიანის პატივსა და ღირსებას არამატერიალურ სიკეთეს მიაკუთვნებს,<sup>99</sup> ნაწილი კი თვლის, რომ რადგან პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია, ისინი არ შეიძლება ამ ცნების ქვეშ იქნას მოაზრებული.<sup>100</sup> ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ ვინაიდან ქონების ცნების განმარტებისას კანონმდებელი პირდაპირ მიუთითებს არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთის ბრუნვაუნარიანობაზე, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული პირადი არაქონებრივი უფლებები არ შეიძლება კერძო სამართლის ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნოს.

ვინაიდან, კერძო სამართლის ობიექტის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია ბრუნვაუნარიანობა, აღნიშნულ დათქმასთან მიმართებით, საყურადღებოა, რომ ქართულ სამოქალაქო სამართალში მოქმედი პრინციპის თანახმად, ყველაფერი, რაც სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული არ არის – ბრუნვაუნარიანია.<sup>101</sup>

ხელშეკრულების ობიექტისგან განსხვავებით, ხელშეკრულების საგანში მოიაზრება ზოგადი მოქმედება, ან მოქმედებისგან თავის შეკავება. ამასთან, თითოეული ხელშეკრულების საგანი მისი შინაარსიდან გამომდინარე

<sup>96</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 139.

<sup>97</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკმაოდ დეტალურად და კარგად განმარტავს ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს (სსკ, წიგნი მეორე, სანივთო სამართალი), წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს არ წარმოადგენს მისი კლასიფიკაციისა და შინაარსის დეტალური განხილვა. მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან კარგად და მკაფიოდ გაიმიჯნოს ზოგადად ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის ცნება.

<sup>98</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 233.

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 139.

<sup>101</sup> იქვე, 140.

განსხვავებულია. ასე მაგ. ნასყიდობის დროს საგანს წარმოადგენს ქონების სასყიდლიანი საკუთრებაში გადაცემა, ჩუქების დროს კი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა, დავალების ხელშეკრულებისას – მომსახურების გაწევა, ნარდობის ხელშეკრულებაში – სამუშაოს შესრულება და სხვა.

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს არ წარმოადგენს უშუალოდ ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის ცნების რაობის დადგენა; თუმცა, ხელშეკრულების ამ ორი არსებითი პირობის ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისით დიფერენცირება მნიშვნელოვნად უნდა იქნას მიჩნეული ქუჩაში დადებული ხელშეკრულების არსისა და სამართლებრივი ბუნების სწორად განსაზღვრისათვის.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სხვა სამოქალაქო ხელშეკრულებების საგანთან და ობიექტთან მათი შედარება. რადგან ერთი შეხედვით, შესაძლოა ითქვას, რომ მაგალითად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების და ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი და ობიექტი, ან კიდევ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების და ნარდობის ხელშეკრულების საგანი და ობიექტი ერთი და იგივეა; მაგრამ ასეთი მსჯელობა არასწორია თვით ქუჩაში დადებული ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე. აღნიშნული თავისებურებები კი წინამდებარე პარაგრაფში იქნება გადმოცემული.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 336-ე მუხლის დეფინიციაში სრულიად უგულებელყოფილია ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის განსაზღვრის საკითხი. ქართული ნორმის მოქმედი რედაქციის თანახმად, მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას ნებისმიერი სახის ხელშეკრულებაზე, თუ ის დადებულია მასსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში. არ არის დაკონკრეტებული იმ ხელშეკრულებების ჩამონათვალი, რომელზეც ვრცელდება ამ მუხლის მოქმედება. როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 336-ე მუხლის მოქმედი რედაქციით, ხელშეკრულების საგანი შეიძლება თანაბრად იქნას მისადაგებული როგორც ქონების საკუთრებაში, ისე სარგებლობაში გადაცემის, ნარდობის და მომსახურების ტიპის სხვა ხელშეკრულებებთან. სავსებით შესაძლებელია, რომ სამოქალაქო ბრუნვაში, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გამოუყენებლობის ერთ-ერთ მიზეზად, აღნიშნულიც იქნას მიჩნეული, რადგან მომხმარებლისთვის ხშირად გაუგებარია, თუ რა განსხვავებაა ნასყიდობის, ნარდობის და მომსახურების ხელშეკრულებასა და სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას შორის.

გერმანული სამართლის მიხედვით, ზოგადად, სამომხმარებლო ხელშეკრულების საგანი აუცილებლად უნდა იყოს მოვაჭრის სასყიდლიანი შესრულება.<sup>102</sup> ამასთან, „სასყიდლიანი შესრულება“ არ უნდა გავიგოთ, როგორც ფული, ჰონორარი ან ჯილდო. მასში შეიძლება მოიაზრებოდეს

<sup>102</sup> BGB §310 Abs. 3.

როგორც ნატურით შესრულება, ასევე მომსახურების გაწევაც. „სასყიდლიანი შესრულება“, პირველ რიგში, ნასყიდობის ხელშეკრულებას მოიცავს, თუმცა, შეიძლება ასევე გირავნობის ხელშეკრულებაც იყოს.<sup>103</sup>

ქართველი კანონმდებლისგან განსხვავებით, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგანს დეტალურად განსაზღვრავს 2011/83 დირექტივა. ხაზგასასმელია, ის გარემოება რომ 2011/83 დირექტივით განსაზღვრულია არამხოლოდ ის ხელშეკრულებები, რომლებიც შეიძლება იყოს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგანი, არამედ, პირდაპირ და საკმაოდ ვრცლად მითითებულია იმ ხელშეკრულებების ჩამონათვალიც, რომელზეც დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება. კერძოდ: 2011/83 დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ეს ხელშეკრულებებია: სოციალურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, მათ შორის სოციალური საცხოვრებლით უზრუნველყოფა; ბავშვებსა და მზრუნველობამოკლებული ოჯახების მუდმივად ან დროებით მხარდაჭერასთან დაკავშირებული გარიგებები; ჯანდაცვასთან<sup>104</sup> დაკავშირებული გარიგებები, მიუხედავად იმისა ამ მომსახურების მიმწოდებელი ჯანდაცვის დაწესებულებაა, თუ არა; თამაშობები, მათ შორის ლატარიები, აზარტული თამაშები; ფინანსურ მომსახურებებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები; უძრავი ქონების შექმნა, შეძენა-გადატანასა და უძრავ ქონებაზე უფლების გადაცემასთან დაკავშირებული გარიგებები; ახალი შენობების მშენებლობასთან, არსებული შენობების გარდაქმნასა და საცხოვრებელი მიზნებისთვის შენობების გაქირავებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „უძრავი ქონება“ მოიცავს ზოგადად უძრავ ქონებას, მათ შორის მიწასაც. ხოლო, შენობები – მხოლოდ შენობა–ნაგებობებს.

2011/83 დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება ასევე, ევროპული საბჭოს 1990 წლის 13 ივნისის 90/314 დირექტივის მოქმედების სფეროსთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე, როგორიცაა სამოგზაურო და სადღესასწაულო ტურები; ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2009 წლის 14 იანვრის 2008/122 დირექტივის მოქმედების სფეროსთან დაკავშირებულ კონტრაქტებზე, რომელიც ეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას გრძელვადიანი დასვენების საშუალებებთან, გადაყიდვასა და კონტრაქტების გაცვლასთან დაკავშირებით.

მომხმარებელი ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი პირობებით ვერ დადებს იმ ხელშეკრულებას, რომელიც ეხება საკვები პროდუქტების, სასმელების, ან სხვა საქონლის მიწოდებას,

<sup>103</sup> Zerres Th., Bürgerliches Recht, Eine Einführung in das Zivilrecht und die Grundzüge des Zivilprozessrechts, 8. Aufl., Heidelberg 2016, § 310 S. 117.

<sup>104</sup> ევროკავშირის დირექტივა 2011/24/ პაციენტთა უფლებების შესახებ, ჯანდაცვას განმარტავს, როგორც ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდებას პაციენტებისათვის პროფესიონალების მიერ რათა პაციენტებმა შეაფასონ, შეინარჩუნონ ან აღადგინონ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას.

რომელიც განკუთვნილია საყოფაცხოვრებო პირობებში დაუყოვნებლივი მოხმარებისთვის და რომელსაც მოვაჭრე რეგულარულად აწვდის მომხმარებელს საკუთარ სახლში, საცხოვრებელ, ან სამუშაო ადგილას.<sup>105</sup>

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მუხლის მე-4 პუნქტში, 2011/83 დირექტივა ადგენს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით ამ დირექტივის გამოყენების ფინანსურ ზღვარს. კერძოდ, ის ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აძლევს უფლებას, არ გამოიყენონ წინამდებარე 2011/83 დირექტივის ნორმები, თუ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საფასური არ აღემატება 50 ევროს. ამასთან, აქვე ამლევს წევრ სახელმწიფოებს უფლებას, ეროვნული რეგულაციებით, დაადგინონ აღნიშნულზე უფრო დაბალი ზღვარი. რა თქმა უნდა სსკ-ის 336-ე მუხლი ფინანსურ ზღვარს საერთოდ არ ითვალისწინებს. თუმცა, საყურადღებოა, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მე-9 მუხლით ეს ხარვეზი გამოსწორებულია და დადგენილია ფინანსური ზღვარი, 25 ლარის ოდენობით. შესაბამისად, შეიძლება სახეზე იყოს ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი ყველა სხვა ნიშანი, მაგრამ თუ საქონლის, ან მომსახურების ღირებულება 50 ევროს (ქართული კანონპროექტის შემთხვევაში - 25 ლარს) არ აღემატება, მომხმარებელს არ უქნება უფლება უარი თქვას მასზე 2011/83 დირექტივით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

2011/83 დირექტივასთან მიმართებით, რომელმაც ჩაანაცვლა 85/577/EEC დირექტივა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მან ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მოქმედების სფერო გარკვეულ ასპექტში გააფართოვა, გარკვეულწილად კი შეზღუდა.<sup>106</sup> კერძოდ, მოქმედი 2011/83 დირექტივით, მისი მოქმედება აღარ ვრცელდება ფინანსურ ხელშეკრულებებზე, მათ შორის დაზღვევისა და საინვესტიციო ხელშეკრულებებზეც. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 2011/83 დირექტივა ადგენს მის ნორმებთან ევროკავშირის წევრი

<sup>105</sup> 2011/83 დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება ასევე: სამგზავრო სატრანსპორტო ხელშეკრულებებზე, გარდა 2011/83 დირექტივის მე-8 (2), მე-19 და 22-ე მუხლებისა; ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია ავტომატური სავაჭრო მოწყობილობების ან ავტომატიზებული კომერციული საშუალებებით; ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მიერ საჯარო ტელეფონებით, მათი გამოყენების მიზნით, ან თუ მომხმარებლის მიერ ხელშეკრულება დაიდო ტელეფონის, ინტერნეტის ან ფაქსის ერთჯერადი გამოყენების მიზნით.

<sup>106</sup> Directive 85/577 EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises, 20/12/1985, Art 1.

პირველი მუხლის თანახმად, მისი მოქმედება ვრცელდებოდა ისეთ ხელშეკრულებებზე, რომელიც იდებოდა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის, მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსის დროს საკუთარი საქმიანობის ფარგლებს გარეთ, ან მისი ვიზიტის დროს მომხმარებლის სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას, როდესაც ვიზიტი არ იყო განხორციელებული მომხმარებლის თხოვნის საფუძველზე. ახალი, 2011/83 დირექტივის თანახმად კი მნიშვნელობა არ აქვს ვიზიტი მომხმარებლის თხოვნის საფუძველზე განხორციელდა თუ არა, 2011/83 დირექტივის მოქმედება მასზე მაინც გავრცელდება.

ქვეყნების კანონმდებლობის მაქსიმალური ჰარმონიზაციის ვალდებულებას, მისი გავრცელების არეალის გაფართოების კუთხით წებას რთავს მათ უფრო სრულყონ ზემოაღნიშნული სია.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 2011/83 დირექტივის მოქმედების სფერო, პირველ რიგში ნასყიდობისა და მომსახურების ხელშეკრულებას მოიცავს. ამასთანავე, დირექტივის მოქმედება ვრცელდება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე, დისტანციური ხელშეკრულებაზე და ხელშეკრულებაზე, რომელიც არ წარმოადგენს არც ქუჩაში დადებულ და არც დისტანციურ ხელშეკრულებას (on premises contract).<sup>107</sup> 2011/83 დირექტივა მოიცავს ასევე, ციფრული შინაარსის მატარებლის მიწოდების ხელშეკრულებას და კომუნალური მომსახურების გაწევის ხელშეკრულებას<sup>108</sup>.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან, 2011/83 დირექტივის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულება გულისხმობს მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის საკუთრების უფლების გადაცემას საქონელზე, ამ დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება მომხმარებლის მიერ მოვაჭრისათვის ანალოგიური უფლების გადაცემაზე, და არც მომხმარებლებს შორის ხელშეკრულებებზე.<sup>109</sup> დირექტივის თანახმად, ხელშეკრულების მხარეები აუცილებლად მომხმარებელი და მოვაჭრე უნდა იყვნენ და ამასთანავე, შემძენი და მოსარგებლე აუცილებლად – მომხმარებელი.

ევროკავშირის პრაქტიკიდან გამომდინარე, საკმაოდ ხშირად, მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებული ხელშეკრულება ერთდროულად შეიცავს როგორც ნასყიდობის, ასევე მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებსაც. მაგ. როდესაც მომხმარებელი შეიძენს სამზარეულოს კომპლექტს, რომელიც საჭიროებს ინსტალაციას; ან სარეცხის მანქანას, რომელიც მომხმარებლის საცხოვრებელ სახლში საჭიროებს მონტაჟს და სხვ. ძირითადად, ამ სახის ხელშეკრულებები მაინც ნასყიდობად აღიქმება, რადგან მისი ძირითადი მიზანი ნივთების შეძენაა და არა მათი მონტაჟი; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებული უნდა იქნას შერეული ხელშეკრულებისთვის განმსაზღვრელი წესები. თუმცა, არის შემთხვევებიც, როდესაც ზემოხსენებული შერეული ხელშეკრულებები, თავიანთი მიზნიდან გამომდინარე, მომსახურების ხელშეკრულებად მიიჩნევა. მაგ. ტრენინგ კურსის ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს მისი

<sup>107</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 2 (5) – 2(8).

<sup>108</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ორი სახის ხელშეკრულების ცალკეულ დეფინიციას 2011/83 დირექტივა არ შეიცავს, მაგრამ 2011/83 დირექტივის პრეამბულის მე-19 ნაწილში აღნიშნულია, რომ მისი მიზნებიდან გამომდინარე, ისინი არ განიხილება არც ნასყიდობის და არც მომსახურების ხელშეკრულების სახეებად.

<sup>109</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 5-6.

თითოეული მონაწილისათვის სასწავლო კურსის სახელმძღვანელოს მიწოდებას და სხვ.<sup>110</sup> აღნიშნული დეფინიციები გამომდინარეობს იმ პრეცედენტული სამართლიდან, რომელიც საკმაოდ მრავლად მოიპოვება აღნიშნულ 2011/83 დირექტივასთან დაკავშირებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს საქმე C-20/03 *Marcel Burmanjer*, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ საქონლის მიწოდების, ან ამ საქონელთან დაკავშირებით მომსახურების გაწევისას, თუ ერთი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია მეორესთან მიმართებით, მაშინ სახეზეა სწორედ ის ხელშეკრულება, რომლის მიზანიც უფრო მაღალხარისხოვანია.<sup>111</sup>

<sup>112</sup> ანალოგიურ რეგულირებას გვთავაზობს სსკ 340-ე მუხლი, რომლის თანახმად, შერეული ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი სამომხმარებლო რეგულაციების მიერ სრულად იქნა გაზიარებული 2011/83 დირექტივით დადგენილი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მოქმედების სფერო. თუმცა, განსხვავებით 2011/83 დირექტივით დადგენილი 50 ევროს ზღვრული ოდენობისა, გაერთიანებულ სამეფოში ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ფინანსური ზღვარი 42 ფუნტია, განსხვავებული ეროვნული ვალუტის გათვალისწინებით (რაც 50 ევროს ზუსტ ექვივალენტს წარმოადგენს).<sup>113</sup> შესაბამისად, თუ საქონლის ან მომსახურების ღირებულება არ არის 42 ფუნტი, ან უფრო მეტი, მომხმარებელი ვერ იქნება დაცული სამომხმარებლო რეგულაციების მიერ დადგენილი ნორმებით.

რაც შეეხება, აშშ-ში მოქმედ CFR დადგენილ მოთხოვნებს, საყურადღებოა, რომ ზოგადად, კოდექსის თანახმად ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც სამომხმარებლო საქონლის, ასევე, მომსახურების როგორც გაყიდვა და იჯარით გაცემა, მისი გაქირავებაც, იმ შემთხვევაში თუ მისი (საქონლის/მომსახურების) ღირებულება არის 25 აშშ დოლარი, ან მეტი. ფინანსურ ზღვართან დაკავშირებით, ამერიკელი კანონმდებელი, ევროპელი კანონმდებლისგან განსხვავებით, სპეციფიკური მიდგომით ხასიათდება. უფრო ზუსტად კი, 25 აშშ დოლარის ოდენობის ზღვარს ადგენს ისეთ შენაძენთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდა

<sup>110</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 7.

<sup>111</sup> *Marcel Burmanjer – C-20/03 (ECJ, 26 May 2005)*.

<sup>112</sup> ხელშეკრულების სახეთა დიფერენციაციას მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის ათვლის თვალსაზრისით, რაზეც უფრო დეტალურად შემდგომ თავებში გვექნება საუბარი.

<sup>113</sup> Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations 2013, Art. 7 (4), <<http://www.legislation.gov.uk/uksi/2013/3134/introduction/made>>.

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2019.

მყიდველის საცხოვრებელ ადგილას. სხვა ადგილას ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ზღვრული ოდენობა 130 აშშ დოლარი და მეტია.

ზოგადად, სამომხმარებლო საქონელს და მომსახურებას CFR განმარტავს, როგორც საქონელს და მომსახურებას, რომლის შეძენა, ქირავნობა და იჯარა უპირველეს ყოვლისა მიმართულია პირადი, საოჯახო ან საშინაო მიზნებისთვის. ზემოხსენებულს განეკუთვნება ასევე, სასწავლო და ტრენინგ-კურსები, მიუხედავად მათი დანიშნულებისა.<sup>114</sup> CFR კოდექსით ასევე დადგენილია, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები არ ვრცელდება აუქციონის დროს გაყიდულ ავტომობილებზე, სატვირთო მანქანებზე და სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე. აკრძალვა ეხება ხელოვნების (ხელნაკეთ) ნიმუშებსაც.<sup>115</sup>

სსკ-ის 336-ე მუხლის ხარვეზი ერთგვარად შევსებულია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, კანონპროექტის მე-3 მუხლით, რომლის თანახმად ქუჩაში დადებული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც საქონლის, ისე მომსახურების პირადი გამოყენების მიზნით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებას ქართული კანონპროექტი გამორიცხავს ჯანდაცვის, დაზღვევის, ან სოციალური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

2011/83 დირექტივისგან განსხვავებით, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი გამორიცხავს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მოქმედების სფეროს გავრცელებას კომუნალური მომსახურების ხელშეკრულებებზე (მაგ. წყლის, გაზის, ელექტრო ენერგიის მიწოდება); კერძოდ, მე-3 მუხლში, მომსახურების ცნების განმარტებისას, ქართული კანონპროექტი მასში არ მოიაზრებს მომსახურების ისეთ სფეროს, რომელშიც ფუნქციონირებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო. „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებია: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. სწორედ მათ გამგებლობას განეკუთვნება ტარიფების, ლიცენზიებისა და ნებართვების თვალსაზრისით კომუნალური მომსახურების სფეროს რეგულირება. მაგ. სემევი, როგორც სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე სსიპ, უფლებამოსილია დამოუკიდებლად დაადგინოს ელექტროენერგიის წარმოების, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და წყალმომარაგების ლიცენზირების წესები და პირობები, გასცეს ლიცენზიები და სხვა. ვინაიდან, ამ შემთხვევაში ქართველ მომხმარებელს კონტრაპენტის ალტერნატივა არ ჰყავს, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართველმა კანონმდებელმა კანონპროექტშივე გაითვალისწინა საქართველოს

<sup>114</sup> Code of Federal Regulations, §429.0 (b), <<https://www.law.cornell.edu/cfr/text>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.05.2019.

<sup>115</sup> იქვე, §429.3.

ენერგორესურსების სამომხმარებლო ბაზარზე არსებული მდგომარეობა და უარი თქვა ამ სფეროში ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გამოყენების შესაძლებლობაზე. აღნიშნულით, ის არ შეიჭრა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის ფარგლებში.

#### 1.4. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეები

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება მის მხარეებთან დაკავშირებით. კერძოდ, სსკ-ის 336-ე მუხლის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მომხმარებელი და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირი.

აღსანიშნავია, რომ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში მოქმედი არცერთი საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს ტერმინ „მომხმარებლის“ განმარტებას. თუმცა, მის დეფინიციას გვთავაზობდა საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, 2012 წელს ძალადაკარგულად გამოცხადდა. აღნიშნული კანონის პრეამბულის თანახმად, მომხმარებელი განიმარტა, როგორც ფიზიკური პირი, რომელიც პირადი საჭიროებისათვის საქონელს (სამუშაოს, მომსახურებას) იყენებს, იძენს, უკვეთავს ან ასეთი განზრახვა აქვს. მომხმარებლის განმარტებას ასევე შეიცავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილება, რომლის მე-3 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, მომხმარებელი არის პირი, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს, ან განზრახული აქვს გამოიყენოს, საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და სამუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებელზე.

იურიდიული ენციკლოპედიის თანახმად კი, მომხმარებელი არის მოქალაქე, რომელსაც სურს შეიძინოს, ან შეუკვეთოს რაიმე. ასევე, საქონლის, მომსახურების შემძენი, შემკვეთი ან გამომყენებელი პირადი, ან ოჯახური და სხვა საჭიროებისათვის, რაც არ უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას.<sup>116</sup> საბანკო სექტორში კი მომხმარებელი სულ სხვაგვარად განიმარტება. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“ N35/04 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, მომხმარებელი არის საბანკო მომსახურების, გარდა სავაჭრო, სამეწარმეო და პროფესიული საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, მიმღები, ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკური პირი.

უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლის ცნების საკმაოდ ვრცელ დეფინიციას გვთავაზობს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, რომლის მე-3 მუხლის თანახმად: მომხმარებელი არის

<sup>116</sup> თუხელაშვილი ს., იურიდიული ენციკლოპედია, თბ., 2008, 373.

ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ, ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას პირადი მოხმარების, და არა მისი სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის მიზნით.

ზემოაღნიშნული სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით მომხმარებლის ცნების განმარტების საფუძველზე, შეიძლება განისაზღვროს ის ზოგადი პირობები (კრიტერიუმები), რომლებიც მომხმარებლისთვის დამახასიათებელია; კერძოდ, მომხმარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი; ამ ფიზიკურმა პირმა ქონება, ან მომსახურება უნდა შეიძინოს და მოიხმაროს მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის; მის მიერ მოხმარებული ქონება საქონელია, ე.ი. მოძრავ ნივთს უნდა წარმოადგენდეს.

ბუნებრივია, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გაფორმებისას მომხმარებელი აუცილებლად ქმედუნარიანი პირი უნდა იყოს, რადგან ის ხელშეკრულებას ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად დებს. სსკ–ის მე–12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ქმედუნარიანობა გულისხმობს ფიზიკური პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით, სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

იმისათვის, რომ პირი სამართლის სუბიექტად იქნას მიჩნეული, ის აუცილებლად ქმედუნარიანი უნდა იყოს.<sup>117</sup> სწორედ ქმედუნარიანობის საფუძველზე ხდება როგორც ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, ისე, სამართლებრივი ხასიათის ქმედებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. ქმედუნარიანობის გარეშე სამართლის წინაშე არცერთი ჩვენგან არ არსებობს.<sup>118</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში მომხმარებლად ვერ იქნება მოაზრებული ქმედუნარო პირი. სსკ–ის მე–12 მუხლის მე–6 ნაწილის თანახმად, ქმედუნაროა 7 წლამდე ასაკის (მცირეწლოვანი) არასრულწლოვანი, ხოლო, სსკ–ის 58–ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მცირეწლოვნის მიერ ნების გამოვლენა ბათილია, ლოგიკურად უნდა იქნას მიჩნეული ის გარემოება, რომ 7 წლამდე ასაკის პირი, ქმედუნარო, მომხმარებელი ვერ იქნება.

ქმედუნარო პირისგან განსხვავებით, მომხმარებლად შეიძლება მოაზრებულ იქნას შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი. სსკ–ის მე–14 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა პირი 7–დან 18 წლამდე და ასევე, არასრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. სსკ–ის მე–15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ ნების გამოხატვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ, ის გარიგებით იღებს სარგებელს. კანონიერი წარმომადგენელი კი შეიძლება იყოს როგორც

<sup>117</sup> ბორონი ა., წინათქმა, სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, თსუ სამართლის მიმოხილვა, N1, 2016, 20.

<sup>118</sup> Commissioner for Human Rights, who gets to decide? Right to legal capacity for persons with intellectual and psychological disabilities, Strasbourg, 2012, <<https://rm.coe.int/16806da5c0>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – 2.10.2019.

ახლო ნათესავი (მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის განქორწინებული)), ისე, მეურვე, მზრუნველი და მხარდამჭერი.<sup>119</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულად შესაძლებელია, რომ ქუჩაში დადებული გარიგების შემთხვევაში მომხმარებელი იყოს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ასეთი ხელშეკრულების მოწონების შემთხვევაში ის სრულიად კანონიერად დაიდოს. რაც შეეხება სარგებელს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინს სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს. ლადო ჭანტურია მიიჩნევს, რომ სარგებელი არ გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით მოგებიან ხელშეკრულებას, ასევე მნიშვნელოვანია მისი აღმზრდელობითი მხარეც, სამართლებრივი სარგებელი.<sup>120</sup><sup>121</sup> სამართლებრივი სარგებლის მომტანად ნაკლებად შეიძლება მიჩნეულ იქნას ორმხრივი ხელშეკრულებები, რადგან ისინი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისაგან საპირისპირო ვალდებულების შესრულებას მოითხოვს.<sup>122</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისთვის სამართლებრივი სარგებლის მომტანი ნაკლებად შეიძლება იყოს, რადგან ის მისთვის ორმხრივად მავალდებულებელი ხასიათისაა, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირმა საქონლის, ან მომსახურების თანხა უნდა გადაიხადოს. შესაბამისად, ამ სახის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მას აუცილებლად ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციას, ქვეყანამ იკისრა მთელი რიგი ვალდებულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან (შემდგომში – შშმ პირები) მიმართებით. კერძოდ, საქართველო, როგორც ამ კონვენციის მონაწილე მხარე, ვალდებულია უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს შშმ პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამასთან, ხსენებული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების მიღება.<sup>123</sup> აღნიშნული კონვენციისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2014 წლის 8 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილების შედეგად, 2015 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ქმედუნარიანობის ინსტიტუტთან

<sup>119</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, ნაწ. 4.

<sup>120</sup> ჯორგენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 49.

<sup>121</sup> ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I, ჭანტურია (რედ), 2017, მუხლი 15, 5.

<sup>122</sup> გოგიაშვილი ნ., არასრულწლოვნის მიერ დადებული ნეიტრალური გარიგების არსი და მისი სამართლებრივი შედეგები გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, თსუ სამართლის მიმოხილვა, N2, 2017, 59.

<sup>123</sup> შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, მუხლი 4.

მიმართებით სიღრმისეული ცვლილებები განიცადა. გაუქმდა სსკ–ის მე–15 მუხლის მე–5 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა ჭკუასუსტობის და ფსიქიკური აშლილობის გამო პირის ქმედუუნაროდ აღიარებას. ამასთან, სსკ–ში გაჩნდა ახალი ცნება – მხარდაჭერის მიმღები.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკმაოდ საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას, მომხმარებლად მოაზრებულ იქნას მხარდაჭერის მიმღები. სსკ–ის მე–12 მუხლის მე–4 ნაწილის თანახმად, მხარდაჭერის მიმღები არის პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ის სრულწლოვანია. ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში. შესაბამისად, თუ მას არ აქვს შეზღუდული კონკრეტულად რაიმე სახის ხელშეკრულების დადება, სავსებით შესაძლებელია, რომ ის ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას მომხმარებლად იქნას მოაზრებული.

თუმცა, სსკ–ის 58<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარდაჭერის მიმღების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის გარეშე დადებული ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, მოიწონებს თუ არ მას მხარდაჭერი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარდაჭერის მიმღები ამ ხელშეკრულებით სარგებელს იღებს. შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების სამართლებრივი ბედი მაინც მხარდაჭერზე იქნება დამოკიდებული, რადგან როგორც უკვე აღინიშნა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებით მხარემ შეიძლება საკმაოდ დიდი ზიანი განიცადოს. თუმცა, ამ შემთხვევაში, გასაზიარებელია ბესარიონ ზომის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა. ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ბრუნვაში. მართალია, ამ პირების მიერ დადებული გარიგების სამართლებრივი ბედი მხარდაჭერის მოწონებაზეა დამოკიდებული, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მათი ნების ჩანაცვლება მხარდაჭერის ნებით კი არ მოხდეს, არამედ, მხარდაჭერის ნების გამოყენებით მოხდეს მხარდაჭერის მიმღები პირის ნების რეალიზების ხელშეწყობა.<sup>124</sup> რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან საკანონმდებლო ცვლილებაც სწორედ, რომ ამ პირების უფლებების გაფართოებას და საზოგადოებაში მათ გარკვეულწილად ინტეგრირებას ისახავდა მიზნად. კოდექსის ძელი რედაქცია, შშმ პირების ქმედუუნაროდ აღიარებით მათ სამართლის წინაშე „უუფლებოებს“ ხდიდა. ახალი რეგულაციები კი მათ

<sup>124</sup> ზოიძე ბ., ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სამართალსუბიექტობა, სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, თსუ სამართლის მიმოხილვა, N1, 2016, 36-37.

შესაძლებლობას აძლევს, გახდნენ ამა თუ იმ სამართალურთიერთობის მონაწილე და მოახდინონ თავიანთი უფლებების რეალიზება.

ანალოგიურად, შეიძლება ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას მომხმარებლად იქნას მოაზრებული მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირიც, თუმცა, მხარდაჭერის მიმღების მსგავსად, მისი ნების გამოხატვის ნამდვილობის დასადასტურებლად საჭირო იქნება მზრუნველის თანხმობა.

კანონიერი წარმომადგენლის მიერ მსგავსი ხელშეკრულების დადება შესაძლებელია განხილულ იქნას მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით. მართალია, 2011/83 დირექტივა კონკრეტულად აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რაიმე სახის სპეციალურ მოწესრიგებას არ შეიცავს, მაგრამ ამ სახის ურთიერთობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს სრულიად შესაძლებელია. ვინაიდან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება ხელშეკრულების ცალკე სახეს არ წარმოადგენს, მისი გამოყენება ნებისმიერი სახის ხელშეკრულებასთან დაკავშირებითაა შესაძლებელი.<sup>125</sup> <sup>126</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება არც თუ ისე იშვიათად ხდება. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ხელშეკრულება იდება ორ პირს შორის, ხოლო ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებელს მესამე პირი იღებს. მიზანშეწონილია ლადო ჭანტურიას მოსაზრების გათვალისწინება, იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ დადებულად ჩაითვლება, თუ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგი დადგება არა კონკრეტულად ხელშეკრულების მონაწილე, არამედ მესამე პირის მიმართ.<sup>127</sup> <sup>128</sup> შესაძლოა განხილულ იქნას შემდეგი მაგალითიც. პარკში სეირნობისას ნინოს მოულოდნებლად შეხვდება თანამედროვე ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც მას კომპიუტერის შეძენას შესთავაზებს საკმაოდ კარგი პირობებით. ნინო გადაწყვეტს თავისი შვილისთვის, ელენესთვის შეიძინოს ეს კომპიუტერი, თანხმდება შემოთავაზებულ პირობებს და დებს ხელშეკრულებას. მხარეები შეთანხმდებიან, რომ კომპიუტერს ნინოს მეორე დღეს სახლში მიუტანენ. ამ შემთხვევაში სახეზეა ჩვეულებრივი ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, თუმცა, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებელს იღებს არა ამ კონკრეტული ხელშეკრულების მონაწილე ნინო, არამედ მისი შვილი, ელენე,

<sup>125</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 217.

<sup>126</sup> რუსიაშვილი გ., აღადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 349, 2.

<sup>127</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 214.

<sup>128</sup> რუსიაშვილი გ., აღადაშვილი ა., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 349, 1.

რომელიც ამ ხელშეკრულების მონაწილე, სამართლებრივი თვალსაზრისით, საერთოდ არ არის.

აღსანიშნავია, რომ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით ხელშეკრულების დადება ერთგვარად ჰგავს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას, რადგან ორივე შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გამომდინარე შედეგი მისი არამონაწილე მხარის მიმართ დგება. თუმცა, წარმომადგენლობის შემთხვევაში პირი სპეციალური რწმუნებულების საფუძველზე მოქმედებს.<sup>129</sup> შესაბამისად, სწორედ ეს წარმოადგენს ამ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს შორის მირითად განმასხვავებელ ფაქტორს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, განხილულ იქნას ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა შუამავლის მეშვეობით. შუამავლობა სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთია სახეა, რომლის მიზანია შემკვეთის მიერ შუამავლის მეშვეობით მესამე პირებთან ხელშეკრულების დადება.<sup>130</sup> <sup>131</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 10 მაისის №ას-1085-1042-2016 განჩინებაში აღნიშნულია, რომ შუამავლის მთავარი ამოცანა კონტრაქტის მოძიება, შემკვეთთან მისი დაკავშირება და მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების მიღწევაა.<sup>132</sup> აღსანიშნავია, რომ შუამავლის მეშვეობით შესაძლებელია დაიდოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ხელშეკრულება, ნასყიდობა, იჯარა, სესხი, ქირავნობა და სხვა. თუმცა, შუამავლის მეშვეობით ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადება ნაკლებად სავარაუდოა. კერძოდ, შუამავალი შემკვეთთან წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე ახდენს კონტრაქტის მოძიებას, შუამავალმა წინასწარ იცის თუ რა სახის ხელშეკრულების დადება სურს შემკვეთს. შესაბამისად, ამ დროს სახეზე არ არის ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიშანი – მოულოდნელობა, სპონტანურობა. როდესაც პირს წინასწარ აქვს განზრახული ამა თუ იმ ხელშეკრულების დადება და გამიზნულად მოქმედებს, ამ დროს ქუჩაში დადებული ხელშეკრულება სახეზე ვერ იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, საყურადღებოა ის გარემოება, რომ მომხმარებელი აუცილებლად ფიზიკური პირი უნდა იყოს, რომელიც საქონელს/მომსახურებას პირადი მიზნებისთვის იყენებს. სამომხმარებლო სამართალი ფიზიკური პირის დაცვას მხოლოდ პირადი ინტერესების

<sup>129</sup> ქანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 219.

<sup>130</sup> სსკ მუხლი 744.

<sup>131</sup> ქანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტ. I, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 441.

<sup>132</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1085-1042-2016.

რეალიზებისას იცავს.<sup>133</sup> <sup>134</sup> სამართლებრივ ურთიერთობებში იურიდიული პირის სახელით მონაწილე ფიზიკური პირი, რომელიც იძენს უფლებებსა და ვალდებულებებს არა პირადი სარგებლობისთვის, არამედ სწორედ ამ იურიდიული პირისთვის, ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რომლებიც მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება. აუცილებელია მომხმარებელი მხოლოდ საკუთარი, პირადი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდეს.

თუ რა იგულისხმება ტერმინში – „საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირი“ ზემოხსენებული ძალადაკარგული კანონი არ განმარტავდა. ამ ცნების განმარტებას არ ახდენს არსებული არცერთი საკანონმდებლო აქტი. რადგან ყურადღების გამახვილება მომხმარებლის კონტრაქტის სამეწარმეო საქმიანობაზე ხდება, სავარაუდოდ, მასში სწორედ მოვაჭრე (მეწარმე) სუბიექტი მოიაზრება. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ კონკრეტულად განსაზღვრავს, რომ მოვაჭრე სუბიექტები არიან: ინდივიდუალური მოვაჭრე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი. მაგ. თუ ფიზიკურ პირს პარკში სეირნობისას, რომელიმე კონკრეტული შპს-ს წარმომადგენლები სთავაზობენ მათი პროდუქციის შეძენას და მომხმარებელი თანხმდება და ყიდულობს მას, ასეთ შემთხვევაში სახეზეა ჩვეულებრივი ქუჩაში დადებული ხელშეკრულება და სსკ-ის 336-ე მუხლის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს 7 დღის განმავლობაში უარი თქვას მასზე. ანალოგიურად, სახეზე იქნება ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ნებისმიერი სხვა სახის მოვაჭრე სუბიექტისგან მიღებული შემოთავაზების შემთხვევაშიც. მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეთა შემთხვევაში არის ის გარემოება, რომ მომხმარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, მაშინ როდესაც მოვაჭრე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირიც.

ამ თვალსაზრისით, საკუთარი საინტერესოა შეიძლება თუ არა, რომ მოვაჭრედ განხილულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ააიპ უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ააიპ-ის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ააიპ-ის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია. შესაბამისად, ააიპ-ის

<sup>133</sup> ბზეკალავა უ., მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტატიათა კრებულში: გეგენავა დ. (რედ.), ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2013, 69.

<sup>134</sup> ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 68-69.

საქმიანობა უფრო არასამეწარმეო მიზნებს ემსახურება. ქართულ სამეწარმეო სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ააიპ–ის უმრავლესობა ძირითად საქველმოქმედო საქმიანობის მიზნით იქმნება. შესაბამისად, მოვაჭრედ ააიპ–ის განხილვა ნაკლებ სავარაუდოა.<sup>135</sup> უფრო მეტიც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან ააიპ–ის საქმიანობა თავისი არსით მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას, არ არის ჩართული საქონლის ყიდვა–გაყიდვასა, თუ მომსახურების გაწევის სფეროში, მისი განხილვა მოვაჭრე სუბიექტად საფუძველს მოკლებულია.

აქვე ხაზგასმით უნდა გამოირიცხოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს მოვაჭრე სუბიექტად განხილვის შესაძლებლობა. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, სიპ არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს, სამომხმარებლო ურთიერთობებში მისი მოვაჭრე სუბიექტად მოაზრება დაუშვებელია.

ამასთან, აუცილებელია განხილულ იქნას სახელმწიფო საწარმოების შემთხვევა, როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, თუ სხვა სახის იურიდიული პირი შექმნილია სახელმწიფოს 50%-იანი ან მეტი წილობრივი მონაწილეობით. ამ შემთხვევაში, მართალია მეწარმე სუბიექტი შეიძლება ჩვეულებრივი სახის სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდეს, მაგრამ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარედ მათი მონაწილეობა ნაკლებად სავარაუდოა. ქართული რეალობიდან გამომდინარე, ძირითადად ეს საწარმოები მაინც საჯარო მმართველობის სფეროში შემავალ საქმიანობას ახორციელებენ. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის“ ანგარიშის თანახმად, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მსგავსი საწარმოების ლიკვიდაციის პროცესი მიმდინარეობს და თავდაპირველი 1129 საწარმოდან მხოლოდ 344 დარჩენილი. მათ უმრავლესობას კი სს „საპარტნიორო ფონდი“ ფლობს. ხსენებული ანგარიშის თანახმად, ლიკვიდაციის პროცესი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სათანადოდ რეგულირებული არ არის მათი მართვის ძირითადი პრინციპები, საქმიანობის ფუნქციები.<sup>136</sup> შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო საწარმოების მონაწილეობა ქუჩაში დადებული

<sup>135</sup> ლაკერბაით, „ზალიშვილივ., ზოიძეთ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბ., 2018, 115.

<sup>136</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის“ ანგარიში, თბ., 2015, 4-5.

ხელშეკრულებისას მოვაჭრე სუბიექტად არ უნდა იქნას მიზანშეწონილად მიჩნეული.

უნდა აღინიშნოს, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს მოვაჭრის ცნებასაც. ქართული კანონპროექტის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მოვაჭრე არის სამეწარმეო ან სხვა პროფესიული საქმიანობის ფარგლებში საქონლის შემთავაზებელი ან/და გამყიდველი, ასევე მომსახურების გამწევი ფიზიკური ან იურიდიული პირი.

გერმანელი კანონმდებელი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეებად მომხმარებელსა და მოვაჭრეს მოიაზრებს. მათ განმარტებას კი ვხვდებით გსკ-ის მე-13 (Verbraucher - მომხმარებელი) და მე-14 (Unternehmer - მოვაჭრე) პარაგრაფებში. გსკ-ს მე-13 პარაგრაფის თანახმად, მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც გარიგებას დებს იმ მიზნით, რაც არ განეკუთვნება მის სამეწარმეო და პროფესიულ საქმიანობას. მომხმარებლის განმარტებიდან ნათელია, რომ იურიდიული პირისათვის მომხმარებლის სტატუსის მინიჭება გამორიცხულია. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იურიდიული პირი თავისი საქმიანობით მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება.<sup>137</sup> გსკ-ს მე-14 პარაგრაფი განმარტავს მოვაჭრის ცნებას, რომლის მიხედვით, მოვაჭრე არის ფიზიკური, ან იურიდიული პირი, ანდა უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამეწარმეო, ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა არის ისეთი ტიპის ამხანაგობა, რომელსაც მინიჭებული აქვს უნარი, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები.<sup>138</sup>

აღსანიშნავია, რომ 2011/83 დირექტივის თანახმადაც ამ სახის ხელშეკრულების მხარეები მომხმარებელი (Consumer) და მოვაჭრე (Trader) არიან. უფრო ზუსტად კი, 2011/83 დირექტივის მე-2 მუხლის განმარტებით, მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ ურთიერთობებში მოქმედებს იმ მიზნებისთვის, რომელიც არის მისი ვაჭრობის, საწარმოს, საქმიანობისა და პროფესიის ფარგლებს გარეთ. ხოლო, მოვაჭრე არის ნებისმიერი ფიზიკური, ან იურიდიული პირი, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის კერძო, თუ საჯარო სამართლის პირს, რომელიც მოქმედებს, მათ შორის სხვა პირის მეშვეობით, როგორც თავისი სახელით, ასევე, მისი დავალებით, რომელიც წარმოადგენს მისი ვაჭრობის, საწარმოს, საქმიანობისა და პროფესიის ფარგლებს, იმ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლებზეც ვრცელდება ზემოაღნიშნული 2011/83 დირექტივა.<sup>139</sup>

<sup>137</sup> Harryers Ch., Die Beweislastumkher gem. §476 BGB, Saarbrücken 2014, 11.

<sup>138</sup> ქვეყლაშვილი ზ., (მთარგ. და რედ.), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, „სიესტა“, თბ., 2010, 13–14.

<sup>139</sup> აღსანიშნავია, რომ 2011/83 დირექტივის პრეამბულა (13) წევრ სახელმწიფოებს აძლევს ერთგვარ უფლებას, მომხმარებლებად მოიაზრონ ასევე ის იურიდიული პირები, რომლებიც

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ხსენებული 2011/83 დირექტივის გარდა, მომხმარებლისა და მოვაჭრის ცნება განისაზღვრება ასევე სხვა დირექტივებითაც. კერძოდ, ესენია: სამომხმარებლო პროდუქციის ფასის მითითების შესახებ 98/6 დირექტივა;<sup>140</sup> ნაკლის მქონე პროდუქციისა და გარანტიების შესახებ 1999/44 დირექტივა. ამ კონკრეტულ დირექტივასთან მიმართებით, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ მოვაჭრეს ის მოიხსენიებს, როგორც „Seller“ – გამყიდველი, თუმცა ცნების შინაარსს ანალოგიურად განმარტავს.<sup>141</sup>

2011/83 დირექტივის ანალოგიურ ცნებებს იცნობს მხარეებთან მიმართებაში ბრიტანელი კანონმდებელიც. ხოლო, რაც შეეხება აშშ-ში მოქმედ CFR კოდექსს, ის მოვაჭრის აღმნიშვნელად იყენებს ტერმინს „Seller“ - გამყიდველი, ხოლო მეორე მხარის, მომხმარებლის შემთხვევაში კი, ტერმინს „Buyer“ - მყიდველი. ამასთან, „Seller“ განიმარტება, როგორც ნებისმიერი პირი, კორპორაცია ან ასოციაცია, რომელიც კავშირშია სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების გაყიდვებთან არასახელშეკრულებო გარემოში. მყიდველში კი მოიაზრება ნებისმიერი ფიზიკური პირი.<sup>142</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკური პირი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მომხმარებელი, თუ იგი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შედეგად მომსახურების მიღებას ან საქონლის შეძენას ახდენს არა პირადი მოხმარების, არამედ სარგებლის მიღების მიზნით. შესაბამისად, მის მიმართ არ შეიძლება გავრცელებულ იქნას ყველა ის სამართლებრივი საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული და ქართული კანონმდებლობით.

რაც შეეხება ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას მომხმარებლისა და მოვაჭრის გარდა სხვა პირების შესაძლო მონაწილეობის საკითხს, სსკ-ი მსგავსი ტიპის მითითებებს არ იძლევა. 2011/83 დირექტივა კი ტერმინთა განმარტებაში, კერძოდ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში, „მოვაჭრის“ განმარტებისას პირდაპირ აღნიშნავს, რომ მოვაჭრე შეიძლება ასევე იყოს პირი, რომელიც მოქმედებს სხვა მესამე პირის მეშვეობით, როგორც თავისი სახელით, ასევე, მისი დავალებით. შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს ქუჩაში დადებული ხელშეკრულება წარმომადგენლის მეშვეობით დადოს. მომხმარებელთან მიმართებაში კი 2011/83 დირექტივა მსგავს დათქმას არ აკეთებს. მას ამ თვალსაზრისით იზიარებს ბრიტანელი კანონმდებელიც, რომელიც მოვაჭრეს ანალოგიურად განმარტავს. ამერიკელი კანონმდებელიც პირდაპირ

არ არიან მომხმარებლები ამ დირექტივის განმარტებიდან გამომდინარე, მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციები, სტარტაპები, ან პატარა და მცირე ზომის საწარმოები.

<sup>140</sup> Directive 98/6/EC of the European Parliament and of the Council of 16 February 1988 on Consumer Protection in the indication of the Prices of Products offered to Consumers, 16/02/1988, Art. 2.

<sup>141</sup> Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council of 25 May 1999 on certain aspects of the sale of consumer goods and associated guarantees, 25/05/1999, Art. 1.

<sup>142</sup> Code of Federal Regulations, §429.0 (b), (c), <<https://www.law.cornell.edu/cfr/text>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.05.2019.

მიუთითებს, რომ „გამყიდველი“ შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ასევე კორპორაცია ან ასოციაცია.

მიზანშეწონილია, რომ ქართველმა კანონმდებელმა გაიზიაროს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა მოვაჭრეს მისცემს წარმომადგენლის მეშვეობით. ხოლო, მომხმარებელს ნება დართოს წარმომადგენლის მეშვეობით მსგავსი სახის ხელშეკრულების შესრულება მიიღოს მოვაჭრისგან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქ საუბარია მომხმარებლის მიერ წარმომადგენლის მეშვეობით მხოლოდ შესრულების მიღებაზე და არა წარმომადგენლის მეშვეობით ხელშეკრულების დადებაზე. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი მისი მოულოდნელობის ეფექტია. მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადების თაობაზე გადაწყვეტილება უნდა იყოს სპონტანური. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მსგავსი სახის ხელშეკრულების დადებას წინასწარ გაითვალისწინებს და ამის უფლებას მესამე პირს მიანიჭებს, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მთავარი განმასხვავებელი ელემენტი სახეზე აღარ იქნება. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ მომხმარებელს წარმომადგენლის მეშვეობით ამ სახის ხელშეკრულების დადება არ შეუძლია. ხოლო, რაც შეეხება ხელშეკრულების დადების შემდეგ შესრულების მიღებას მოვაჭრისგან აღნიშნულის უფლება ზემოხსენებული დირექტივის საშუალებით აქვს მომხმარებელს.

აქვე, ბუნებრივია, შესაძლოა წარმოიშვას კითხვა იმის შესახებ, შეუძლია, თუ არა მომხმარებელს უარი განაცხადოს (გავიდეს) ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან წარმომადგენლის მეშვეობით. ხსენებულ საკითხზე კონკრეტულად და დეტალურად ნაშრომის მომდევნო თავებში იქნება საუბარი.

## თავი II. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების და დასრულების წესი

იურიდიული ფაქტები შეიძლება დაიყოს მოვლენებად, რომლებიც ადამიანის ნებაზე არ არის დამოკიდებული და ქმედებებად, რომლებიც თითოეული პირის ნების გამოხატვის შედეგია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის - ვალდებულების წარმოშობისაკენ.<sup>143</sup> როგორც უკვე აღინიშნა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის სახელშეკრულებო საფუძველს განეკუთვნება. მხარეთა თავისუფალი ნება ამ სახის ურთიერთობის ფორმირების მნიშვნელოვანი ელემენტია.

თუმცა, არამხოლოდ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების, არამედ მხარეთა შორის ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფორმირება თავისუფალ ნების გარეშე წარმოუდგენელია. გარიგების დროს, ისევე როგორც ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობისას, მთავარია ის, რომ ადგილი აქვს მხარის ისეთ ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.

### 2.1. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენის თავისებურებანი

დამოუკიდებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლით ქართულ სამოქალაქო სამართალში განმტკიცდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების კერძო სამართლის მიღწევები და ამასთან დამკვიდრდა ისეთი ნოვატორული ინსტიტუტები, ცნებები, როგორებიცაა კერძო საკუთრება, ხელშეკრულების თავისუფლება და ა.შ.<sup>144</sup> „თანამედროვე გაგებითაც სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი მიზანი თავისუფლებაა.“<sup>145</sup> თავისუფლება ხომ ძირითადად ასახავს პირის ნებას, მის შესაძლებლობას იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ ისე, რომ არ დაექვემდებაროს ვისამე ნებას.<sup>146</sup>

<sup>143</sup> Новицкий И.Б., Римское Право, Ассоциация “Гуманитарное знание”, издательство “Теис”, Москва 2005, 149.

<sup>144</sup> ქანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 19.

<sup>145</sup> ლოლაძე ბ., სოციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები - სტატიათა კრებული, თბ., 2012, 108.

<sup>146</sup> Кратенко М.В., Злоупотребление свободой договора: частноправовые и публично-правовые аспекты, Москва, 2010, 4.

სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ისე მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას მოიცავს.<sup>147</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ განჩინებაში პირდაპირ აღნიშნავს, რომ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი და მისი შემადგენლობა.<sup>148</sup> აღნიშნული პრინციპის გარეშე დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში ზედმეტი იქნებოდა საუბარი რაიმე ტიპის წინსვლასა და პროგრესზე.<sup>149</sup> სწორედ ხელშეკრულების თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვან ღირებულებას, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს სტაბილურობის ერთგვარი გარანტიცაა.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის განუყოფელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, თითოეულ პირს შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება დადოს თუ არა ხელშეკრულება და ვისთან დადოს ის.<sup>150</sup> <sup>151</sup> თუმცა, ეს წესი არ ეხება იმ შემთხვევას, როცა კონტრაპენტის ალტერნატივა არ არსებობს, მაგ. ელექტრო, ან გაზმომარაგების დროს.<sup>152</sup> ამ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობებს „შემთავაზებელი“ მხარე განსაზღვრავს, რომელიც თავისი უფლებების განხორციელებაში შეზღუდულია. კერძოდ, მას არ აქვს უფლება მეორე მხარეს უკანონო პირობები შესთავაზოს და ამით არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს ის.<sup>153</sup> სახელმწიფო ვალდებულია საბაზრო ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, უზრუნველყოს ისეთი სამართლებრივი გარემო მისი თითოეული მონაწილისათვის, რომ მხარეთა თანასწორობის ბალანსი შენარჩუნდეს. მხარეს, რომელსაც ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს, არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მეორე მხარეს შესთავაზოს უსამართლო პირობები მხოლოდ იმის გამო, რომ მას ალტერნატიული არჩევანის საშუალება არ აქვს.

<sup>147</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 60.

<sup>148</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე № ას-1300-1320-2011.

<sup>149</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005, 125.

<sup>150</sup> ჭანტურია ლ., სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 58-59.

<sup>151</sup> გელაშვილი ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 319, 1.

<sup>152</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 60.

<sup>153</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 16.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს არა მარტო მხარის უფლებას დადოს, ან არ დადოს ხელშეკრულება, არამედ იმასაც, რომ უარი თქვას კონკრეტული ხელშეკრულების შესრულებაზე.<sup>154</sup>

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი გარკვეულწილად შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი და მოვაჭრე თავად ღებულობენ გადაწყვეტილებას შევიდნენ ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, მომხმარებელთან დაკავშირებით მაინც განსხვავებული მდგომარეობაა. მისი გადაწყვეტილება ხელშეკრულების დადების თაობაზე არის სპონტანური. ის ბოლომდე ვერ აცნობიერებს თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს თითოეული ასეთი ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების დადებაზე შეთავაზება მომხმარებლისთვის იმდენად მოულოდნელია, რომ ის სრულად ვერც კი ახერხებს გაეცნოს ხელშეკრულებას დეტალურად. პრაქტიკულად, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაში ის მონაწილეობას საერთოდ არ ღებულობს, ის თანხმდება უკვე არსებულ, წინასწარ ჩამოყალიბებულ ხელშეკრულების პირობებს.

„მოულოდნელობის ეფექტი“ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი გარემოებაა. სწორედ მას აქვს გადამწყვეტი როლი ამ ხელშეკრულების დადებისას. ქუჩაში დადებული ხელშეკრულება უნდა იყოს სპონტანური, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გვქონდეს ჩვეულებრივი ნასყიდობის, ნარდობის ან სხვა სახის ხელშეკრულება.

მაგ. თუ მომხმარებელი მობილურ ტელეფონს შეიძენს მაღაზიაში, სადაც კონკრეტულად ამ მიზნისთვის მივიდა, ამ დროს სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება. მაგრამ, როდესაც იგივე ტელეფონის ყიდვაზე მომხმარებელი განაცხადებს თანხმობას საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მაგ. მეტროში მგზავრობისას, მოულოდნელი შემოთავაზების საფუძველზე, ამ შემთხვევაში უკვე სახეზეა ჩვეულებრივი ქუჩაში დადებული ხელშეკრულება და შესაბამისად, სწორედ ამ სახის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმა ამოქმედდება.

მხარეთა განზრახვა ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, როგორც წესი ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით ხორციელდება.<sup>155</sup> მათ საბოლოო მიზანს სწორედ ხელშეკრულების დადება წარმოადგენს.<sup>156</sup> საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების დადების ეს წესი (ოფერტისა და

<sup>154</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 60.

<sup>155</sup> ბაღიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 327, 2.

<sup>156</sup> ჭანტურია შვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 65.

აქცეპტის მეშვეობით), ნებისმიერი თანამედროვე სამართლის სისტემაში სათავეს XVIII საუკუნიდან იღებს, რომელიც ხშირად ხელშეკრულების დადების ერთადერთ გზად ითვლება.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ერთგვარი სპეციფიკურობით ხასიათდება ოფერტისა და აქცეპტის თვალსაზრისით. შესაბამისად, აუცილებელია უფრო დეტალურად იქნას განხილული თითოეული მათგანი.

მიუხედავად იმისა, რომ ოფერტისა და აქცეპტის ცნებების განმარტებას თითოეული სახელმწიფო ინდივიდუალურად ახდენს, არსებობს ის ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ყველასთვის საერთოა. ამ ცნებების ზოგადი განმარტებისას მნიშვნელოვანია მიმოხილულ იქნას, თუ როგორ განმარტავს მათ უნიფიცირებული სამართლებრივი რეჟიმის შექმნაზე მიმართული „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ (შემდგომში - PECL პრინციპები).<sup>157</sup> <sup>158</sup> აღნიშნული პრინციპების თანახმად, ოფერტი მხოლოდ მაშინ არის სახეზე, თუ მეორე მხარის მიერ მისი მიღების შემთხვევაში მისი მიზანია ხელშეკრულების დადება და ამასთანავე, თუ ის შეიცავს ხელშეკრულების დასადებად საკმარისად განსაზღვრულ პირობებს.<sup>159</sup> რაც შეეხება აქცეპტს, ხსენებული პრინციპების თანახმად, ის მხოლოდ იმ შემთხვევაშია სახეზე, როდესაც აქცეპტანტის ნებისმიერი განცხადება ან

<sup>157</sup> ჯერ კიდევ 1980 წელს ევროპარლამენტი განიხილავდა ერთიანი ევროპული კერძო სამართლის კოდექსის შექმნის იდეას, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი შექმნილიყო „ერთიანი ევროპული ბაზარი“. მართალია ამ დროისთვის უკვე საკმარიდ ბევრი დირექტივა არსებობდა, მაგრამ ასევე, დადგენილი ფაქტი იყო ის გარემოება, რომ ევროკავშირის მიერ დირექტივების მიღებამ ჰარმონიზაცია მხოლოდ კონკრეტულ სფეროებში მოახდინა.

სწორედ ზემოაღნიშნული მიზნით, შეიქმნა ევროპული სახელშეკრულებო სამართლის კომისია, რომელმაც მუშაობა 1982 წელს, ცნობილი დანიელი სამართალმცოდნე, პროფესორ ოლე ლანდოს ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაიწყო. სწორედ ამიტომ, ხშირად ამ კომისიას „ოლე ლანდოს კომისიის“ სახელით იხსენიებენ.

კომისია დაკომპლექტებული იყო ევროპული საკანონმდებლო ორგანოების იურისტებით და მისი მიზანი იყო შექმნილიყო ერთიანი ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ფუნქციონირებისთვის საჭურო საფუძველი.

ამ კომისიის სრული მუშაობის ანგარიში გამოიცა სახელწოდებით *PECL – Principles of European Contract Law*. სწორედ ამ პრინციპების ზოგადი ცნებების იმპლემენტაცია მოახდინა ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ, რომელიც ერთგვარად მათი სამართლებრივი სივრცის ჰარმონიზაციას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ამ პრინციპებს კანონის მაღა არ აქვთ, თუმცა ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას მხარეებისთვის დადონ ხელშეკრულება, რომელთან დაკავშირებული დავაც შეიძლება მოგვარდეს PECL. [Art. 1:01 (2) PECL.]

თუმცა, დავის მოგვარების ამ ფორმის ლეგიტიმურობა დადგენილი უნდა იყოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დონეზე.

<sup>158</sup> *Zaprianos N.*, Die Rückabwicklung der Verbraucherverträge nach Ausübung des Widerrufsrechts, Eine Untersuchung unter Berücksichtigung der Verbraucherrechte-Richtlinie und des Entwurfs für ein Gemeinsames Europäisches Kaufrecht, 1. Aufl., 2016, 73-74.

<sup>159</sup> PECL. Art. 2:201.

ქმედება წარმოადგენს ოფერტზე თანხმობას. თუმცა, აქვე კეთდება მითითება, რომ დუმილი, ან უმოქმედობა თავისთავად თანხმობას არ გულისხმობს.<sup>160</sup>

ასევე, ზემოაღნიშნული ცნებების შინაარსის განსაზღვრის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დოკუმენტია კერძო სამართლის უნიფიცირების საერთაშორისო ინსტიტუტის<sup>161</sup> მიერ შემუშავებული საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებების პრინციპები<sup>162</sup>. ამ პრინციპების 2.1.1. მუხლის თანახმად ხელშეკრულება იდება ან ოფერტის აქცეპტირებისას, ან მხარეთა იმგვარი ქმედებისას, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების დასადებად.<sup>163</sup> PECL პრინციპებისგან განსხვავებით, UNIDROIT პრინციპები ოფერტის ცნების განმარტებისას, ყურადღებას ამახვილებს მხარის განზრახვაზე შებოჭილი იყოს დასადები ხელშეკრულებით. კერძოდ, ოფერტი სახეზეა, თუ ის საკმარისად კონკრეტულია და მიუთითებს ოფერენტის სურვილზე აქცეპტის შემთხვევაში დადოს ხელშეკრულება.<sup>164</sup> აქცეპტის დეფინიციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ UNIDROIT პრინციპები მას PECL პრინციპების მსგავსად განმარტავს.<sup>165</sup> უნდა აღინიშნოს, რომ UNIDROIT პრინციპებსა და PECL პრინციპებს საკმაოდ ბევრი საერთო აქვთ, რადგან მათ შექმნაზე პრაქტიკულად ერთი და იგივე სამუშაო ჯგუფი მუშაობდა.<sup>166</sup> შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მირითადი ცნებების განმარტებას ორივე მათგანი გარკვეულწილად მსგავსად ახდენს.

ზოგადად, ოფერტის მირითადი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მისი აქცეპტის შემთხვევაში სახეზეა ნამდვილი ხელშეკრულება. ოფერტი ნამდვილია, თუ ის საკმარისად კონკრეტული და საბოლოოა, ამასთან შეიცავს დასადები ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას და მიმართულია როგორც ერთი, ისე რამდენიმე პირისადმი.<sup>167</sup> ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ერთი მხარე მზადაა მოლაპარაკებებისთვის ხელშეკრულების დასადებად, არ არის ოფერტი, რადგან ის განსაზღვრული უნდა იყოს; უნდა შეიცავდეს შემოთავაზების დაზუსტებულ პირობებს იმის განმარტებით, რომ თუ მეორე მხარე მიიღებს მას, ხელშეკრულების დადებას ექნება ადგილი. ოფერტი საკმარისად დეტალური უნდა იყოს, საგნისა და ფასის მითითებისას. თუმცა, ასევე, საკმარისი იქნება თუ ხელშეკრულების პირობები წინასწარ შეიძლება განისაზღვროს მეორე მხარის მიერ მისი

<sup>160</sup> PECL. Art. 2:204.

<sup>161</sup> International Institute for the Unification of Private Law.

<sup>162</sup> Principle of International Commercial Contracts - აღნიშნული პრინციპები 1994 წლიდან მოქმედებს. მათი შექმნის მიზანია საერთაშორისო კომერციული ვაჭრობის გლობალიზაცია და სამართლებრივი რეგულირების გამარტივება.

<sup>163</sup> UNIDROIT PICC Art. 2.1.1.

<sup>164</sup> იქვე, Art. 2.1.2.

<sup>165</sup> იქვე, Art. 2.1.6.

<sup>166</sup> Zaprianos N., Die Rückabwicklung der Verbraucherverträge nach Ausübung des Widerrufsrechts, Eine Untersuchung unter Berücksichtigung der Verbraucherrechte-Richtlinie und des Entwurfs für ein Gemeinsames Europäisches Kaufrecht, 1. Aufl., 2016, 75.

<sup>167</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 15.

პრაქტიკიდან, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, როდესაც მას შეუძლია ივარაუდოს თუ რა ფასსა და ხარისხს გულისხმობდა ოფერენტი.<sup>168</sup>

საყურადღებოა, რომ ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია ხელშეკრულების მხარეთა ნების გამოვლენის, ოფერტისა და აქცეპტის თანხვედრა, დამოუკიდებლად არცერთი მათგანი არ იწვევს ხელშეკრულების დადებას,<sup>169</sup> ისინი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენებია<sup>170</sup>. რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან თუ მხარის მიერ არ მოხდება კონკრეტული ოფერტის აქცეპტირება, შესაბამისად, ეს მოცემული ხელშეკრულება ვერ დაიდება. ოფერტი დარჩება უბრალო ოფერტად, რომელსაც ხელშეკრულების დადება არ მოჰყვება.

თუ ხელშეკრულება ოფერტისა და აქცეპტის შედეგად დაიდო, ნათელი უნდა იყოს, რომ აქცეპტის შემთხვევაში ოფერენტს განზრახული ჰქონდა ხელშეკრულების დადება. თუ ასეთი განზრახვა არ ჰქონია, მაშინ, ზოგადად ოფერტიც არ არსებობს და ამ შემთხვევაში სახეზე იქნება მოწვევა ოფერტზე (invitatio ad offerendum). უფრო ზუსტად კი, მხარე მზად არის მხოლოდ მოლაპარაკებისთვის და მიზნად არ ისახავს ხელშეკრულების დადებას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ოფერტისგან განსხვავებით, რომელიც არსებითი პირობების ძირითადი მატარებელია, მოწვევა ოფერტზე უფრო ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტიკას მოკლებულია.<sup>171</sup> სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ოფერტსა და „მოწვევა ოფერტზე“ შორის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს მხარის შემოთავაზება არის „მბოჭავი“ მეორე მხარისათვის, თუ sans engagement - ბოჭვის გარეშე. თუ აღნიშნულის დადგენა ვერ ხერხდება, უნდა გაირკვეს, თუ როგორ მოხდება მისი აღქმა ჩვეულებრივი ადამიანის მიერ, კერძოდ, ადრესატისთვის ნათელი უნდა იყოს შეთავაზება რომელიც მას გაუკეთეს, იყო თუ არა მიმართული ხელშეკრულების დასადებად, თუ მხოლოდ მოლაპარაკებების ეტაპისკენ მიმართული. მაგალითად, როდესაც ადრესატმა იცის, რომ ანალოგიური შეთავაზება ბევრ სხვა პირსაც გაეგზავნა, ასეთ შემთხვევაში, სამართლებრივი კუთხით, მსგავსი შეთავაზება ოფერტად ვერ აღიქმება, რადგან თითოეული ადრესატის მიერ აქცეპტის შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება და მეორე მხარე ვალდებული იქნება აუნაზღაუროს შესაბამისი ზიანი ყველა იმ პირს, ვისი მოთხოვნაც ვერ დააკმაყოფილა. აქედან გამომდინარე, მაგ. როდესაც კატალოგი, ან რეკლამა

<sup>168</sup> Kötz H., European Contract Law, Second Edition, translated from German by Gill Mertens and Tony Weir, Oxford University Press, 2018, 20.

<sup>169</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 91.

<sup>170</sup> ჭაჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 65.

<sup>171</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2017, 73.

იგზავნება ბეჭდური სახით, ან ელექტრონულად, და შეთავაზება პირთა დიდ წრეს ეგზავნება, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ოფერტად.

მაგ. პარკში სეირნობისას ანას მოულოდნელად შეხვდება ტექნიკის მაღაზიის წარმომადგენელი, რომელიც მას გადასცემს ბუკლეტს სადაც მითითებულია მათი კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქცია და მათი ღირებულება. ამ შემთხვევაში სახეზე სტანდარტული მოწვევა ოფერტზე, რადგან ანალოგიური ბუკლეტი ამ კომპანიის წარმომადგენლის მიერ პარკში მყოფ სხვა ადამიანებსაც გადაეცათ. ოფერტი სახეზე იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის წარმომადგენელი ანას რაიმე კონკრეტული ნივთის შეძენას შესთავაზებდა.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ პრინციპს სხვადასხვა ქვეყანაში საკმაოდ ბევრი გამონაკლისი აქვს. მაგალითად, საფრანგეთის სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც ვინმე განაცხადს აკეთებს რაიმე ნივთის გაყიდვაზე გაზიეთით, ხელშეკრულება იდება მაშინ, როდესაც პირველი ადამიანი დააკმაყოფილებს ოფერტის პირობებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მყიდველი ვერ დააკმაყოფილებს იმ კონკრეტულ მოთხოვნებს, რომელიც გამყიდველს გააჩნია, მაგალითად, როგორიცაა გადახდისუნარიანობა და საიმედოობა.<sup>172</sup> თუმცა, სავარაუდოა, რომ ფრანგული კანონმდებლობის აღნიშნული დებულება საკმაოდ სადავო ხასიათისაა. იმ შემთხვევაში, თუ ოფერტის პირობები ერთდროულად რამდენიმე პირმა დააკმაყოფილა ერთსა და იმავე დღეს და განაცხადა ხელშეკრულების დადების სურვილის შესახებ, შეიძლება საკამათო გახდეს დროის თვალსაზრისით, რომელი მათგანი იყო პირველი.

ამ თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია გაეროს 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ,<sup>173</sup> რომლის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირთა განუსაზღვრელი წრისადმი შეთავაზება განიხილება როგორც მოწვევა ოფერტზე, თუ სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული იმ პირის მიერ, ვინც გააკეთა ეს შეთავაზება.<sup>174</sup>

ზოგადად, ოფერტზე მოწვევის ყველაზე გავრცელებული მაგალითია პროდუქციის, ან მომსახურების რეკლამირება. თუმცა, ზემოხსენებული PECL პრინციპები გამონაკლისის სახით განიხილავს შემთხვევას, როდესაც სახეზე პროფესიონალი მიმწოდებლის მიერ განხორციელებული შეთავაზება საჯარო განაცხადის, კატალოგის გამოყენების და საქონლის დემონსტრაციის გზით. კერძოდ, ასეთი შეთავაზება შეიძლება ჩაითვალოს ოფერტად, თუ

<sup>172</sup> Kötz H., European Contract Law, Second Edition, translated from German by Gill Mertens and Tony Weir, Oxford University Press, 2018, 20.

<sup>173</sup> აღნიშნული კონვენცია საქართველოსთვის მაღაშია 1994 წლის 3 თებერვლიდან.

<sup>174</sup> United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG).

მიმწოდებელს საქონლის მარაგი არ ამოეწურა, ან შესაბამისი ფასით მომსახურების გაწევა ისევ შესაძლებელია.<sup>175</sup> <sup>176</sup>

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულების დადება მხოლოდ ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით არ არის ხელშეკრულების დადების ერთადერთი გზა.<sup>177</sup> საკმაოდ ხშირად, როდესაც სახეზეა ნამდვილი ხელშეკრულება, შეუძლებელია, რომ ერთი მხარის ქმედება ჩაითვალოს მხოლოდ ოფერტად და მეორე მხარის ქმედება მხოლოდ - აქცეპტად. მაგ. როდესაც ხელშეკრულების დადებას წინ უძლვის მოლაპარაკებები, რომელიც დიდხანს გრძელდება, ბევრი ოფერტისა და აქცეპტის შემადგენლობით. ან, როდესაც მხარეები ერთდროულად ახდენენ ხელშეკრულების ხელმოწერას. ასეთ დროს საკმაოდ რთულია განისაზღვროს რომელია ოფერენტი<sup>178</sup> და რომელი აქცეპტანტი<sup>179</sup>. დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებისას შესაძლოა ორივე მხარე იყოს როგორც ოფერენტი, ისე აქცეპტანტი.

სსკ-ის 336-ე მუხლის მოქმედი რედაქცია, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ყურადღებას არ ამახვილებს ოფერტისა და აქცეპტის კუთხით ამ ხელშეკრულების თავისებურებაზე. მუხლის არსებული შემადგენლობით რთულია დადგინდეს ეხება ის თანმყოფი, თუ არათანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტს, თუ ორივე შემთხვევას. სავარაუდოა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ქართველი კანონმდებელი სწორედ თანმყოფ პირისთვის გაკეთებულ ოფერტს გულისხმობს, თუმცა, ნორმის შინაარსიდან აღნიშნული თვალნათლივ არ იკვეთება.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს, ოფერტთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ჩვეულებრივ სახელშეკრულებო გარემოში მიღებული შეთავაზებისგან, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში ოფერტი სრულიად მოულოდნელია. მომხმარებელი შეთავაზებას ხელშეკრულების დადებაზე იღებს ისე, რომ ამას არც კი მოელის. იმის გამო, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში სასამართლო პრაქტიკა ამ ხელშეკრულებასთან მიმართებით არ არსებობს, რთულია დადგინდეს თუ კონკრეტულად რა იგულისხმება მის დადებაში.

<sup>175</sup> PECL. Art. 2:201 (3) – საჯარო განაცხადის, კატალოგის გამოყენების ან საქონლის დემონტრაციის გზით პროფესიონალი მიმწოდებლის მიერ განხორციელებული შეთავაზება, რომელიც შეთავაზებულ ფასად საქონლის მიწოდების ან რაიმე მომსახურების გაწევისკენ არის მიმართული, დავის შემთხვევაში შეიძლება ოფერტად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, თუ საქონლის მარაგი არ ამოწურულა ან შესაბამისი ფასით მომსახურების გაწევა შესაძლებელია.

<sup>176</sup> ბზეკალავა ე., ჭილაძე თ., ცერცვაძე ა., გეგენავა დ., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი, თბ., 2014.

<sup>177</sup> გაღიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 327, 2.

<sup>178</sup> ოფერენტი – ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების მიმცემი.

<sup>179</sup> აქცეპტანტი – ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების მიმღები.

თუმცა, სსკ–ის 336–ე მუხლი ოფერტისა და აქცეპტის კუთხით გარკვეული თავისებურებით მაინც ხასიათდება. კერძოდ, ამ შემთხვევაში ტრადიციული ოფერტისა და მასზე გაცხადებული აქცეპტისგან განსხვავებით, ხელშეკრულება მხოლოდ ამ გზით ვერ დაიდება, რადგან მომხმარებელს შეუძლია 7 დღის განმავლობაში, უარყოს იგი. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება იდება არა ოფერტზე გაცხადებული აქცეპტით, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი შეცილების უფლებას არ გამოიყენებს.<sup>180</sup> შესაბამისად, ხელშეკრულების დადება დამოკიდებულია არა მხარეთა შეთანხმებაზე, არამედ შეცილების უფლების გამოუყენებლობაზე. აღნიშნული სსკ–ის 336–ე მუხლის ხარვეზად უნდა იქნას მიჩნეული, რადგან ნებისმიერი ხელშეკრულების დადების პროცესში მთავარია მხარეთა შორის შეთანხმება ხელშეკრულების დადებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს მისი დადების წესი მეტნაკლებად განსხვავებულია. ამ სახის ხელშეკრულება იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ გამოიყენებს მასზე უარის თქმის კანონით მინიჭებულ უფლებას. მსგავს სიტუაციაში მნიშვნელობა არ აქვს ოფერტს და ამ ოფერტზე გაცხადებულ აქცეპტს. მთავარია, მომხმარებელმა არ ისარგებლოს კანონიერი უფლებით და არ განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. მაგალითისათვის, შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი შემთხვევა: მეტროში მგზავრობისას ქეთის შეხვდება მობილური ტელეფონების მწარმოებელი კომპანია და მოულოდნელად შესთავაზებს მას ტელეფონის შეძენას. ქეთი, რომელიც ისედაც ფიქრობდა მობილური ტელეფონის შეცვლას, თანხმდება შეთავაზებას და იხდის თანხას. კომპანიის მწარმოებელი მას ტელეფონის მიწოდებას მეორე დღეს სახლში დაპირდა. მომდევნო დღეს ქეთის მართლაც მიაწოდეს ტელეფონი სახლში, თუმცა ის აღარ არის დაინტერესებული ამ ხელშეკრულების დადებით, სარგებლობს კანონით მინიჭებული უფლებით და უარყოფს მას. ამ მაგალითის საფუძველზე ნათელია, რომ მიუხედავად ქეთის მიერ განხორციელებული აქცეპტისა, მხარეებს შორის ხელშეკრულება მაინც ვერ დაიდო, რადგან მომხმარებელმა გამოიყენა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება და შესაბამისად, ხელშეკრულებაც დადებულად ვერ ჩაითვლება.

სსკ–ის 336–ე მუხლისგან განსხვავებით, 2011/83 დირექტივა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნების განმარტებისას ყურადღებას ამახვილებს მისი დადების ორ სპეციფიკურ მომენტზე. კერძოდ, ამ სახის ხელშეკრულების დადებისას, აუცილებელია რომ მომხმარებელი და მოვაჭრე ფიზიკურად ერთად იმყოფებოდნენ ხელშეკრულების დადების დროს და ასევე, მომხმარებელმა შეთავაზება უნდა მიიღოს პირადად და ინდივიდუალურად. მომხმარებელთა უფლებების დაცვის დირექტივის სახელმძღვანელოს

<sup>180</sup> ქანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 150.

თანახმად,<sup>181</sup> მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებთან ახლოს სარეკლამო ბუკლეტების, ან ე.წ. „ფლაერების“ გზით საქონლის ან მომსახურების შეთავაზება, ინდივიდუალურად გათვლილი შეთავაზების (*individual targeting*) გარეშე, ვერ ჩაითვლება პირად და ინდივიდუალურ შეთავაზებად. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში სახეზე ვერ გვექნება ქუჩაში დადებული ხელშეკრულება. შესაბამისად, 2011/83 დირექტივის პრეამბულის 21-ე პუნქტისა და მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „c“ ქვეპუნქტის თანახმად, *invitatio ad offerendum* შემთხვევაში ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ვერ დაიდება, რადგან სახეზე არ არის პირადი და ინდივიდუალური შეთავაზება.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიმე სხვა სახის დათქმას ხელშეკრულების დადების კუთხით 2011/83 დირექტივა არ აკეთებს, რადგან მის დებულებებს არ აქვთ გავლენა და ისინი არ ეხება ევროკავშირის წევრი ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სახელშეკრულებო სამართლის ისეთ ცნებებს, როგორიცაა ხელშეკრულების ნამდვილობა, მისი დადების წესი და სხვა; 2011/83 დირექტივა არ აწესრიგებს შრომის, უფლების გადაცემის და საოჯახო სამართლის საკითხებს. ასევე, ის არ აწესრიგებს სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ცნებებს.<sup>182</sup> რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან თითოეულ წევრ სახელმწიფოს საკუთარი შიდა სახელშეკრულებო სამართალი აქვს და ხსენებული საკითხები თითოეული მათგანის მიერ ინდივიდუალური რეგულირების საგანს წარმოადგენს.

ოფერტისა და აქცეპტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტზე, რომელიც იმეორებს 2011/83 დირექტივას და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნების განმარტებისას შემოაქვს სსკ-ის 336-ე მუხლის დებულებისგან განსხვავებული, ახალი ელემენტი ამ სახის ხელშეკრულებების დროს. კერძოდ, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას ქართული კანონპროექტი აუცილებლად მიიჩნევს მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკურ თანყოფასა და პირად და ინდივიდუალურ შეთავაზებას.

ფიზიკურ თანყოფასთან დაკავშირებით, საყურადღებოა სსკ-ის 330-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით სამომხმარებლო ხელშეკრულებათა უმრავლესობა თანმყოფ პირებს შორის იდება. ასეთებად კი ითვლებიან არამხოლოდ ფიზიკურად ერთად მყოფი პირები, არამედ პირებიც რომლებსაც

<sup>181</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council.

<sup>182</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art 3 (5).

ერთმანეთთან სასაუბრო კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა აქვთ<sup>183</sup> <sup>184</sup>. ქართული სამართლის მიხედვით თანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი ხასიათდება იმ თავისებურებით, რომ პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. ტერმინი „მაშინვე“ არ გულისხმობს წუთებს და წამებს, ეს ინდივიდუალური შეფასების საგანია. თუმცა, დაზუსტებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ შემთხვევის დროს ოფერტის მიღება უნდა მოხდეს, რაც შეიძლება სწრაფად, არსებული რეალობიდან გამომდინარე.

## 2.2. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ფორმა

მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადება, შეთანხმების მიღწევა, ყოველთვის ხდება გარკვეული ფორმით. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კი აუცილებელია მხარის მიერ გამოხატული ნება მოქცეული იყოს კანონით დადგენილი ფორმის ფარგლებში.<sup>185</sup> ზოგადი წესის თანახმად, არ არსებობს ფორმა – არ არსებობს უფლებაც. ბესარიონ ზოიძე გარიგების ფორმას მოწესრიგებული, უსაფრთხო და გარანტირებული სამოქალაქო ბრუნვის საფუძვლად მიიჩნევს.<sup>186</sup> რაც ბუნებრივია, რადგან სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია და ის ვერანაირ სამართლებრივ შედეგებს ვერ წარმოშობს. შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის მეტი სტაბილურობისთვის, ხელშეკრულების ფორმას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი თავის თავში ხელშეკრულების ფორმის თავისუფლებასაც მოიცავს, თუმცა ის შეუზღუდავი არ არის. ხელშეკრულების ფორმის თავისუფალი არჩევანი ერთგვარად გამოხატავს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, თუმცა, ამ პრინციპის შეზღუდვის გამოხატულებაცაა.<sup>187</sup> კანონით ხელშეკრულების ცალკეული სახისთვის დადგენილია სპეციალური ფორმა.<sup>188</sup> როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხელშეკრულება დადებულად ითვლება თუ მხარეები შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ქართულ სამართალში

<sup>183</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 128.

<sup>184</sup> ბაღიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 330, 11.

<sup>185</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 284.

<sup>186</sup> ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007, 26.

<sup>187</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2017, 144-145.

<sup>188</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მაისის განჩინება საქმეზე №ას-29-26-2017.

მოქმედებს ე.წ. სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი,<sup>189</sup> რომლის თანახმად, მხარეებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ ხელშეკრულების ფორმა, მათ ფორმის არჩევის თავისუფლება აქვთ.<sup>190</sup> სსკ–ის 68–ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფალნი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში იმ გამონაკლისების გარდა, როდესაც კანონი პირდაპირ აწესებს ამა თუ იმ ხელშეკრულებისთვის კონკრეტულ ფორმას. ამასთან, სსკ–ის 328–ე მუხლი ადგენს, რომ თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისთვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისთვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება, ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაშია ცნობილი.<sup>191</sup> გერმანული სამართლის თანახმად, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არამარტო გერმანული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მირითადი პრინციპი, არამედ ადამიანის მირითადი უფლებების შემადგენელი ნაწილია.<sup>192</sup> რაც ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან სწორედ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ფარგლებში, თითოეული ჩვენგანი ნების თავისუფალი გამოვლენის პირობებში ახდენს უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო დონეზე რეალიზებას. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპი მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილისათვის.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე, ზეპირი ფორმითაც.<sup>193</sup> საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხელშეკრულებათა უმრავლესობა იდება ზეპირი ფორმით, რადგან მხარეები ერთმანეთთან ურთიერთობისას სიმარტივეს ანიჭებენ უპირატესობას. ზეპირად დადებული გარიგებას წარმოადგენს ასევე, ე.წ. კონკლუდენტური მოქმედებით გარიგების დადება, მაგ. ტრანსპორტში მგზავრობის ღირებულების გადახდისას და სხვა.<sup>194</sup>

როდესაც კანონი პირდაპირ არ მიუთითებს ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაცვის ვალდებულებაზე, მხარეებს შეუძლიათ ასეთი

<sup>189</sup> ქუელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართლი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა მირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 103.

<sup>190</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-696-650-2017.

<sup>191</sup> Tacou Th., Das Verbot von Umgehungsgeschäften und das Prinzip der Vertragsfreiheit im Verbrauchervertragsrecht, 1. Aufl., Baden-Baden 2013, 27.

<sup>192</sup> Tonner K., Schuldrecht, Vertragliche Schuldverhältnisse, §2, Vertragsfreiheit und dispositives und zwingendes Vertragsrecht, 4 Aufl., Rostock 2015, Rn 5.

<sup>193</sup> სსკ, მუხლი 69, ნაწ. 1.

<sup>194</sup> ქუელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართლი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა მირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 71.

სახის ხელშეკრულება ზეპირი ფორმით დადონ.<sup>195</sup> იმ შემთხვევაში კი, როდესაც მეტი წინდახედულობაა საჭირო, მხარეთა უფრო მეტად დაცვის მიზნით, კანონი ადგენს წერილობითი ფორმის სავალდებულოობას.<sup>196</sup> როდესაც კანონი პირდაპირ მიუთითებს ხელშეკრულების სავალდებულო ფორმაზე, მისი მიზანია დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე ნაჩეარევი გადაწყვეტილების მიღებისაგან. ფორმის დაცვის მოთხოვნა ერთგვარად მხარეთა განზრახვის სერიოზულობას ადასტურებს.<sup>197</sup> ბუნებრივია, ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება მხარისაგან მეტ ძალისხმევას მოითხოვს. გარდა ამისა, აღნიშნული ფორმა, მხარეს დაფიქრების შედარებით მეტ დროსა და შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, ის სწორედ მისი ინტერესების დაცვას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება განმტკიცებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვითაც. კერძოდ, თუ კანონით არ არის განსაზღვრული ხელშეკრულების დადების ზუსტი ფორმა, მხარეებს სრული უფლება აქვთ თავად აირჩიონ, ხელშეკრულება დადონ ზეპირად, თუ წერილობით. ამასთან, გსკ-ის 125-ე მუხლი მიუთითებს, რომ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია.<sup>198</sup> წერილობით ფორმასთან მიმართებით კი, გსკ-ის 126-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით დადგენილია წერილობითი ფორმა, მაშინ დოკუმენტი საკუთარი ხელით უნდა იქნეს ხელმოწერილი შემდგენლის მიერ, ან მასზე უნდა გაკეთდეს მისი სანოტარო წესით დამოწმებული ინიციალები.<sup>199</sup> ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გერმანული სამოქალაქო სამართლის სპეციალისტები, მიუხედავად ფორმის თავისუფლების პრინციპისა, ხელშეკრულების წერილობით ფორმას, მისი სანდოობიდან გამომდინარე, მეტ უპირატესობას ანიჭებენ.<sup>200 201</sup>

სსკ-ის 69-ე მუხლის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. შესაბამისად, მხარეები ხელშეკრულების ფორმის არჩევაში თავისუფალნი არიან, მაგრამ კანონი კონკრეტულ შემთხვევებში შეზღუდვებს აწესებს. კანონის მოთხოვნის დარღვევა, ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა,

<sup>195</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 285.

<sup>196</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომიტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამოცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 103.

<sup>197</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტ. II, თბ., 2001, 53.

<sup>198</sup> გსკ-ის §125.

<sup>199</sup> გსკ-ის §126.

<sup>200</sup> Prütting H., Weinreich G., Bürgerliches Gesetzbuch, BGB, Kommentar, 11 Aufl., 2016, §126 Rn. 3.

<sup>201</sup> Vertrauen ist gut, aber Schriftsform ist besser - ნდობა კარგია, მაგრამ წერილობითი ფორმა უკეთესია.

ამ ხელშეკრულების ბათილობას იწვევს.<sup>202</sup> <sup>203</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ განჩინებაში პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად, სამართლებრივი შედეგიც არ მიიღწევა.<sup>204</sup> რაც ლოგიკურია, რადგან თუ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის კანონი პირდაპირ განსაზღვრავს მისი დადების სპეციალურ ფორმას, აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა სამართლებრივ შედეგებს ვერ წარმოშობს.

კანონის იმპერატიული მოთხოვნა ხელშეკრულების წერილობით ფორმასთან დაკავშირებით ერთგვარი პრევენციაა ხელშეკრულების მხარისთვის. ლადო ჭავჭავაძე ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დადებითი მხარეების განხილვისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ კრიტერიუმებზე: 1. მტკიცების მიზანი – მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, ხელშეკრულების წერილობითი ფორმის არსებობისას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, ან პირიქით უარყოფა, საკმაოდ მარტივია; 2. გაფრთხილების მიზანი – წერილობითი ხელშეკრულების დადება გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული, რაც მხარეს აძლევს შესაძლებლობას უფრო კარგად გაიაზროს თავისი ქმედება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგიც; 3. გამიჯვნის მიზანი – წერილობითი ხელშეკრულების დადებისას მხარეები ახდენენ სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს წარმოშობილი საკითხების უკვე დადებული ხელშეკრულების პირობებისგან დიფერენცირებას; 4. საინფორმაციო მიზანი – წერილობით ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა, (მაგ. რომელიც მხარეთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს და ა.შ.) მხარეთათვის სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო გზაა.<sup>205</sup> სამართლის დოქტორი სერგი ჯორბენაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადებას ზეპირ ფორმასთან მიმართებით ერთგვარი უპირატესობაც გააჩნია, რადგან ამ შემთხვევაში ყურადღება არ ექცევა იმას თუ რაზე შეთანხმდნენ მხარეები ზეპირსიტყვიერად, არამედ სამართლებრივი ძალა გააჩნია იმას, თუ რა ჩაიწერა საბოლოოდ ხელშეკრულებაში.<sup>206</sup> ბუნებრივია, ხელშეკრულების

<sup>202</sup> ჭავჭავაძილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა ძირითადად ქართული სამართლის საფუძველზე) მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 70.

<sup>203</sup> მართალია, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როცა გარიგება ძალაში რჩება ფორმის ნაკლის მიუხედავად. იხ. სსკ-ის მუხლი 563.

<sup>204</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მაისის განჩინება საქმეზე №ას-29-26-2017.

<sup>205</sup> ჭავჭავაძე ლ., ზოიძე გ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომინტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 110.

<sup>206</sup> ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2017, 146-147.

წერილობითი ფორმა მხარის უფლებებისა და ვალდებულებების რეალიზების კუთხით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ზეპირი ფორმით დადება. წერილობით ფორმას მეტი სანდოობა გააჩნია და საჭიროების შემთხვევაში მხარის უფლებების დაცვას მაქსიმალურად მაღალ დონეზე უზრუნველყოფს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი ხელშეკრულება შეიძლება იყოს ორი სახის: მარტივი წერილობითი ფორმის და რთული (სანოტარო) ფორმის.<sup>207</sup> ხელშეკრულებათა უმრავლესობისთვის კანონი ითვალისწინებს მარტივ წერილობით ფორმას. მარტივი წერილობითი ფორმის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის საჭიროა მხოლოდ მხარეთა ხელმოწერა.<sup>208</sup> თუმცა, კანონი გარკვეულ შემთხვევებში ითვალისწინებს რთულ წერილობით ფორმას, როდესაც მხოლოდ მხარეთა ხელმოწერა საკმარისი არ არის და აუცილებელია მისი სანოტარო წესით დამოწმება.<sup>209</sup> მაგ. სსკ-ის 289-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილია, რომ იპოთეკის ხელშეკრულება, რომელზედაც მხარეთა შეთანხმებით გაიცემა იპოთეკის მოწმობა, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხარეები ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპის ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ხელშეკრულების ფორმას. თუმცა, ისინი ვერ შეძლებენ კანონით დადგენილი ფორმის უგულებელყოფას.<sup>210</sup> <sup>211</sup> იმ შემთხვევაში, თუ კანონი პირდაპირ მოითხოვს რომელიმე ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადებას, მათ ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა დაიცვან.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ სსკ-ის 336-ე მუხლი კონკრეტულად არ მიუთითებს ამ ხელშეკრულების სავალდებულო ფორმაზე. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე ის შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. თუმცა, ფორმასთან დაკავშირებით დათქმას სსკ-ის მოქმედი 336-ე მუხლი აკეთებს მხოლოდ მის უარყოფასთან მიმართებით. კერძოდ, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარი მომხმარებელმა აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა განაცხადოს, იმის მიუხედავად, ხელშეკრულება წერილობით დაიდო, თუ ზეპირად. მასზე უარის თქმისას კი ზეპირ უარს სამართლებრივი ძალა არ აქვს. ეს ყოველივე, შესაძლოა, ქართული ნორმის

<sup>207</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 104.

<sup>208</sup> სსკ-ის მუხლი 69 ნაწ. 3 - გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

<sup>209</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 344.

<sup>210</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 106.

<sup>211</sup> ბაღიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 328, 28.

ნაკლად ჩაითვალოს, რადგან ამ თვალსაზრისით ის ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან; კერძოდ, სამოქალაქო ბრუნვაში მოქმედი ზოგადი პრინციპის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარი მხარემ იმ ფორმით უნდა განახორციელოს, რა ფორმითაც დადო იგო.<sup>212</sup> ხსენებულიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც სსკ-ის 336-ე მუხლში პირდაპირ მითითებული არ არის ქუჩაში დადებული ხელშეკრულების კონკრეტული ფორმა, მასზე უარის თქმის სავალდებულო ფორმის დაწესება ერთგვარად მიანიშნებს იმაზე, რომ ხელშეკრულებაც აუცილებლად წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს. მნიშვნელოვანია, კანონმდებელმა აღნიშნული გაითვალისწინოს და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმასთან მიმართებით იმპერატიული მოთხოვნა არ დააწესოს. აღნიშნული ხელშეკრულების მხარეებს მისცეს საშუალებას სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ფარგლებში თავად გადაწყვიტონ, თუ რა ფორმით დადონ ხელშეკრულება.

2011/83 დირექტივასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ცნების განმარტებისას ევროპელი კანონმდებელი ყურადღებას ხელშეკრულების ფორმაზე არ ამახვილებს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მისი დადება შეიძლება როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმითაც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმასთან დაკავშირებით მითითებას ის მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების წერილობითი ფორმის კუთხით შეიცავს. აღნიშნული საკითხი დეტალურად განხილული იქნება წინამდებარე ნაშრომის შემდგომ თავებში.

ზემოხსენებულს იზიარებს გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი რეგულაციები და ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით კონკრეტულ მითითებას არ აკეთებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპს ითვალისწინებს ასევე აშშ-ში მოქმედი ფედერალური რეგულაციების კოდექსი, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს კოდექსი მიუთითებს, რომ მყიდველმა მასზე უარი აუცილებლად წერილობით უნდა თქვას. რისთვისაც მომხმარებელს სთავაზობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინასწარ შემუშავებულ ფორმულარს (იხ. დანართი N4).

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით, აუცილებელია ქართველმა კანონმდებელმა გაიზიაროს ევროპელი კანონმდებლის გამოცდილება და ამ სახის ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით გააუქმოს მოთხოვნა მასზე უარის თქმის სავალდებულო წერილობით ფორმასთან დაკავშირებით. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ხელშეკრულებაზე უარი თქვას როგორც წერილობით, ისე ზეპირად. არჩევანი თვითონ უნდა გააკეთოს. თუმცა, მოვაჭრეს შეუძლია ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელს

<sup>212</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 192.

უარის თქმის წინასწარ შემუშავებული ფორმულარი გადასცეს. საყურადღებოა, რომ მომხმარებლისთვის ამ ფორმას სავალდებულო ხასიათი არ უნდა ჰქონდეს, ის მან მხოლოდ ალტერნატივად უნდა განიხილოს. ამ სახის ხელშეკრულების თავისებურებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ყოველგვარი გადატვირთული პროცედურა მაქსიმალურად გამარტივდეს.

### 2.3. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ანგარიშსწორების წესი

ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა გარკვეულწილად დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მოქმედებს.<sup>213 214</sup> ზოგადად, ქართულ სამოქალაქო სამართალში დანიშნულების მიხედვით განსხვავებენ შემდეგი სახის ვადებს:

1. სამოქალაქო უფლების წარმოშობის ვადას;
2. სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადას;
3. ვალდებულების შესრულების ვადას;
4. უფლების დაცვის, ანუ ხანდაზმულობის ვადას.<sup>215 216</sup>

სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადა თავის თავში მოიცავს პირის უფლებას დროის გარკვეულ პერიოდში გამოიყენოს ამ უფლებით განსაზღვრული შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ვადა შეიძლება დადგენილ იქნეს როგორც კანონით (მაგ. საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში), ისე მხარეთა შეთანხმებით.

ხელშეკრულების მოქმედების ვადის განსაზღვრა უშუალო კავშირშია სამოქალაქო სამართალში მოქმედი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან. მხარეები თავისუფალი ნების საფუძველზე და სრული ავტონომიის ფარგლებში, თავად განსაზღვრავენ თუ კონკრეტულად რა პერიოდით დაამყარონ ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობა, დაადგინონ კონკრეტული ვადა, თუ უვადოდ იქონიონ ურთიერთობა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვადა კანონით პირდაპირაა დადგენილი. მაგ. სსკ-ის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღნაგობის უფლების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაცხრამმეტ წელს).

ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 336-ე მუხლის დისპოზიცია მისი მოქმედების ვადასთან დაკავშირებით არანაირ კონკრეტულ დათქმას არ აკეთებს. როგორც

<sup>213</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 351.

<sup>214</sup> კვანტალიანი ნ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I, ჭანტურია (რედ), 2017, მუხლი 121, 1.

<sup>215</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 353.

<sup>216</sup> ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 306-308.

ზემოთ აღინიშნა ამ მუხლთან დაკავშირებული პრაქტიკა ქართულ რეალობაში არ არსებობს, სავარაუდოა, რომ ის შეიძლება დაიდოს როგორც კონკრეტული ვადით, ისე უვადოდ.

მაგალითის სახით შესაძლებელია განხილულ იქნას ერთი შემთხვევის ორი ვარიანტი. გელას, რომელიც დაინტერესებულია სხვადასხვა თემატიკის ურნალების გამოწერით, სანაპიროზე სეირნობისას აჩერებს ერთ-ერთი ურნალის წარმომადგენელი და სთავაზობს 1: ურნალის გამოწერას უახლოესი 6 თვის ვადით, და 2. ურნალის ყოველთვიურ გამოწერას ისე, რომ კონკრეტულ ვადას არ უთითებს. პირველ შემთხვევაში სახეზეა ვადიანი ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, ხოლო მეორე შემთხვევაში – უვადო.

საკმაოდ საინტერესოა ზოგადად სახელშეკრულებო ვადასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მნიშვნელოვანი განმარტება გაკეთდა ვადიან ხელშეკრულებებთან მიმართებით. სუს-მ განმარტა, რომ თუ ხელშეკრულებით დადგენილია კონკრეტული ვადა, მაშინ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წყდება მისი მოქმედება და მთავრდება მხარეთა უფლება-მოვალეობებიც. სუსგ-ის თანახმად, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების დასრულების ვადა ცნობილია, მას აღმკვეთი ხასიათი აქვს – ის ასრულებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობას. როდესაც ხელშეკრულებით კონკრეტული ვადაა განსაზღვრული, მაშინ ამ ვადის დადგომის შემდგომ ის უკვე ვადაგადაცილებულად მიიჩნევა.<sup>217</sup> სუს-ის ხსენებული განმარტება გასაზიარებელია, რადგან, როდესაც მხარეები წინასწარ განსაზღვრავენ ხელშეკრულების მოქმედების ვადას, ლოგიკურია, რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები წყდება და უფლება-მოვალეობებიც სრულდება.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით, საკმაოდ საინტერესოა 2011/83 დირექტივის ნორმები. მართალია, დირექტივა პირდაპირ ვადასთან დაკავშირებით სპეციალურ დებულებას არ შეიცავს, თუმცა, მე-6 მუხლის (1) პუნქტის (p) ქვეპუნქტში, სადაც საუბარია მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე, აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ესეთი ინფორმაცია უნდა ეხებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. კერძოდ, 2011/83 დირექტივა ადგენს, რომ სადაც შესაძლებელია, მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების მინიმალური მოქმედების ვადასთან დაკავშირებით მაინც.<sup>218</sup> მან უნდა იცოდეს რა პერიოდის განმავლობაში აკისრია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

<sup>217</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-1034-992 (კ-09).

<sup>218</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 6 (1) (p).

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი რეგულაციები, ისევე როგორც „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის არსებული ვერსია, სრულ შესაბამისობაშია 2011/83 დირექტივის დებულებებთან - კონკრეტულ ვადებთან დაკავშირებით მითითება არ კეთდება.

ამ შემთხვევაში ვადებთან დაკავშირებით, ევროპელი კანონმდებლის მსგავსად, რაიმე განსხვავებულ დათქმას ქუჩაში დადებულ ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით არც ამერიკელი კანონმდებელი გვთავაზობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო სამართალში მოქმედი თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით, ყოველი კონკრეტული ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მხარეები თავად ღებულობენ გადაწყვეტილებას მისი მოქმედების ვადასთან დაკავშირებით. ისინი თავად წყვეტენ, თუ რა ვადით სურთ მონაწილეობის მიღება ამა თუ იმ სახელშეკრულებო ურთიერთობაში. შესაბამისად, სასურველია, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც გათვალისწინებულ იქნეს ხსენებული პრინციპი და მომხმარებელი აღარ იყოს შეზღუდული ამ სახის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით.

საკმაოდ საინტერესოა განხილულ იქნას ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას ანგარიშსწორების საკითხი. ზოგადად, მსგავსი ტიპის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ანგარიშსწორების თაობაზე სპეციალურ დათქმას არ აკეთებს არცერთი კანონმდებელი. სავარაუდოა, რომ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორებითაც. საინტერესოა, შესაძლებელია, თუ არა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას მოძრავი ნივთის შემენა გადახდის განვადების პირობით. სსკ–ის 505-ე მუხლის თანახმად, გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნივთი ფასის გადახდამდე, ხოლო საფასურს მყიდველი გადაიხდის ნაწილ–ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში.<sup>219</sup> აღსანიშნავია, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება საქართველოში საკმაოდ ხშირად იდება, ქართველი მომხმარებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკას, უძრავ, თუ მოძრავ ქონებას საკმაოდ აქტიურად იმენს სწორედ განვადების პირობით. შესაბამისად, არ უნდა იქნას გამორიცხული ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას რაიმე ნივთის შემენა, თუ მომსახურების გაწევა განვადების პირობით, თუ ხელშეკრულების მხარეები ამაზე შეთანხმდებიან.

#### **2.4. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დრო და ადგილი**

ნებისმიერი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებში აუცილებელია განისაზღვროს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დრო, რადგან სწორედ ამ

<sup>219</sup> სსკ, მუხლი 505.

დროიდან ხდება მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა.<sup>220</sup> ხელშეკრულების დადებით მხარეები ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ხდებიან. უფლება-მოვალეობები მხარეებს წარმოეშობათ მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება ძალაში შევა, ამოქმედდება.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ძალაში შესვლის თვალსაზრისით გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. ძირითადად, ამ სახის ხელშეკრულების ძალაში შესვლა დამოკიდებულია მომხმარებლის მიერ მასი უარყოფის უფლების გამოუყენებლობაზე.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულება არ განეკუთვნება ვალდებულების განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებულ კლასიკურ ხელშეკრულებათა რიცხვს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულება თანამედროვეობის უპირობო გამოძახილია - მას გარკვეული, სპეციფიკური ნიშან-თვისებები აქვს. გამონაკლისი ამ თვალსაზრისით არც ამ სახის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დრო და ადგილია. შესაბამისად, აუცილებელია, უფრო დეტალურად იქნას განხილული თითოეული მათგანი.

სსკ-ის 336-ე მუხლის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მას 7 დღის ვადაში წერილობით არ უარყოფს. ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება მისი დადებისთანავე არ შესრულდა.

აღსანიშნავია, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულება მერყევად ბათილ გარიგებათა რიცხვს განეკუთვნება, რადგან მისი ძალაში შესვლა დამოკიდებულია 7 დღის ვადაში მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოუყენებლობაზე. უფრო კონკრეტულად კი, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც გავა მომხმარებლისთვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებისათვის განსაზღვრული 7 დღიანი ვადა.

ქართულ ნორმასთან დაკავშირებით, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროსთან მიმართებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ შემთხვევაზე, როდესაც ხელშეკრულება დადებისთანავე სრულდება და როდესაც ხელშეკრულება იდება, ხოლო მისი შესრულება რამდენიმე დღის შემდეგ ხდება.

ჰიპოთეტური მაგალითის სახით შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი შემთხვევა: სახლისაკენ მიმავალ ნინოს სადარბაზოსთან შეხვდება მობილური ტელეფონის მწარმოებელი კომპანიის ორი წარმომადგენელი, რომლებიც მას მათი პროდუქტის შეძენას შესთავაზებენ. ნინოც დაუფიქრებლად თანხმდება და დებს ხელშეკრულებას, იძენს ტელეფონს და საფასურსაც სრულად იხდის. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უდავოა ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების დადებისა და ძალაში შესვლის დრო ერთმანეთს ემთხვევა და სსკ-ის 336-ე მუხლის შესაბამისად, მომხმარებელს აღარ აქვს უფლება უარყოს ეს ხელშეკრულება – ხელშეკრულება დაიდო და

<sup>220</sup> ბაღიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 327, 3.

დადებისთანავე შესრულდა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელს არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის 7 დღიანი ვადის გამოყენების უფლება, ეს არ ცვლის ფაქტობრივ გარემოებას – სახეზეა ქუჩაში დადებული ხელშეკრულება და არა რომელიმე სხვა. ამ შემთხვევაში მომხმარებელი უბრალოდ ვერ ახერხებს ხელშეკრულებაზე უარის თქმას სსკ-ის დადგენილი დათქმიდან გამომდინარე, რადგან ის დადებისთანავე შესრულდა.

იურისტთა ერთი ნაწილი ამ მუხლის მთავარ ხარვეზად სწორედ ამ დათქმის არსებობას მიიჩნევს. სამომხმარებლო ხელშეკრულებები უმრავლეს შემთხვევაში მისი დადებისთანავე სრულდება, შესაბამისად, მომხმარებელი კარგავს იმ დაცვის მექანიზმს, რითაც ეს ხელშეკრულება განსაკუთრებული და გამორჩეულია. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება მოქცევა თუ არა სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების სახის ქვეშ, კერძოდ ჩაითვლება ის ქუჩაში დადებულად თუ არა, არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს.<sup>221</sup> <sup>222</sup> როდესაც გამოირიცხება სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ამ დროს მოქმედებს ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი წესები და სპეციალური რეგულაციები უკვე აქტუალური აღარ არის.<sup>223</sup> სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული მომხმარებლის დაცვის მექანიზმი ამოქმედდება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება დადებისთანავე არ სრულდება.

მაგ. პარკში სეირნობისას ქეთის, რომელიც დაინტერესებულია სხვადასხვა ხელნაკეთი ნივთების შეძენით, აჩერებს ერთ-ერთი სუვენირების მაღაზიის წარმომადგენელი, რომელიც სთავაზობს კატალოგიდან ნივთების შეძენას, ხელშეკრულების გაფორმებას და შეძენილი ნივთების მეორე დღეს სახლში მიტანას ადგილზე ანგარიშსწორების პირობით. ქეთი, რომელიც მოიხიბლება რამდენიმე ნაკეთობით, დაუფიქრებლად თანხმდება და დებს ხელშეკრულებას. სწორედ ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ როდის შედის ხელშეკრულება ძალაში, როდიდან იწყება სსკ-ით დადგენილი 7 დღიანი ვადის ათვლა: ხელშეკრულების დადების, თუ მისი შესრულების მომენტიდან?

ქართული კანონმდებლობა ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს არ იძლევა. აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს არცერთი სასამართლო გადაწყვეტილებაც. სავარაუდოა, რომ 7 დღიანი ვადის ათვლა სწორედ

<sup>221</sup> ქართულაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა მირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 101-102.

<sup>222</sup> ლაკერბაი თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 151.

<sup>223</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 196.

ხელშეკრულების შესრულების მომენტიდან უნდა დაიწყოს.<sup>224</sup> <sup>225</sup> აღნიშნული მოსაზრება სრულ შესაბამისობაშია, როგორც ამ მუხლის მიზანთან, ისე ზოგადი სამართლიანობის პრინციპებთან. ამ მუხლის მთავარი მიზანი ხომ მომხმარებლის, როგორც ნაკლებად დაცული და „სუსტი“ მხარის ინტერესების და უფლებების დაცვაა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მაგალითის შემთხვევაში, ქეთისთვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის 7 დღიანი ვადის ათვლა დაიწყება მეორე დღეს, როდესაც მას ხელნაკეთ ნივთებს სახლში მიაწვდიან და ის საფასურს გადაიხდის.

როგორც 2011/83 დირექტივა, ისე გერმანელი კანონმდებელი, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროს უკავშირებენ მომხმარებლის მიერ მისი უარყოფის უფლების გამოუყენებლობას. კერძოდ, ასეთი ხელშეკრულება ძალაშია, თუ მომხმარებელი მას 14 დღის განმავლობაში არ უარყოფს. ამასთან, 2011/83 დირექტივის მე-9 მუხლში კონკრეტულად, ხელშეკრულების სახეების მიხედვით დადგენილია, თუ რა დროიდან ხდება მომხმარებლისთვის უარის თქმის უფლების გამოყენებისთვის გათვალისწინებული 14 დღიანი ვადის ათვლა – მაგ. მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულების დადების დღიდან; ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, დღიდან, როდესაც მომხმარებელი, ან მის მიერ განსაზღვრული მესამე მხარე, გადამზიდავის გარდა, ნივთს ეუფლება ფიზიკურად და ა.შ.<sup>226</sup>

გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი წესები სრულ შესაბამისობაშია 2011/83 დირექტივის მოთხოვნებთან<sup>227</sup>, ხოლო აშშ მოქმედი CFR კოდექსი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის საკითხს უკავშირებს მყიდველის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმისთვის განსაზღვრულ 3 დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლას<sup>228</sup>.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის ზუსტი დროის დადგენის კუთხით სსკ-ის 336-ე მუხლი საკმაოდ არასრულადაა ფორმულირებული. აუცილებელია, ნორმის შემადგენლობაში უფრო ზუსტად და კონკრეტულად აღინიშნოს, თუ როდის შედის ხელშეკრულება ძალაში. ამ მომენტის დადგენა მჭიდრო კავშირშია მუხლის მთავარ ღირებულებასთან – მასზე უარის თქმის შესაძლებლობასთან, რომელიც თავის მხრივ დროში

<sup>224</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 197.

<sup>225</sup> ბაღიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 336, 24.

<sup>226</sup> 2011/83 დირექტივის აღნიშნული მუხლი უფრო დეტალურად განხილული იქნება წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მე-4 თავში, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან მიმართებით.

<sup>227</sup> Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations 2013, Art. 30, <<http://www.legislation.gov.uk/uksi/2013/3134/introduction/made>>.

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2019.

<sup>228</sup> Code of Federal Regulations. §429.1, <<https://www.law.cornell.edu/cfr/text>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.05.2019.

შეზღუდული უფლებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სსკ-ის ნორმის ისეთი ჩამოყალიბება, რომ ხელშეკრულების მიზანი, მომხმარებელთა უფლებების დაცვა განხორციელდეს.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მისი დადების ადგილია. სწორედ ამ სახის ხელშეკრულების დადების ადგილია მისი სპეციალური რეგულირების საფუძველი.<sup>229</sup>

სსკ-ის 336-ე მუხლის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების ადგილი შეიძლება იყოს: ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში, რაც „განმარტებას მოითხოვს, რადგანაც ქუჩის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებამ შეიძლება ბევრი გაუგებრობა გამოიწვიოს“.<sup>230</sup> აღნიშნულთან მიმართებით, შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი შემთხვევა:

მაგ. დიანა პარკში სეირნობისას შეამჩნევს ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვის მიზნით ორგანიზებულ ბაზრობას და გადაწყვეტს თავისი შვილისთვის, მარიამისთვის შეიძინოს რამდენიმე ნივთი. ყიდულობს მათ, იხდის საფასურს და შინ ბრუნდება. სახლში კი აღმოაჩენს რომ მარიამს აღნიშნული ნივთები არ მოეწონა, რის შემდეგაც დიანას მათი უკან დაბრუნება სურს. მართალია, ამ დროს ნივთების შეძენა ნამდვილად წარმოადგენს „ქუჩაში“ დადებულ ხელშეკრულებას ადგილმდებარეობის გამო, მაგრამ ის ვერ მოექცევა სსკ-ის 336-ე მუხლის მოქმედების სფეროში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დიანა გამიზნულად მოქმედებდა, თავად შეამჩნია ნივთების გამოფენა-გაყიდვა, სრულიად გააზრებულად დადო ნასყიდობის ხელშეკრულება სპეციალურად ამ მიზნით მოწყობის ადგილას. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზე არ არის ამ სახის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი მთავარი ელემენტი – მოულოდნელობა, მხოლოდ ადგილმდებარეობის გამო ის ქუჩაში დადებულად ვერ ჩაითვლება. ამ შემთხვევაში სახეზე სტანდარტული ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ტერმინი „ქუჩა“ მხოლოდ პირდაპირი გაგებით არ იქნას აღქმული მომხმარებელთა მიერ. აქ მთავარი გადაწყვეტი ფაქტორი უნდა იყოს ხელშეკრულების დადების თაობაზე სპონტანური გადაწყვეტილება და ე.წ. არასახელშეკრულებო გარემო. „ქუჩა 336-ე მუხლის მიზნებისთვის, უნდა განიმარტოს როგორც ადგილი, სადაც მოვაჭრე დროებით იმყოფება.“<sup>231</sup> თუ ხელშეკრულების დადების ადგილი მოვაჭრის მუდმივი ადგილსამყოფელია, სადაც ის ახდენს საქონლის გაყიდვას,

<sup>229</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 194.

<sup>230</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე გ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 151.

<sup>231</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 195.

ან მომსახურების გაწევას, მომხმარებელი უკვე ვეღარ ისარგებლებს სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით.

ქართული ნორმის დისპოზიციაში აღნიშნული ტერმინი „საკუთარი სარეწი“, ზოგადად, მიიჩნევა მომსახურების გამწევი პირის, ან საქონლის მიმწოდებლის მუდმივ ადგილსამყოფელად, მაგრამ ამ ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ კონკრეტული ხელშეკრულების დადება სწორედ რომ მოვაჭრის მუდმივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება ჩვეულებრივი სახის ნასყიდობა, ნარდობა და ა.შ.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სსკ-ის 336-ე მუხლში გათვალისწინებული სხვა ტერმინები, კერძოდ, სახლში და მსგავს ადგილებში უნდა განიმარტოს, არა მათი პირდაპირ მნიშვნელობის მიხედვით, არამედ მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების დადების სპონტანურობიდან გამომდინარე. გასაზიარებელია ლადო ჭანტურის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი სადაც წინასწარ ხდება რაიმეს შეთავაზება, 336-ე მუხლით გათვალისწინებულ ადგილად ვერ ჩაითვლება.<sup>232</sup> ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მომხმარებელმა ხელშეკრულება უნდა დადოს იქ, სადაც არ ელის ზოგადად არანაირი სახის ხელშეკრულების დადებას, „არასახელშეკრულებო გარემოში“ სრულიად მოულოდნელად და სპონტანურად.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გსკ-მა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების თვალსაზრისით რიგი ცვლილებები განიცადა და დღეს უკვე სრულიად სხვა შემადგენლობა აქვს. არსებული რედაქცია სრულად იმეორებს 2011/83 დირექტივას. თუმცა, 2014 წლამდე მოქმედი 312-ე პარაგრაფი მაინც აქტუალურია ზოგადად ამ ხელშეკრულების დადების ადგილის დეფინიციის თვალსაზრისით. გერმანელმა კანონმდებელმა ბევრ სხვა ცვლილებასთან ერთად გააფართოვა ამ სახის ხელშეკრულებათა დადების ადგილის ცნება, თუმცა ამ ნორმის ადრეული რედაქციის საფუძველზე, საკმაოდ დიდი პრაქტიკა ჩამოყალიბდა. გერმანელი კერძო სამართლის სპეციალისტები დეტალურად განმარტავენ კომენტარებში მისი დადების ადგილს, რაც ამ კუთხით აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს. კერძოდ, 312-ე პარაგრაფის ძველი რედაქციის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების ადგილი შეიძლებოდა ყოფილიყო: 1. მომხმარებლის სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი; 2. მოვაჭრის ან მესამე პირის მიერ, აგრეთვე სულ ცოტა, მოვაჭრის ინტერესებში ორგანიზებული, თავისუფალი დროის გატარების ღონისძიებასთან დაკავშირებული ადგილები; 3. სატრანსპორტო სამუშაოების უეცარი მოახლოების შედეგად ან ღია საჯარო ადგილზე. ამასთან, მომხმარებლის სამუშაო და საცხოვრებელ ადგილს მიეკუთვნება როგორც

<sup>232</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 153.

მთლიანი საცხოვრებელი ბინა, ასევე მისი მხოლოდ შემოსასვლელი, ან ბაღი.<sup>233</sup> შეიძლება ეს ადგილი, ასევე იყოს სახლის წინ მდებარე ქუჩაც. მნიშვნელოვანი ფაქტორი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას მომხმარებლის პირადი სფეროა (*Privatspäre*). სწორედ ამიტომ არ განეკუთვნება ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას მისი დადება მაგ. მომხმარებლის მიერ დროებით დაქირავებულ სასტუმროს ნომერში და ა.შ.<sup>234</sup> ხოლო, რაც შეეხება სამუშაო ადგილს, მასში შეიძლება მოაზრებულ იქნას არამხოლოდ ადგილი, სადაც მომხმარებელი უშუალოდ მუშაობს, არამედ ის ადგილებიც, რომელთანაც მომხმარებელს სამსახურეობრივი კავშირები აქვს და თავისი სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებით ხშირად უხდება ყოფნა.<sup>235</sup>

ასევე, მოვაჭრის, ან მესამე პირის მიერ, სულ ცოტა, მოვაჭრის ინტერესებში ორგანიზებული, თავისუფალი დროის გატარების ღონისძიებასთან დაკავშირებულ ადგილებში მოიაზრება ძირითადად ტურისტული ღონისძიებები. თუმცა, დროთა განმავლობაში, არსებული რეალობიდან და სიახლეებიდან გამომდინარე, ეს ტერმინი უფრო და უფრო ფართოვდება და მრავალფეროვანი ხდება. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორი თავისუფალი დროის გატარების ღონისძიებებთან დაკავშირებით არის ის, რომ მისი ორგანიზება უნდა ხდებოდეს მოვაჭრის, ან იმ მესამე პირის მიერ, რომელიც მოვაჭრის ინტერესებში მოქმედებს.<sup>236</sup>

აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო საშუალების უეცარი მოახლოების შედეგად, ან ღია საჯარო ადგილზე ქუჩაში დადებული ხელშეკრულების კონტექსტით მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა მოიაზრება კონკრეტულად სატრანსპორტო საშუალებებში. გერმანელი სამოქალაქო სამართლის სპეციალისტების აზრით, მათ განეკუთვნება როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და საპარაზო ტრანსპორტი. რაც შეეხება საჯარო ადგილს, ის საკმაოდ მრავლისმომცველი ტერმინია. მას ძირითადად განეკუთვნება მოედნები, სკვერები, კინოთეატრები, მუზეუმები და ა.შ.<sup>237</sup>

საყურადღებოა, რომ ამ ნორმის ქართული ანალოგი არ შეიცავს მსგავს დეტალურ დეფინიციას. მეცნიერული თვალსაზრისითაც აღნიშნული საკითხი შესწავლილი არ არის. მხოლოდ სსკ-ის კომენტარშია განხილული სამი შემთხვევა, რომელიც განმარტავს თუ რა იგულისხმება სსკ-ის 336-ე მუხლში აღნიშნულ ხელშეკრულების დადების ადგილში. მომხმარებელს კი საკმაოდ აბნევს ნორმის ბუნდოვანი შემადგენლობა. ეს ყველაფერი თავის

<sup>233</sup> Junker M., *Juris PraxisKommentar*, Band 2.1. Teil 1; §§241 bis 432, 5. Aufl., Saarbrücken 2010, §312 Rn. 58.

<sup>234</sup> Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Schuldrecht Allgemeiner Teil, Band 2. 5. Aufl., München 2007, §312 Rn. 41.

<sup>235</sup> Palandt O., (Hrsg.) bearbeitet von Brudermüller G., Götz I., Herrler S., Thorn K., Weidlich D., Ellenberger J., Grüneberg Ch., Sprau H., Weidenkaff W., Wicke H., Bürgerliches Gesetzbuch, Band 7. 77. Aufl., München 2018, §312 Rn. 14.

<sup>236</sup> Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Schuldrecht Allgemeiner Teil, Band 2. 5. Aufl., München 2007, §312 Rn. 46.

<sup>237</sup> იქვე.

მხრივ, საკმაოდ ართულებს ზემოაღნიშნული ნორმის პრაქტიკაში გამოყენებას.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების ადგილს საკმაოდ ვრცლად განმარტავს 2011/83 დირექტივა. კერძოდ, დირექტივის მე-2 მუხლის დეფინიცია ამ ხელშეკრულების დადების ადგილთან დაკავშირებით ყურადღებას ამახვილებს 3 ასპექტზე. ესენია: როდესაც მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ხელშეკრულება იდება მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ, მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებში მაგრამ დაუყოვნებლივ მას შემდეგ რაც მომხმარებელმა აღნიშნულის თაობაზე პირადად ან ინდივიდუალურად შეთავაზება მიიღო მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ და როდესაც ხელშეკრულება მხარეებს შორის იდება მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსის დროს.<sup>238</sup>

ამასთან, 2011/83 დირექტივის ამავე მუხლის მე-8 პუნქტში განმარტება კეთდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოიაზრება მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებში. კერძოდ, მასში იგულისხმება ნებისმიერი უძრავი საცალო სავაჭრო დაწესებულება, სადაც მოვაჭრე მუდმივად ახორციელებს თავის საქმიანობას, და ასევე, ისეთი მოძრავი საცალო სავაჭრო ობიექტი, სადაც მოვაჭრე ჩვეულებისამებრ ახორციელებს თავის საქმიანობას.<sup>239</sup> <sup>240</sup> ამასთან, 2011/83 დირექტივა პრეამბულაში უფრო ვრცლად განმარტავს თუ რას შეიძლება მოიცავდეს მოვაჭრის საქმიანობის ადგილი. უფრო კონკრეტულად კი, მასში აუცილებლად უნდა შედიოდეს ის დაწესებულებები, სადაც მოვაჭრე მუდმივად, ან როგორც წესი ჩვეულებრივ, ეწევა სავაჭრო საქმიანობას. ესენია მაგ. მაღაზიები, ჯიხურები, მოძრავი ჯიხურები და სხვა. სავაჭრო დახლი და ე.წ. სავაჭრო „სტენდი“ შეიძლება ჩაითვალოს სავაჭრო საქმიანობის ადგილად, თუ მოვაჭრე ამ ადგილებზე ახორციელებს თავის საქმიანობას მუდმივად, ან ჩვეულებისამებრ. საცალო ვაჭრობის ადგილი, სადაც მოვაჭრე თავის საქმიანობას ახორციელებს სეზონების მიხედვით, მაგ. საზღვაო, ან საზამთრო კურორტზე, თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს როგორც მოვაჭრის საქმიანობის ადგილის ფარგლები.<sup>241</sup> ხოლო, საჯაროდ ხელმისაწვდომი ადგილები, ისეთები როგორიცაა ქუჩა, სავაჭრო ცენტრი, სანაპირო, სპორტული დაწესებულებები და საჯარო ტრანსპორტი, კერძო სახლები და სამუშაო ადგილები, რომელსაც მოვაჭრე თავისი საქმიანობისთვის იყენებს

<sup>238</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 2 (8).

<sup>239</sup> Trieten D., Baumgartner T., Brunner A., (Hrsg.) Verbrauchervertragsrecht der Europäischen Union, Zürich 2017, 2 Teil – Allgemeine Anforderungen an Verbraucherverträge, 128.

<sup>240</sup> Tamm M., Tonner K., Verbraucherrecht, Rechtliches Umfeld, Vertragstypen, Rechtsdurchsetzung, Beratungshandbuch, 2. Aufl., Baden-Baden 2016, Rn. 46.

<sup>241</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Recital 22.

მხოლოდ გამონაკლისი და იშვიათი შემთხვევების დროს, ნამდვილად ვერ ჩაითვლება მოვაჭრის მუდმივი საქმიანობის ადგილად. სავარაუდოდ, სწორედ ასეთ ადგილებში დადებული ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებად.

უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დეფინიციაში, ასევე გულისხმობს სიტუაციას, როდესაც მომხმარებელმა შეთავაზება ხელშეკრულების დადების თაობაზე მიიღო პირადად და ინდივიდუალურად ადგილზე, რომელიც არ წარმოადგენს მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ ადგილს, მაგრამ ხელშეკრულების დადება მოხდა ამის შემდეგ, დაუყოვნებლივ, მოვაჭრის კომერციული საქმიანობის ფარგლებში, ან მხარეთა დაუსწრებლად, დისტანციური კომუნიკაციების საშუალებით. 2011/83 დირექტივის პრეამბულის თანახმად, ეს დეფინიცია არ მოიცავს შემთხვევებს, რომლის დროსაც მოვაჭრე თავდაპირველად მიდის მომხმარებლის სახლში, რათა გაუწიოს კონსულტაცია, წარუდგინოს ხარჯთაღრიცხვა ან განახორციელოს მაგ. აზომვითი საქმიანობა და მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულება იდება მოვაჭრის კომერციული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში, ან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით. ამ დროს ხელშეკრულება არ ითვლება დაუყოვნებლივ დადებულად, რადგან მომხმარებელს ჰქონდა საკმარისი დრო ხელშეკრულების დადებამდე, რათა გაეაზრებინა მოვაჭრის მიერ წარმოდგენილი შეთავაზება, დაფიქრებულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ დაედო ხელშეკრულება. ეს ძირითადად ისეთი შემთხვევაა, როდესაც მომხმარებელი შეთავაზებას ხელშეკრულების დადებას მიიღებს მოულოდნელად, მაგ. პარკში სეირნობისას, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ ხელშეკრულების დადება ხდება უკვე მოვაჭრის უშუალო საქმიანობის ადგილას.

რაც შეეხება მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების სპეციფიკას. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „ექსკურსია“ არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ მისი პირდაპირი მნიშვნელობით, ისე როგორც ეს უმრავლეს შემთხვევაში ხდება. აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინთან დაკავშირებით საკმაოდ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ; კერძოდ, საქმეში Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis – C-423/97<sup>242</sup> მეს-მ განმარტა, რომ თუ ხელშეკრულება იდება ისეთ სიტუაციაში, როდესაც მოვაჭრემ მომხმარებელი მიიწვია პირადად, კონკრეტულ ადგილას, რომელიც საკმაოდ მოშორებით მდებარეობს მომხმარებლის საცხოვრებელი ადგილიდან და ამასთან, არ წარმოადგენს მოვაჭრის საქმიანობის განხორციელების ადგილს და არ შეიძლება აღქმული იქნას როგორც სავაჭრო დაწესებულება, ამ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხელშეკრულება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დაიდო სწორედ რომ მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის

<sup>242</sup> *Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis – C-423/97* (ECJ, 22 April 1999), <<http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?docid=101602&doctlang=en>>, უკანასკნელად იქანი გადამოწმებული - 1.05.2019.

დოროს. შესაბამისად, ეს შემთხვევა თავისუფლად შეიძლება შეფასდეს როგორც ქუჩაში დადებული ხელშეკრულება. ჰიპოთეტურად შეიძლება განხილულ იქნას შემდეგი მაგალითი: თბილისში მცხოვრები ანა, სატელუფონო შეტყობინებას მიიღებს გარკვეული ღონისძიების შესახებ, რომელიც მცხეთაში იმართება, მიემგზავრება და უკვე ადგილზე მიღებული შემოთავაზების შედეგად, რასაც არ ელოდა, შეიძენს რაიმე ნივთს, ან მიიღებს კონკრეტულ მომსახურებაზე შეთავაზებას და თანხმდება. ეს შემთხვევა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსის ფარგლებში.

გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგულაციის მე-5 მუხლი<sup>243</sup> პრაქტიკულად წარმოადგენს ზემოაღნიშნული 2011/83 დირექტივით დადგენილი ჩამონათვალის ანალოგს და ზუსტად იმეორებს მას.

CFR კოდექსის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების ადგილად განსაზღვრულია ყველა ის ადგილი, სადაც მყიდველმა მიიღო წინადადება ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით და ეს ადგილი არ წარმოადგენს გამყიდველის საქმიანობის ადგილს. ყველა სხვა ადგილში მოიაზრება მყიდველის საცხოვრებელი ადგილი, მის მიერ დროებით ან ხანმოკლე ვადით დაქირავებული საცხოვრებელი ადგილი, მაგ. სასტუმროს ნომერი, ბაზრის მოედანი, რესტორანი, მყიდველის სამუშაო ადგილი, ან საერთო საცხოვრებელი.<sup>244</sup> გამყიდველის საქმიანობის ადგილს წარმოადგენს გამყიდველის მირითადი ოფისის, ან ფილიალის ადგილმდებარეობა.<sup>245</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობას სწორედ ზემოაღნიშნული 2011/83 დირექტივა აქვთ რეცეფცირებული თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. თუმცა, ზოგიერთ მათგანს ამ სახის ხელშეკრულებები რეგულირებული აქვს სამოქალაქო კოდექსშიც (გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ა.შ.), ზოგი კი მას მხოლოდ ცალკე სამართლებრივი აქტით აწესრიგებს (გაერთიანებული სამეფო, ბელგია, დანია და ა.შ.), რაც განპირობებულია იმით, რომ მსგავსი ხელშეკრულებები ხშირად არის როგორც საჯარო, ისე კერძო ურთიერთობების რეგულაციის საწყისი.<sup>246</sup>

აღნიშნული თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ქართული სამოქალაქო სამართლის მიდგომა. დღეის მდგომარეობით ქუჩაში დადებული ხელშეკრულება მოწესრიგებულია სსკ-ის 336-ე მუხლში და როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მიმდინარეობს მუშაობა მომხმარებლის

<sup>243</sup> The Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations 2013, <<http://www.legislation.gov.uk/uksi/2013/3134/introduction/made>>,

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2019.

<sup>244</sup> Code of Federal Regulations. §429.0, <<https://www.law.cornell.edu/cfr/text>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.05.2019.

<sup>245</sup> იქვე, §429.0. 6 (d).

<sup>246</sup> Joustra C., Towards a European Civil Code, 138.

უფლებების დაცვის შესახებ კანონზე, რომელიც ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას და მასთან დაკავშირებული საკითხებს საკმაოდ დეტალურად დაარეგულირებს. შესაძლებელია, ქართველ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა მიიჩნიოს, რომ ცალკე კანონის არსებობის შემთხვევაში, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მოწესრიგება სამოქალაქო კოდექსით მიზანშეწონილი აღარ არის. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზოგადად ამ მუხლის მთავარი მიზანი, მომხმარებელთა უფლებების, „სუსტი“ მხარის ინტერესების დაცვა, რომელიც საკმაოდ დიდი ფასეულობაა. ეს მუხლი ორიენტირებულია არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული პირის, არამედ თითოეული ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. შესაბამისად, მისი უფლებების დაცვის მეტი ეფექტურობისთვის მიზანშეწონილი იქნება, თუ სამოქალაქო კოდექსში მისი მარეგულირებელი ზოგადი ნორმა დარჩება, დეტალური რეგულაცია კი ცალკე კანონით მოწესრიგდება.

## 2.5. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დასრულების საფუძვლები

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის ხელშეკრულების და ზოგადად, ვალდებულების, მთავარი მიზანია მხარეებმა მიიღონ ის სარგებელი ან/და შესრულება, რასაც ისახავდნენ მიზნად ამ სახის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფორმირებისას. აღსანიშნავია, რომ 2011/83 დირექტივა არ არეგულირებს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის კონკრეტულ საკითხებს, რადგან ეს თითოეული წევრი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის რეგულირების სფეროს განეკუთვნება. შესაბამისად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების განხილვა სსკ-ის გათვალისწინებული ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებთან მიმართებით მოხდება.

სსკ-ის 427-454-ე მუხლები ვალდებულების შეწყვეტის კლასიკურ შემთხვევებს არეგულირებს. ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებია: კრედიტორის სასარგებლოდ შესრულება; ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით; დეპონირება; ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა; ვალის პატიება, და კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით ვალდებულების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული და მთავარია საფუძველია.<sup>247</sup> კონკრეტული ვალდებულების ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულებისას მხარეთა შორის ამ ვალდებულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობებიც წყდება. მხარეებმა მიიღეს ის, რისი განზრახვაც თავიდანვე ჰქონდათ. სსკ-ის 427-ე

<sup>247</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 82.

მუხლის თანახმად, კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით, მხარეთა შორის ვალდებულებით ურთიერთობა წყდება. შესაბამისად, ამ ურთიერთობის გაგრძელების სამართლებრივი საფუძველიც აღარ არსებობს.<sup>248</sup> <sup>249</sup> მაგალითისათვის, შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი შემთხვევა: მეტროში მგზავრობისას გიორგის შეხვდება მობილური ტელეფონის აქსესუარების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი და შესთავაზებს მას აქსესუარებს საკმაოდ ხელსაყრელ ფასად და მეორე დღეს მათ სახლში მიწოდებას. გიორგის მოეწონება შეთავაზება თანხმდება მას, იხდის საფასურს და კომპანიის წარმომადგენელი მას მეორე დღეს სახლში გადასცემს შესაბამის აქსესუარებს. ამ შემთხვევაში მხარეებმა გააფორმეს ქუჩაში დადებული ხელშეკრულება და დაასრულეს ის შესრულებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ–ის 427–ე მუხლით გათვალისწინებული შესრულება, გულისხმობს არა ვალდებულების შესრულებისკენ მიმართულ ქმედებას, ან უმოქმედობას, არამედ ზოგადად ამ სახის ვალდებულების შედეგს.<sup>250</sup> <sup>251</sup>

ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით აუცილებლად მოითხოვს კრედიტორის თანხმობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებულება არ შეწყდება. მაგ. თუ მომხმარებელი და მოვაჭრე ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებას გააფორმებენ სამსუნგის (Samsung) ფირმის მობილურ ტელეფონის კონკრეტულ მოდელზე, ხოლო, მოვაჭრე მას ეიფლის (Apple) ფირმის ტელეფონს მიაწვდის, მათ შორის ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეწყდება თუ მომხმარებელი ასეთ შესრულებას მიიღებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვალდებულება წყდება ასევე დეპონირებით. მართალია ხელშეკრულების შესრულებით ორივე მხარე თანაბრად არის დაინტერესებული, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ კრედიტორმა ვალდებულების შესრულების მიღება დააყოვნოს. ამ შემთხვევაში სსკ–ის 434–ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოს ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. მართალია სსკ–ის 336–ე მუხლი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ობიექტთან დაკავშირებით შეზღუდვებს არ შეიცავს, მაგრამ

<sup>248</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 508.

<sup>249</sup> სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 427, 5.

<sup>250</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 509.

<sup>251</sup> სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 427, 7.

2011/83 დირექტივის თანახმად, ამ სახის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, ფული და ფასიანი ქაღალდი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ობიექტი არ შეიძლება იყოს. ამასთან, სსკ–ის 434–ე მუხლის გამოყენება მომსახურების, ან მისი მსგავსი შესრულების დროს არ არის შესაძლებელი.<sup>252</sup> შესაძლებელია განხილულ იქნას შემთხვევა, როდესაც ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ობიექტი მობილური ტელეფონი, ან სხვა მოძრავი ნივთია. მაგალითად, პარკში სეირნობისას ლელას შეხვდება მობილური ტელეფონის მაღაზიის წარმომადგენელი და მოულოდნელად შესთავაზებს მას ტელეფონის საკმაოდ კარგ ფასად შეძენას. ლელა, რომელიც ისედაც ფიქრობდა ტელეფონის გამოცვლას, დებს ხელშეკრულებას და იხდის საფასურს. მხარეები თანხმდებიან, რომ ტელეფონს ლელას 3 დღის განმავლობაში მიაწვდიან. ლელას მეორე დღეს სასწრაფოდ მოუწევს ქალაქიდან გამვზავრება. მაღაზიის წარმომადგენელი ვეღარ ახერხებს ლელასთვის ტელეფონის მიწოდებას. სწორედ მსგავსი შემთხვევის დროს, სსკ–ის 434–ე მუხლის თანახმად, მაღაზიის წარმომადგენელს შეუძლია ისარგებლოს დეპონირების უფლებით და მობილური ტელეფონი შეინახოს სასამართლოში, ან ნოტარიუსთან.

აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სსკ–ის 427–ე მუხლით გათვალისწინებული შესრულება და 434–ე მუხლით მოწესრიგებული დეპონირება ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია. შესრულება მოვალის ვალდებულებაა, მაშინ როდესაც დეპონირება მოვალის უფლებაა.<sup>253</sup> <sup>254</sup> პირველ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოვალისგან შესრულება მოითხოვოს, ხოლო დეპონირებისას, მოვალე თავად იღებს გადაწყვეტილებას ისარგებლოს თუ არა ამ უფლებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ–ის 441–ე მუხლის თანახმად, სასამართლო და ნოტარიუსი შესრულების საგანს 3 წლამდე ვადით ინახავს და თუ მის გასვლამდე არცერთი მხარე არ ჩაიბარებს/დაიბრუნებს მას, მაშინ ის სახელმწიფო ქონებად ჩაითვლება.

ამ სახის ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეთა შორის ურთიერთობოვნათა გაქვითვით ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, ისეთი შემთხვევის დადგომისას, როდესაც მხარეებს ერთმანეთთან ურთიერთობოვნები (საპასუხო მოთხოვნები) ექნებათ მხარეებს შეეძლებათ სსკ–ის 442–446–ე მუხლებით სარგებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

<sup>252</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 532.

<sup>253</sup> იქვე.

<sup>254</sup> სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 434, 3.

მოთხოვნათა გაქვითვა თავად კანონით დაუშვებლადაა ცნობილი (სსკ–ის 447–ე მუხლი).

სსკ–ის 448–ე მუხლით გათვალისწინებულია ვალდებულების შეწყვეტის კიდევ ერთი საფუძველი – ვალდებულების შეწყვეტა ვალის პატიებით. ამ შემთხვევაში მოვალე ვალდებულების შესრულებისგან თავისუფლდება. მაგალითისთვის შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი შემთხვევა: სამსახურიდან სახლში მიმავალ ნინოს გზად შეხვდება საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიის წარმომადგენერლი და შესთავაზებს გაზეურის შეძენას. ნინო დებს ხელშეკრულებას, იხდის საფასურს და მხარეები თანხმდებან, რომ გაზეურას მას მეორე დღეს სახლში მიაწვდიან. თუმცა, მეორე დღეს ნინოს გაზეურას სახლში არ მიუტანენ. იმ შემთხვევაში თუ ნინო უარს იტყვის მაღაზიის წარმომადგენლისგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე, სახეზე იქნება ვალის პატიება. თუმცა, კანონი აუცილებლად მოითხოვს ამ შემთხვევაში მეორე მხარის თანხმობასაც. სსკ–ის 448–ე მუხლის თანახმად, ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით უნდა მოხდეს.

ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლად სამოქალაქო კოდექსი მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება (სსკ–ის 452–ე მუხლი). ვალდებულებით–სამართლებრივ ურთიერთობაში როგორც წესი სულ ცოტა ორი ადამიანი მონაწილეობს, რომლებსაც ერთმანეთის მიმართ შესაბამისი მოთხოვნის უფლება და შესრულების ვალდებულება გააჩნიათ. იმ შემთხვევაში კი როდესაც მოთხოვნისა და შესრულების უფლება ერთ პირს ეკუთვნის ბუნებრივია, რომ ვალდებულება წყდება.<sup>255</sup> <sup>256</sup>

გასათვალისწინებელია ასევე ვალდებულების მხარეთა გარდაცვალების შემთხვევაც. სსკ–ის 453–ე მუხლის პირველი ნაწილით, მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში ვალდებულება წყდება, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე, ხოლო ამავე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას თუ შესრულება პირადად კრედიტორისთვის იყო გათვალისწინებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას მოვაჭრის გარდაცვალება გამოიწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე ფიზიკური პირი იქნება.

სსკ–ის 454–ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან. როგორც უკვე აღინიშნა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს, მოვაჭრე შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირი. იმ შემთხვევაში

<sup>255</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 563.

<sup>256</sup> სვანაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 452, 1-2.

კი როდესაც მოვაჭრე იურიდიული პირია და ვალდებულების შესრულებამდე ამ იურიდიული პირის ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაცია მოხდება, მისი ვალდებულებაც შეწყდება.

აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო ნაშრომის ამ ქვეთავში განხილულ იქნა ვალდებულების დასრულება მისი შეწყვეტით, ხოლო, ვალდებულების დასრულების ისეთი ფორმები, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლა და მოშლა, დეტალურად იქნება განხილული წინამდებარე ნაშრომის შემდგომ თავებში.

### თავი III. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების სტადიაზე მხარეთა მოვალეობები და მათი შეუსრულებლობის შედეგები

ნებისმიერი ხელშეკრულების დადებით თითოეული მხარე გარკვეული უფლება-მოვალეობების მატარებელი ხდება. უფლების განხილვა აუცილებელია მოვალეობის ცნების ჭრილში, რადგან თითქმის ყველა შემთხვევაში, ერთი მხარის უფლებას უპირისპირდება მეორე მხარის მოვალეობა, და პირიქით. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, ნივთის მესაკუთრეს აქვს უფლება საკუთარი ნივთი განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, სხვა პირი კი ვალდებულია არ შეუშალოს მესაკუთრეს ხელი თავისი უფლების განხორციელებაში. შესაბამისად, უფლება პირდაპირ უკავშირდება მოვალეობას.

ქართული სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა თავისუფლებაა.<sup>257</sup> თუმცა, თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება, მასაც თავისი ჩარჩოები აქვს – „თავისუფლება თანამედროვე სამართლებრივ სახელმწიფოში არ ნიშნავს იმას, რომ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე აკეთო ის, რაც გინდა, და არ აკეთო ის, რაც არ გინდა.“<sup>258</sup> თავისუფლების ფარგლები არ შეიძლება დარჩეს გარკვეული სამართლებრივი ჩარჩოს გარეშე. აღნიშნულს მოითხოვს როგორც კერძო, ისე საჯარო, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა, თუ ინტერესების დაცვა.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მხარეებს, გარდა კანონით ზუსტად განსაზღვრული უფლება-მოვალეობებისა, ანიჭებს შესაძლებლობას ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების დადებისას, თავად განსაზღვრონ მათი უფლება-მოვალეობების ფარგლები. თუმცა, მათი გახორციელება მაინც, თანაზომიერების, გულისხმიერების და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს, რაც ზოგადად ნებისმიერი მართლწესრიგის სამართლებრივი რეგულირების კონცეფციაა. კეთილსინდისიერება სუბიექტური შეფასების საგანია. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავისი ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა, რომ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები, კეთილსინდისიერების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებულნი არიან ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემა გამოიჩინონ.<sup>259</sup> ამ ცნების მთავარი მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ პირადი უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით მოქმედება, არამედ სხვისი უფლებების სათანადოდ პატივისცემაც. სამოქალაქო ბრუნვის

<sup>257</sup> კობახიძე ა., სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 85.

<sup>258</sup> ლოლაძე ბ., სიციალური სახელმწიფო - საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები - სტატიათა კრებული, თბილისი 2012, 108.

<sup>259</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე № ას-1338-1376-2014.

თითოეული მონაწილე ვალდებულია საკუთარი უფლებების განხორციელება მოახდინოს ისე, რომ ამით არ შეიღაბოს სხვისი ინტერესი.

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 336-ე მუხლის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს. ნორმის დისპოზიციიდან ნათელია, რომ სსკ-ით ზოგადად განსაზღვრული მხარეთა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებისა, აქ სახეზეა მომხმარებლის მხოლოდ ერთი უფლება – წერილობით უარყოს ხელშეკრულებაზე. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლებაც არ არის აბსოლუტური – მომხმარებელი ვერ უარყოფს ხელშეკრულებას, თუ მისი შესრულება მოხდა დადებისთანავე.

მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ხელშეკრულების შინაარსის დადგენისთვის. ხელშეკრულების თითოეული მხარე დეტალურად უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა სახის უფლება და შესაბამისად რა ვალდებულება ეკისრება მას ამ ურთიერთობის საფუძველზე. საყურადღებოა, რომ ქართული კანონმდებლობა კონკრეტულად ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას მხარეთა უფლება-მოვალეობებს არ აწესრიგებს.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შემთხვევაში, ქართველი კანონმდებლისგან განსხვავებით, უფრო კონკრეტულ რეგულაციებს გვთავაზობს ევროპელი კანონმდებელი. კერძოდ, 2011/83 დირექტივის მესამე თავი (მომხმარებელთა ინფორმირება და ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების დროს) სრულად ეთმობა მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრას. ევროპელი კანონმდებელი ორიენტირებულია ე.წ. „ინფორმირებულ მომხმარებელზე“<sup>260</sup>, რომელსაც გარკვეული სიფრთხილე ახასიათებს. ეს ერთგვარად „ინფორმაციული პარადიგმის“ გამოძახილია - ევროპელი მომხმარებელი მეორე მხარისგან მოითხოვს სათანადო და ადეკვატურ ინფორმირებას.<sup>261</sup> უფრო ზუსტად კი, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს შესაბამისი და რელევანტური ინფორმაციის საფუძველზე.<sup>262</sup> <sup>263</sup> 2011/83 დირექტივის მთავარი ღირებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მომხმარებლის უფლებების დაცვას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იმის გათვალისწინებით, რომ ის ხელშეკრულების

<sup>260</sup> Case C-210/96 (ECJ, 16 July 1998).

<sup>261</sup> Klinck F., Reisenhuber K., (Hrsg.) Verbraucherleitbilder, Interdisziplinäre und Europäische Perspektiven, Schriften zum Europäischen und Internationalen Privat-, Bank- und Wirtschaftsrecht, 1. Aufl., 2015, 115.

<sup>262</sup> Selucka M., the New Civil Code and Protection of a Consumer concluding an off-premises Contract, Brno 2015, 52.

<sup>263</sup> ლაკურბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბ., 2018, 128.

ნაკლებად დაცული მხარეა, მის კონტრაქტებს, მოვაჭრეს ავალდებულებს მაქსიმალურად მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება. მას უნდა შეეძლოს გადაწყვეტილება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლასთან დაკავშირებით მიიღოს რაციონალურად, გააზრებულად და რაც ყველაზე მთავრია, საკმარისი და ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე.

აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივით დადგენილი ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების მხარეთა უფლება-მოვალეობები გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. კერძოდ, მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები წარმოიშობა ხელშეკრულების დადებამდე და ისინი ძირითადად მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას უკავშირდება. 2011/83 დირექტივა ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას მხოლოდ მოვაჭრეს აკისრებს, მომხმარებელი ამ შემთხვევაში ასეთი ვალდებულებით დატვირთული არ არის – მას აქვს უფლება მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მიწოდების ვალდებულებასაც მოვაჭრეს კანონმდებლობა აკისრებს.

### **3.1. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება**

აღსანიშნავია, რომ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების განხილვა ძირითადად მოხდება ევროპული კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, რადგან სსკ ზოგადი დებულებების გარდა, კონკრეტულად ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას მომხმარებლის ინფორმირებასთან დაკავშირებით არაფერს ამბობს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ნაკლებად აქტუალურია. ხოლო, დასავლეთის გამოცდილების გაზიარება და ევროპელი კანონმდებლის მიდგომის დეტალური ანალიზი, ამ კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება ქართული იურიდიული დოქტრინის შემდგომი განვითარების კუთხით.

როგორც უკვე აღინიშნა, 2011/83 დირექტივის ძირითადი მიზანია მომხმარებლის უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტის დადგენა. თავისი ნორმებით ის ერთგვარად აძლიერებს მომხმარებელს, „სუსტ“ მხარეს, მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც მოვაჭრეს ავალდებულებს ხელშეკრულების დადებამდე უზრუნველყოს მისი სათანადო ინფორმირება. ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მას საშუალებას აძლევს გააკეთოს ე.წ. „ინფორმირებული არჩევანი“. გერმანელი სამოქალაქო სამართლის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მომხმარებლის სათანადოდ ინფორმირება, მისი თვითგამორკვევის უფლების გაძლიერებას ისახავს მიზნად.<sup>264</sup> აღნიშნული მოსაზრება

<sup>264</sup> Trüten D., Baumgartner T., Brunner A., (Hrsg.) Verbrauchervertragsrecht der Europäischen Union, Zürich 2017, 2 Teil – Allgemeine Anforderungen an Verbraucherverträge, 86.

გასაზიარებელია რადგან, როდესაც მომხმარებელი ხელშეკრულების დადების თაობაზე გადაწყვეტილებას სრული და ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე იღებს და თავის არჩევანში დარწმუნებულია, ნაკლებია შესაძლებლობა იმისა, რომ მან ამ საფუძვლით თქვას ხელშეკრულებაზე უარი. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი, სტაბილური სამოქალაქო ბრუნვისა და მყარი ეკონომიკური გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

2011/83 დირექტივის მე-3 თავის მე-5 და მე-6 მუხლები შეიცავს ინფორმაციის იმ ჩამონათვალს, რომლის მიწოდებაც ევალება მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადებამდე. მე-5 მუხლი ძირითადად შეიცავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქუჩაში დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების გარდა ყველა სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში. ხოლო, მე-6 მუხლი კონკრეტულად დისტანციური<sup>265</sup> და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სრულ ჩამონათვალს მოიცავს.<sup>266</sup> მართალია მე-6 მუხლი უფრო დეტალურად ასახავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, მაგრამ ის მაინც ეფუძნება ძირითადად მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მათ შორის არის გარკვეული მსგავსება და განსხვავება, რაც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული.

2011/83 დირექტივის როგორც მე-5, ისე მე-6 მუხლი, ზოგადად ადგენს, რომ ხელშეკრულების დადებამდე, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ნათელი და სრულყოფილი ფორმით. ამ დირექტივის პრეამბულის თანახმად, მოვაჭრემ უნდა გაითვალისწინოს მომხმარებლის სპეციალური საჭიროებები, რომლებიც განსაკუთრებულად დაუცველები არიან თავიანთი გონიერივი, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური უძლებელობის, ასაკის ან გულუბრყვილობის გამო, აღნიშნულის განჭვრეტა კი მოვაჭრისათვის წინასწარ უნდა იყოს შესაძლებელი.<sup>267</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საინფორმაციო მოთხოვნები სრულ შესაბამისობაშია არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის 2005/29 დირექტივით (შემდგომში UCPD დირექტივა) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან,<sup>268</sup> რომელიც ითვალისწინებს ზოგად მოთხოვნებს ოფერტის წარდგენის შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნები არ არის

<sup>265</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 2 (7).

<sup>266</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 16.

<sup>267</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Recital 34.

<sup>268</sup> Unfair Commercial Practices Directive 2005/29/EC, Art. 7 (4).

ნათელი თავად ოფერტის კონტექსტიდან.<sup>269</sup> შესაბამისად, როდესაც მოვაჭრე ვალდებულია წარუდგინოს მომხმარებელს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებამდე სავალდებულო ინფორმაცია, მან ასევე უნდა დააკმაყოფილოს ზემოხსენებული UCPD დირექტივით დადგენილი მოთხოვნებიც.

2011/83 დირექტივის მე-5 მუხლი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ მოვაჭრე თავისუფლდება იმ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან, რომელიც ოფერტის კონტექსტიდან თავიდანვე წათელია. აღნიშნული მითითებულია ასევე ზემოხსენებულ UCPD დირექტივაშიც, რომლის თანახმად, მსგავს ინფორმაციაში შეიძლება მოაზრებულ იქნას პროდუქტის ძირითადი მახასიათებლები – რომელიც თვალნათლივ შეიძლება გავიგოთ ზოგადად პროდუქტის ნახვისას; მოვაჭრის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, მისი გეოგრაფიული მისამართი, მაგალითად მაშინ, როდესაც მომხმარებელი უკვე იმყოფება მოვაჭრის რესტორანსა, ან მაღაზიაში და სხვა. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში 2011/83 დირექტივა ასევე ადგენს, რომ ინფორმაცია რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს აუცილებლად უნდა იყოს ადვილად წასაკითხი, მარტივი და გასაგები ენით მიწოდებული.<sup>270</sup> მომხმარებელს არ უნდა შეექმნას მისთვის მიწოდებული ინფორმაციის აღქმის პრობლემა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მომხმარებელი ყოველთვის სამართალმცოდნე ვერ იქნება, მისთვის რთული იქნება გაიგოს იურიდიული ტერმინები, შესაბამისად, საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, სამომხმარებლო საკითხები რაც შეიძლება გამარტივებული და გასაგებად იყოს ფორმულირებული თითოეული ადამიანისათვის.

იმისათვის, რომ სიღრმისეულად მოხდეს მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით ევროპელი კანონმდებლის დამოკიდებულების შესწავლა და ანალიზი, აუცილებელია დეტალურად განხილულ იქნას 2011/83 დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული თითოეული საინფორმაციო მოთხოვნის არსი. სწორედ ამ მოთხოვნების შესრულებაზეა დამოკიდებული სამომავლოდ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბედი.

ზოგადად, 2011/83 დირექტივის მე-6 მუხლით დადგენილია, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებამდე, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს მთელი რიგი ინფორმაცია. მათ შორის:

1. ინფორმაცია საქონლის ან მომსახურების ძირითადი მახასიათებელი ნიშნების თაობაზე. მინიმუმ მათთვის შესაბამისი საშუალო მახასიათებლების შესახებ;

<sup>269</sup> Guidance on the Implementation/Application of Directive 2005/29/EC on Unfair Commercial Practices.

<sup>270</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 7 (1).

ამ დროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ყოველთვის საქონლის, ან მომსახურების კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარეობს. ძირითადად, ეს ხშირ შემთხვევაში სწორედ საქონლის ვიზუალური მახასიათებელი და მომსახურების სხვადასხვა ასპექტის განმსაზღვრელი მონაცემებია.

2. მოვაჭრის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, როგორიცაა მისი სავაჭრო სახელწოდება.

ბუნებრივია, აღნიშნული მონაცემი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, თუ ეს წათლად არ იკვეთება საქონლის მიწოდების, ან მომსახურების გაწევის პროცესში. მაგ. როდესაც მომხმარებელი უკვე იმყოფება მოვაჭრის მაღაზიაში, საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მიწოდება ამ შემთხვევაში უკვე არარელევანტურია;

3. ინფორმაცია მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართის შესახებ, რომელზეც ის რეგისტრირებულია და მოვაჭრის ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა დაუკავშირდეს მოვაჭრეს სწრაფად და ეფექტურად. ასევე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, იმ მოვაჭრის გეოგრაფიული მისამართი და ვინაობა, რომლის სახელითაც მოქმედებდა ეს კონკრეტული მოვაჭრე – ტელეფონი, ფაქსი და ელექტრონული ფორმა.

ეს მონაცემები აუცილებელია მომხმარებლისთვის, რათა დროულად დაუკავშირდეს მოვაჭრეს. ამასთან, 2011/83 დირექტივის სახელმძღვანელო პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს დანაწესი ერთგვარად ავალდებულებს მოვაჭრეს უზრუნველყოს მაგ. ტელეფონზე დროული პასუხი სამუშაო საათების განმავლობაში; არსებობის შემთხვევაში, ელ. ფოსტის საშუალებით სწრაფად მოახდინოს მომხმარებლის პრობლემის აღმოფხვრა და ა.შ.<sup>271</sup>

მიზანშეწონილია, რომ მომხმარებელმა ზემოაღნიშნული მონაცემების მოძიების პროცესში დრო არ დაკარგოს, ეს ინფორმაცია მისთვის თავიდანვე უნდა იყოს ცნობილი. რაც უფრო მეტად ავარიდებთ მომხმარებელს უსარგებლო და გრძელ პროცედურას, ის მით უფრო ორიენტირებული იქნება თავისი უფლებების დაცვაზე და ნაკლებ დროს დაუთმობს ინფორმაციის მოძიებას.

4. ინფორმაცია მომხმარებლის პრეტენზიის განხილვაზე უფლებამოსილი პირის მისამართის თაობაზე, თუ ეს მისამართი განსხვავდება წინა პუნქტით გათვალისწინებული მისამართისგან;

მომხმარებელმა წინასწარ უნდა იცოდეს, თუ ვის მიმართოს იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე კითხვა, ან პრეტენზია ექნება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არა მოვაჭრე, არამედ მის მიერ განსაზღვრული სულ სხვა პიროვნებაა.

<sup>271</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 22-24.

5. ინფორმაცია საქონლის, ან მომსახურების სრული ღირებულების თაობაზე, გადასახადების ჩათვლით. ხოლო, ისეთ შემთხვევაში როდესაც საქონლის ან მომსახურების საფასურის წინასწარი დადგენა ვერ ხერხდება, ინფორმაცია მათი გაანგარიშების წესის შესახებ. ასევე, სადაც შესაძლებელია, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ტრანსპორტირებისა და საქონლის უკან გადაგზავნის ღირებულების თაობაზე. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საფასურის წინასწარი დადგენა ვერ ხერხდება, ინფორმაცია მათი გაანგარიშების მეთოდის შესახებ. ხოლო მაშინ, როდესაც საქმე ეხება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებას, ან ხელშეკრულებას რომელიც ეხება რაიმეს გამოწერას (ჟურნალის, გაზეთის და ა.შ.), საერთო ფასში უნდა შედიოდეს თითოეული საანგარიშო პერიოდის სრული ღირებულება. თუ ასეთ შემთხვევებში განსაზღვრულია ფიქსირებული გადასახადი, სრული ღირებულება ასევე უნდა გულისხმობდეს სრულ თვიურ ღირებულებასაც. ამ შემთხვევაშიც, თუ საფასურის წინასწარი დადგენა ვერ ხერხდება, ინფორმაცია მათი გაანგარიშების მეთოდის შესახებ. დირექტივის სახელმძღვანელო აქ მირითადად ყურადღებას ამახვილებს შემთხვევაზე, როდესაც საქმე ეხება განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების ფასთან დაკავშირებულ საკითხს. მაგ. თუ პირი ჟურნალს გამოიწერს განუსაზღვრელი ვადით და ეს გამოწერა ხდება წინასწარ ფიქსირებული თანხის მიხედვით, ერთთვიანი, ორთვიანი ან კვარტალური გადასახადის პირობებში, აუცილებელია თვიური გადასახადის ოდენობასთან ერთად, ყოველი კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის, მიეთითოს სრული კვარტალური და წლიური ღირებულების ოდენობაც.<sup>272</sup>

ამ პუნქტთან მიმართებით საყურადღებოა ასევე, 2011/83 დირექტივის მოთხოვნა საქონლის, ან მომსახურების ფასში გადასახადების ჩათვლის მოთხოვნასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ეს დათქმა მიმართულია მომხმარებლის ე.წ. „ფარული ხარჯებისგან“ დაცვისკენ.

არც თუ ისე იშვიათად, ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე, საქონლის, ან მომსახურების ფასის მითითება ხდება ისე, რომ მასში არ შედის მაგ. დღგ-ს გადასახადი. სასურველია, თუ ქართველი კანონმდებელი გაითვალისწინებს ამ საკითხს და ქართველი მომხმარებლისთვისაც უზრუნველყოფს მოულოდნელი ხარჯებისგან თავდაცვის მექანიზმების ქართულ კანონებში იმპლემენტაციას.

6. ინფორმაცია გადახდის, მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების დროისა და პირობების შესახებ, რომელსაც მიმართავს მოვაჭრე მომსახურების გაწევისას, ან საქონლის მიწოდებისას; ამ პუნქტთან მიმართებით, უნდა აღინიშნოს, რომ მოვაჭრე ყოველთვის არ არის ვალდებული მიუთითოს საქონლის მიწოდების თარიღი, რადგან ამის წინასწარი განსაზღვრა ყოველთვის შესაძლებელი არ არის. ამასთან, მოვაჭრის

<sup>272</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 25.

ეს უფლება გარანტირებულია 2011/83 დირექტივის მე-18 მუხლითაც, რომლის თანახმად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მოვაჭრე არ არის ვალდებული აცნობოს მომხმარებელს საქონლის მიწოდების ზუსტი თარიღი, თუ მას განზრახული აქვს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის განმავლობაში.<sup>273</sup> რა თქმა უნდა, ეს დათქმა არ ართმევს მოვაჭრეს შესაძლებლობას, მომხმარებელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საქონელი მას უფრო ადრე, ან სხვა შეთანხმებულ დროს მიაწოდოს.<sup>274</sup>

თუმცა, ამ შემთხვევაში ევროპელი კანონმდებლის მიერ შერჩეულია ოპტიმალური ვადა – 30 დღე, რომლის განმავლობაშიც ივარაუდება, რომ მოვაჭრეს საქონელი უნდა მიეწოდოს, ან მომსახურება გაეწიოს.

7. სადაც შესაძლებელია, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმა, მოვაჭრემ აუცილებლად უნდა მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია უარის თქმის პირობებზე, ვადასა და პროცედურაზე; ასევე მიაწოდოს უარის თქმის სპეციალური წინასწარ შემუშავებული ფორმულარი – (იხ. დანართი 1 და დანართი 2);

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმულარს სავალდებულო ხასიათი არ აქვს. ეს უბრალოდ მომხმარებლისთვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. მომხმარებელს შეუძლია სხვაგვარადაც თქვას ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარი. აღნიშნული საკითხი დეტალურად ნაშრომის შემდეგ თავში იქნება განხილული.

8. მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც საკუთარი ხარჯით უნდა დააბრუნოს საქონელი ხელშეკრულებაზე უარის თქმისას და ეცნობოს დაბრუნების საფასური – აუცილებელია მომხმარებლის წინასწარი ინფორმირება ნებისმიერი სახის დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით.<sup>275</sup> როგორც უკვე აღინიშნა, მომხმარებელი მოულოდნელი ხარჯების თაობაზე მაქსიმალურად უნდა იყოს ინფორმირებული.

მოვაჭრემ უნდა აცნობოს მომხმარებელს, რომ მას არ აქვს კონკრეტული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, განუმარტოს, რომ ის ვერ ისარგებლებს აღნიშნულით და სადაც შესაძლებელია, მიაწოდოს ინფორმაცია ზოგადად იმ გარემოებების შესახებ, რომლის დროსაც მომხმარებელი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას - აქ მირითად 2011/83 დირექტივის მე-

<sup>273</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 18 (1).

<sup>274</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 27.

<sup>275</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 22.

16 მუხლი მოიაზრება, რომელიც ადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამომრიცხავ გარემოებებს.

9. ინფორმაცია სამართლებრივი გარანტიის თაობაზე - ამ შემთხვევაში, მოვაჭრემ აუცილებლად უნდა აცნობოს მომხმარებელს, რომ ევროკავშირის სამართლის მიხედვით, მოვაჭრე პასუხს აგებს საქონლის მიწოდებისას ნებისმიერი შეუსაბამობაზე, თუ ის გამოვლინდება 2 წლის განმავლობაში.<sup>276</sup> ბუნებრივია, ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვაჭრე თავისუფლდება ყოველგვარი ვალდებულებისგან.

10. სადაც შესაძლებელია, ინფორმაციის მიწოდება ნასყიდობის შემდეგ მომხმარებლის დახმარების / ნასყიდობის შემდეგ მომსახურების არსებობისა და პირობების შესახებ, ან კომერციული გარანტიის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ეს საინფორმაციო მოთხოვნა ყოველი კონკრეტული შემთხვევით უნდა იქნეს განპირობებული. თავად ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს გულისხმობს ის თუ არა, ხელშეკრულების შემდგომ მომსახურებას და ვის შეიძლება დაეკისროს ხარჯები. მაგ. როდესაც მომხმარებელი ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისთვის დადგენილი ყველა პირობის დაცვით შეიძლენ გაზქურას, რომელსაც შემდგომ სჭირდება მონტაჟი, აუცილებელია მომხმარებელს წინასწარ ეცნობოს უნდა უზრუნველყოს მონტაჟი პირადად, თუ მოვაჭრე თავის თავზე იღებს ამ ვალდებულებას.

11. ინფორმაცია ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე. ხოლო, თუ საქმე გვაქვს უვადო ხელშეკრულებასთან, ან ის ავტომატურად გრძელდება, მისი შეწყვეტის პირობებთან დაკავშირებით. უვადო ხელშეკრულებისა და მისი ავტომატური გაგრძელების პირობის შემთხვევაში აუცილებელია მიეთითოს მიმდინარე ხარჯები და მისი შეწყვეტის პროცედურა. განსაკუთრებით წინასწარი შეტყობინების ვადა და ამ შეტყობინების გაგზავნის საშუალება.<sup>277</sup>

როგორც სადისერტაციო ნაშრომის წინა თავში აღინიშნა, მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით, თუ ასეთი შესაძლებლობა არსებობს. მხარემ აუცილებლად უნდა იცოდეს იმ ვადის შესახებ, რა პერიოდშიც ის გარკვეული უფლება-მოვალეობების მატარებელი ხდება.

12. სადაც შესაძლებელია, მომხმარებელს უნდა ეცნობოს თავისი ვალდებულების მინიმალური ხანგრძლივობის თაობაზე. ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია მომხმარებლის ინფორმირება იმ მინიმალური დროის მონაკვეთის თაობაზე, როდესაც მოვაჭრის მიერ წინასწარ

<sup>276</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 28.

<sup>277</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 28.

განსაზღვრული პირობების შესაბამისად მას მოუწევს გარკვეული თანხის გადახდა. მაგ. ინტერნეტის მიწოდების 12 თვიანი ხელშეკრულება შეიძლება გულისხმობდეს მინიმუმ დამატებით 2 თვიანი გადახდის ვალდებულებას, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა დროზე ადრე განხორციელდება.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების მინიმალური ხანგრძლივობის თაობაზე ინფორმაცია აუცილებლად უნდა მიეთითოს უვადო, ან ავტომატურად განგრძობადი ხელშეკრულებების შემთხვევაში.<sup>278</sup>

13. არსებობის შემთხვევაში, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იმ დეპოზიტებისა და სხვა ფინანსური გარანტიების თაობაზე, რომელიც უნდა განახორციელოს მომხმარებელმა მოვაჭრის მოთხოვნის საფუძველზე. ფინანსური გარანტიების მოთხოვნა ძირითადად გვხვდება ქირავნობის ხელშეკრულებების შემთხვევაში.<sup>279</sup> მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალების დაქირავების შემთხვევაში, შეიძლება მანქანით სარგებლობის პერიოდში, მომხმარებელს დაებლოკოს გარკვეული რაოდენობის თანხა ანგარიშზე. აღნიშნულის თაობაზე კი, მომხმარებელი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული.

14. ასევე, აუცილებელია მომხმარებლის ინფორმირება საქონლის ფუნქციური მახასიათებლებისა და მისი დაცვის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ და არსებობის შემთხვევაში, ინფორმაციის მიწოდება საქონლის ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლებისა და მისი დაცვის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ, რომელიც მოვაჭრემ იცოდა, ან შესაძლებელია რომ სცოდნოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი დამატებითი ინფორმაციული მოთხოვნებია ციფრული მატარებლის მწარმოებელთათვის.<sup>280</sup> იმის გამო, რომ ციფრული პროდუქტების რიცხვი ძალიან მრავალფეროვანია, მომხმარებელმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული პროდუქტის მახასიათებლების მიხედვით უნდა განსაზღვროს ამ ინფორმაციის შინაარსი.<sup>281</sup>

15. ამასთან, აუცილებელია მომხმარებლის ინფორმირება მის მიერ არასასამართლო გზით გასაჩივრების, ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა და ამ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნულში ძირითადად მოიაზრება დავის მოგვარების ალტერნატიული

<sup>278</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 28.

<sup>279</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, recital 33.

<sup>280</sup> იქვე, 19.

<sup>281</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 67.

საშუალებების შესახებ 2013/11 დირექტივით დადგენილი ნორმები.<sup>282</sup> ADR დირექტივით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს დაევალათ 2015 წლის 9 ივლისამდე უზრუნველყონ დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებების ფუნქციონირებისთვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა მხარეებს გაუმარტივდეთ ADR პროცედურით სარგებლობა და მათთვის უზრუნველყოფილი იქნეს დამოუკიდებელი, გამჭვირვალე, სწრაფი და სამართლიანი დავების განხილვა.

2011/83 დირექტივის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აუცილებელია, რომ ზემოხსენებული მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალი იყოს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და არ შეიცვალოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშემკვრელი მხარეები პირდაპირ სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლის ინფორმირება ამ სახის ხელშეკრულების უმთავრეს ღირებულებად უნდა ჩაითვალოს, შესაბამისად, მოვაჭრის ეს ვალდებულება თავად ამ, ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად უნდა იქცეს.

მიუხედავად იმისა, რომ 2011/83 დირექტივა საკმაოდ დეტალური ინფორმაციის ჩამონათვალს შეიცავს, მე-6 მუხლში აღნიშნულია, რომ ეს ჩამონათვალი დამატებითი ხასიათისაა და ისინი ერთგვარად ავსებენ მომსახურების შესახებ 2006/123 დირექტივითა<sup>283</sup> და ელექტრონული ვაჭრობის შესახებ 2000/31 დირექტივით<sup>284</sup> გათვალისწინებულ საინფორმაციო მოთხოვნებს. თუმცა, ასევე აღნიშნავს, რომ მათ შორის კოლიზის შემთხვევაში, უპირატესობა 2011/83 დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ენიჭებათ.<sup>285</sup> ხოლო, თუ რომელიმე მათგანი დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ვალდებულებას გულისხმობს, მაშინ მომხმარებელს აუცილებლად ეს ინფორმაციაც უნდა მიეწოდოს. ასე, მაგალითად, ზემოხსენებული სამივე დირექტივა აუცილებლად მიიჩნევს მომხმარებელს მიეწოდოს ინფორმაცია მოვაჭრის სახელწოდებასა და საკონტაქტო ინფორმაციასთან დაკავშირებით, თუმცა, Service და eCommerce დირექტივა აწესებს ასევე დამატებით მოთხოვნას მოვაჭრესთან დაკავშირებით და ადგენს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მომხმარებელს უნდა ეცნობოს ინფორმაცია

<sup>282</sup> Directive 2013/11/EU of the European Parliament and of the Council of 21 May 2013 on alternative dispute resolution for consumer disputes and amending Regulation (EC) No 2006/2004 and Directive 2009/22/EC. 18/06/2013.

<sup>283</sup> Directive 2006/123/EC of the European Parliament and of the Council of 12 December 2006 on services in the Internet Market.

<sup>284</sup> Directive 2000/31/EC of the European Parliament and of the Council of 8 June 2000 on certain legal aspects of information society services, in particular electronic commerce, in the Internal Market (Directive on electronic commerce).

<sup>285</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 6 (8).

მოვაჭრის საჯარო, ან სავაჭრო რეგისტრაციის შესახებ, ასევე დღგ-ს ნომერი.<sup>286</sup> ამ შემთხვევაში მომხმარებელს ეს ინფორმაციაც უნდა მიეწოდოს.

კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ 2011/83 დირექტივა ძირითადად ორიენტირებულია მომხმარებლის ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე არის ამ დირექტივის მე-6 მუხლის 9 პუნქტი. კერძოდ, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მთლიანად მოვაჭრეს ეკისრება.<sup>287</sup> შესაბამისად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში სწორედ მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს, რომ მან დირექტივით მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მომხმარებლის ინფორმირება სათანადო დონეზე მოახდინა.

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს 2011/83 დირექტივის მე-7 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულად ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების ფორმალურ კრიტერიუმებს. უფრო ზუსტად კი, ამ მუხლით დგინდება მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის ფორმა – წერილობითი, ან თუ მომხმარებელი თანახმაა, ინფორმაცია მას შეიძლება მიეწოდოს ინფორმაციის სხვა მატარებელზე, მაგ. CD დისკზე, ან ელექტრონულ მეხსიერების ბარათზე (USB). ასევე, მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ხელმოწერილი ხელშეკრულების ასლი, ან დამოწმებული ხელშეკრულება წერილობით, ან მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში ინფორმაციის სხვა მატარებელზე, და არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლის წინასწარი თანხმობის დამოწმებული ასლი.

ამ სახის ხელშეკრულების ფორმალურ მოთხოვნასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების დროს, როდესაც მომხმარებელი კონკრეტულად მოითხოვს მოვაჭრისგან რემონტის, ან ტექნიკური სამუშაოების განხორციელებას, ხოლო მხარეები დაუყოვნებლივ შეასრულებენ ორმხრივ ვალდებულებას და მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა არ აღემატება 200 ევროს, მოვაჭრემ მომხმარებელს, 2011/83 დირექტივის მე-6 მუხლში აღნიშნული მოვაჭრის საიდენტიფიკაციო და გეოგრაფიული მისამართის შესახებ ინფორმაცია, ასევე, საფასურის, ან საფასურის გაანგარიშების წესის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს წერილობითი ფორმით, ან მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში სხვა საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ 2011/83 დირექტივა ზოგადად ავალდებულებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოახდინონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია მის დებულებებთან, ზემოაღნიშნულ კონკრეტულ პუნქტთან დაკავშირებით, ამლევს მათ ერთგვარ თავისუფლებას და ნებას რთავს, რომ არ გამოიყენონ ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნა და არ მოახდინონ მისი იმპლემენტირება შიდა

<sup>286</sup> Directive 2006/123/EC of the European Parliament and of the Council of 12 December 2006 on services in the Internet Market, Art. 7.

<sup>287</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 6 (9).

კანონმდებლობაში.<sup>288</sup> აღსანიშნავია, რომ ევროპელი კანონმდებლის ამ დათქმასთან დაკავშირებით წევრი ქვეყნები ერთგვარი დისკურსით სარგებლობენ, შეუძლიათ უგულებელყონ ეს პუნქტი, ან პირიქით მოახდინონ მისი რეცეფცია შიდა კანონმდებლობაში. აღსანიშნავია, რომ გერმანელმა კანონმდებელმა 2011/83 დირექტივის ეს დებულება სრულად მოაწესრიგა გერმანული სამოქალაქო კოდექსის შესავალ კანონში - EGBGB.<sup>289</sup>

თუმცა, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, 2011/83 დირექტივის მე-7 მუხლით დადგენილ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ფორმალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, დირექტივა იმპერატიულად მიუთითებს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს არ აქვთ უფლება დაადგინონ სხვა სახის ფორმალური მოთხოვნები ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების კუთხით და მხოლოდ დირექტივაში არსებული ფორმალური მოთხოვნებით უნდა იხელმძღვანელონ.

ზოგადად, ხაზგასასმელია ის გარემობა, რომ 2011/83 დირექტივის მე-5 მუხლი ასევე, შეიცავს საინფორმაციო მოთხოვნების კუთხით გარკვეულ გამონაკლისს. კერძოდ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ არ გამოიყენონ მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ყოველდღიური ტრანზაქციების განხორციელების დროს და ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებიც დადებისთანავე სრულდება.<sup>290</sup> სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში, ძირითადად მაინც დაბალი ღირებულების ტრანზაქციები მოიაზრება. ეს შეიძლება იყოს საკვების, ან სხვა საქონლის სახლში მიწოდება, რომელიც მათ დაუყოვნებლივ მოხმარებას გულისხმობს.<sup>291</sup>

ასეთ დროს ევროპელი კანონმდებელი, ხელშეკრულებათა დაბალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მხარეებს ერთგვარი ზედმეტი ვალდებულებისგან ათავისუფლებს და მოვაჭრეს უფლებას ამლევს ზემოხსენებული შემთხვევების დროს არ მიაწოდოს მომხმარებელს ის დეტალური ინფორმაცია, რომელსაც ჩვეულებრივად ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს აწვდის ხოლმე.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მოქმედი რეგულაციები სრულად იზიარებს ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით 2011/83 დირექტივის მოთხოვნებს. თუმცა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება და მასთან დაკავშირებული საკითხები

<sup>288</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 7 (4).

<sup>289</sup> Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuche, §246a §2 (1).

<sup>290</sup> იქვე, Art. 5 (3).

<sup>291</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 20.

რეგულირდება არა გსკ-ის გვ. 312 და შემდგომი პარაგრაფებით, არამედ გსკ-ს შესავალ კანონში.<sup>292</sup>

გაერთიანებულ სამეფოსთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მან მთლიანად მოახდინა 2011/83 დირექტივით დადგენილი საინფორმაციო მოთხოვნების იმპლემენტირება შიდა კანონმდებლობაში.<sup>293</sup> საყურადღებოა, რომ სამომხმარებლო ხელშეკრულებების რეგულაციების მიღებამდე მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია გაერთიანებულ სამეფოში სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში იყო მოწესრიგებული, ახალი რეგულაციებით კი მათი ერთგვარი გაერთიანება მოხდა ზემოაღნიშნულ ერთ საკანონმდებლო აქტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიახლეს წარმოადგენდა მაგ. ციფრული მატარებლის შემენის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება იმ პროგრამებზე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირება. ნოვაციას წარმოადგენდა ასევე მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმა წინასწარ შემუშავებული ფორმულარის მეშვეობით (იხ. დანართი N3).

რაც შეეხება აშშ-ში მოქმედ ფედერალური რეგულაციების კოდექსს, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში ის არ აჩესებს ისეთ ვრცელ ჩამონათვალს, როგორიც დადგენილია ევროპელი კანონმდებლის მიერ. თუმცა, ხსენებული კოდექსის 429.1 მუხლი ადგენს, რომ გამყიდველმა (მოვაჭრემ), მყიდველს (მომხმარებელს) უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მას აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება და ეს ცნობა აუცილებლად უნდა იყოს მომხმარებლისთვის გასაგებ ენაზე მიწოდებული. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ მუხლით ადგენს აშშ-ში მოქმედი კოდექსი ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინასწარ შემუშავებულ ფორმულარს (დანართი N3), რომლის ორი ეგზემპლარი უნდა გადასცეს გამყიდველმა მყიდველს, რომელიც მან ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში უნდა გამოიყენოს – ერთი შევსებული ეგზემპლარი გადასცეს გამყიდველს, ერთი კი თვითონ დაიტოვოს.<sup>294</sup> შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელი კანონმდებელი ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეთა უფლება–მოვალეობების მიმართ მათ ფასილიტაციას ანიჭებს უპირატესობას.

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 336-ე მუხლი ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საკმაოდ მწირ მონაცემებს შეიცავს, მოვაჭრის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან მიმართებით კი საერთოდ არანაირ მითითებას არ აკეთებს. თუმცა, საყურადღებოა, რომ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნებს შეიცავს სსკ-ის 657<sup>2</sup> მუხლი, რომელიც არეგულირებს ტურისტისთვის დეტალური ინფორმაციის

<sup>292</sup> Gerbaulet U., Der Widerruf des Haustürbeitritts zu einer Fondsgesellschaft, Band 872, 1. Aufl., Baden-Baden 2015, 363.

<sup>293</sup> Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations 2013, Schedule 2<<http://www.legislation.gov.uk/uksi/2013/3134/introduction/made>>.

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2019.

<sup>294</sup> Code of Federal Regulations. §429.1, <<https://www.law.cornell.edu/cfr/text>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 15.05.2019.

მიწოდების ვალდებულებას ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით; ასევე, 691-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გამგზავნი გზავნის საფრთხის შემცველ ტვირთს, მაშინ იგი ვალდებულია გადამზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია ამ ტვირთვის შესახებ; სსკ-ის 713-ე მუხლის თანახმად, რწმუნებული მოვალეა მისცეს მარწმუნებელს აუცილებელი ინფორმაცია დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ; სსკ-ის 808-ე მუხლი არეგულირებს მზღვეველისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

საყურადღებოა, რომ სსკ-ის 336-ე მუხლის ზემოაღნიშნული ხარვეზი ერთგვარად შევსებულია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტით; კერძოდ, მხარეთა უფლება-მოვალეობები კანონპროექტის მე-2 თავის მე-7 და მე-8 მუხლებით რეგულირდება, რომელიც თითქმის სრულად იზიარებს 2011/83 დირექტივის ზოგად პრინციპებს მოვაჭრისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით. თუმცა, მაინც უფრო ზოგადი ხასიათისაა, რამდენიმე მათგანი უფრო მეტ დაზუსტებას საჭიროებს. მაგ. ქართული კანონპროექტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ეხება ინფორმაციას საქონლის, ან მომსახურების სრული ფასის შესახებ, თუმცა 2011/83 დირექტივისგან განსხვავებით არ არის დაკონკრეტებული საფასური მოიცავს თუ არა გადასახადებს.

ასევე, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი არ ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც საქმე ეხება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებას, მაგ. ხელშეკრულებას რომელიც ეხება რაიმეს გამოწერას (ჟურნალის, გაზეთის და ა.შ.) ფასში ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახადთან ერთად უნდა მიეთითოს ყოველი საანგარიშო პერიოდის სრული ღირებულება, როდესაც ეს პერიოდები განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ არა. აუცილებელია, მომხმარებელი წინასწარ იყოს ინფორმირებული ნებისმიერ სახის დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით, რომლის გადახდაც შეიძლება დაეკისროს.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების საფასური მომხმარებლისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რადგან სწორედ ფასის გამო შეიძლება გადაწყვიტოს მან ხელშეკრულების დადება, ან პირიქით უარი თქვას მის დადებაზე. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა 2011/83 დირექტივა სწორედ იმით გამოირჩევა, რომ მომხმარებელი დაცულია „დაფარული ხარჯებისგან“. აუცილებელია საფასურში პირდაპირ მიეთითოს მოიცავს ის თუ არა მაგ. დღგ-ს გადასახადს. საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი დღგ-ს განაკვეთი 18%-ია, რაც საკმაოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთია. შესაბამისად, მომხმარებელი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული შედის თუ არა საფასურში ეს თანხაც, თუ ის დამატებით უნდა გადაიხადოს. ქართული სამომხმარებლო ბაზრის თავისებურებიდან გამომდინარე, სასურველია, რომ ყოველგვარი საეჭვოობის თავიდან აცილებით მიზნით, გადასახადების საკითხი ქართული კანონპროექტით დარეგულირდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოხსენებული კანონპროექტით მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს აცნობოს, რომ ამ უკანასკნელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აქვს. თუმცა, ქართულ კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული ის გარემოება, რომ მოვაჭრის მიერ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მასვე შეიძლება დაეკისროს საქონლის უკან მიწოდების საფასურის გადახდა. მიზანშეწონილია, რომ კანონპროექტით ეს საკითხი მოწესრიგდეს და მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში საქონლის უკან დაბრუნების ხარჯების ანაზღაურება სწორედ მას დაეკისროს, როგორც ეს 2011/83 დირექტივით არის მოწესრიგებული.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი ასევე არ ავალდებულებს მოვაჭრეს აცნობოს მომხმარებელს იმის თაობაზე, რომ კანონით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში, მას არ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, ან იმ გარემოებების შესახებ, რომლის დროსაც ის კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. აღნიშნულის თაობაზე მომხმარებლის ინფორმირება ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან მას არ უნდა ჰქონდეს ფუჭი მოლოდინი, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აქვს.

მართალია, ქართველი კანონმდებლის მიზანია სრულყოს მომხმარებელთა უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემო, მაგრამ აუცილებელია ეს მოხდეს ქართული სამომხმარებლო ბაზრის კონკრეტული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. მხარეთა ვალდებულებების უფრო მეტი კონკრეტიზაცია, სამომავლოდ ხელს შეუწყობს თავად ამ ნორმით განსაზღვრული მიზნის – მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაქსიმალურად ეფექტურად რეალიზებას, რაც სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

სამომხმარებლო ურთიერთობების ძირითადი პრობლემა მხარეთა შორის არასწორი და ხშირ შემთხვევაში არასრული ინფორმაციის მიწოდებას უკავშირდება. რაც თავის მხრივ საკმაოდ დიდ პრობლემას ქმნის ეკონომიკურ ბაზრის სრულყოფილად ფუნქციონირების თვალსაზრისით.<sup>295</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიწოდების კუთხით ქართული სამართლებრივი გარემოს სრულყოფა. ევროპელი კანონმდებლის მსგავსად, ქართველმა კანონმდებელმაც ყურადღება უნდა გაამახვილოს მაქსიმალურად კარგად ინფორმირებულ მომხმარებელზე. მას უნდა ჰქონდეს შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაცია არა მხოლოდ ზოგადად ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, არამედ მის უფლება-მოვალეობებსა და მათი რეალიზაციის საშუალებებთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ სათანადოდ ინფორმირებული მომხმარებელი სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

<sup>295</sup> რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, თბ., 2016, 5.

### 3.2. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შედეგები

2011/83 დირექტივის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მისი დებულებებით მომხმარებელი დაცულია ე.წ. „ფარული ხარჯებისგან“<sup>296</sup>. ის ადგენს, რომ თუ მოვაჭრე არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას და არ მიაწოდებს მომხმარებელს ინფორმაციას დამატებით ხარჯებთან და საფასურთან დაკავშირებით, ან ინფორმაციას იმ ხარჯების თაობაზე, რომელიც შეიძლება მომხმარებელს დაეკისროს საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, მაშინ ამ ხარჯების ანაზღაურებისგან მომხმარებელი თავისუფლება – მოვაჭრე თავად იხდის მათ.<sup>297</sup> რაც სავსებით ბუნებრივია, დირექტივის მიზანი ხომ მომხმარებლის უფლებების დაცვის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, თუ მოვაჭრე არ შეასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, პასუხსაც თავად აგებს. მომხმარებელმა მოვაჭრის მიერ შეუსრულებელი ვალდებულების გამო ზიანი არ უნდა განიცადოს.

მაგალითად, შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი შემთხვევა: სახლისაკენ მიძავალ ანას, გზად შეხვდება ავეჯის მწარმოებელი კომპანიის ორი წარმომადგენერლი, რომლებიც შესთავაზებენ მას საკმაოდ სარფიან პირობებს სხვადასხვა ავეჯთან დაკავშირებით. ანას ძალიან მოეწონება ერთ-ერთი კარადა, მისთვის ფასიც მისაღებია და დაუყოვნებლივ აფორმებს ნასყიდობის ხელშეკრულებას. წარმომადგენლები მას აღუთქვამენ, რომ კარადას მეორე დღესვე მიუტანენ სახლში და დაუმონტაჟებენ. მეორე დღეს, ანას მართლაც მიუტანენ სახლში მის მიერ შეძენილ კარადას, თუმცა აცნობებენ, რომ კარადის მონტაჟში მან დამატებითი თანხა უნდა გადაიხადოს. 2011/83 დირექტივა სწორედ ასეთი შემთხვევისგან იცავს მომხმარებელს და ავალდებულებს მოვაჭრეს საკუთარი სახსრებით მოახდინოს ამ კონკრეტულ შემთხვევაში კარადის აწყობა-მონტაჟი, რადგან დროულად არ მიაწოდა მომხმარებელს ინფორმაცია იმ დამატებითი ხარჯის თაობაზე, რომლის გაღებაც მას მოუწევდა ამ ხელშეკრულების დადებით.

ასევე, 2011/83 დირექტივის მე–10 მუხლი ეხება კონკრეტულად იმ შემთხვევას, როდესაც მოვაჭრე არ შეასრულებს მე–6 მუხლით დადგენილ ვალდებულებას და არ აცნობებს მომხმარებელს, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს მას შეუძლია ნებისმიერი საფუძვლის გარეშე უარი თქვას მასზე 14 დღის ვადაში. კერძოდ, მე–10 მუხლი ადგენს, რომ თუ მოვაჭრე არ მიაწვდის ინფორმაციას მომხმარებელს მის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ, ამ შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდი იწურება თავდაპირველი უარის თქმის პერიოდის, ანუ 14 დღის

<sup>296</sup> *Hidden costs.*

<sup>297</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 6 (6).

დასრულებიდან 12 თვის გასვლის შემდეგ. ხოლო, თუ მოვაჭრე მომხმარებელს მიაწვდის ზემოაღნიშნულ ინფორმაციას აღნიშნული 12 თვის განმავლობაში, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება იწურება მომხმარებლის მიერ ინფორმაციის მიღების დღიდან 14 დღის გასვლის შემდეგ.<sup>298</sup> 12 თვიანი ვადა ერთგვარად სამართლებრივი გარანტიის უზრუნველყოფის შესაძლებლობაა.<sup>299</sup> აღნიშნული საკითხის სილრმისეულად გაცნობის მიზნით, შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი მაგალითი:

დიანას, 14 თებერვალს, პარკში სეირნობისას მოულოდნელად შეხვდება მობილური ტელეფონების მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც სიყვარულის დღესთან დაკავშირებით შესთავაზებს სპეციალურ პირობებს მობილური ტელეფონის შეძენის შემთხვევაში. დიანა, რომელსაც განზრახული ჰქონდა თავისი მეუღლისთვის საჩუქრის ყიდვა, გადაწყვეტს ისარგებლოს ამ შემოთავაზებით და უყიდოს მას ტელეფონი. აფორმებს ხელშეკრულებას და ბედნიერი ბრუნდება სახლში. მობილური ტელეფონის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელი აწვდის მას ინფორმაციას მათი ფირმის შესახებ, აძლევს საკონტაქტო მონაცემებს და ა.შ. თუმცა, არ აფრთხილებს დიანას ქუჩაში დადებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის 14 დღიან პერიოდზე. დიანას მეუღლე რომელიც ამ დროისთვის მივლინებაში იმყოფებოდა 1 თვის შემდეგ ბრუნდება სახლში ახალი ტელეფონით. დიანას უნდა რომ უარი თქვას თავის შენაძენზე. ისმის კითხვა, გასულია თუ არა ხელშეკრულებაზე უარის თქმის 14 დღიანი ვადა? 2011/83 დირექტივის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, ვინაიდან დიანას ხელშეკრულების დადებისას არ ეცნობა უარის თქმის 14 დღიანი ვადის თაობაზე, უარის თქმის პერიოდის გაშვებას ადგილი არ ჰქონია. სწორედ ასეთ შემთხვევაში 2011/83 დირექტივა ითვალისწინებს დამატებით 12 თვიან პერიოდს კანონით დადგენილი თავდაპირველი 14 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. დიანას თავდაპირველი 14 დღიანი ვადა ამოიწურა 28 თებერვალს, საიდანაც დაიწყო დამატებითი 12 თვიანი ვადის ათვლა. იგივე შემთხვევა რომ განხილულ იქნას იმ პირობით, რომ 1 მაისს, დიანას მობილური ტელეფონების მწარმოებელი კომპანია უკავშირდება და აცნობებს რომ შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ანუ ჯერ კიდევ მაშინ როდესაც დამატებითი 12 თვიანი ვადა მოქმედებს. ამ შემთხვევაში ვუბრუნდებით უარის თქმის ზოგად, 14 დღიან ვადას და დიანას 15 მაისამდე ეძლევა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

ზემოაღნიშნული ორი მაგალითის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი ზიანისა და რისკების მატარებელი სწორედ მოვაჭრე ხდება. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, დამატებითი ხარჯების შესახებ მომხმარებლისთვის წინასწარ ინფორმაციის

<sup>298</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 10.

<sup>299</sup> იქვე, recital 42.

მიუწოდებლობის შემთხვევაში მოვაჭრე თავად იხდის ნებისმიერ დამატებით თანხას, ხოლო, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ მომხმარებლისთვის ინფორმაციის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების გასვლის უფლების ვადა 12 თვემდე გრძელდება. აღნიშნული სავსებით ლოგიკურია, რადგან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამის შედეგებზე პასუხისმგებლობა სწორედ დამრღვევ მხარეს უნდა დაეკისროს.

## თავი IV. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დარღვევის შედეგები

ყოველდღიურად თითოეული ჩვენგანი საკმაოდ ბევრი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ხდება, რომელთა საფუძველზეც გარკვეული უფლება-მოვალეობებიც წარმოიშობა. სსკ-ის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით ერთი მხარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორეს რაიმე მოქმედების შესრულება, ან შესრულებისგან თავის შეკავება.

ზოგადად, ვალდებულების ცნება ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მომდინარეობს, რომელიც მას მოიხსენიებდა როგორც „სამართლებრივ ბორკილებს“ (*obligatio*), რომლის ძალითაც ადამიანები ვალდებულნი იყვნენ შეესრულებინათ გარკვეული მოქმედება.<sup>300</sup> რომის სამართლის ეს განმარტება გარკვეულწილად, ვალდებულების შინაარსობრივ დონეზე, დღემდე აქტუალურია - თუ პირი კისრულობს რაიმე სახის ვალდებულებას, შესაბამისად, პასუხისმგებელია ამ ვალდებულებიდან წარმოშობილი ქმედებების განხორციელებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულების სახით თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურად უამრავი უფლება-მოვალეობების მატარებლები ხდება, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევა, როდესაც რომელიმე მხარე მასზე დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს.<sup>301</sup> რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან თუ მხარეები თავიანთ უფლება-მოვალეობებს კეთილსინდისიერად ასრულებენ, ამ ურთიერთობის სამართლებრივი კონტროლის საჭიროებაც არ არსებობს.

*Pacta sunt servanda* - ხელშეკრულება უნდა შესრულდეს. ეს ლათინური ტერმინი ერთგვარად ხელშეკრულების ინსტიტუტის პატივისცემის პრინციპს განამტკიცებს. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება სავალდებულოა თითოეული მხარისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2018 წლის 18 მაისის განჩინებაში მიუთითა, რომ თუ მხარემ ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ვალდებულების დარღვევა.<sup>302</sup> აღსანიშნავია, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი, გერმანულის მსგავსად, ყურადღებას ვალდებულების შესრულებაზე ამახვილებს. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის პირველი ივლისის №ას-167-163-2016 გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ ვალდებულების შესრულება ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

<sup>300</sup> Gaius, Institutes of Roman Law, (C. 160). <[http://oll.libertyfund.org/EBooks/Gaius\\_0533.pdf](http://oll.libertyfund.org/EBooks/Gaius_0533.pdf)>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 3.04.2019.

<sup>301</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგალია რ., ხევურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001, 24.

<sup>302</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე №ას-108-108-2018.

ინსტიტუტია.<sup>303</sup> სწორედ აღნიშნული წარმოადგენს მხარის პირველად მოთხოვნას - შესრულდეს ვალდებულება კეთილსინდისიერად და ჯეროვნად. შესაბამისად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მის მხარეებს, პირველ რიგში, წარმოეშობათ ვალდებულება, უზრუნველყონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.<sup>304</sup> მართალია, სსკ-ის 394-ე მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო, სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და ა.შ., თუმცა, სსკ სხვა ჩანაწერებით, უპირატესობას მაინც ვალდებულების შესრულებას ანიჭებს და მხოლოდ ამის შემდგომ საუბრობს ზიანის ანაზღაურებაზე და სხვა სახის, მეორად მოთხოვნებზე. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია სსკ-ის 405-ე მუხლი, რომელიც ვალდებულების დარღვევისას დამატებით ვადის დაწესებას ითვალისწინებს.

ზოგადად, ალანიშნავია, რომ სსკ-ის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა.<sup>305</sup> სამართალურთიერთობის ნებისმიერი მონაწილე ვალდებულების შესრულებისას უნდა ხელმძღვანელობდეს სხვადასხვა ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი მიდგომით და სწორედ ამ ფარგლებში მოახდინოს მისი შესრულება.<sup>306</sup> უზენაესი სასამართლო 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 განჩინებაში, ვრცლად განმარტავს კეთილსინდისიერების პრინციპს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ის თანამედროვე სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომელიც გულისხმობს როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ისე ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.<sup>307</sup> ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების მიდგომას იზიარებს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებიც, რომლის 1:103 (4) მუხლის თანახმად, ვალდებულების დარღვევა თავის თავში მოიცავს როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობას, ასევე, არაჯეროვან შესრულებას, მიუხედავად იმისა დარღვევა საპატიოა, თუ არა.<sup>308</sup> სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილე ვალდებულების შესრულებისას სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს.

<sup>303</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის პირველი ივლისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე №ას-167-163-2016.

<sup>304</sup> იქვე.

<sup>305</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №ას-254-254-2018.

<sup>306</sup> ნაჭერებია ა., სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), GTZ, 2014, 128-129.

<sup>307</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1338-1376-2014.

<sup>308</sup> Principles of European Contract Law, Art. 1:301 (4).

## 4.1. მხარეთა ვალდებულებები ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლისას

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის სახელშეკრულებო საფუძველს განეკუთვნება. ზოგადად, ხელშეკრულება, სხვა სახის სამართლებრივი ინსტიტუტებისგან, მისი სავალდებულო ხასიათით გამოირჩევა.<sup>309</sup> მისი შეუსრულებლობა კი ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა.<sup>310</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს წარმოეშობა ერთ-ერთი მეორადი მოთხოვნის, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლება.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მომდინარეობს, როდესაც აქტიურად ხდებოდა მონებით ვაჭრობა. სწორედ რომის სამართალმა ჩაუყარა საფუძველი ისტორიულ კვლევას, რომელმაც ერთგვარი ზეგავლენა მოახდინა ხელშეკრულებაზე უარის თქმის კონტინენტურ-ევროპულ მიდგომაზე.<sup>311</sup> ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება გათვალისწინებული იყო ჰამურაბის კანონებშიც. მაგ. თუ გაყიდვის შემდეგ მონა 1 თვის განმავლობაში გახდებოდა ავად და ვერ შეასრულებდა მის მოვალეობას, მონის მყიდველს უფლება ჰქონდა დაებრუნებინა ის გამყიდველისთვის, რის სანაცვლოდ გამყიდველი მას გადახდილ თანხას სრულად დაუბრუნებდა.<sup>312</sup>

სსკ-ის 336-ე მუხლის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მას 1 კვირის ვადაში არ უარყოფს. შესაბამისად, ის მერყევად ბათილი გარიგებაა, რადგან მისი ძალაში შესვლა დამოკიდებულია იმაზე, გამოიყენებს მომხმარებელი მასზე უარის თქმის უფლებას, თუ არა.<sup>313</sup> ამ სახის ხელშეკრულებების მერყეობა იმაში აისახება, რომ „ისინი მერყეობენ ნამდვილობასა და ბათილობას შორის - თუ შესრულდება კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა, გარიგება იქნება ნამდვილი“.<sup>314</sup>

<sup>309</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 58.

<sup>310</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე № ას-1220-1480-09.

<sup>311</sup> Dastis J.C., Das Rücktrittsrecht des käufers im Europäischen Privatrecht, [Europäisches Privatrecht], 1. Aufl., Baden-Baden 2017, Kapitel 3 Historische Grundlagen des Rücktrittrechts, 86.

<sup>312</sup> Code of Hammurabi, §278.

<sup>313</sup> ჯანტურია ლ., ზოიძე გ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 150.

<sup>314</sup> ჯანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 392.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების უარყოფა სსკ-ში საკმაოდ დიდი ხანია მოწესრიგებულია, დღეის მდგომარეობით არ მოიპოვება არცერთი სასამართლო გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამ ნორმის შინაარსის განმარტება მხოლოდ ჰიპოთეტურ დონეზეა შესაძლებელი.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის კონკრეტული გარემოებების მიმოხილვამდე, პირველ რიგში, აუცილებელია ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 336-ე მუხლი ახსენებს ტერმინს ხელშეკრულების „უარყოფა“, რომელიც, სავარაუდოდ, ხელშეკრულებიდან გასვლას უნდა გულისხმობდეს.<sup>315</sup> ლადო ჭანტურიაც თავის კომენტარებში, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების კომენტირებისას, იყენებს ტერმინს „უარის თქმა“ და მას ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებასთან აიგივებს.<sup>316</sup> ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ ცნებებს – „ხელშეკრულებიდან გასვლა“ და „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“ სინონიმებად მიიჩნევს. კერძოდ, სსკ-ის მეხუთე თავს ეწოდება „ხელშეკრულებიდან გასვლა“, რომლის პირველივე, 352-ე მუხლში, უკვე ჩნდება ტერმინი „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“. ამ ორი ცნების იდენტურობაზე საუბრობს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და ამბობს, რომ მხარის უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე, შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა ეწოდება.<sup>317</sup> <sup>318</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ეს ორი ცნება, სამართლებრივი თვალსაზრისით, იდენტური მნიშვნელობის მატარებელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ხელშეკრულებიდან გასვლას 352–359, 405-407 მუხლებით არეგულირებს. სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. შესაბამისად, თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარეს სურს ხელშეკრულებაზე თქვას უარი, აუცილებელია, სახეზე იყოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა.

ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის ცალმხრივი უფლება გულისხმობს ერთი მხარის შესაძლებლობას კანონით ზუსტად განსაზღვრულ

<sup>315</sup> ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 60.

<sup>316</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 230-231.

<sup>317</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-38-2018.

<sup>318</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის პირველი ივლისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე №ას-167-163-2016.

შემთხვევებში, თავისი შეხედულებისამებრ, უარი თქვას ხელშეკრულებაზე დამოუკიდებლად, ისე რომ მეორე მხარის თანხმობა საჭირო არ არის.<sup>319</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმა აღმჭურველი უფლებაა, რაც ამ შემთხვევაში მოიაზრებს მხარის შესაძლებლობას შესაბამისი გარემოებების არსებობისას დაასრულოს მის კონტრაპენტთან სახელშეკრულებო ურთიერთობა.<sup>320</sup> ბუნებრივია, მხარეს დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, კანონმდებელი ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მინიჭებით მას აძლევს შესაძლებლობას ერთგვარად შეცვალოს საწყისი „არასწორი“ გადაწყვეტილება და შეეცადოს პირვანდელ მდგომარეობაში აღიდგინოს თავი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლას ერთგვარი წინაპირობებიც გააჩნია. სსკ-ის 335-ე მუხლის თანახმად, ერთ-ერთი მათგანია მეორე მხარის ინფორმირება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით. სსკ-ით არ არის დადგენილი შეტყობინების სავალდებულო ფორმა, შესაბამისად შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით.<sup>321</sup> მთავარი ფაქტორი ამ შემთხვევაში მაინც მეორე მხარის ინფორმირებაა ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე.

ამასთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმის მთავარი მახასიათებელი ნიშანი მხარეთა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაში ვლინდება. საყურადღებოა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა მხარეთა შორის ახალ ვალდებულებას წარმოშობს.<sup>322</sup> კერძოდ, თუ სახეზეა სსკ-ის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უკან უბრუნდებათ.<sup>323</sup> ხელშეკრულებაზე უარის თქმისას, მთავარია მხარეთა განზრახვა შეწყვიტონ ხელშეკრულება და დაბრუნდნენ იმ ვითარებაში, სადაც ხელშეკრულება თითქოს თავიდანვე არ არსებობდა.<sup>324</sup> ბუნებრივია, რომ ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მოლოდინი აქვს, რომ მათი სამართლებრივი მდგომარეობა ხელშეკრულების დადებამდე არსებულს

<sup>319</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-459-438-2015.

<sup>320</sup> ფიფა ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008, 71.

<sup>321</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 506.

<sup>322</sup> თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 56.

<sup>323</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-38-2018.

<sup>324</sup> ძაჭარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008, 156.

დაუბრუნდება და *status quo ante contractum* მდგომარეობა აღდგება. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გაანალიზების მიზნით შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი მაგალითი:

ავტობუსით მგზავრობისას ნინოს, მოულოდნელად, მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიის წარმომადგენელი შეხვდება და სიმ ბარათის საკმაოდ შეღავათიან ფასებში შეძენის შემთხვევაში, 1 წლიან ულიმიტო ინტერნეტ პაკეტს შესთავაზებს. ნინო, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია ფიქრობდა მობილური ოპერატორის ცვლილებას მვირადლირებული ინტერნეტ-მომსახურების გამო, გახარებული დებს ხელშეკრულებას. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ სიმ ბარათის გააქტიურებიდან რამდენიმე დღეში ჩაირთვება ხსენებული შეღავათიანი ინტერნეტ პაკეტი. მეორე დღეს ნინოს ატყობინებენ, რომ ტექნიკური ხარვეზების გამო აღნიშნულ სიმ ბარათზე ვერ გააქტიურდება ინტერნეტ-პაკეტი.

სწორედ მსგავს შემთხვევაში, ნინოს შეუძლია უარი თქვას ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე (სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები), რადგან მისი მთავარი ინტერესი სწორედ ულიმიტო ინტერნეტ-პაკეტის შეძენა იყო. ასეთ დროს ნინო დაუბრუნებს კომპანიას სიმ ბარათს, კომპანია კი თავის მხრივ დაუბრუნებს მას გადახდილ თანხას. შესაბამისად, მხარეებს უბრუნდებათ ის სარგებელი და შესრულება, რაც ამ ხელშეკრულებით მიიღეს.

სსკ 405-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე თუ აშკარაა, რომ აუცილებლად დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლის დადგომის რეალური შანსი. კრედიტორმა ამ შესაძლებლობით ბოროტად არ უნდა ისარგებლოს. აღნიშნული უფლება კრედიტორს აძლევს შესაძლებლობას რეალურად შეაფასოს სიტუაცია და არ ჰქონდეს ხელშეკრულების შესრულების ფუჭი მოლოდინი.<sup>325</sup>

სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებული ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, გერმანული და ევროპული ნორმისგან იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ნორმა არ ითვალისწინებს მომხმარებლის იმპერატიულ უფლებას – უარი თქვას ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე ნებისმიერი მიზეზის გარეშე. ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება (დირექტივა - withdrawal; გსკ - widerrufsrecht) ერთგვარად განსაკუთრებულია და მომხმარებელს უფლება აქვს უარი თქვას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეორე მხარემ მასზე ნაკისრი

<sup>325</sup> ქანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 446.

ვალდებულება კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა.<sup>326</sup> მომხმარებელს უარის სათქმელად არ სჭირდება არანაირი მიზეზი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრ ევროპულ ქვეყანაში მომხმარებელთა მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმა სახელშეკრულებო სამართლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა, რომელმაც თავის მხრივ ვალდებულებითი სამართლის ძირითადი პრინციპების ერთგვარი ცვლილებაც გამოიწვია. მართალია, ხელშეკრულებაზე უარის თქმას ხსენებული ქვეყნები ითვალისწინებდნენ 85/577 და 94/47/EC დირექტივის და შემდგომ უკვე 2011/83 დირექტივების მოთხოვნიდან გამომდინარე, მაგრამ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა განსხვავდება სხვა სახის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებიდან. კერძოდ, ამ სახის ურთიერთობებისას მომხმარებელს არ სჭირდება არანაირი საფუძველი ხელშეკრულებიდან გასვლისას. მომხმარებელს უფლება აქვს ცალმხრივად და წებისმიერი მიზეზის გარეშე უარი თქვას მასზე. შესაბამისად, ამ დირექტივების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის შემდეგ, სამომხმარებლო ხელშეკრულებაზე უარის თქმის ზემოხსენებული ფორმა ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნის კერძო სამართლის სპეციფიკური მახასიათებელი ნიშანი გახდა.<sup>327</sup>

მომხმარებლისთვის ამ სახის ფართო უფლების მინიჭების საფუძვლად სამეცნიერო თვალსაზრისით მომხმარებელთა როგორც სოციალურ, ასევე, ლიბერალურ სამოქალაქო სამართლებრივ კონცეფციას ასახელებენ. ლიბერალური სამოქალაქო სამართლებრივი მიმართულების მხარდამჭერები ამ მოსაზრებას სამართლის სუბიექტთა თანასწორობის უზრუნველყოფის პრინციპს უკავშირდებენ. რადგან მომხმარებელი ამ სახის სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს შედარებით ნაკლებად დაცული მხარეა, აუცილებელია საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც ორივე მხარის უფლებების დაცვას თანაბრად უზრუნველყოფს. ხოლო, სოციალური სამოქალაქო სამართლებრივი კონცეფციის წარმომადგენლები კი, ყურადღებას ამახვილებენ მომხმარებელზე ბაზარზე მისი ეკონომიკური წვლილიდან გამომდინარე.<sup>328</sup> ეს ბუნებრივიცაა, რაც უფრო დაცულად გრძნობს მომხმარებელი თავს, მით უფრო აქტიური და გაბედულია ის სამომხმარებლო ბაზარზე და ლოგიკურია, რომ უფრო დიდი წვლილი შეაქვს მას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, მიმოხილულ იქნას ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, მისი მოშლის უფლებასთან მიმართებით. თუმცა, თავად სსკ-ის 399-ე მუხლის სათაურიდან

<sup>326</sup> ლაკურბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 44.

<sup>327</sup> Schulze R., Zoll F., the Law of Obligations in Europe, a new wave of Codifications, Munich 2013, 11.

<sup>328</sup> Gessner J., Widerrufsrecht und Widerrufsbelehrung im deutschen und europäischen Verbraucherrecht, Band 4937, Hamburg 2009, 5-7.

„უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებზე“ გამომდინარე, აღნიშნული ნაკლებად სავარაუდოა, რადგან სსკ-ის ხსენებული მუხლი აქცენტს გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე აკეთებს, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება კი თავისი არსით მოკლევადიანი ხელშეკრულებაა. ამასთან, საყურადღებოა, რომ როგორც სსკ-ის 399-ე მუხლი, ისე გსკ-ის 314-ე მუხლი (Kündigung - მოშლა), ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში აუცილებელ პირობად, გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობასთან ერთად, პატივსადები მიზეზის არსებობას უკავშირებს. როგორც უკვე აღინიშნა, გერმანული და ევროპული კანონმდებლობით კი, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას უარის თქმას არ სჭირდება არანაირი მიზეზი და დასაბუთება. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინებაში საქმეზე №ას-779-746-2014, სუს განმარტავს, რომ ხელშეკრულების მოშლა მიმართულია არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნებაზე, არამედ ხელშეკრულების შესრულებაზე მომავალში უარის თქმაზე. ამასთან, ხსენებულ გადაწყვეტილებაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ მოშლის ინსტიტუტი მოკლევადიან ხელშეკრულებაზე არ ვრცელდება. ასევე, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, გარდა სსკ-ის 399-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შესრულებული მხარეებს უკან არ უბრუნდებათ, ხელშეკრულებიდან გასვლა კი ნატურით დაბრუნებას გულისხმობს.<sup>329</sup> ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში კი სწორედ, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა წარმოადგენს მხარეთა პირველად მიზანს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გერმანელი კანონმდებელი ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით, იყენებს ტერმინს - Widerrufen<sup>330</sup> – უარის თქმას და არა ტერმინს Kündigung, რომელიც მოშლის ანალოგია<sup>331</sup>. შესაბამისად, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კომენტარში, სახელმძღვანელოსა, თუ სტატიაში, მეცნიერები სწორედ ამ ტერმინს იყენებენ. ტერმინს withdrawal<sup>332</sup> – უარის თქმა, იყენებს ასევე ევროპელი კანონმდებელიც. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა ერთგვარად განსხვავებულია უარის თქმის კლასიკური ინსტიტუტისგან, როგორც გერმანელი, ასევე, ევროპელი კანონმდებელი, იქვე აკეთებენ დათქმას, რომ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის დროს მომხმარებელს არ ჭირდება არანაირი მიზეზი. სავარაუდოა, რომ ამ ტერმინს ქუჩაში დადებული

<sup>329</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-779-746-2014.

<sup>330</sup> გსკ § 312g.

<sup>331</sup> გსკ § 314.

<sup>332</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 6 – Consumer information and right of withdrawal for distance and off-premises contracts.

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში იყენებენ იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ჩვეულებრივ ხელშეკრულებაზე, ისე ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა შინაარსობრივად და შედეგებით, ერთმანეთის მსგავსია და მათ შორის განსხვავება მხოლოდ საფუძვლის არარსებობაშია. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 336-ე მუხლის მოქმედ რედაქციაში არსებული ტერმინოლოგიური გაურკვევლობა, ერთგვარად შევსებულია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტით, რომლის მე-9 მუხლის პირველ ნაწილში<sup>333</sup> პირდაპირ აღნიშნულია, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე თქვას მასზე უარი. შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა არ წარმოადგენს სამართლებრივი გაგებით ხელშეკრულებაზე უარის თქმას, ან მოშლას, არამედ ამ შემთხვევაში სამომხმარებლო ხელშეკრულებებთან მიმართებით მოქმედებს ერთგვარად მოდიფიცირებული უარის თქმის ინსტიტუტი, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაშიც კი თუ ვალდებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, ეს თავისთავად არ ართმევს პირს უფლებას გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის, მასზე უარის თქმის სხვა ფორმები.

ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების დროს მასზე უარის თქმის წესსა და პირობებს 2011/83 დირექტივის მე-9 მუხლი არეგულირებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, დირექტივის მე-16 მუხლით<sup>334</sup> გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლისა და დამატებითი ხარჯების წარმოშობის გარეშე, უარი თქვას მასზე.

მომხმარებელს უარის თქმისთვის განსაზღვრული აქვს 14 დღიანი ვადა. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, 14 დღიანი პერიოდის ათვლა სხვადასხვა ხელშეკრულების დროს განსხვავებულად აითვლება. ეს სწორედ პარმონიზაციის პრინციპის მოქმედების შედეგია, რის საფუძველზეც, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ეკრძალებათ განსხვავებული ვადების დაწესება ამ თუ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით.<sup>335</sup>

2011/83 დირექტივის მე-10 მუხლით<sup>336</sup> გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის 14 დღიანი პერიოდი

<sup>333</sup> საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, მუხლი 9.

<sup>334</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 16 - დისტანციურ და ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხვი გარემოებები.

<sup>335</sup> Hilbig-Lugani K., Neuerungen im Außergeschäftsraum- und Fernabsatzwiderrufsrecht – Teil 2, Zeitschrift für das Juristische Studium, Göttingen 2013, 6, 545.

<sup>336</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European

სხვადასხვა ხელშეკრულების შემთხვევაში სხვადასხვა მომენტიდან ათვლება. კერძოდ, მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში - ხელშეკრულების დადების დღიდან; ნასყიდობის ხელშეკრულების დროს, იმ დღიდან როდესაც მომხმარებელი, ან მის მიერ საამისოდ განსაზღვრული პირი, ფიზიკურად დაეუფლება ნასყიდობის საგანს; იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ობიექტი სხვადასხვა საქონელია, იმ დღიდან როდესაც მომხმარებელი, ან მის მიერ საამისოდ განსაზღვრული პირი, ფიზიკურად დაეუფლება ხელშეკრულების საგნის ბოლო საქონელს; იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების საგანი სხვადასხვა ნაწილისგან შედგება, იმ დღიდან როდესაც მომხმარებელი, ან მის მიერ საამისოდ განსაზღვრული პირი, ფიზიკურად დაეუფლება ხელშეკრულების საგნის ბოლო ნაწილს, თუმცა, ამ შემთხვევაში, მოვაჭრეს ეკისრება ვალდებულება კონკრეტულად განუმარტოს მომხმარებელს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ათვლა დაიწყება არა ხელშეკრულების დადების დღიდან, არამედ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ბოლო ნაწილის მის (ან მის მიერ საამისოდ განსაზღვრული პირის) მიერ ფიზიკურად დაუფლების დღიდან<sup>337</sup> და ა.შ.

ისევე როგორც ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობისას, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვადას და მისი სწორად გამოთვლის საკითხს.<sup>338</sup> ეს ბუნებრივიცაა, რადგან სწორედ ამას უკავშირდება ამ მუხლის მთავარი ღირებულება – ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა, რომელიც დროში ერთგვარად შეზღუდული უფლებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, ვადაში დროის გარკვეული პერიოდი მოიაზრება, რომელიც უფლება-მოვალეობების წარმოშობას, ან მათ შეწყვეტას იწვევს. კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში გამოიყენება სსკ-ის მიერ დადგენილი წესები. რა თქმა უნდა, თუ კანონით პირდაპირ დადგენილი არ არის ვალდებულების შესრულების კონკრეტული დრო, მხარეებს უფლება აქვთ ვადები სხვაგვარად განსაზღვრონ.<sup>339</sup> მათ სრული უფლება აქვთ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ყოველი კონკრეტული ხელშეკრულების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების სრულიად განსხვავებული ვადა დაადგინონ.

როგორც უკვე აღინიშნა, 2011/83 დირექტივის თანახმად, მომხმარებელს შეუძლია 14 დღის განმავლობაში უარი თქვას ქუჩაში დადებულ

---

Parliament and of the Council, Art. 10 - ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეუტყობინებლობა (თავი 3.2.).

<sup>337</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 40.

<sup>338</sup> ლაკერბაია თ., ხელშეკრულების ურყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016, 140.

<sup>339</sup> ქანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, 119.

ხელშეკრულებაზე. 2011/83 დირექტივის პრეამბულის მიხედვით ამ დირექტივით გათვალისწინებული ვადები გამოითვლება პერიოდზე, თარიღებსა და ვადებზე მოქმედი წესების განსაზღვრის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1971 წლის 3 ივნისის N1182/71 რეგულაციის დებულებების შესაბამისად.<sup>340</sup> 2011/83 დირექტივის პრეამბულა ასევე, მიუთითებს, რომ დირექტივით გათვალისწინებული ნებისმიერი ვადა გულისხმობს კალენდარულ დღეს. ზემოხსენებული რეგულაციის თანახმად, კალენდარულ დღეში მოიაზრება როგორც საჯარო დღესასწაულები, ასევე შაბათი და კვირა.<sup>341</sup> რა თქმა უნდა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს განსხვავებული სადღესასწაულო დღეები აქვთ, რომელთა სრული ჩამონათვალიც, ზემოაღნიშნული რეგულაციის მოთხოვნის თანახმად გამოქვეყნებულია ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.<sup>342</sup>

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მომხმარებლის მიერ უარის თქმის 14 დღიან პერიოდში მოიაზრება როგორც საჯარო დღესასწაულები, ასევე უქმე დღეები (შაბათი და კვირა). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ ვადის გასვლის ბოლო დღე, რომელიმე მათგანს დაემთხვევა, მაშინ ვადის გასვლის ბოლო დღე არის შემდეგი სამუშაო დღე 24 საათამდე.<sup>343</sup> აღსანიშნავია, რომ რეგულაციის აღნიშნული ჩანაწერი ზოგადად ემთხვევა სსკ-ის 127-ე მუხლით დადგენილ ვადის გამოთვლასთან დაკავშირებულ წესებს. თუ რაიმე ქმედების განხორციელება არასამუშაო და სადღესასწაულო დღეს დაემთხვა, სსკ ვადის ბოლო დღედ შემდეგი სამუშაო დღეს მიიჩნევს.

მაგ. თუ ხელშეკრულება დაიდება გერმანელ მომხმარებელთან და მისი უარის თქმის ვადა იწურება 25 დეკემბერს, ამ შემთხვევაში უარის თქმის ვადა ამოიწურება შემდეგ სამუშაო დღეს, რადგან 25 დეკემბერი გერმანიაში ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, უქმე დღედ არის გამოცხადებული და სხვა.

ვადის გამოთვლის ამ წესს იზიარებს PECL, რომლის თანახმად, თუ დროის მონაკვეთი მოიცავს ასევე სადღესასწაულო დღეებს, მაშინ ისინი ვადის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება. თუმცა, თუ ვადის ბოლო დღე უქმე, ან სადღესასწაულო დღეს ემთხვევა, მაშინ ვადა მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე გრძელდება.<sup>344</sup>

ასევე, ვადასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ ვადის ათვლა დაკავშირებულია რაიმე მოქმედების განხორციელებასთან, ან ვალდებულების შესრულებასთან, ამ შემთხვევაში ვადის ათვლის პერიოდში

<sup>340</sup> Regulation (EEC, EURATOM) No 1182/71 of the Council of 3 June 1971 determining the rules applicable to periods, dates and time limits.

<sup>341</sup> Regulation (EEC, EURATOM) No 1182/71 of the Council of 3 June 1971 determining the rules applicable to periods, dates and time limits, Art. 2 (3).

<sup>342</sup> <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2013:378:0029:0030:EN:PDF>>.

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 7.05.2019.

<sup>343</sup> Regulation (EEC, EURATOM) No 1182/71 of the Council of 3 June 1971 determining the rules applicable to periods, dates and time limits, Art. 2 (4).

<sup>344</sup> Principles of European Contract Law, Art. 1:304 (2).

არ მოიაზრება ის დღე, როდესაც მოხდება ეს მოვლენა, ან განხორციელდება ეს ქმედება. მაგ. თუ სამსახურისაკენ მიმავალმა გიორგიმ, 1 თებერვალს, სამსახურთან ახლოს მდებარე პარკთან, მოულოდნელი შეთავაზების შედეგად შეიძინა მობილური ტელეფონი, გიორგისთვის ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდის ათვლა დაიწყება მომდევნო დღიდან, ანუ ამ შემთხვევაში 2 თებერვლითან.

საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი ვადებთან დაკავშირებით ასევე არის ვადების გამოთვლის წესის შესახებ ევროპული კონვენცია,<sup>345</sup> რომლის რატიფიცირებაც საქართველოს ჯერ არ მოუხდებია. თუმცა, მიუხედავად ამისა სამართალწარმოების დროს შეიძლება ამ დოკუმენტების გამოყენება მათი, „როგორც უნიფიცირებული ხასიათის მქონე დოკუმენტის დებულებების გათვალისწინება“<sup>346</sup> ხსენებული კონვენცია საკმაოდ კარგად და დეტალურად განმარტავს ვადებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს.

უარის თქმის პერიოდთან მიმართებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს 2011/83 დირექტივის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მისი დებულებების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში იმპლემენტირებისას, სახელმწიფომ არ უნდა აუკრძალოს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეებს შეასრულონ თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებები უარის თქმის უფლების გამოყენების პერიოდში. ასევე, წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ შეინარჩუნონ არსებული შიდა რეგულაციები, რომელიც მაგ. უკრძალავს მოვაჭრეს მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების პერიოდში.

როგორც უკვე აღინიშნა, მოვაჭრის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს აცნობოს მომხმარებელს, რომ მას აქვს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. მან ასევე უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის ინფორმირება ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინასწარ შემუშავებულ ფორმულართან დაკავშირებით. ამასთან, მოვაჭრეს შეუძლია აცნობოს მომხმარებელს, რომ მას შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა ელექტრონულად, მაგ. მოვაჭრის საიტის მეშვეობით განახორციელოს. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მოვაჭრე მაინც ვალდებულია გადასცეს წინასწარ შემუშავებული ფორმა.<sup>347</sup> მომხმარებელი კი თავად გადაწყვეტს, თუ რა ფორმით განაცხადებს უარს ხელშეკრულებაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უარის თქმის წინასწარ შემუშავებული ფორმა მომხმარებლისთვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს.<sup>348</sup> მას შეუძლია სულ არ გამოიყენოს ის და

<sup>345</sup> European Convention on the Calculation of Time-Limits.

<sup>346</sup> კვანტალიანი ნ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), თბ., 2017, მუხლი 121, 9.

<sup>347</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 40.

<sup>348</sup> Brönneke T., Tonner K., (Hrsg.) Das neue Schuldrecht, Verbraucherrechtsreform 2014, Internethandel, Widerrufsrechte, Informationspflichten, 1. Aufl., Baden-Baden 2014, Rn. 25.

ხელშეკრულებაზე უარი სხვა, ნათელი და კონკრეტული ფორმით განაცხადოს. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში, წინასწარ შემუშავებული ფორმა მომხმარებლისთვის ერთგვარი აღტერნატივის ხასიათს ატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ 2011/83 დირექტივა ვალდებულებითი თვალსაზრისით მოვაჭრის მიმართ უფრო დატვირთულია, აღსანიშნავია, რომ გარკვეული მოვალეობები ეკისრება მომხმარებელსაც. კერძოდ, მომხმარებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის განზრახვის შემთხვევაში, უარის თქმის უფლების ვადის გასვლამდე, აცნობოს მოვაჭრეს რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე სურს უარის თქმა, რისთვისაც, მას შეუძლია:

გამოიყენოს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინასწარ შემუშავებული სამოდელო ფორმულარი (იხილეთ დანართი 1); ან

აცნობოს მომხმარებელს სხვა, ცალსახა და გარკვეული განცხადების მეშვეობით თავისი განზრახვის თაობაზე და ამ გზით თქვას უარი ხელშეკრულებაზე.

აღნიშნულთან მიმართებით, 2011/83 დირექტივა აკეთებს დათქმას, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა არ უნდა დააწესონ სხვა ფორმალური მოთხოვნები ამ დირექტივით დადგენილი უარის თქმის წინასწარ შემუშავებული ფორმულარით დადგენილი მოთხოვნების გარდა.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი უარს ამბობს ხელშეკრულებაზე ელექტრონულად, მოვაჭრის ვებ-გვერდზე არსებული ფორმის მეშვეობით, ასეთ დროს, მოვაჭრემ მომხმარებელს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მსგავსი განაცხადის მიღების თაობაზე.

2011/83 დირექტივის პრემბულის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს ხელშეკრულებაზე უარი თქვას მისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით. იქნება ეს წერილი, სატელეფონო ზარი, თუ საქონლის უკან დაბრუნება.<sup>349</sup> თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში სრულად ეკისრება მომხმარებელს.<sup>350</sup> შესაბამისად, მომხმარებლის ინტერესშია, რომ ხელშეკრულებაზე უარი თქვას მკაფიოდ გამოხატული წერილობითი ფორმით.<sup>351</sup> სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მტკიცების ტვირთის მატარებელი მომხმარებელია, 2011/83 დირექტივა ცდილობს მომხმარებელს მიუთითოს, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში უმჯობესია მას წინასწარ ჰქონდეს მზად მტკიცებულება, რომლის მეშვეობითაც უტყუარად დადასტურდება, რომ მან ნამდვილად თქვა უარი ამ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე.<sup>352</sup> რისთვისაც სთავაზობს მას წინასწარ

<sup>349</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, recital 44.

<sup>350</sup> იქვე, Art. 11 (4).

<sup>351</sup> იქვე, recital 44.

<sup>352</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive

შემუშავებულ ფორმას. როგორც უკვე აღინიშნა, წერილობითი სახით არსებულ დოკუმენტს, მტკიცების თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი დადებითი მხარე აქვს. მხარეთა შორის ნებისმიერი სახის გაუგებრობისას, მომხმარებელი საკმაოდ მარტივად შეძლებს იმ გარემოების დადასტურებას, რომ მან ხელშეკრულებაზე უარი თქვა საამისოდ საჭირო ყველა გარემოებისა, თუ პროცედურების დაცვით.

რაც შეეხება ხელშეკრულებაზე უარის თქმას მხოლოდ საქონლის უკან გაგზავნით, ამ შემთხვევაში 2011/83 დირექტივა ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული. სწორედ ამიტომ, ტექნიკური შეცდომის თავიდან აცილების მიზნით, მომხმარებელს პრეამბულაში მიანიშნებს, რომ მხოლოდ საქონლის უკან დაბრუნება არ იქნება საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ მან ამ ფორმით თქვა ხელშეკრულებაზე უარი. არ შეიძლება მოვაჭრემ საქონლის უკან დაბრუნება ჩათვალის ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმად, რადგან ეს საკმაოდ დიდ გაუგებრობას გამოიწვევს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს ტექნიკური მიზეზით არ გადაეცა საქონელი და მხოლოდ ამიტომ დაუბრუნდა ის მოვაჭრეს.<sup>353</sup> არც თუ ისე იშვიათად, დაუძლეველი ძალის, ან სხვა რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზით, სავსებით შესაძლებელია, რომ საქონელი მოვაჭრეს უკან დაუბრუნდეს. შესაბამისად, მომხმარებლის ინტერესებისთვის უპრიანი იქნება თუკი ის საქონლის უკან დაბრუნებასთან ერთად, სრულყოფილი დაცვის მიზნით, ისარგებლებს მაგ. უარის თქმის წინასწარი შემუშავებული ფორმითაც.

ასევე, უნდა აღინიშნოს, ხელშეკრულებაზე ნაწილობრივ უარის თქმის მომენტი, იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ხელშეკრულების ობიექტი სხვადასხვა საქონელია. ასეთ დროს, მომხმარებელს შეიძლება სურდეს არა ყველა საქონელზე, არამედ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე უარის თქმა. 2011/83 დირექტივის სახელმძღვანელო აკეთებს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მართალია ხსენებული დირექტივა ნაწილობრივ უარის თქმას არ ითვალისწინებს, მაგრამ ეს არ უკრძალავს მხარეებს შეთანხმდნენ აღნიშნულის თაობაზე. ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია მხოლოდ რამდენიმე საქონელი დააბრუნოს, შესაბამისად ნაწილობრივ თქვას ხელშეკრულებაზე უარი, დარჩენილ საქონელთან მიმართებით კი ხელშეკრულება ძალაში დარჩება.<sup>354</sup> საყურადღებოა, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი ხელშეკრულებაზე ნაწილობრივ უარის თქმას გამორიცხავს. ამ საკითხთან დაკავშირებით, განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა, რომ ხელშეკრულებაზე

1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 42.

<sup>353</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 42.

<sup>354</sup> იქვე.

ნაწილობრივ უარის თქმა დაუშვებელია.<sup>355</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, საკმაოდ დადებითად შეფასდება, თუ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, გამონაკლისის სახით, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას, იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ხელშეკრულების ობიექტი სხვადასხვა საქონელია, გაიზიარებს ევროპელი კანონმდებლის მიზომას და მხარეთა წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში, მისცემს მათ უფლებას ნაწილობრივ თქვან ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ზემოხსენებულ დეტალურ მოწესრიგებას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს. თუმცა, სსკ-ის 336-ე მუხლის ხსენებული ხარვეზები ერთგვარად შევსებულია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მე-9 მუხლით, რომელიც ადგენს მომხმარებლის უფლებას, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უარი თქვას ქუჩაში დადებული ხელშეკრულებაზე.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივისგან განსხვავებით, ქართული კანონპროექტი საკმაოდ ბუნდოვანი შემადგენლობით ხასიათდება. მაგ. ერთის მხრივ მომხმარებელს უარის თქმისთვის 7 დღიან ვადას განუსაზღვრავს მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში და საქონლის მფლობელობაში მიღებიდან და იქვე აღნიშნავს, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების და დისტანციური ხელშეკრულების დროს ეს ვადა 14 დღეს შეადგენს.<sup>356</sup> რაც საკმაოდ დაამაბნეველი შეიძლება იყოს მომხმარებლისათვის. რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მეშვეობით მხარეები თანხმდებიან მომსახურების გაწევაზე. რამდენი დღე აქვს მას ხელშეკრულებაზე უარის სათქმელად? სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც 14 დღიანი ვადა მოიაზრება, თუმცა, აუცილებელია ამ ხარვეზის გამოსწორება.

ამასთან, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, ასევე, არ ითვალისწინებს საქონლის ან მომსახურების მფლობელობაში მიღებას მომხმარებლის მიერ წინასწარ განსაზღვრული მესამე მხარის მიერ.

ზემოაღნიშნული კანონპროექტის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ არ არის გათვალისწინებული 2011/83 დირექტივის მე-11 მუხლის დებულება – მომხმარებლის ვალდებულება აცნობოს თავისი განზრახვის შესახებ უარი თქვას ხელშეკრულებაზე ამისთვის დადგენილი წინასწარი ფორმით (იხ. დანართი 1), ან ცალსახა და გარკვეული განცხადების

<sup>355</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-38-2018.

<sup>356</sup> საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“.

მუხლი 9. მომხმარებელს უფლება აქვს, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე მომხმარებლის მიერ საქონლის მფლობელობაში მიღებიდან, ხოლო მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში – ხელშეკრულების დადებიდან 7 დღის განმავლობაში. [ეს ვადა დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში შეადგენს 14 დღეს.]

მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინასწარ შემუშავებული ფორმა საკმაოდ ფართოდ გამოიყენება უამრავ ქვეყანაში, მათ შორის გერმანიაში, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთში. აღნიშნული ფორმა უფრო მეტ სიცხადეს უქმნის მომხმარებელს, რადგან მისთვის წინასწარ ცნობილია, თუ რა სახით შეუძლია თქვას უარი ამა თუ იმ ხელშეკრულებაზე. კანონის მაქსიმალური კონკრეტიკა პრაქტიკაში მისი გამოყენების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა.

საყურადღებოა, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი არ ითვალისწინებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ელექტრონულ ფორმას მოვაჭრის ვებ-გვერდის საშუალებით, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების უპირობო გამოძიენია. შესაძლებელია, ამ ეტაპზე, საქართველოში მოვაჭრეთა უმრავლესობა არ იცნობდეს ამ სერვისს, მაგრამ სამომხმარებლო ბაზრის თანამედროვე ტექნიკიების გათვალისწინებით სამომავლოდ, სრულიად რეალურია მსგავსი ინსტიტუტის დანერგვა. შესაბამისად, საკმაოდ დადებითად შეფასდება თუ ქართველი კანონმდებელი მსგავსი სახით ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმას ერთგვარ სამართლებრივ ძალას უკვე ამ ეტაპზე მიანიჭებს. ეს კი, კიდევ უფრო გაამყარებს ამ მუხლის ძირითად მიზანს – დაიცვას მომხმარებელთა უფლებები.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივისგან განსხვავებით, ქართული კანონპროექტი არ არეგულირებს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის 14 დღიანი ვადის ათვლის საკითხს; არ არის მოწესრიგებული შემთხვევა, როდესაც მოვაჭრე არ შეასრულებს თავის ვალდებულებას და არ აცნობებს მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების არსებობის შესახებ. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამ შემთხვევაში, 2011/83 დირექტივის მიხედვით, მომხმარებელს დამატებით განესაზღვრება 12 თვიანი უარის თქმის პერიოდი. ხსენებული კანონპროექტით კი აღნიშნული დამატებითი ვადა გათვალისწინებული არ არის.

რაც შეეხება აშშ-ში მოქმედ CFR კოდექსის მიერ მსგავსი სახის ხელშეკრულებაზე უარის თქმას, კოდექსის 429.1 მუხლი აღნიშნულთან დაკავშირებით ადგენს მთელ რიგ წესებს. კერძოდ, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას გამყიდველმა (მოვაჭრემ), მყიდველს (მომხმარებელს) ტრანზაქციის განხორციელების დროს უნდა მიაწოდოს ცნობა (ამონაწერი), მისი ასლი, ან სხვა რაიმე სახის დოკუმენტი, მომხმარებლისთვის გასაგებ ენაზე (მაგ. ესპანურად), სადაც აღნიშნული იქნება ხელშეკრულების დადების დრო, ადგილი, მოვაჭრის სახელი და მისამართი, საკმაოდ თვალსაჩინო ადგილას და მინიმუმ 10 ზომის შრიფტით, შემდეგ წარწერასთან ერთად: „თქვენ, მყიდველს (მომხმარებელს) უფლება გაქვთ უარი თქვათ ხელშეკრულებაზე ნებისმიერ დროს მისი დადებიდან მე-3 სამუშაო

დღის<sup>357</sup> დამის 12 საათამდე. იხილეთ უარის თქმის თანდართული ფორმა ამ უფლების დეტალურად განმარტებასთან დაკავშირებით.“ (იხ. დანართი 3). ამასთან, გაყიდველს შეუძლია შეარჩიოს ამ ინფორმაციის მყიდველისთვის მიწოდების სხვადასხვა ფორმა, თუმცა იმ პირობით, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მყიდველს შესაძლებლობა ექნება დაიტოვოს ამ ცნობის ასლი.

2011/83 დირექტივის სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე და განსაკუთრებით ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მთლიანად იზიარებენ მის დებულებებს. უარის თქმის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით მათი მიდგომა სრულიად ერთგვაროვანია.

მართალია, შესაძლოა ქართველი კანონმდებელი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტში ასე ზუსტად და დეტალურად ვერ გაითვალისწინებს ზემოაღნიშნულ გარემოებებს, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მაგ. ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დაზუსტება; მასზე უარის თქმის დადგენილი წინასწარი ფორმა; ელექტრონულად უარის თქმის შესაძლებლობა და ა.შ., მაქსიმალურად დეტალურად უნდა იქნეს მოწესრიგებული. ამ კანონის მთავარი მიზანი, ხომ მომხმარებელთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტების დადგენის გზით მათი უფლებების მაქსიმალურად კარგად დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

## 4.2. ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები

ისევე როგორც ნებისმიერი სამართალურთიერთობისას, ხელშეკრულებიდან გასვლასაც თავისი სამართლებრივი შედეგები აქვს. აღსანიშნავია, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი კონკრეტულად ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებზე არაფერს ამბობს. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ზოგადად მიმოხილულ იქნას ის გარემოებები, რომელიც ნებისმიერი სახის ხელშეკრულებაზე უარის თქმას შეიძლება მოჰყვეს.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმას შედეგად მხარეთა რესტიტუცია, მათი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მოჰყვება. მათ ერთმანეთს უკან უნდა დაუბრუნონ ის, რაც ამ ხელშეკრულებით მიიღეს. ხელშეკრულების თავისუფლების

<sup>357</sup> CFR თანახმად, სამუშაო დღე, არის ნებისმიერი კალენდარული დღე, კვირა დღის, ან ნებისმიერი ფედერალური დასვენების დღის გარდა. (მაგ.: ახალი წლის დღე; პრეზიდენტის დღე; მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე; ხსენების დღე; დამოუკიდებლობის დღე; მუშათა დღე; კოლუმბის დღე; ვეტერანთა დღე; მადლიერების და ქრისტეშობის დღე).

პრინციპითან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ კონკრეტული ხელშეკრულების დადებისას მასზე უარის თქმის წესი და პირობები.<sup>358</sup> თუმცა, ზოგადად, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები მოწესრიგებულია კანონით.

სსკ-ის 352-ე მუხლის თანახმად, მხარეთა პირვანდელი მდგომარეობა შეიძლება აღდგეს:

- ნატურით დაბრუნების მეშვეობით;
- ნატურით დაბრუნების ნაცვლად ფულადი ანაზღაურების გზით (როდესაც ნატურით დაბრუნება გამოირიცხება კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში);
- ზიანის ანაზღაურების გზით.

ვალდებულების ნატურით დაბრუნება ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ზოგადად ნივთის შემძენისთვის გადაცემას ეხება.<sup>359</sup> <sup>360</sup> ბუნებრივია, ვალდებულების ნატურით დაბრუნებისას ხელშეკრულების მხარეთა შორის ხდება პირვანდელი მდგომარეობის, *status quo ante contractum*, აღდგენა. მხარეები უბრუნდებიან ურთიერთობის საწყისს ეტაპს – თითქოს მათ შორის ხელშეკრულება არც კი დადებულა.

თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ნატურით შესრულება შეუძლებელია. სსკ-ის 352-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ნატურით ანაზღაურება ვერ ხორციელდება, მაშინ გამოიყენება ფულადი კომპენსაცია. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფულადი ანაზღაურება ნატურით შესრულების ალტერნატივას არ წარმოადგენს, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ნატურით შესრულება ფიზიკურად შეუძლებელია.<sup>361</sup> რაც სავსებით ლოგიკურია, მხარეს არ აქვს უფლება უპირობოდ შესთავაზოს ხელშეკრულების მეორე მხარეს ვალდებულების ნატურით დაბრუნების სანაცვლოდ პირდაპირ ფულადი კომპენსაცია. აუცილებელია ვალდებულების ნატურით შესრულების შეუძლებლობა იყოს სახეზე.

უფრო ზუსტად, ეს შემთხვევებია:

თუ ვალდებულების ნატურით შესრულება გამორიცხულია თავად შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში ძირითადად მომსახურების სფეროში დადებული ხელშეკრულებები მოიაზრება.<sup>362</sup> <sup>363</sup>

<sup>358</sup> თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006, 55.

<sup>359</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 242.

<sup>360</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), თბ., 2019, მუხლი 352, 6.

<sup>361</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჭანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 511.

<sup>362</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 243.

<sup>363</sup> რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), თბ., 2019, მუხლი 352, 11.

ბუნებრივია, ამ დროს ვალდებულების არსი თავად გამორიცხავს ნატურით შესრულების შესაძლებლობას.

ასევე, თუ მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს, გადააკეთებს, ასევე, თუ საგანი გაფუჭდება ან დაიღუპება სსკ–ის 352–ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად ნატურით შესრულება გამოირიცხება. ამ შემთხვევაში ლოგიკურია, რომ ნივთი ფიზიკურად განადგურებულია და ვალდებულების ნატურით შესრულებაც შეუძლებელია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სსკ ამ შემთხვევაში სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთას მხედველობაში არ იღებს.

საყურადღებოა, რომ ვალდებულების ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, სსკ–ის 352–ე მუხლის მე–3 ნაწილი ფულადი კომპენსაციის ალტერნატივად მოიაზრებს ასევე საპასუხო ვალდებულების შესრულებას. თუ ხელშეკრულების ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ გარკვეული მოთხოვნები აქვთ, რაც ორივეს მხრიდან ვალდებულების შესრულებას გულისხმობს, მათ შეუძლიათ ხელშეკრულებიდან გასვლისას ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ სწორედ სამაგიერო შესრულებაზე შეთანხმდნენ.

სსკ ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის მიუხედავად ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა. მაგ. როდესაც საგანი კრედიტორის ბრალით გაფუჭდება, ან დაიღუპება და სხვა. რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან როდესაც კრედიტორის ბრალულობა იკვეთება მას არ აქვს არანაირი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება–მოვალეობების შესრულება აღარ ევალებათ. მაგრამ, თუ ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალის ბრალით არის გამოწვეული და კრედიტორს მიადგება ზიანი, მას აქვს ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სსკ–ის 394–ე მუხლით დადგენილი წესით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გულისხმობს ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში საქმე ეხება კონკრეტულად ხელშეკრულებიდან გასვლის შემდგომ წარმოშობილი ნატურით დაბრუნების ვალდებულების დარღვევას, რის შედეგადაც კრედიტორმა მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა.<sup>364</sup> მნიშვნელოვანია მათი დიფერენცირება გარკვეული გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამოწვეული იყოს ხელშეკრულებიდან გასვლის ფაქტით. მხარემ ანაზღაურება სსკ–ის 394–ე მუხლის საფუძველზე უნდა მოითხოვოს სსკ–ის 352–ე მუხლის მე–5 ნაწილის საფუძველზე.

<sup>364</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 513.

სსკ-ის 394 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას მთავარი ელემენტი მოვალის ბრალეულობაა. თუ მოვალის პასუხისმგებლობა არ იკვეთება, მაშინ ზიანის ანაზღაურებაც გამოირიცხება.

ქართული ნორმისგან განსხვავებით, საკმაოდ დეტალურად არის მოწესრიგებული ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები 2011/83 დირექტივაში. ის პირდაპირ მიუთითებს, რომ მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებისას, მხარეთა შორის წყდება არსებული ყველა ვალდებულებები.<sup>365</sup> ამასთან, 2011/83 დირექტივით ზუსტად განსაზღვრულია როგორც მომხმარებლის, ისე მოვაჭრის ვალდებულებები ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მოვაჭრე ვალდებულია სრულად დაუბრუნოს გადახდილი თანხა, მათ შორის შესაძლებლობის შემთხვევაში მიწოდების საფასურიც, გაუმართლებელი შეფერხების გარეშე, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 14 დღის ვადისა.<sup>366</sup> ამ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ ევროპელი კანონმდებელი ზუსტად 14 დღიან ვადას უწესებს მოვაჭრესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის უზრუნველყოფის მიზნით. ეს მხარეთა თანაბარ პირობებში ჩაყენების ერთგვარ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ საქმე ეხება ნასყიდობის ხელშეკრულებას, მოვაჭრეს უფლება აქვს უარი თქვას თანხის უკან დაბრუნებაზე მანამ, სანამ არ დაიბრუნებს საქონელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ გამოხატა საქონლის საკუთარი ძალებით უკან წაღების წება.<sup>367</sup> აღსანიშნავია, რომ საქონლის უკან დაბრუნებას შეიძლება გაუთანაბრდეს მომხმარებლის მიერ წარდგენილი წებისმიერი სახის მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ საქონელი მან მოვაჭრეს უკან გაუგზავნა. ამასთან, თუ საქონელი, ან ხსენებული მტკიცებულება მოვაჭრემ 14 დღის შემდეგ მიიღო, მან გაუმართლებელი შეფერხების გარეშე უნდა დაუბრუნოს სრული თანხა მომხმარებელს. თუ რა იგულისხმება ტერმინში „გაუმართლებელი შეფერხება“, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. თუმცა, ზოგადი წესების თანახმად, თანხის უკან დაბრუნებამ რამდენიმე სამუშაო დღეზე მეტხანს არ უნდა გასტანოს.<sup>368</sup> მხარეებმა

<sup>365</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 12.

<sup>366</sup> იქვე, Art. 13 (1).

<sup>367</sup> იქვე, Art. 13 (3).

<sup>368</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council. 44.

შეძლებისდაგვარად დროულად უნდა მოახდინონ ამ ხელშეკრულებით მიღებული სარგებლის უკან დაბრუნება.

საყურადღებოა, რომ 2011/83 დირექტივის ზემოხსენებული დებულებით მოვაჭრის მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესებულია 97/7/EC დირექტივის მოთხოვნებთან შედარებით, რომელიც ავალდებულებდა მოვაჭრეს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა, დაებრუნებინა მომხმარებლისთვის თანხა ისე, რომ ამისთვის სავალდებულო არ იყო მომხმარებელს საქონელი უკან დაებრუნებინა.<sup>369</sup> ახალი დირექტივა მოვაჭრეს გარკვეულწილად დამატებით გარანტიებს უქმნის და აძლევს შესამლებლობას თანხა დააკავოს საქონლის უკან მიღებამდე. 2011/83 დირექტივა ცდილობს ერთგვარი ბალანსი შექმნას ხელშეკრულების მხარეთათვის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის პარალელურად, სრულად არ უგულებელყოს მოვაჭრის ინტერესებიც.

აღსანიშნავია, რომ საქონლის უკან დაბრუნების თაობაზე მტკიცებულებაში 2011/83 დირექტივის სახელმძღვანელო, მოიაზრება წერილობითი სახის დოკუმენტი მიმწოდებელი სატრანსპორტო ან საფოსტო კომპანიისგან, სადაც გარკვევით იქნება აღნიშნული როგორც გამგზავნის, ისე ამ საქონლის მიმღების ვინაობა.<sup>370</sup> ამ დოკუმენტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მომხმარებლისთვის ის ერთგვარი გარანტიაა მტკიცების ტვირთის თვალსაზრისით. მას შეუძლია ასე დაადასტუროს, რომ საქონელი ნამდვილად გაუგზავნა მოვაჭრეს.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი თანხმდება მოვაჭრის შეთავაზებას საქონლის უკან წაღებასთან დაკავშირებით, ან თუ მოვაჭრე შესთავაზებს მას საკუთარი ხარჯებით წაიღოს უკან საქონელი, ამ შემთხვევაში, მოვაჭრე კარგავს უფლებას დააყოვნოს მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.<sup>371</sup> რადგან მოვაჭრე საკუთარ თავზე იღებს საქონლის ტრანსპორტირების ვალდებულებას, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მომხმარებლის ინტერესები არ უნდა შეილახოს და თანხა მას დროულად უნდა დაუბრუნდეს.

2011/83 დირექტივის მე-13 მუხლში აღნიშნულია, რომ თანხის უკან დაბრუნება უნდა განხორციელდეს იმავე გზით, რა საშუალებითაც განახორციელა მომხმარებელმა პირველადი ტრანზაქცია. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ფულის იმ ერთეულში უკან დაბრუნება, რა ვალუტაშიც გადაიხადა საფასური მომხმარებელმა. მაგ. თუ მომხმარებელმა საქონლის საფასურის გადახდისას, ფულის გადარიცხვის დროს საბანკო მომსახურებაში დამატებით 50 ევრო გადაიხადა, ანალოგიურ მომსახურების საკომისიოს გადაიხდის მოვაჭრე თანხის უკან დაბრუნებისას, თუმცა ხაზგასმით უნდა

<sup>369</sup> Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of 20 May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts, Art. 6 (2).

<sup>370</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 45.

<sup>371</sup> იქვე.

აღინიშნოს, რომ პირველადი ტრანზაქციის მომსახურების საფასური მომხმარებელს არ აუნაზღაურდება. ამასთან, თუ მომხმარებლის საბანკო ანგარიში ერთ ვალუტაშია, ხოლო გადახდა და უკან დაბრუნება სხვა ვალუტაში ხორციელდება, მოვაჭრე პასუხს არ აგებს ვალუტის კურსის ცვლილების გამო წარმოშობილ სხვაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში, მხარეებს სრული უფლება აქვთ თანხის უკან დაბრუნების სხვა მეთოდზე შეთანხმდნენ.<sup>372</sup> აქვე საყურადღებოა, რომ მიწოდების საფასურის გადახდისგან მოვაჭრე თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა პირდაპირ შეარჩია მოვაჭრის მიერ შეთავაზებული სტანდარტული მიწოდების პირობებისგან განსხვავებული მიწოდების საშუალება.<sup>373</sup> ამ შემთხვევაში ევროპელი კანონმდებელი მომხმარებელს ავალდებულებს საქონელი მოვაჭრეს დაუბრუნოს იმ საშუალებით, რასაც თავად მოვაჭრე შეარჩევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწოდების საფასურის ანაზღაურება მომხმარებელს ეკისრება.

მომხმარებლის ვალდებულებები ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში 2011/83 დირექტივის მე-14 მუხლშია მოწესრიგებული.

მომხმარებლის მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს საქონლის მოვაჭრისთვის, ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირისთვის გადაცემა, დაუყოვნებლივ, ან არაუგვიანეს 14 დღისა, მას შემდეგ რაც მომხმარებელი აცნობებს მოვაჭრეს, რომ ხელშეკრულებაზე უარს ამბობს. ეს წესი გამოიყენება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოვაჭრე თავად გამოხატავს საქონლის საკუთარის ძალებით უკან წაღების სურვილს.<sup>374</sup> მართალია, მომხმარებელს საქონლის უკან დასაბრუნებლად 14 დღის ვადა აქვს, მაგრამ რადგან მას ეკისრება პასუხისმგებლობა უარის თქმის პერიოდში საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანებაზე, მის ინტერესებში შედის, რომ საქონელი რაც შეიძლება სწრაფად დააბრუნოს.<sup>375</sup> შესაბამისად, მომხმარებელს უფლება აქვს საქონელი მოვაჭრეს პირველი შესაძლებლობისთანავე დაუბრუნოს, რათა თავიდან აირიდოს ნებისმიერი სახის რისკი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის უკან დაბრუნების ხარჯები მომხმარებელს ეკისრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოვაჭრემ თავის

<sup>372</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 45.

<sup>373</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 13 (2).

<sup>374</sup> იქვე, Art. 14 (1).

<sup>375</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 43.

თავზე აიღო მათი ანაზღაურება, ან ხელშეკრულების დადებამდე არ აცნობა მომხმარებელს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქონლის უკან დაბრუნების ხარჯები მას დაეკისრებოდა.<sup>376</sup> ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელი არ არის ვალდებული დაეთანხმოს მოვაჭრის შემოთავაზებას საქონლის უკან წაღებასთან დაკავშირებით, აյ მას სრული თავისუფლება აქვს.<sup>377</sup> მომხმარებელს სრული უფლება აქვს ივარაუდოს, რომ მოვაჭრემ შესაძლოა საქონლის უკან წაღება დროში საკმაოდ გაახანგრძლივოს. ამ ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით მომხმარებელს სრული უფლება აქვს არ დაეთანხმოს მოვაჭრის შემოთავაზებას და საქონლის უკან დაბრუნება თავისი სახსრებით უზრუნველყოს.

ამასთან, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც საქონელი მომხმარებელს სახლში მიეწოდება ხელშეკრულების დადების მომენტში, მოვაჭრე ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს საქონლის უკან წაღება, თუ საქონლის ხასიათიდან გამომდინარე, ფოსტით მისი დაბრუნება შეუძლებელია.<sup>378</sup> მართალია, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოვაჭრე ვალდებულია აცნობოს მომხმარებელს, რომ მას ეკისრება საქონლის უკან დაბრუნების ხარჯები, თუ საქონლის ფოსტით დაბრუნება ვერ ხორციელდება,<sup>379</sup> მაგრამ აღნიშნული დათქმა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, ამ წესიდან ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს.

აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდში, მომხმარებელი პასუხს აგებს საქონლის ღირებულების ისეთი შემცირებისთვის, რომელიც მისი მხრიდან არასათანადო მოპყრობით იქნება გამოწვეული. არასათანადო მოპყრობაში იგულისხმება ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ შეესაბამება საქონლის მახასიათებლებისა და ფუნქციონირების მიზნით მის გამოყენებას.<sup>380</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მომხმარებელი არ

<sup>376</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 14 (1).

<sup>377</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 44.

<sup>378</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 44.

<sup>379</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 6 (1) (i).

<sup>380</sup> იქვე, Art. 14 (2).

კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, მხოლოდ ფინანსურად პასუხს აგებს საქონლის ღირებულების იმ შემცირებისთვის, რაც მისი ბრალეული ქმედებით იქნება გამოწვეული. იმისათვის, რომ მომხმარებელმა შეძლოს საქონლის მახასიათებლების, ფუნქციონირების და მისი არსის დადგენა, მას შეუძლია საქონელი შეამოწმოს ისე, როგორც ამის საშუალება მაღაზიაში საქონლის შეძენისას ექნებოდა. მაგ. მომხმარებელს უფლება აქვს გაისინჯოს ტანსაცმელი, მაგრამ არ აქვს უფლება ატაროს იცი პერმანენტულად.<sup>381</sup> შესაბამისად, ტანსაცმლის დიდხანს ტარება, ვერ ჩაითვლება ამა თუ იმ პროდუქტის უბრალოდ ფუნქციონირების დასადგენად განხორციელებულ ქმედებად.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, საქონლის ღირებულების შემცირებისას, მომხმარებელს შეიძლება დაეკისროს მისი გაწმენდის და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენისთვის საჭირო თანხის გადახდა. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე საქონელს ვეღარ გაყიდის როგორც ახალს, მომხმარებელს შეიძლება დაეკისროს იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულება, რაც მისი ბრალეული ქმედებით მიადგა მოვაჭრეს.<sup>382</sup> რაც სრულიად ლოგიკურია, რადგან მომხმარებლის ბრალეული მოქმედების გამო, მოვაჭრემ ზიანი არ უნდა განიცადოს.

ამასთან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს მომხმარებლის მიერ საქონლის მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დადგენისთვის განხორცილებული ქმედება შესაბამებოდა ნორმის ფარგლებს, თუ არა. მაგ. ტანსაცმლის მაღაზიაში გასინჯვისას, მომხმარებელს არ აქვს უფლება მოხსნას მას მწარმოებლის იარლიყი. შესაბამისად, თუ აღნიშნულს ის გააკეთებს უარის თქმის უფლების გამოყენების პერიოდში, ეს არ ჩაითვლება საქონლის ბუნებისა და მახასიათებლების დადგენის მიზნით განხორციელებულ ჩვეულებრივ ქმედებად. თუმცა, ზოგადად მომხმარებელს უნდა ქონდეს შესაძლებლობა გახსნას შეფუთვა და ისე შეამოწმოს საქონელი, თუ მაღაზიაში ისინი გახსნილი და ხელმისაწვდომი არ არის. მაგრამ, თუ საქონელს აქვს სპეციალური დამცავი ბარიერი, მისი გახსნა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას უნდა მოხდეს.<sup>383</sup>

საქონლის ღირებულების შემცირების შემთხვევაში 2011/83 დირექტივა არ არეგულირებს მომხმარებლის პასუხისმგებლობის ფარგლებს. არ არის აღნიშნული, თუ რა სამართლებრივი ბერკეტების გამოყენების უფლება აქვს მოვაჭრეს.<sup>384</sup> სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში, ხსენებული საკითხის სამართლებრივი რეგულირება უკვე წევრი ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების გამგეობას განეკუთვნება.

<sup>381</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, recital 47.

<sup>382</sup> იქვე.

<sup>383</sup> იქვე.

<sup>384</sup> იქვე, Art. 3 (5).

საყურადღებოა, რომ მომხმარებლის მიერ საქონლის ბუნებისა და მახასიათებლების დადგენის მიზნით განხორციელებული ქმედება და დამდგარი შესაძლო ზიანი, არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს მის მიერ ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას და სურვილს. ამ თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე C-489/07, რომლის თანახმად სასამართლომ აღნიშნა, რომ მომხმარებლისთვის საქონლის გამოყენება, ან არ გამოყენებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის დაკისრებამ ევროკავშირის წევრი ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, შესაძლოა, სურვილი დაუკარგოს მას სამომავლოდ ისარგებლოს უარი თქმის უფლებით მსგავსი სახის ხელშეკრულებაზე.<sup>385</sup> თუმცა, ასეთ დროს დაუშვებელია ხელშეკრულების მეორე მხარის, მოვაჭრის უფლებების სრული უგულებელყოფა და მისი ერთგვარი დასჯა, მხოლოდ იმიტომ, რომ მომხმარებელმა შესაძლოა, სამომავლოდ აღარ ისარგებლოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით. მართალია, 2011/83 დირექტივა ყურადღებას მომხმარებელზე ამახვილებს, მაგრამ საჭიროა მხარეთა უფლებების დაცვის კუთხით გარკვეული ბალანსის არსებობის უზრუნველყოფა.

აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელი თავისუფლდება ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობისგან, თუ მოვაჭრე დაარღვევს მისთვის უარის თქმის უფლების გამოყენების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.<sup>386</sup> ასეთ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმისთვის დადგენილი 14 დღიანი ვადა იზრდება 12 თვემდე.<sup>387</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებელს უფლება აქვს უარის თქვას ისეთ ხელშეკრულებაზე, რომლის დროსაც საკმაოდ დიდი ხნის პერიოდში, სარგებლობდა ნივთებით ისე, რომ საბოლოოდ პასუხს არ აგებს მათი არანაირი სარგებლობისთვის და ცეთისთვის.<sup>388</sup> ამ შემთხვევაში, მოვაჭრის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევით, მასვე ეკისრება ნებისმიერი რისკი, რაც ამ ვალდებულების დარღვევას ახლავს თან.

2011/83 დირექტივის თანახმად, როდესაც მოვაჭრე საქონელს მომხმარებელს, ან მის მიერ განსაზღვრულ პირს გადასცემს მფლობელობაში, აღნიშნული საქონლის განადგურების, ან დაკარგვის რისკი მომხმარებელზე

<sup>385</sup> ECJ, *Pia Messner v Firma Stefan Krüger – C-489/07*, <<http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-489/07#>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.05.2019.

<sup>386</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 14 (2).

<sup>387</sup> იხ. სადისერტაციო ნაშრომის მე-3 თავი: მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შედეგები.

<sup>388</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 48.

გადადის. მომხმარებელი პასუხისმგებელია იმ შემთხვევაშიც, თუ გადამზიდი კომპანია მის მიერ არის შერჩეული.<sup>389</sup> თუმცა, მოვაჭრის პასუხისმგებლობა იკვეთება იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელი უარს ამბობს საქონლის ჩაბარებაზე და მნიშვნელობა არ აქვს მიზეზს (ეს შეიძლება იყოს ხელშეკრულებაზე უარის თქმა ან სხვა), რადგან ამ შემთხვევაში არ მომხდარა პასუხისმგებლობის გადასვლა მომხმარებელზე.<sup>390</sup> მომხმარებელი პასუხისმგებელი ნივთის ფაქტობრივი დაუფლების მომენტიდან ხდება. ამ შემთხვევაში კი აღნიშნული სახეზე არ არის. შესაბამისად, ის თავისუფლდება ნებისმიერი სახის ვალდებულების შესრულებისაგან.

რაც შეეხება ზოგადად საქონლის განადგურების ან დაკარგვის რისკს, ამ შემთხვევაში 2011/83 დირექტივა პირდაპირ არ არეგულირებს ამ საკითხს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით მოაწესრიგონ მხარეთა პასუხისმგებლობის პროპორციულობა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მომხმარებლის პასუხისმგებლობა იმ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, რომლის მომსახურების განხორციელება მოვაჭრემ დაიწყო მასზე უარის თქმის პერიოდში (როდესაც სახეზეა წყლის, გაზის ან ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულება, მაშინ როდესაც ისინი არ იყიდება შეზღუდული რაოდენობით).<sup>391</sup> ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური მხოლოდ გაწეული მომსახურების პროპორციულად, რომელიც ხელშეკრულების სრული საფასურის მიხედვით გამოიანგარიშება.<sup>392</sup>

ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხთან ერთად, 2011/83 დირექტივა აწესრიგებს ასევე იმ ხელშეკრულების ბედსაც, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ქუჩაში დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებასა, თუ მომსახურების გაწევასთან. კერძოდ, ეს ის შეთანხმებებია, რომლებსაც მომხმარებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს, ან მომსახურებას მიიღებს მოვაჭრის ან მესამე მხარისაგან ამ ორს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.<sup>393</sup> მაგ. ეს შეიძლება იყოს მიწოდების, მონტაჟის, ან ინსტალაციის, სადაზღვევო ან

<sup>389</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 20.

<sup>390</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 48.

<sup>391</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 7 (3).

<sup>392</sup> იქვე, Art. 14 (3).

<sup>393</sup> იქვე, 2 (15).

საკრედიტო შეთანხმებები.<sup>394</sup> თუ მომხმარებელი ამ შემთხვევაში ისარგებლებს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, მაშინ ძირითადი ხელშეკრულების შეწყვეტით, ავტომატურად წყდება დამატებითი ხელშეკრულების მოქმედებაც.<sup>395</sup> რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან როდესაც მხარე უარის ამბობს გაზეურის შეძენაზე, ყოველგვარ აზრს მოკლებულია ამ გაზქურის მონტაჟთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულების ძალაში ყოფნა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ფინანსური სახის ხელშეკრულებებზე 2011/83 დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება,<sup>396</sup> თუმცა, ე.წ. დამატებითი ხელშეკრულების სახით ის მაინც შეიძლება მოქცეს მისი რეგულირების სფეროში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ის ძირითად ხელშეკრულების ბედს იზიარებს, ამ სახის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხები მაინც ევროკავშირის წევრი ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უნდა დარეგულირდეს. მაგ. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოვაჭრეს შეიძლება დაეკისროს იმ მიმწოდებელი კომპანიის ინფორმირების ვალდებულება, რომელსაც უნდა მიეწოდებინა საქონელი, ან გაეწია შესაბამისი მომსახურება მომხმარებლისთვის და სხვა.<sup>397</sup>

შეიძლება ითქვას, რომ 2011/83 დირექტივის მსგავსად, აშშ-ში მოქმედი CFR კოდექსიც, მყიდველს (მომხმარებელს) გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ხელშეკრულებაზე უარის თქმისას. კერძოდ, მყიდველი ვალდებულია მიღებული საქონელი დააბრუნოს მაქსიმალურად ისეთ მდგომარეობაში, როგორმიც ის მიიღო, ან მისი სურვილის შემთხვევაში, დაემორჩილოს გამყიდველის მითითებს და გამყიდველის ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ნივთის უკან დაბრუნება. ასევე, თუ მყიდველი ხელმისაწვდომს გახდის საქონელს გამყიდველისთვის და გამყიდველი არ წაიღებს მას შეტყობინების გაგზავნიდან 20 დღის განმავლობაში, მყიდველს უფლება აქვს დაეუფლოს, ან განკარგოს ნივთები სამომავლო ვალდებულებების წარმოშობის გარეშე. ხოლო, თუ არ გახდის ხელმისაწვდომს საქონელს გამყიდველისთვის, ან თუ დათანხმდება ნივთის უკან დაბრუნებას თავისი ძალებით, მაგრამ არ გააკეთებს ამას, მაშინ მყიდველი თავადაა პასუხისმგებელი მსგავს შემთხვევებში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის შედეგებზე.

<sup>394</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 53.

<sup>395</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Art. 15 (1).

<sup>396</sup> ოქვე, Art. 3 (3) (d).

<sup>397</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 53.

რაც შეეხება „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტს, უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივისგან განსხვავებით ის დეტალურად არ არეგულირებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგებს. მე-9 მუხლში მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ უარის თქმის უფლების გამოყენებით მხარეთა შორის ვალდებულებები წყდება. ამასთან, მოვაჭრეს ავალდებულებს სრულად დააბრუნოს გადახდილი თანხა მომხმარებელს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა. ამ თანხაში არ მოიაზრებს მიწოდების ხარჯებს. ასევე, მოვაჭრეს ანიჭებს უფლებას არ დაუბრუნოს თანხა მომხმარებელს, სანამ საქონელი მას არ დაუბრუნდება. საქონლის უკან დასაბრუნებლად მას ასევე 14 დღე აქვს განსაზღვრული, როგორც ეს 2011/83 დირექტივით არის გათვალისწინებული.<sup>398</sup> მიუხედავად იმისა, რომ ქართველო კანონმდებელი ერთგვარად იზიარებს ევროპელი კანონმდებლის მიდგომას ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან მიმართებით, საყურადღებოა, რომ მაინც ზოგადი ხასიათისაა და უფრო მეტ კონკრეტიკას საჭიროებს.

ასევე, ქართული კანონპროექტის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ სახის ხელშეკრულებაზე უარის თქმის ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, როგორიცაა უარის თქმის შედეგი, ის საკმაოდ ზედაპირულად აწესრიგებს. 2011/83 დირექტივის მსგავსად, დეტალურად არ ითვალისწინებს გარემოებას, როდესაც საქონლის უკან დაბრუნებას შეიძლება გაუთანაბრდეს მომხმარებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ საქონელი მან მოვაჭრეს უკან გაუგზავნა; ამასთან, არ არის გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც მოვაჭრემ საქონელი 14 დღის შემდეგ მიიღო – 2011/83 დირექტივით, ასეთ შემთხვევაში მოვაჭრემ გაუმართლებელი შეფერხების გარეშე უნდა დაუბრუნოს სრული თანხა მომხმარებელს და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ თავში საკმაოდ დეტალურად იქნა განხილული ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები 2011/83 დირექტივის ნორმების მიხედვით, რაც ამ საკითხის აქტუალობით არის განპირობებული. როგორც უკვე აღინიშნა, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი დეტალურად ხსენებულ საკითხს არ არეგულირებს, რაც მის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. აუცილებელია, მომხმარებელი წინასწარ იყოს ინფორმირებული იმ შესაძლო სამართლებრივ, თუ ფაქტობრივ შედეგებზე, რაც ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას შეიძლება ახლდეს თან.

<sup>398</sup> საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, მუხლი 9, ნაწ. 2.

## თავი V. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხავი გარემოებები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მიზანია იმ მომხმარებლის უფლებების დაცვა, რომელიც ხელშეკრულებას არასახელშეკრულებო გარემოში დებს და ამით თავისი არჩევანის თავისუფლებაში იზღუდება. მომხმარებლის ამ სპონტანურ გადაწყვეტილებას შეიძლება მისთვის სავალალო სამართლებრივი შედეგებიც მოჰყვეს. ის ხომ ხელშეკრულებას დებს იმდენად მოულოდნელად და მოუმზადებლად, რომ არც კი აქვს გააზრებული მისი არსი და შესაძლო უარყოფითი შედეგები.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს მთავარი ორიენტირი მომხმარებელზე და მისი უფლებების დაცვაზე კეთდება, კანონმდებელი არ უგულებელყოფს მეორე მხარის, მოვაჭრის ინტერესებსაც და ზოგ შემთხვევებში უზღუდავს მომხმარებელს ხელშეკრულებიდან გასვლას, რაც ერთგვარად აფართოვებს ამ მუხლის მიზანს – იცავს მოვაჭრის ინტერესებსაც.

### 5.1. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხავი გარემოებების დათქმის მნიშვნელობა

ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს ამოცანაა უზრუნველყოს მხარეთა უფლებების თანაბრად დაცვა ნებისმიერი სახის ურთიერთობებში. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში როგორც მომხმარებლის, ისე მოვაჭრის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ერთგვარი ბალანსის გზით უნდა მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ სამომხმარებლო ხელშეკრულებების დროს მირითადად მომხმარებლის უფლებების მაღალი სტანდარტების შექმნას ენიჭება პრიორიტეტი. მაგრამ, არსებობს გარემოებები, რომლის დროსაც აუცილებელია მოვაჭრის ინტერესების გათვალისწინებაც. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს მომხმარებლისთვის შესაბამისი გარემოებების არსებობისას, გასვლის უფლების შეზღუდვა, მხარეთა ინტერესების თანაბარი დაცვის მიზანს ემსახურება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სსკ-ის 336-ე მუხლის მოქმედი რედაქციის თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მას 1 კვირის ვადაში არ უარყოფს. გარკვეულწილად ქართველი კანონმდებლის ეს დათქმა შეიძლება ზოგადად ამ სახის ხელშეკრულების გამომრიცხავ გარემოებად იქნას მოაზრებული. თუმცა, კონკრეტულად ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავ გარემოებებს ქართული კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, ნაშრომის შემდგომ ქვეთავში აღნიშნული საკითხის განხილვა

ძირითადად 2011/83 დირექტივის მუხლების საფუძველზე მოხდება. ქართული სამართლის ნორმების მიმოხილვა მოხდება ზოგადად ნებისმიერი სახის ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის ჭრილში.

## 5.2. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხავი გარემოებების კლასიფიკაცია და გამოყენების კრიტერიუმები

ხელშეკრულებაზე უარის თქმა ყოველთვის უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს – მხარეებმა უნდა სცადონ მისი შესრულება.<sup>399</sup> საყურადღებოა, რომ ზოგადად, ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გასვლა შეიძლება შეიზღუდოს როგორც კანონით, ისე თავად ამ კონკრეტული ხელშეკრულების ნორმებით.<sup>400 401</sup> სსკ ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის რამდენიმე საფუძველს იცნობს, რომელთა უმრავლესობა სსკ-ის 405-ე მუხლშია მოწესრიგებული.

სსკ-ის 358-ე მუხლით გათვალისწინებულ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის დაუშვებლობასთან მიმართებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს შემთხვევა, როდესაც კრედიტორს სურს ხელშეკრულებიდან გასვლა მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ხოლო მოვალეს შეუძლია გაქვითვის გზით შეასრულოს ეს ვალდებულება. ამ შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობაში მოიაზრება როგორც შესრულების ვადის გადაცილება, ასევე, ვალდებულების არაჯეროვანი, ან უხარისხო შესრულება.<sup>402</sup> ვალდებულების გაქვითვის წესს დეტალურად სსკ 442–447 მუხლები არეგულირებს.

სსკ-ის 405-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეზღუდულია ასევე, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. ეს ისეთი დარღვევაა, რომელსაც მეორე მხარის

<sup>399</sup> ქანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 440.

<sup>400</sup> ბაჩიაშვილი ვ., დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008, 182.

<sup>401</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-38-2018.

<sup>402</sup> ქანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 261.

ინტერესზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია.<sup>403</sup> შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, თუ რამდენად არსებითია ვალდებულების დარღვევა. ვალდებულების არსებითი დარღვევად ბესარიონ ზოიძე ისეთ შემთხვევას მიიჩნევს, როდესაც ნივთი ნივთობრივად ნაკლოვანია.<sup>404</sup> რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან როდესაც მხარეები ნივთის გარკვეულ მახასიათებლებზე შეთანხმდებან, შემდეგ კი ეს ნივთი ამ თვალსაზრისით ნაკლოვანი აღმოჩნდება, ამ შემთხვევაში ვალდებულების არსებითი დარღვევა იქნება სახეზე.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება სსკ–ის 405–ე მუხლის მე–3 ნაწილის „ბ“ პუნქტით, გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, თუ სახეზეა მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა, მაგრამ ამის მიუხედავად კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება. კანონით, შეიძლება ერთ მხარეს დაეკისროს მეორე მხარის ქონებისა და უფლებებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერება.

ხელშეკრულებაზე უარით კრედიტორი ვერ ისარგებლებს სსკ–ის 405–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – როდესაც ვალდებულების დარღვევისთვის ის თვითონ არის პასუხისმგებელი. ამ შემთხვევაში კრედიტორის პრეტენზია ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე სრულიად უსაფუძვლოა, რადგან ვალდებულება სწორედ მისი ბრალეული ქმედებით ვერ განხორციელდა.<sup>405</sup> ბუნებრივია, რომ მხარე, რომელსაც ბრალი მიუძღვის ვალდებულების დარღვევაში ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, მისი მოთხოვნა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნება.

სსკ–ის 405–ე მუხლის მე–3 ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი კიდევ ერთი საფუძველია ისეთი შემთხვევა, როდესაც მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა, ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ. „აქ ისეთი ვითარება იკვეთება, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა „იბოჭება“ მოვალის პრეტენზით.“<sup>406</sup> ამ შემთხვევაში მოიაზრება მოვალის საფუძვლიანი პრეტენზია კრედიტორის მიმართ, რომელმაც შეიძლება გარკვეულწილად გამორიცხოს კრედიტორის

<sup>403</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 510.

<sup>404</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე გ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 441.

<sup>405</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), თბ., 2019, მუხლი 405, 64.

<sup>406</sup> ჭანტურია ლ., ზოიძე გ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 444.

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.<sup>407</sup> თუმცა, ამ დროს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება სრულად არ გამოირიცხება, არამედ მხოლოდ დროებით ჩერდება.<sup>408</sup> შეჩერების საფუძვლის სრულად აღმოფხვრის შემთხვევაში კი მხარეს ისევ უნარჩუნდება უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, კონკრეტულად ქუჩაში დადებული ხელშეკრულებიდან გასვლის გამომრიცხავ გარემოებებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს.

რა თქმა უნდა, ქართველი კანონმდებლისგან განსხვავებით, სრულყოფილი და დეტალური სამართლებრივი რეგულირებით გამოირჩევა ევროპელი კანონმდებელი და 2011/83 დირექტივის მე-16 მუხლი საკმაოდ ფართოდ და კონკრეტულად განსაზღვრავს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავ გარემოებებს. რადგან ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სსკ აღნიშნულ ინსტიტუტს არ იცნობს, საჭიროა, დეტალურად განხილულ იქნას რამდენიმე მათგანი.

2011/83 დირექტივის მე-16 მუხლის თანახმად, მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე მთელ რიგ შემთხვევებში, კერძოდ:

მომსახურების ხელშეკრულების დროს, თუ მომხმარებელი ხელშეკრულების დადებისთანავე თანხმდება და გააზრებული აქვს, რომ მომსახურების სრულად მიღების შემდეგ მას არ ექნება უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე; აქ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მომხმარებელი უარის თქმის უფლების შეზღუდვას თავად ეთანხმება და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც მომსახურება სრულად იქნება გაწეული.

მომხმარებლის გასვლის უფლება იზღუდება ისეთი საქონლის მიწოდების, ან მომსახურების გაწევისას, რომლის ღირებულებაც დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის მერყეობაზე, რომელსაც მოვაჭრე ვერ გააკონტროლებს და რომელიც შეიძლება მოხდეს უარის თქმის უფლების პერიოდში. ფინანსური ბაზრის მერყეობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, ასევე შემთხვევა, როდესაც ალკოჰოლური სასმელის მიწოდება, რომლის ღირებულებაც შეთანხმებულ იქნა ხელშეკრულების დადების მომენტში, დაიგეგმა 30 დღის შემდეგ, მაგრამ სწორედ ზემოხსენებული მიზეზით, შეთანხმებულმა ღირებულებამ ცვლილება განიცადა. ამ დროს მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ვერ იტყვის, რადგან მოვაჭრეს ბრალი არ მიუძღვის ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის. ცხადია, მას პასუხისმგებლობაც არ უნდა დაეკისროს. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ

<sup>407</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014, 510.

<sup>408</sup> ქანტურია ლ., ზოიძე გ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., 2001, 444.

მომხმარებელს ასეთ დროს არ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლება.

თუ მომხმარებლისთვის მიწოდებული საქონელი დამზადებულია მისი ინდივიდუალური შეკვეთით, ან აშკარად მორგებულია მის პირად საჭიროებებს, ბუნებრივია, რომ ამ დროს ის მოკლებულია შესაძლებლობას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. როდესაც ხელშეკრულება კონკრეტულ მომხმარებელზეა მორგებული, მოვაჭრეს მომხმარებლისგან შესრულების მიღების მოლოდინი უნდა ჰქონდეს.

ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეზღუდულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მომხმარებლისთვის მიწოდებული საქონელი მალფუჭებადია, ან გააჩნია მოკლე ვარგისიანობის ვადა. დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე, მალფუჭებად საქონელს განეკუთვნება საჭმელი და სასმელი, რომელსაც მოქმედების ვადა მალე ეწურება, მათ შორის ამ საგნების მაცივარში შენახვის შემთხვევაში.<sup>409</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ 2011/83 დირექტივის თანახმად, თუ მომხმარებლისთვის მიწოდებულია ჰერმეტულად დახურული საქონელი, რომელიც ჯანმრთელობის, ან ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისით, არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას და მისი ჰერმეტულობა დარღვეულია დაბრუნების მომენტში, მომხმარებელი მასზე უარს ვერ იტყვის. ამ კატეგორიას ძირითადად კოსმეტიკური ნაწარმი განეკუთვნება, რომელთა გახსნის შემთხვევაში მათი ვარგისიანობის ვადის ათვლა იწყება და ისინი უკან დაბრუნებას ვეღარ დაექვემდებარება.<sup>410</sup>

2011/83 დირექტივით, მომხმარებელი მოკლებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, როდესაც სახეზეა გარკვეული ფართით უზრუნველყოფის შემთხვევა, თუმცა იმ პირობით, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს იქ ცხოვრება და ასევე, საქონლის მიწოდება, ავტომობილის ქირავნობა, საბანკეტო ან სხვა სახის სადღესასწაულო მომსახურება, თუ ხელშეკრულების შესრულება ითვალისწინებს კონკრეტულ თარიღს და პერიოდს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყოს მისი შესრულების კონკრეტული თარიღი.<sup>411 412</sup>

<sup>409</sup> DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 55.

<sup>410</sup> იქვე.

<sup>411</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, recital 49.

<sup>412</sup> მომხმარებლის უარის თქმის უფლება ასევე იზღუდება: თუ მისთვის მიწოდებულია საქონელი, რომელიც მიწოდების შემდეგ თავისი ბუნებიდან გამომდინარე შეერწყა სხვა საქონელს; დალუქული აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის, ან კომპიუტერული პროგრამის მიწოდებისას, თუ ისინი გახსნილ იქნა მიწოდების შემდეგ; მომხმარებლისთვის მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები, ან სხვა სახის პუბლიკაციები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწოდება ხორციელდება სააბონენტო ხელშეკრულების საფუძველზე; თუ ხელშეკრულება დადებულია საჯარო აუქციონის შედეგად და სხვა.

მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ გსკ-ის 312-ე პარაგრაფის „გ“ პუნქტის არსებული რედაქცია, სრულად იზიარებს 2011/83 დირექტივის ზემოხსენებულ ჩამონათვალს. უფრო მეტიც, ითვალისწინებს კიდევ ერთ, დამატებით გამონაკლისს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ნოტარიულად არის დამოწმებული მომხმარებელს არ შეუძლია მოითხოვოს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებიდან გასვლა.

სავარაუდოა, რომ გერმანელი კანონმდებლის ზემოაღნიშნული დათქმა გსკ-ის 2014 წლამდე მოქმედი ნორმის გავლენას განიცდის. კერძოდ, 312-ე პარაგრაფის წინა რედაქციით, მომხმარებელს არ ჰქონდა უფლება უარი ეთქვა ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე, თუ მისი ნების გამოვლენა იყო სანოტარო წესით დამოწმებული. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ აღარ იყო სახეზე ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მთავარი მახასიათებელი ნიშანი – მოულოდნელობა. ამ ხელშეკრულებას ხომ მომხმარებელი სპონტანურად, დაუფიქრებლად დებს და არ იაზრებს მის სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მხარის ნების გამოვლენა სანოტარო წესითაა დამოწმებული, ეს რა თქმა უნდა გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელს საკმარისი დრო ჰქონდა დასაფიქრებლად და შედეგების გასაზრებლად. შესაბამისად, მომხმარებელი აღარ წარმოადგენს ე.წ. „სუსტ მხარეს“. სწორედ თავისი პასუხისმგებლობის ფარგლების უგულებელყოფისთვის „სჯიდა“ მას გერმანელი კანონმდებელი და უზღუდავდა შესაძლებლობას ასეთ შემთხვევაში უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ეს გამონაკლისი შედარებით ნაკლებმიშვნელოვანი იყო და პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა, რადგან ნოტარიუსები, შეძლებისდაგვარად, მალიან იშვიათად ახდენდნენ მსგავსი ხელშეკრულებების დამოწმებას.<sup>413 414</sup>

აღსანიშნავია, რომ 2011/83 დირექტივის დებულებები უარის თქმის გამომრიცხავ გარემოებებთან დაკავშირებით სრულად გაიზიარა ბრიტანელმა კანონმდებელმაც.<sup>415</sup>

ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამონაკლისი შემთხვევების კონკრეტულ ჩამონათვალს ამერიკელი კანონმდებელი არ იცნობს. ფედერალური რეგულაციების შესახებ კოდექსის 429.3 მუხლი

<sup>413</sup> Schulze R., Dörner H., Ebert, I., u.a. Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 7. Aufl., Baden-Baden 2012, § 312 Rn. 10.

<sup>414</sup> გარდა აღნიშნული გამონაკლისისა გსკ-ის 312-ე პარაგრაფი ითვალისწინებდა კიდევ რამდენიმე გამონაკლისს. ესენია: 1. ზეპირი მოლაპარაკება, რომელზეც დამოკიდებული იყო ხელშეკრულების დადება, წარიმართებოდა მომხმარებლის მიერ გაკეთებული წინასწარი შეკვეთის მიხედვით; 2. ვალდებულების შესრულება და გადახდა განხორციელდებოდა დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დასრულებისთანავე და საზღაური არ აღემატებოდა 40 ევროს; 3. დაზღვევის ხელშეკრულება, რომელშიც მოიაზრებოდა დაზღვევის ყველა ტიპი, რომელიც განსაზღვრულია სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონით (VVG).

<sup>415</sup> Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations 2013, Part 3. Right to Cancel. Article 28, <<http://www.legislation.gov.uk/uksi/2013/3134/introduction/made>>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 21.05.2019.

ზოგადად არეგულირებს შემთხვევებს, რომლებზეც ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისთვის დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება.

რაც შეეხება „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტს, უნდა აღინიშნოს, რომ ის თითქმის სრულად იზიარებს 2011/83 დირექტივის დებულებებს, მაგრამ არ აქვს იმპლემენტირებული ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი ისეთი მნიშვნელოვანი დებულებები, როგორიცაა:

ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვა, როდესაც საქმე ეხება გარკვეული ფართით უზრუნველყოფას და მისი მიზანი არ არის იქ ცხოვრება; ასევე, ავტომობილის ქირავნობის, საბანკეტო ან სხვა სახის სადღესასწაულო მომსახურებების დროს, თუ ხელშეკრულების შესრულება ითვალისწინებს კონკრეტულ თარიღს და პერიოდს; საქონლის მიწოდებას, ან მომსახურების გაწევას, რომლის ღირებულებაც დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის მერყეობაზე, რომელსაც მოვაჭრე ვერ გააკონტროლებს და სხვა.

სასურველია, ზემოაღნიშნული საკითხების ქართულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია, რადგან ქართული სამომხმარებლო ბაზრისთვის მსგავსი სახის გარემოებები უცხო არის. ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა და მერყეობა ქართული ეკონომიკური გარემოსათვის სიახლეს არ წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია არა მხოლოდ ერთი მხარის, მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინება, არამედ მხარეთა ერთგვარი ბალანსის საფუძველზე, მოვაჭრის უფლებების, შეძლებისდაგვარად, ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფა.

აღნიშნული საკითხების გათვალისწინება კი, თავის მხრივ უფრო მეტად განამტკიცებს სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და მის ფინანსურ სტაბილურობას.

## დ ა ს კ ვ ნ ა

სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობა ნებისმიერი ტიპის ურთიერთობებში - თითოეული ინდივიდის უფლება თანაზომიერად უნდა იყოს დაცული. სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში მხარეთა თავდაცვითი მექანიზმების იმპლემენტირებით, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მხარეზე, რომელიც უფრო ნაკლებად არის დაცული. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს მომხმარებელი სწორედ რომ მოულოდნელი გარემოებების მსხვერპლია და შესაბამისად, აუცილებელია, მისი უფლებების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფა.

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 336-ე მუხლის შემადგენლობა საკმაოდ ბუნდოვანი, ზოგადი და არასრულია. თავისთავად, ეს ხელს უშლის ამ მუხლის პრაქტიკაში გამოყენებას და სასამართლო პრაქტიკაშიც არ გვხვდება აღნიშნული სახის სახელშეკრულებო დავები. შესაბამისად, ვერ ხდება ამ მუხლის ძირითადი მიზნის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სათანადო დონეზე რეალიზება. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ინსტიტუტის სამოქალაქო კოდექსში რეცეფციით, ქართველი კანონმდებელი ორიენტირებული იყო სწორედ მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, ნორმის ბუნდოვანი ფორმულირება და მის დეფინიციაში ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, ვერ ემსახურება ნორმის მიზნის აღსრულებას, პირიქით, ხელს უშლის პრაქტიკაში მის გამოყენებას.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, სსკ-ის 336-ე მუხლის იმდაგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომ ერთის მხრივ, მხარეებმა შეძლონ მათი უფლება-მოვალეობების სიღრმისეული გააზრება და მეორეს მხრივ, უზრუნველყოფილი იქნას ამ უფლება-მოვალეობების პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა (როგორც განხორციელება, ისე დაცვა).

მართალია, ქართველი კანონმდებლის მიზანია სრულყოს მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემო, მაგრამ აუცილებელია ეს მოხდეს ქართული სამომხმარებლო ბაზრის კონკრეტული მოთხოვნილებებიდან და მოლოდინიდან გამომდინარე. სსკ-ის 336-ე მუხლის, ისევე როგორც „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის ნორმების არსებული შემადგენლობის კონკრეტიზაცია და სრულყოფა, სამომავლოდ ხელს შეუწყობს თავად ამ ნორმით განსაზღვრული მიზნის მაქსიმალურად ეფექტურად რეალიზებას, რაც სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილისათვის მნიშვნელოვანია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხები და კვლევის შედეგები, შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგი სახის დოქტრინალური და საკანონმდებლო წინადადებებით:

1. იმისათვის, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულება პრაქტიკაში ფართოდ იქნას გამოყენებული, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ სახის ხელშეკრულების სახელწოდების ცვლილება, რადგან „ქუჩაში დადებული

ხელშეკრულება“ საკმაოდ დამაბნეველია მომხმარებლისთვის. ხშირ შემთხვევაში ტერმინი „ქუჩა“ აღიქმება მისი პირდაპირი მნიშვნელობით, რაც წარმოშობს კიდევ უმრავლეს შემთხვევაში გაურკვევლობას. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ სახის ხელშეკრულების მხარე, ვისი უფლებების დაცვაზეც არის ორიენტირებული კანონმდებელი - მომხმარებელია, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არ არის იურისტი, არ აქვს სათანადო ცოდნა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. შესაბამისად, ბუნდოვანი ტერმინების გაგების და გააზრების მცდელობაში ის ერთის მხრივ თავს არიდებს ასეთი სახის ხელშეკრულების დადებას, ხოლო მეორეს მხრივ კი კარგავს ინტერესს დაიცვას საკუთარი თავი და უფრო აქტიურად მოახდინოს კანონით მისთვის გარანტირებული უფლებების რეალიზაცია.

ამ მუხლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი შინაარსი მაქსიმალურად მარტივი და სრულყოფილი უნდა იყოს, რათა მომხმარებელმა ნათლად შეძლოს მისი გაგება. ქართველმა კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნა, სადაც მომხმარებელი ნაკლებ დროსა და რესურსს მოახმარს მისი უფლებების გარკვევას და უფრო მეტ დროს დაუთმობს მათ რეალიზებას.

ამასთან, სამოქალაქო ბრუნვაც არ უნდა ფერხდებოდეს კომპლექსური და რთული საკანონმდებლო რეგულირებით. შესაბამისად, ამ სახის ხელშეკრულების სახელწოდების ცვლილება, მისი მაქსიმალური ფასილიტაცია, პოზიტიურ გავლენას მოახდენს არა მარტო მომხმარებელზე, არამედ მოვაჭრეზეც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული, რომ სსკ-ის 336-ე მუხლის სახელწოდება „ქუჩაში დადებული ხელშეკრულება“, შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულება“;

2. ხელშეკრულების სახელწოდების ცვლილებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, სპეციალურად განისაზღვროს ასეთი სახის ხელშეკრულების საგანი და ობიექტი, რადგან სსკ-ის მოქმედი 336-ე მუხლის დეფინიციაში სრულიად უგულებელყოფილია მათი განსაზღვრის საკითხი. ქართული ნორმის მოქმედი რედაქციის თანახმად, მომხმარებელს შეუძლია უარი თქვას ნებისმიერი სახის ხელშეკრულებაზე, თუ ის დადებულია მასსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში. არ არის დაკონკრეტებული იმ ხელშეკრულებების ჩამონათვალი, რომელზეც ვრცელდება ამ მუხლის მოქმედება. როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 336-ე მუხლის მოქმედი რედაქციით ხელშეკრულების საგანი შეიძლება თანაბრად იქნას მისადაგებული როგორც ქონების საკუთრებაში, ისე სარგებლობაში გადაცემის, ნარდობის და მომსახურების ტიპის სხვა ხელშეკრულებებთან. შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო ბრუნვაში ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გამოუყენებლობის ერთ-ერთ მიზეზად, აღნიშნულიც იქნას მიჩნეული, რადგან მომხმარებლისთვის ხშირად გაუგებარია, თუ რა განსხვავებაა ნასყიდობის, ნარდობის და მომსახურების

ხელშეკრულებასა და სსკ-ის 336-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას შორის.

შესაბამისად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საგნისა და ობიექტის ნათლად და სრულყოფილად განსაზღვრის მიზნით, სასურველია კონკრეტულად იქნას მითითებული (2011/83 დირექტივისა და გსკ-ის 312-ე პარაგრაფის მსგავსად), თუ რომელი ხელშეკრულებების დროს ექნება მომხმარებელს შესაძლებლობა ისარგებლოს მასზე უარის თქმის უფლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სსკ-ის 336-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მოვაჭრე მოვალეა საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულებით, მომხმარებელს საკუთრებაში, ან სარგებლობაში გადასცეს მოძრავი ქონება, ან გაუწიოს შეთანხმებული მომსახურება.

3. აუცილებელია განისაზღვროს ხელშეკრულების დადების ადგილი. კერძოდ, მიზანშეწონილია, დაზუსტდეს თუ რა იგულისხმება სსკ-ის 336-ე მუხლში აღნიშნულ ტერმინში „ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში“. იმისათვის, რომ სამართლებრივი რეგულირების მიზანი მიღწეულ იქნას, აუცილებელია მათი განმარტება. მომხმარებელმა ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რა ადგილას დადებული ხელშეკრულების დროს აქვს მას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება.

აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების დადების ადგილის განსაზღვრა მნიშვნელოვანია არამარტო მომხმარებლისთვის, არამედ მოვაჭრისთვისაც. მას კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ ადგილი სადაც ხელშეკრულება იდება არის, ან არ არის, მისი საქმიანობის ადგილი, რადგან სწორედ ამის მიხედვით მას წარმოეშობა გარკვეული ვალდებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სსკ-ის 336-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

ხელშეკრულება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ითვლება მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებულად, თუ:

ა) ის დაიდო მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკური თანყოფის დროს მოვაჭრის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

ბ) ხელშეკრულების დადებაზე შეთავაზება მომხმარებელმა მიიღო მოვაჭრის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

გ) ხელშეკრულება დაიდო მოვაჭრის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ, ან დისტანციურად, დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა შეთავაზება მიიღო პირადად და ინდივიდუალურად მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკური თანყოფის დროს მოვაჭრის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

დ) ხელშეკრულება დაიდო მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს მომხმარებლისთვის საქონლის, ან მომსახურების მიწოდების მიზნით.

4. როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი რეგულაციების თანახმად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მთავარი

განმსაზღვრელია მომხმარებლის უპირობო უფლება უარი თქვას მასზე. შესაბამისად, მომხმარებელს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეორე მხარემ მასზე ნაკისრი ვალდებულება კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა და ვალდებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა არ წარმოადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის კლასიკურ სამართლებრივ ფორმას, არამედ, ამ შემთხვევაში, სამომხმარებლო ხელშეკრულებებთან მიმართებით, მოქმედებს ერთგვარად მოდიფიცირებული და უნიკალური უარის თქმის ინსტიტუტი, რომლის თანახმად, უარის თქმას არ სჭირდება არანაირი მიზეზი და დასაბუთება.

მომხმარებლის მიერ ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებასთან მიმართებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, მასზე ნაწილობრივი უარის თქმის შესაძლებლობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამოქალაქო სამართლის მიხედვით ხელშეკრულებაზე ნაწილობრივ უარის თქმა დაუშვებელია, საკმაოდ დადებითად შეფასდება, თუ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, გამონაკლისის სახით, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებისას იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ხელშეკრულების ობიექტი სხვადასხვა საქონელია, გაიზიარებს ევროპელი კანონმდებლის მიდგომას და მხარეთა წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში, მისცემს მათ უფლებას ნაწილობრივ თქვან ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარი.

5. ასევე, საყურადღებოა, რომ სსკ-ის 336-ე მუხლის მოქმედი რედაქცია, ერთის მხრივ, მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს, მაგრამ მეორეს მხრივ, გარკვეულად ხელს უშლის ამ უფლების რეალიზაციას. არასრულყოფილ სამართლებრივ რეგულირებად უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის 7 დღიანი ვადა მეტად ხანმოკლე პერიოდია მომხმარებლისთვის; ასევე, თუ ამ ხელშეკრულების შესრულება მისი დადებისთანავე მოხდა, არსებული რეგულირების თანახმად, მომხმარებელს ასეთი უარის თქმის უფლება აღარ გააჩნია. სამომხმარებლო ხელშეკრულებების უმრავლესობა ხომ მისი დადებისთანავე სრულდება.

მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ის 336-ე მუხლისგან განსხვავებით, 2011/83 დირექტივის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 14 დღის განმავლობაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე თქვას მასზე უარი. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი ერთგვარად იზიარებს ამ რეგულირებას, მაგრამ 2011/83 დირექტივისგან განსხვავებით, უარის თქმის 14 დღიან ვადას ის არ ითვალისწინებს მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში და მომხმარებელს აღნიშნული ხელშეკრულებისთვის, უარის თქმის მხოლოდ 7 დღიან ვადას განუსაზღვრავს. ამის გამო, სასურველია, რომ ქართული კანონპროექტი მომსახურების ხელშეკრულების მიმართაც უარის თქმის 14 დღიან ვადას ითვალისწინებდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სსკ–ის 336–ე მუხლის მე–3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულების დროს მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლისა და დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე უარი თქვას მასზე 14 დღის ვადაში.

6. სსკ–ის 336–ე მუხლი, ხელშეკრულებაზე უარის თქმისთვის ითვალისწინებს სავალდებულო წერილობითი ფორმის დაცვას. აღნიშნული მომხმარებლისთვის გარკვეულ სირთულეებს ქმნის, რადგან სამოქალაქო ბრუნვაში მოქმედი ზოგადი პრინციპის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს იმავე ფორმით, როგორი ფორმითაც მოხდა მისი დადება. საყურადღებოა ისიც, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის წერილობით ფორმას არ ადგენს არც 2011/83 დირქტივა, არც გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი რეგულაცია და არც აშშ მოქმედი კანონი. თუმცა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მათ შემუშავებული აქვთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საკმაოდ მარტივი ფორმულარი, რომელსაც მოვაჭრე ხელშეკრულების დადებისას სთავაზობს მომხმარებელს (იხ. დანართი N2, დანართი N3 და დანართი N4).

აღსანიშნავია, რომ ამ ფორმულარს სავალდებულო ხასიათი არ აქვს. მომხმარებელს სრული დისკრეცია აქვს, შეუძლია გამოიყენოს ის, ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე სულ სხვა ფორმით. მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული უარის თქმის წინასწარ შემუშავებული ფორმულარი პრაქტიკაში კარგად გამოიყენება. თუმცა, ეს მომხმარებელს არ ბოჭავს და არ ავალდებულებს მას, რომ აუცილებლად ამ სახით თქვას უარი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით, აუცილებელია ქართველმა კანონმდებელმა გაიზიაროს ევროპელი კანონმდებლის გამოცდილება და ამ სახის ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით გააუქმოს მოთხოვნა მასზე უარის თქმის სავალდებულო წერილობით ფორმასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სსკ–ის 336–ე მუხლის მე–4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მომხმარებელს უფლება აქვს ხელშეკრულებაზე უარის თაობაზე განაცხადოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ხოლო, მოვაჭრეს შეუძლია ხელშეკრულების დადებისთანავე შესთავაზოს მომხმარებელს მის მიერ შემუშავებული წინასწარ შედგენილი ფორმულარი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევისთვის;

7. როგორც უკვე აღინიშნა, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი არ ითვალისწინებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ელექტრონულ ფორმას (მაგ. მოვაჭრის ვებ-გვერდის საშუალებით). მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე, საქართველოში, მოვაჭრეთა უმრავლესობა შესაძლოა არ იცნობდეს ამ სერვისს, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში სრულიად რეალურია ამ ინსტიტუტის დანერგვა და

საკმაოდ დადებითად შეფასდება, თუ ხსენებული კანონპროექტი აღნიშნულ საკითხს გაითვალისწინებს, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო გაამარტივებს ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის პროცედურას;

8. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მხარეთა განმსაზღვრელი ტერმინები საჭიროებს დაზუსტებას. განსაკუთრებით, უნდა განიმარტოს, თუ რა იგულისხმება ტერმინში – „საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირი“. როგორც წესი, მასში სწორედ მეწარმე სუბიექტი მოიაზრება. თუმცა, მიზანშეწონილია მეწარმის ცნების განმარტებისას აღინიშნოს, რომ ის შესაძლოა იყოს, როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირი. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს როგორც ააიპ–ის, ისე სსიპ–ის მოვაჭრე სუბიექტად განხილვის შესაძლებლობა, რადგან ააიპ–ის საქმიანობა თავისი არსით მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას, ის არ არის ჩართული საქონლის ყიდვა–გაყიდვასა, თუ მომსახურების გაწევის სფეროში, ხოლო, სსიპ არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

მომხმარებელთან მიმართებაში კი სასურველია, მისი იმგვარი განმარტება, როგორც მაგალითად ეს არის გსკ–ის მე–13 პარაგრაფში. თუმცა, მომხმარებლის ცნების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება განისაზღვროს ის ზოგადი პირობები (კრიტერიუმები), რომლებიც მომხმარებლისთვის დამახასიათებელია; კერძოდ, მომხმარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი; ამ ფიზიკურმა პირმა ქონება, ან მომსახურება უნდა შეიძინოს და მოიხმაროს მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის; მის მიერ მოხმარებული ქონება საქონელია, ე.ი. მოძრავ ნივთს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გაფორმებისას მომხმარებელი ქმედუნარიანი პირი უნდა იყოს, რადგან ის ხელშეკრულებას ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად დებს. ასევე, სავსებით შესაძლებელია მომხმარებლად მიჩნეულ იქნას მხარდაჭერის მიმღები, თუ მას არ აქვს შეზღუდული კონკრეტულად რაიმე სახის ხელშეკრულების დადება; გარდა ზემოთქმულისა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გაფორმებისას, მომხმარებლად შესაძლოა მოაზრებულ იქნას მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირიც, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც მხარდაჭერის მიმღების შემთხვევაში, მისი ნების გამოხატვის ნამდვილობის დასადასტურებლადაც საჭირო იქნება მზრუნველის თანხმობა;

9. მიზანშეწონილია, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით (სსკ, ასევე „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ კანონის პროექტი) უფრო სრულად და კონკრეტულად გათვალისწინებულ იქნას მხარეთა მოვალეობები ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების დროს. სასურველია, თუ ევროპელი კანონმდებლის მსგავსად, ქართველი კანონმდებელიც ე.წ. „ინფორმირებულ მომხმარებელზე“ გაამახვილებს ყურადღებას და უფრო დეტალურად განსაზღვრავს ხელშეკრულების თითოეული მხარის უფლება–მოვალეობებს.

მაგ. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ეხება ინფორმაციას საქონლის, ან მომსახურების სრული ფასის შესახებ, თუმცა 2011/83 დირექტივისგან განსხვავებით არ არის დაკონკრეტებული საფასური მოიცავს თუ არა გადასახადებს. არც თუ ისე იშვიათად, ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე, საქონლის ან მომსახურების ფასის მითითება ხდება ისე, რომ მასში არ შედის მაგ. დღგ-ს გადასახადი. სასურველია, თუ ქართველი კანონმდებელი გაითვალისწინებს ამ საკითხს და ქართველი მომხმარებლისთვისაც უზრუნველყოფს მოულოდნელი ხარჯებისგან თავდაცვის მექანიზმების ქართულ კანონებში იმპლემენტაციას.

ასევე, როდესაც საქმე ეხება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებას, ან ხელშეკრულებას რომელიც ეხება რაიმე ნივთის გამოწერას (ჟურნალის, გაზეთის და ა.შ.) საერთო ფასში უნდა შედიოდეს თუ არა თითოეული საანგარიშო პერიოდის სრული ღირებულება.

მომხმარებელმა ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რა უფლებები და მოვალეობები გააჩნია მას მსგავსი სახის ხელშეკრულების დადებისას, რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას და ა.შ.

მართალია, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი თითქმის სრულად იზიარებს 2011/83 დირექტივის დებულებებს მხარეთა მოვალეობების თვალსაზრისით, მაგრამ ქართული სამომხმარებლო ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით აღნიშნული უფრო მეტ დაკონკრეტებას საჭიროებს;

10. ვადებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ასევე, 2011/83 დირექტივის მე-10 მუხლი, რომელიც უარის თქმის 14 დღიან ვადასთან დაკავშირებით ადგენს, რომ თუ მოვაჭრე არ განუმარტავს მომხმარებელს, რომ ამ უკანასკნელს უფლება აქვს 14 დღის ვადაში უარი თქვას ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე, ამ შემთხვევაში, მომხმარებლისთვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის პერიოდი იწურება თავდაპირველი უარის თქმის ვადის, ანუ 14 დღის დასრულებიდან 12 თვის გასვლის შემდეგ.

აღნიშნულ დებულებას „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი არ ითვალისწინებს და როგორც უკვე აღინიშნა, მასში მხოლოდ უარის თქმის 14 დღიან ვადაზე საუბარი. სასურველია, თუ ქართველი კანონმდებელი ხსენებული მუხლის იმპლემენტაციას მოახდენს და მომხმარებელს თავისი უფლებების დაცვის კუთხით, ერთგვარად დამატებითი ვადის გამოყენების სამუალებას მისცემს;

11. საყურადღებოა, რომ 2011/83 დირექტივის თანახმად, მოვაჭრეს უფლება აქვს ქუჩაში დადებული ხელშეკრულება გააფორმოს წარმომადგენლის მეშვეობით. როგორც სსკ-ის 336-ე მუხლი, ისე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, მსგავსი სახის მითითებას არ შეიცავს. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილად

უნდა იქნას მიჩნეული, რომ ქართულმა კანონპროექტმა, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა მოვაჭრეს მისცეს წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო, მომხმარებელს წება დართოს წარმომადგენლის მეშვეობით მსგავსი სახის ხელშეკრულების შესრულება მიიღოს მოვაჭრისგან. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეხება მომხმარებლის მიერ წარმომადგენლის მეშვეობით მხოლოდ შესრულების მიღებას და არა წარმომადგენლის მეშვეობით ხელშეკრულების დადებას. რადგან, იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მსგავსი სახის ხელშეკრულების დადებას წინასწარ გაითვალისწინებს და ამის უფლებას მესამე პირს მიანიჭებს, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მთავარი განმასხვავებელი ელემენტი, მოულოდნელობა, სახეზე აღარ იქნება და შესაბამისად, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებაც ვერ გაფორმდება.

12. ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დროს მხარეთა ინტერესების თანაბარი დაცვის მიზნით, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტით გათვალისწინებული უნდა იქნას მომხმარებლისთვის ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოებები.

ამ მხრივ გასათვალისწინებელია 2011/83 დირექტივის შინაარსი, რომელიც მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმას უზღუდავს მაგ. როდესაც მომხმარებლისთვის მიწოდებული საქონელი მალფუჭებადია, ან გააჩნია მოკლე ვარგისიანობის ვადა; როდესაც საქმე ეხება გარკვეული ფართით უზრუნველყოფას და მისი მიზანი არ არის იქ ცხოვრება; ალკოჰოლური სასმელის, ან საქონლის მიწოდებისას, ან მომსახურების გაწევისას, რომლის ღირებულებაც დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის მერყეობაზე, რომელსაც მოვაჭრე ვერ გააკონტროლებს და რომელიც შეიძლება მოხდეს მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების პერიოდში და სხვა.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული სამომხმარებლო ბაზრისთვის ზემოაღნიშნული გარემოებები უცხო არ არის, სასურველია, მათი დეტალური მოწესრიგება. ფინანსური ბაზრის მერყეობის გათვალისწინებით აუცილებელია არა მხოლოდ ერთი მხარის, მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინება, არამედ მხარეთა ერთგვარი ბალანსის საფუძველზე, მოვაჭრის უფლებების, შეძლებისდაგვარად, ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფა.

აღნიშნული საკანონმდებლო რეგულირება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამომხმარებლო ბაზრის ფინანსურ სტაბილურობას.

## დანართი 1

პროექტი

### საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლის სათაური „ქუჩაში დადებული ხელშეკრულება“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულება“.

**მუხლი 2.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლი შეიცვალოს და პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოვაჭრე მოვალეა საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულებით, მომხმარებელს საკუთრებაში ან სარგებლობაში გადასცეს მომრავი ქონება, ან გაუწიოს შეთანხმებული მომსახურება.“

**მუხლი 3.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 ნაწილი:

„2. ხელშეკრულება მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის ითვლება მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებულად, თუ:

ა) ის დაიდო მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკური თანყოფის დროს მოვაჭრის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

ბ) ხელშეკრულების დადებაზე შეთავაზება ან ხელშეკრულების შესრულება მომხმარებელმა მიიღო მოვაჭრის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

გ) ხელშეკრულება დაიდო მოვაჭრის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ, ან დისტანციურად დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა შეთავაზება მიიღო პირადად და ინდივიდუალურად

მოვაჭრისა და მომხმარებლის ფიზიკური თანყოფის დროს მოვაჭრის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ;

დ) ხელშეკრულება დაიდო მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების მიზნით.

**მუხლი 4.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:

„3. მოვაჭრის საქმიანობის ფარგლებს გარეთ დადებული ხელშეკრულების დროს მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლისა და დამატებითი ხარჯების გარეშე უარი თქვას მასზე 14 დღის ვადაში.“

**მუხლი 5.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. მომხმარებელს უფლება აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე განაცხადოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ხოლო, მოვაჭრეს, შეუძლია ხელშეკრულების დადებისთანავე შესთავაზოს მომხმარებელს მის მიერ შემუშავებული წინასწარ შედგენილი ფორმულარი ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევისთვის.“

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის მიმართ

- ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
- ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზები

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლით მოხდა დასავლეთის კერძო სამართლის მირითადი ღირებულებების, პრინციპებისა და დებულებების იმპლემენტაცია ქართულ სამოქალაქო სამართალში. თუმცა, ზოგიერთი სამართლებრივი ნორმის რეცეფცია არასწორად მოხდა.

თანამედროვე მსოფლიოში დღითიდღე მატულობს ისეთი ხელშეკრულებების რიცხვი, რომელთა დადებაც ხდება არასახელშეკრულებო გარემოში, ისეთ ვითარებაში, რომელიც არ არის მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლისა, თუ შეწყვეტისავენ. რა თქმა უნდა გამონაკლისი არც საქართველოა. სწორედ ამიტომ, საჭიროა იმ ერთადერთი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის დეტალური მოწესრიგება, რომელიც არეგულირებს ასეთი ტიპის ურთიერთობას. მართალია, სსკ-ის 336-ე მოქმედი მუხლი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) 312-ე პარაგრაფის მსგავსი შინაარსის არის, მაგრამ მისი რეცეფცია მაინც არასრულად მოხდა, რაც უარყოფითად აისახება ქუჩაში დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ. მაგალითად, სსკ-ის 336-ე მუხლის მოქმედი რედაქციის ყველაზე დიდი საკანონმდებლო ხარვეზია ის, რომ არ არის საკანონმდებლო დონეზე განმარტებული, თუ რას წარმოადგენს თავად „ქუჩაში დადებული ხელშეკრულება“. წინამდებარე კანონპროექტით კი ასეთი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა უფრო დეტალურად და სრულყოფილად იქნება მოწესრიგებული. მით უფრო, რომ ხსენებული პროექტით ხელშეკრულებაზე უარის თქმის (ხელშეკრულებიდან გასვლის) ვადა 7 დღის ნაცვლად 14 დღემდე იქნება გაზრდილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლით განმტკიცებულ იქნას ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმები.

#### **ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიღების ძირითადი მიზანია, მხარეთა თანასწორობის მეთოდის გათვალისწინებით მომხმარებლის, როგორც ხელშეკრულების სუსტი მხარის უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

#### **ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი**

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს როგორც მოვაჭრის, ისე მომხმარებლის უფლება–მოვალეობების მომწესრიგებელი კანონმდებლობის დახვეწა და სრულყოფა, ასეთი სახის ხელშეკრულებების ფართოდ გამოყენების მიზნით.

აღნიშნული კანონპროექტის ძალაში შესვლით მომხმარებელს უფლება ექნება უარი თქვას ისეთ ხელშეკრულებაზე, რომელიც არსებითად აუარესებს მის მდგომარეობას, რომელიც მან დადო ისე, რომ კარგად გააზრებული არ ჰქონდა მისი შინაარსი და შესაძლო სამართლებრივი შედეგები.

ზემოაღნიშნული კანონპროექტის სამოქალაქო კოდექსში იმპლემენტაციის მთავარი არსი მდგომარეობს ქართული კანონმდებლობის ევროპული ქვეყნების კანონმდებლობასა და სამართლებრივ პრაქტიკასთან მაქსიმალურად მისადაგებაში, რაც თავის მხრივ, ქართული სამოქალაქო კოდექსის სრულყოფას შეუწყობს ხელს.

#### **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

#### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;**

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

#### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;**

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ)** სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;  
კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

**ბ.ე)** კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;  
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ)** კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);  
ასეთი არ არსებობს.

**გ)** კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

**გ.ა)** კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის არცერთ დირექტივას. პირიქით ის სრულ შესაბამისობაშია ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს 2011/83 მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დირექტივასთან.

[Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 25/10/2011.]

**გ.ბ)** კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებები.

**გ.გ)** კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

**დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;**

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი;**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.**

საქართველოს მთავრობა.

## დანართი 2

2011/83 დირექტივა  
ქუჩაში დადგებულ ხელშეკრულებაზე  
უარის თქმის ფორმა

### ხელშეკრულებაზე უარის თქმის ფორმა

(შეავსეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში  
თუ გსურთ ხელშეკრულებაზე უარის თქმა)

- ❖ ვის: (აქ უნდა მიეთითოს მოვაჭრის სახელი, გეოგრაფიული მისამართი, თუ ცნობილია მისი ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი)
  - ❖ მე/ჩვენ ამით გაცნობებთ, რომ მე/ჩვენ უარს ვამბობ(თ) ხელშეკრულებაზე შემდეგი ნივთების ნასყიდობასთან დაკავშირებით/შემდეგ მომსახურებასთან დაკავშირებით
    - ✓ შეკვეთილი/მიღებული (თარიღი)
    - ✓ მომხმარებლის სახელი (სახელები)
    - ✓ მომხმარებლის მისამართი (მისამართები)
    - ✓ მომხმარებლის ხელმოწერა
    - ✓ თარიღი

გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი  
ქუჩაში დადგებულ ხელშეკრულებაზე  
უარის თქმის ფორმა

ინფორმაცია  
ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე

ხელშეკრულებაზე უარის თქმის ინსტრუქციის ნიმუში

❖ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება  
თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ხელშეკრულებიდან გასვლა  
14 დღის განმავლობაში ყოველგვარი მიზეზის გარეშე

უარის თქმის პერიოდი იწურება:

- ✓ მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში [ან ციფრული მატარებლის მიწოდების შემთხვევაში] ხელშეკრულების დადებიდან 14 დღის შემდეგ;
- ✓ ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, 14 დღის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც თქვენ, ან თქვენს მეირ განსაზღვრული მესამე პირი ფიზიკურად დაუფლება საქონელს.
- ✓ იმისათვის, რომ თქვენ ისარგებლოთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, აუცილებლად უნდა გვაცნობოთ თქვენი გეოგრაფიული მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომერი. ასევე, ელექტრონული ფოსტის მისამართი.
- ✓ ნათლად და გარკვევით უნდა გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილების თაობაზე, რომ უარს ამბობთ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე. [ფოსტის, ფაქსის ან ელ. ფოსტის მეშვეობით გამოგზავნილი წერილის საშუალებით]
- ✓ თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინასწარ შემუშავებული ფორმა. თუმცა, ეს სავალდებულო არ არის.
- ✓ იმისათვის, რომ თქვენ მოახერხოთ უარის თქმის პერიოდისთვის დადგენილ ვადაში ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თქვენი მხრიდან საკმარისია მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, რომ თქვენ სარგებლობთ აღნიშნული უფლებით.

## ❖ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

- თუ თქვენ უარს იტყვით ხელშეკრულებაზე, ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენს მიერ გადახდილი თანხის სრულად დაბრუნებას, მათ შორის ტრანსპორტირების თანხას. [გარდა იმ შემთხვევისა, როცა თქვენს მიერ შერჩეული ტრანსპორტირების მეთოდი განსხვავდება ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიწოდების ტარიფებისგან]
- თანხის უკან დაბრუნების დროს, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას გამოვჭიოთოთ ის თანხა, რა ოდენობითაც შემცირდა ჩვენს მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულება თქვენი მხრიდან არასათანადო მოპყრობის გამო.
- თანხის უკან დაბრუნებას მოვახდენთ დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს:
  - ✓ თქვენგან გამოგზავნილი საქონლის მიღებიდან 14 დღის ვადაში;
  - ✓ 14 დღის ვადაში, იმ შემთხვევაში, როდესაც თქვენ წარმოადგენთ მტკიცებულებას, რომ საქონელი უკან გამოგზავნეთ;
  - ✓ თუ ხელშეკრულება არ ეხება საქონლის მიწოდებას, მაშინ 14 დღის შემდეგ, რაც ჩვენ გვაცნობებთ, რომ უარს ამბობთ ხელშეკრულებაზე.
- თანხის უკან დაბრუნება მოხდება იმავე წესით, რა წესითაც განხორციელდა თავდაპირველი ტრანზაქცია, თუ რა თქმა უნდა სხვა მეთოდზე არ შევთანხმდებით.
  - ნებისმიერ შემთხვევაში, თანხის უკან დაბრუნებისას თქვენ არ მოგადგებათ არანაირი ფინანსური ზიანი.

**CFR დადგენილი ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებაზე  
უარის თქმის ფორმა**

**ხელშეკრულებაზე უარის თქმის  
შესახებ გაფრთხილება**

[ხელშეკრულების დადების დღე] (თარიღი)

თქვენ უფლება გაქვთ უარი თქვათ ამ ხელშეკრულებაზე (ტრანზაქციაზე),  
ნებისმიერი ჯარიმისა და ვალდებულების გარეშე, ზემოაღნიშნული  
თარიღიდან 3 სამუშაო დღის<sup>416</sup> განმავლობაში.

თუ თქვენ უარს ამბობთ ხელშეკრულებაზე, თქვენს მიერ მიღებული  
ნებისმიერი ქონება, ან მომსახურება დაბრუნებულ იქნება მოვაჭრის მიერ  
უარის თქმის ფორმის მიღების დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის  
შემდეგ.

თუ თქვენ უარს ამბობთ ხელშეკრულებაზე, მიღებული საქონელი უნდა  
დააბრუნოთ მაქსიმალურად ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ის მიიღეთ,  
ან თქვენი სურვილის შემთხვევაში, დაემორჩილოთ გამყიდველის  
მითითებას და მისი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოთ ნივთის  
დაბრუნება.

<sup>416</sup> CFR თანახმად, სამუშაო დღე, არის ნებისმიერი კალენდარული დღე, კვირა დღის, ან ნებისმიერი ფედერალური დასვენების დღის გარდა. (მაგ.: ახალი წლის დღე; პრეზიდენტის დღე; მარტინ ლუთერ კინგის დაბადების დღე; ხსენების დღე; დამოუკიდებლობის დღე; მუშათა დღე; კოლუმბის დღე; ვეტერანთა დღე; მადლიერების და ქრისტეშობის დღე;).

თუ თქვენ ხელმისაწვდომი გახადეთ საქონელი გამყიდველისთვის და გამყიდველი არ წაიღებს მათ თქვენი შეტყობინების გაგზავნიდან 20 დღის განმავლობაში, თქვენ უფლება გაქვთ დაუფლოთ, ან განკარგოთ ნივთები სამომავლოდ დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე.

თუ თქვენ არ გახდით ხელმისაწვდომს საქონელს გამყიდველისთვის, ან თუ თქვენ დათანხმდით ნივთის უკან დაბრუნებას თქვენი ძალებით, მაგრამ არ გააკეთებთ ამას, მაშინ თქვენ პასუხისმგებელი ხართ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის ვალდებულებებზე.

უარის თქმის შემთხვევაში, გააგზავნეთ ან მიაწოდეთ აღნიშნული ფორმა ხელმოწერილი, ან სხვა რაიმე წერილობითი შეტყობინება, ან ტელეგრამა.

[მოვაჭრის სახელი] [მოვაჭრის მისამართი], არაუგვიანეს (თარიღი) შუაღამისა.

მე ამით უარს ვამბობ ხელშეკრულებაზე

(თარიღი) (მომხმარებლის ხელმოწერა)

## **ბიბლიოგრაფია**

### **ქართულ ენაზე**

**ახვლედიანი ზ.,** ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999.

**ბაჩიაშვილი ვ.,** დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანის სამართლის მიხედვით), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008.

**ბზეალავა ე.,** მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტატიათა კრებულში: გეგენავა დ. (რედ.), ლადო ჭანტურია 50, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2013.

**ბზეალავა ე., ჭილაძე თ., დერცვაძე ა., გეგენავა დ., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები Principles of European Contract Law, თარგმანი, თბ., 2014.**

**ბორონი ა.,** წინათქმა, სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, თსუ სამართლის მიმოხილვა, N1, 2016.

**გოგიაშვილი ნ.,** არასრულწლოვნის მიერ დადებული ნეიტრალური გარიგების არსი და მისი სამართლებრივი შედეგები გერმანიისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, თსუ სამართლის მიმოხილვა, N2, 2017.

**ზოიძე ბ.,** ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005.

**ზოიძე ბ.,** საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2007.

**ზოიძე ბ.,** ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სამართალსუბიექტობა, სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, თსუ სამართლის მიმოხილვა, N1, 2016.

**თეზელაშვილი ს.,** იურიდიული ენციკლოპედია, თბ., 2008.

**თოდუა მ., ვილუმსი ჰ.,** ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006.

**კურსელიძე დ.,** კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009.

**კვანტალიანი ნ.,** სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია ლ., (რედ.), სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბ., 2017.

**კობახიძე ა.,** სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი I, თბ., 2001.

**ლაკურბაია თ.,** ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2016.

**ლაკურბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ.,** მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), თბ., 2018.

**მაჭარაძე მ.,** ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008.

**ნაჭულებია ა.,** სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), GTZ, 2014.

**რეგულირების გავლენის შეფასება** საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბ., 2016.

**სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,** წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბ., 2017.

**სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,** წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2019.

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის“ ანგარიში,** თბ., 2015.

**ფიფია ა.,** ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების მირითადი მახასიათებლები და მათი გავლენა ქართულ სამართალზე, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2008.

**ქარდავა ე.**, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007.

**ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.,** სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2014.

**ჭანტურია ლ.**, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011.

**ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.**, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001.

**ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.**, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001.

**ჭუჭელაშვილი ზ.**, სახელშეკრულებო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა მირითადად ქართული სამართლის საფუძველზე), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010.

**ჭუჭელაშვილი ზ.**, (მთარგ. და რედ.), გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2010 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, „სიესტა“, თბ., 2010.

**ხუბუა გ.**, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004.

**ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ.**, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბ., 2001.

**ჯორბენაძე ს.**, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2017.

### **უცხოურ ენებზე:**

**Alexander Ch.**, Vebraucherschutzrecht, Studium und Praxis, 1. Aufl., München 2015.

**Bamberger H., Roth H.**, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB, Band 1: §§ 1-610, 3. Aufl., München 2012.

**Bittner S., Clausnitzer J., Föhlich C.**, Das neue Verbraucherrecht, Köln 2014.

**Brox H., Walker W-D.**, Allgemeiner Teil des BGB, 41. Aufl., 2017.

**Brönneke T., Tonner K., (Hrsg.)** Das neue Schuldrecht, Verbraucherrechtsreform 2014, Internethandel, Widerrufsrechte, Informationspflichten, 1. Aufl., Baden-Baden 2014.

**Chirita A. D.**, the Impact of Directive 2011/83/EU on Consumer Rights, 2012.

**Commissioner for Human Rights**, who gets to decide? Right to legal capacity for persons with intellectual and psychological disabilities, Strasbourg, 2012.

**Dauner-Lieb B., Heidel Th., Ring G.**, Anwaltkommentar, Band 2/1, §§241-610, 3. Aufl., Baden-Baden 2016.

**Dastis J.C.**, Das Rücktrittsrecht des Käufers im Europäischen Privatrecht, [Europäisches Privatrecht], 1. Aufl., Baden-Baden 2017.

**DG Justice Guidance Document concerning Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council.**

**De Franceschi A.**, European Contract Law and the Digital Single Market, the Implications of the Digital Revolution, 2016.

**Dinges B.**, Das Spannungsverhältnis zwischen Verbraucherschutz und Unternehmerrechten, Anhand des Haustürgeschäfts und des Fernabsatzvertrages vor dem Hintergrund der Systemfrage und der Verbraucherrechterichtlinie 2011/83/EU, Band 5617, Frankfurt am Main 2014.

**Gaius**, Institutes of Roman Law.

**Gessner J.**, Widerrufsrecht und Widerrufsbelehrung im deutschen und europäischen Verbraucherrecht, Band 4937, Hamburg 2009.

**Gerbaulet U.**, Der Widerruf des Haustürbeitritts zu einer Fondsgesellschaft, Band 872, 1. Aufl., Baden-Baden 2015.

**Guidance on the Implementation/Application of Directive 2005/29/EC on Unfair Commercial Practices.** 25/5/2016.

**Erman**, Bürgerliches Gesetzbuch Handkommentar mit AGG, EGBGB (Auszug), ErbauRG, LPartG, ProdHaftG, UklaG, VBVG, VersAusglG und WEG, 15. neu bearbeitete Aufl., Köln 2017.

**Harryers Ch.**, Die Beweislastumkehr gem. §476 BGB, Saarbrücken 2014.

**Heiderhoff B., Schulze R.**, Verbraucherrecht und Verbraucherverhalten, Europäisches Privatrecht, 1 Aufl., 2016.

**Hentschel A.**, Die Vollharmonisierung des Verbrauchsgüterkaufrechts und die Wirkungsweise vollharmonisierender Richtlinien, Marburg 2014.

**Hericks B.**, Die Rechtsfolgen des Verbraucherwiderrufs im deutschen und europäischen Recht, 2013.

**Hilbig-Lugani K.**, Neuerungen im Außergeschäftsraum- und Fernabsatzwiderrufsrecht – Teil 2, Zeitschrift für das Juristische Studium, Göttingen 2013, 6.

**Hörmann M.**, Der Internethandel und die neue Richtlinie über die Rechte der Verbraucher, Band 248, München 2014.

**Joustra C.**, Towards a European Civil Code, 4. Revised and expanded edition, 2010.

**Junker M.**, Juris PraxisKommentar, Band 2.1. Teil 1; §§241 bis 432, 5. Aufl., Saarbrücken 2010.

**Klinck F., Reisenhuber K. (Hrsg.)** Verbraucherleitbilder, Interdisziplinäre und Europäische Perspektiven, Schriften zum Europäischen und Internationalen Privat-, Bank- und Wirtschaftsrecht, 1. Aufl., 2015.

**Kötz H.**, European Contract Law, Second Edition, translated from German by Gill Mertens and Tony Weir, Oxford University Press, 2018.

**Kunnecke A.**, New Standards in EU Consumer Rights Protection? The New Directive 2011/83/EU, European Scientific Journal, Special Edition, Vol. 1, ISSN 1865-7881, February 2014.

**Кратенко М.В.**, Злоупотребление свободой договора: частноправовые и публично-правовые аспекты, Москва, 2010.

**Mckinney R.J.**, A Research Guide to the Federal Register and the Code of Federal Regulations, Law Library Light, Vol. 46, N1, 2002.

**Medvinskaia A.**, The Consumer Rights Directive: Key concepts, Journal of Financial Law, 2014, 16-20.

**Münchener Kommentar** zum Bürgerlichen Gesetzbuch, Schuldrecht Allgemeiner Teil, Band 2. 5. Aufl., München 2007.

**Новицкий И.Б.**, Римское Право, Ассоциация “Гуманитарное знание”, издательство “Теис”, Москва 2005.

**Selucka M.**, The New Civil Code and Protection of a Consumer concluding an off-premises Contract, Brno 2015.

**Staudinger J.**, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen, Buch 2, Recht der Schuldverhältnisse, §§ 311, 311a, 312, 312a-f (Vertragschluss) Neubearbeitung Berlin 2005.

**Schreindorfer B.**, Verbraucherschutz und Stellvertretung, Rechtsprobleme im Zusammenhang mit der Einschaltung einer Hilfsperson auf Kundenseite beim Abschluss von Verbraucherträgen, Band 424, Berlin 2012.

**Schulze R., Zoll F.**, the Law of Obligations in Europe, a new wave of Codifications, München 2013.

**Schulze R., Zoll F.**, Europäisches Vertragsrecht, 2 Aufl., Baden-Baden 2017.

**Schulze R., Dörner H., Ebert, I., u.a.** Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 7. Aufl., Baden-Baden 2012.

**Schulze R., Dörner R., Ebert I., Hoeren Th., Kemper R., Saenger I., Scheuch A., Schreiber K., Schulte-Nölke H., Staudinger A., Wiese V.**, BGB, Handkommentar, 9. Aufl., Baden-Baden 2017.

**Prütting H., Wegen G., Weinreich G.**, Bürgerliches Gesetzbuch, BGB, Kommentar, 11 Aufl., 2016.

**Palandt O., (Hrsg.) bearbeitet von Brudermüller G., Götz I., Herrler S., Thorn K., Weidlich D., Ellenberger J., Grüneberg Ch., Sprau H., Weidenkaff W., Wicke H.**, Bürgerliches Gesetzbuch, Band 7. 77. Aufl., München 2018.

**Tacou Th.**, Das Verbot von Umgehungs geschäften und das Prinzip der Vertragsfreiheit im Verbraucher vertragsrecht, 1. Aufl., Baden-Baden 2013.

**Tamm M., Tonner K.**, Verbraucherrecht, Rechtliches Umfeld, Vertragstypen, Rechtsdurchsetzung, Beratungshandbuch, 2. Aufl., Baden-Baden 2016.

**Tonner K.**, Schuldrecht, Vertragliche Schuldverhältnisse, 4 Aufl., Rostock 2015.

**Trüten D., Baumgartner T., Brunner A., (Hrsg.)** Verbraucher vertragsrecht der Europäischen Union, Zürich 2017.

**Zaprianos N.**, Die Rückabwicklung der Verbraucher verträge nach Ausübung des Widerrufsrechts, Eine Untersuchung unter Berücksichtigung der Verbraucherrechte-Richtlinie und des Entwurfs für ein Gemeinsames Europäisches Kaufrecht, 1. Aufl., 2016.

**Zander T.**, Kostenfallen im Internet, Schutzmechanismen des Verbraucherrechts auf dem Prüfstand, Wiesbaden 2014.

**Zerres Th.**, Bürgerliches Recht, Eine Einführung in das Zivilrecht und die Grundzüge des Zivilprozessrechts, 8. Aufl., Heidelberg 2016.

**Ziegler F.**, Dissertation - Consumer Protection Law in the ongoing economic European Internal Energy Market by the example of the Electricity Directive 2009/72/EC, Dresden 2014.

## სასამართლო გადაწყვეტილებები

### ქართულ ენაზე:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-38-38-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე №ას-108-108-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №ას-254-254-2018.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-842-786-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-696-650-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მაისის განჩინება საქმეზე №ას-29-26-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1085-1042-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის პირველი ივლისის განჩინება საქმეზე №ას-167-163-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-459-438-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-1338-1376-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის განჩინება საქმეზე №ას-779-746-2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1300-1320-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-1034-992 (კ-09).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე № ას-1220-1480-09.

### უცხოურ ენებზე:

**მართლმსაჯულების უვროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები**

***Marcel Burmanjer – C-20/03 (ECJ, 26 May 2005).***

***Pia Messner v Firma Stefan Krüger – C-489/07. (ECJ, 3 September 2009).***

***Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis – C-423/97 (ECJ, 22 April 1999).***

**Case C-210/96 (ECJ, 16 July 1998).**

### **საკანონმდებლო აქტები**

### ქართულ ენაზე:

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა „უწყებანი“, N31-33, 24/08/1995.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, N200/42, 1/07/2016.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, N14/25, 12.04.2014.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა „უწყებანი“, N31, 24/07/1997.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, N1172, 03/11/2009.  
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N2181, 25/06/1999.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N3591, 12/10/2010.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა „უწყებანი“, N577, 28/10/1994.

საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გამოცემა „უწყებანი“, N1228, 18/02/1998.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N28(35), 08/07/1999.

საქართველოს კანონი „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N26, 30/09/2002.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N6157-III, 25/05/2012.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N6155-III, 08/05/2012.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის N6 დადგენილება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N6, 10/03/2014.

1996 წლის 22 აპრილის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ [ერთის მხრივ ევროპის გაერთიანების, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მონაწილე მხარეებსა და ევროპის გაერთიანება, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება და ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებასა და მეორე მხრივ საქართველოს შორის], 1/07/1999.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 13 მაისის N35/04 ბრძანება „კომერციული ბანკების მიერ საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ“, 13/05/2011.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილება, 17/03/2006.

საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“.

საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, ძალადაკარგულია: 25/05/2012.

### **უცხოურ ენებზე:**

Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, 18/08/1896.

Code of Federal Regulations, 1938.

Competition Act, 1998.

Consumer Rights Act, 2015.

Code of Hammurabi.

Directive 85/577 EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises, 20/12/1985.

Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of 20 May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts, 20/05/1997.

Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, 25/10/2011.

Directive 98/6/EC of the European Parliament and of the Council of 16 February 1988 on Consumer Protection in the indication of the Prices of Products offered to Consumers, 16/02/1988.

Directive 2013/11/EU of the European Parliament and of the Council of 21 May 2013 on alternative dispute resolution for consumer disputes and amending Regulation (EC) No 2006/2004 and Directive 2009/22/EC. 18/06/2013.

Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council of 25 May 1999 on certain aspects of the sale of consumer goods and associated guarantees, 25/05/1999.

Directive 2011/24/EU of the European Parliament and of the Council of 9 March 2011 on the application of patients' rights in cross border healthcare.

Directive 2006/123/EC of the European Parliament and of the Council of 12 December 2006 on services in the Internet Market. 27/12/2006.

Directive No. 2000/31/EC of the European Parliament and of the Council of 8 June 2000 on certain legal aspects of information society services, in particular electronic commerce, in the Internal Market (Directive on electronic commerce). 17/07/2000.

Draft Agreement on the Withdrawal of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland from the European Union and the European Union and the European Atomic Energy Community, as of 19 March 2018.

European Convention on the Calculation of Time-Limits, 28/04/1983.

Gesetz zur Umsetzung der Verbraucherrechterichtlinie und zur Änderung des Gesetzes zur Regelung der Wohnungsvermittlung

Principles of European Contract Law (PECL) – Parts I and II - Revised 1998, Part III – 2002.

Regulation (EEC, EURATOM) No 1182/71 of the Council of 3 June 1971 determining the rules applicable to periods dates and time limits.

Sale of Goods Act 1979.

Sale and Supply of Goods to Consumers Regulations 2002.

Supply of Goods (Implied Terms) Act 1973.

Supply of Goods and Services Act 1982.

The Treaty on The Functioning of The European Union, [Treaty of Rome] 25/03/1957.

The Consumer Contracts (Information, Cancellation and Additional Charges) Regulations 2013. 13/06/2014.

Treaty on European Union, [The Maastricht Treaty] 1/11/1993.

Unfair Commercial Practices Directive 2005/29/EC, 11/05/2005.

United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods (CISG) 1980, United Nations Commission on International Trade Law, United Nations Publication – Sales No. E. 10. V.14, United Nations, New York, November 2010.

## ინტერნეტ-რესურსები:

<<https://matsne.gov.ge>>  
<<http://eeas.europa.eu>>  
<<http://nbg.gov.ge>>  
<<https://dejure.org>>  
<<http://www.gesetze-im-internet.de>>  
<<http://eur-ex.europa.eu>>  
<<http://www.consumerssa.com/consumer-rights/>>  
<<http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=9108>>  
<<https://www.buzer.de/>>  
<<http://www.legislation.gov.uk/>>  
<<https://www.gpo.gov>>  
<<https://www.ftc.gov>>  
<<https://www.consumer.ftc.gov>>  
<<https://www.asocireba.ge>>  
<<https://www.libertyfund.org>>  
<<http://www.gccc.ge>>